ავტორის სტილი დაცულია

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

სადოქტორო პროგრამა: **კონფლიქტების ანალიზი და მართვა**

კახა ფუტკარაძე

რელიგიური კონფლიქტების პრევენცია საქართველოში (აჭარელ მუსლიმთა მაგალითზე)

სადისერტაციო ნაშრომი წარმოდგენილია სოციალურ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი: გუგული მაღრაძე
ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი/პროფესორი

თბილისი

2021

ს ა რ ჩ ე ვ ი

შესავალი.....6

თავი 1 - მუსლიმური თემი ქართულ პოლიტიკურ/სამართლებრივ და საერო ცხოვრებაში.....42

1.1 რელიგია - სახელმწიფო პოლიტიკაზე ზემოქმედების ფაქტორი…….……..…..42

1.2 მუსლიმური თემი და გარე ზემოქმედების ფაქტორები…… 47

1.3 რელიგიურ საფუძველზე განხორციელებული დესტაბილიზაციისა და განსხვავებული რელიგიური ჯგუფებისადმი სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის საკითხისათვის (1918-2020 წწ.) ……59

თავი 2 - რელიგიური ფუნდამენტალიზმი და საქართველო **……**.....69

2.1 რელიგიური ფუნდამენტალიზმის საფრთხის საკითხისათვის საქართველოში.....69

2.2 რადიკალიზაციის პრობლემები აჭარაში (1992-2020 წწ.).....78

2.3 რელიგიურ და საერო სასწავლო დაწესებულებებების კურსდამთავრებულ საქართველოს მოქალაქეთა რელიგიურ-პოლიტიკური განწყობები და ექსპერტთა შეფასებები.....98

2.4 2017 წლის 11-12 მარტის მოვლენები ბათუმში.....117

2.5 პანკისის მოვლენები (2012-2020 წწ.).....127

თავი 3 - ტერორიზმის საფრთხე საქართველოში.....135

3.1 ტერორისტული საფრთხეები და საქართველო.....135

3.2 ტერორიზმის რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები საქართველოში …….....…....153

3.3 კონტრტერორისტულ პოლიტიკასთან დაკავშირებული მოსახლეობის განწყობის ძირითადი ფაქტორები აჭარაში.....162

დასკვნა.....175

რეკომენდაციები.....192

კვლევის გაგრძელების შესაძლებლობა.....194

ბიბლიოგრაფია.....196

დანართები.....216

აბსტრაქტი

ნაშრომში შესწავლილია საქართველოში, კერძოდ კი აჭარაში არსებული რელიგიური განწყობები და მისი მასტიმულირებელი ფაქტორები, გაანალიზებულია რეგიონში არსებული მუსლიმური თემის საქმიანობის თავისებურებანი ქვეყნის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური უსაფრთხოების კონტექსტში, წარმოჩენილია რელიგიური ჯგუფების ინტეგრაციის ხარისხი და გამოკვეთილია ის ძირითადი პრობლემები, რომლებიც შემდგომში შეიძლება გახდეს რელიგიური კონფლიქტების ინსპირირების საფუძველი.

ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია რეგიონში მზარდი რელიგიური ფუნდამენტალისტული იდეოლოგიის გავრცელების პრობლემებზე, სირიისა და ერაყის საბრძოლო კონფლიქტში საქართველოს მოქალაქეების მონაწილეობის საკითხებზე, გაანალიზებულია ტერორიზმის ხელშემწყობი გარემოებები, მოსახლეობის განწყობა, მისი რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები. ყოველივე ამის საფუძველზე ნაშრომში გამოკვეთილია რელიგიურ ნიადაგზე მოსახლეობის შესაძლო დაპირისპირების ფაქტორები, დაინტერესებულ მხარეების როლი და მიზნები. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია განსხვავებული რელიგიური ჯგუფების თანაცხოვრობის ისტორიული გამოცდილების საკითხებზე, სახელმწიფოს და სამოქალაქო საზოგადოების მიერ შესაძლო კონფლიქტის ინსპირირების ცალკეული თუ სისტემური ქმედებების თავიდან აცილების მექანიზმებზე და წარმოდგენილია შესაბამისი რეკომენდაციები.

საკვანძო სიტყვები: სახელმწიფო, რელიგია, ისლამი, ტერორიზმი, უსაფრთხოება, კონფლიქტები

Abstract

The paper studies the religious sentiments in Georgia, in particular in Adjara, and its motivating factors, analyzes the peculiarities of the activities of the Muslim community in the region in the context of political, economic and social security of the country, The degree of integration of religious groups is presented and the main problems that may later become the basis for inspiring religious conflicts are highlighted.

The paper focuses on the problems of the spread of religious fundamentalist ideology in the region, on the issues of participation of Georgian citizens in the war in Syria and Iraq, the circumstances contributing to terrorism, the mood of the population, its quantitative and qualitative characteristics are analyzed. Based on all this, the paper outlines the factors of possible confrontation of the population on religious grounds, the role and goals of stakeholders. The paper focuses on the issues historical experiences of coexistence of different religious groups, mechanisms to prevent individual or systemic actions to inspire possible conflict by the state and civil society, and provides relevant recommendations.

Key words: State, Religion, Islam, Terrorism, Security, Conflicts

შესავალი

თემის აქტუალობა; საკვლევი თემის მიზნები და ამოცანები; კვლევის ძირითადი კითხვები; კვლევის მეთოდები; თემის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

ქვეყნის პოლიტიკურ და სამართლებრივ ცხოვრებაში ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების ურთიერთობის, ეთნიკური იდენტობისა და ინოეთნიკური ჯგუფების როლისა და ადგილის საკითხების შესწავლა ყოველთვის იყო მეცნიერ-მკვლევართა ყურადღების ცენტრში. სუსტი სახელმწიფო სტრუქტურებითა და კონფლიქტის რისკის შემცველი რეგიონებით წარმოდგენილ განვითარებად დემოკრატიულ საზოგადოებებში, ეთნიკური და რელიგიური განსხვავებულობა, როგორც საზოგადოების დემოკრატიული განვითარების ერთ-ერთი ფაქტორი ამავე დროს კონფლიქტის ინსპირირების საფრთხესაც შეიცავს, რაც შესაძლოა გახდეს ქვეყნის კონსტიტუციური წეს-წყობილების რღვევის წინაპირობა. **გარე ძალების შესაძლო ჩართულობის გათვალისწინებით იგი შეიძლება გახდეს** ეროვნული უსაფრთხოების ერთ-ერთი სერიოზული გამოწვევა. მსგავსი ფაქტები მრავლადაა საქართველოს ისტორიაში, ხოლო კავკასიაში არსებული კონფლიქტები და გეოპოლიტიკური პროცესები კი მისი ხელშემწყობ გარემოებებად შეიძლება იქნეს განხილული.

საქართველო პოლიეთნიკური და პოლიკონფესიური სახელმწიფოა. შესაბამისად დიდია ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების საქართველოს სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ გამოყენების შესაძლებლობაც (Weiner, 1983, გვ. 283, ასევე Atanassova, 1999, გვ. 61-65). საბჭოთა იმპერიის დაშლის შემდეგ ქვეყანა უამრავი პრობლემის წინაშე დადგა. ტეროტორიული მთლიანობის რღვევის, კრიმინოგენული სიტუაციის გაუარესების, ეკონომიკური მდგომარეობის დაქვეითების, დემოგრაფიული და სხვა კრიზისების ფონზე მრავალეროვნულ ქვეყნებში განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების განხილვა ეროვნული უსაფრთხოების ჭრილში.

კვლევის შედეგებმა უნდა წარმოაჩინოს ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების როლი ქვეყნის პოლიტიკურ და სამართლებრივ ცხოვრებაში, საზოგადოებაში მათი ინტეგრაციის ხარისხი და მასთან დაკავშირებული პრობლემები. კვლევა მიზნად ისახავს თანამედროვე მსოფლიოსა და საქართველოში ისლამური ფუნდამენტალიზმის გავრცელების მზარდი ინტენსივობის ხელშემწყობი გარემოებების შესწავლა-ანალიზს.

იგი თავის მხრივ განხილული უნდა იქნას რელიგიურ უმცირესობებზე შიდა თუ გარე ძალების ირიბი ან პირდაპირი ზემოქმედების მცდელობად, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის მნიშვნელივან გამოწვევად.

საკვლევი პრობლემატიკის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, კვლევის სფეროში (სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მაგალითზე) მოექცევა შემდეგი ძირითადი საკითხები:

1. მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური და რელიგიური ტენდენციები და საქართველო;
2. რელიგიის, როგორც სახელმწიფო პოლიტიკაზე ზემოქმედების ინსტრუმენტის შესწავლა, გარე ზემოქმედების ფაქტორების გამოვლენა და ანალიზი;
3. საზოგადოებაში მუსლიმური თემის ინტეგრაციის ხელშემწყობი და შემაფერხებელი ფაქტორების შესწავლა და ანალიზი;
4. ისლამური ფუნდამენტალიზმის როლისა და ადგილის წარმოჩენა საქართელოს პოლიტიკურ და საერო ცხოვრებაში;
5. რადიკალიზმის, ტერორიზმის შემთხვევების განხილვა და ანალიზი საქართველოს სახელმწიფოს მაგალითზე.
6. რეკომენდაციები და დასკვნები.

კვლევის მნიშვნელოვანი ნაწილი დათმობილია ქართულ რეალობაში **ტ**ერორიზმისა და რადიკალიზმის პრობლემების შესწავლის საკითხებზე.

საერთაშორისო და ეროვნული უსაფრთხოების კომპონენტის პრობლემათა კვლევა თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. იგი უმთავრეს ამოცანად რჩება ქართველი მკვლევარებისათვისაც, რადგან ჯერ კიდევ **სათანადოდ არაა გაანალიზებული პოსტსაბჭოთა პერიოდში საქართველოში განხორციელებული ცალკეული ტერორისტული, მათ შორის შესაძლო რელიგიურ-ტერორისტული აქტები, სრულყოფილად არაა გამოვლენილი ამ აქტების განმახორციელებელი სუბიექტები, ტერორისტული აქციების ჩამტარებელი ქვეყნების, ორგანიზაციების, პირების რეალური მიზნები და მოსალოდნელი** შედეგები.

ამიტომაც დადგა დღის წესრიგში **საქართველოს კონტრ-ტერორისტული პოლიტიკის ეფექტურობის ამაღლების, ტერორიზმთან დაკავშირებული კონცეპტუალური დოკუმენტების სრულყოფის** საკითხი. აღნიშნულიდან გამომდინარე, **მიზნად დავისახეთ საქართველოში ტერორიზმთან და კონტრტერორიზმთან დაკავშირებული კონცეპტუალური დოკუმენტების, ანგარიშებისა თუ სამართლებრივი ჩარჩოს** (ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, ეროვნული სამხედრო სტრატეგია, ტერორიზმთან ბრძოლის ეროვნული სტრატეგია, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ანგარიშები...) შესწავლა, ქვეყანაში განხორციელებული ტერორისტული აქტების რაოდენობრივი და თვისებრივი მაჩვენებელის, კონტრტერორისტული გარემოს და შესაბამისი გამოწვევების ანალიზი. ნაშრომში შევეცადეთ დაგვედგინა ის ფაქტორები და გარემოებები, რაც ერთის მხრივ განაპირობებს **საქართველოში ტერორისტული აქტების განხორციელების ალბათობას, მეორეს მხრივ კი კონტრ-ტერორისტული პოლიტიკის წარმატებებისა თუ წარუმატებლობების ძირითად მიზეზებს.**

კვლევის ფარგლებში ჩემს მიერ გამოკვეთილი იქნა ტერორიზმისა და რადიკალიზმის (რელიგიურ ნიადაგზე) ხელშემწყობი ოთხი ძირითადი ფაქტორი:

1. **საბჭოთა სისტემის რღვევა და მის ადგილზე სხვადასხვა პოლიტიკური - ჯგუფებისა და იდეოლოგიური მოძრაობების გაჩენა;**
2. **პოსტსაბჭოთა საქართველოში არსებული რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა;**
3. **ოკუპირებული ტერიტორიების გაჩენა და რეგიონში ფუნდამენტალური ისლამის მოძლიერების ზრდის ტენდენცია;**
4. **რეგიონალური და გეოპოლიტიკური პროცესები.**

საბჭოთა სისტების რღვევისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველო ურთულესი გეოპოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და შიდაპოლიტიკური პროცესების წინაშე აღმოჩნდა. სამხრეთ კავკასიის გეოსტრატეგიული მნიშვნელობიდან გამომდინარე, მეტწილად რუსეთის ინსპირირებით და ხელშეწყობით განხორციელდა საქართველოში აფხაზეთ-სამაჩაბლოს, ხოლო სომხეთ-აზერბაიჯანში ყარაბაღის კონფლიქტების გაღვივება და საბრძოლო მოქმედებებში გადაზრდა. ამას

დაემატა რუსეთ-ჩეჩნეთის ომი, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ცალკეული მუსლიმური სახელწმიფოებისა და რადიკალური ორგანიზაციების კავკასიის რეგიონით დაინტერესებას. დასახელებულმა პროცესებმა მნიშვნელოვნად გააუარესა საქართველოში ისედაც მძიმე სამართლებრივი, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური სიტუაცია. აღნიშნულმა გარემოებამ საქართველოსა და უცხო ქვეყნის ცალკეულ მოქალაქეებს, პირთა ჯგუფებსა თუ ორგანიზაციებს შეუქმნა ხელსაყრელი გარემო ქვეყნის წინააღმდეგ დამაზიანებელ მოქმედებებში ჩართვისა და განხორციელებისათვის. 2008 წლის სამხედრო კონფლიქტების შედეგად დროებით დაიკარგა ქვეყნის იურისდიქცია აფხაზეთსა და სამაჩაბლოზე, რამაც ხელი შეუწყო ოკუპირებულ რეგიონებში იარაღითა და ბირთვული მასალებით უკანონო ვაჭრობის გააქტიურებას (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო, 2018, გვ. 2, ასევე საქართველოს მთავრობის განკარგულება N53 2019, გვ. 9). შექმნილმა ვითარებამ რამდენადმე გაადვილა როგორც რუსეთის, ისე ზოგიერთი სხვა, მათ შორის ისლამური აღმსარებლობის სახელმწიფოებისა თუ ორგანიზაციების მიერ საქართველოში საგანგებო დავალებებით გამოგზავნილი ემისრების საქმიანობა ტერორისტული, დივერსიური და ჯაშუშური საქმიანობის დასაგეგმად და განსახორციელებად. დასახელებულმა ფაქტორებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი საქართველოში უსაფრთხოების გარემოს გაუარესებას (ლომაძე, ,,კვირის პალიტრა“, 2015).

რუსეთ - ჩეჩნეთის ომების შემდეგ დღის წესრიგში დადგა ჩეჩენი **ლტოლვილების მიღების საკითხი** ვაინახური წარმოშობის ,,ქისტებით კომპაქტურად დასახლებულ პანკისის ხეობაში.

რუსეთმა ლტოლვილებს დერეფანი მხოლოდ საქართველოსაკენ გაუხსნა, რაც ჩვენის აზრით ტერორიზმში საქართველოს დადანაშაულებას ისახავდა მიზნად. საქართველომ შეიფარა შვიდი ათასამდე ლტოლვილი, რომელთა შორის იყვნენ რუსეთ-ჩეჩნეთის ომში **მონაწილე ჩეჩენი მებრძოლებიც.** ქვეყანაში არსებულმა მძიმე სოციალურმა მდგომარეობამ, საქართველოს ხელისუფლების სისუსტემ, ხელი შეუწყო ხეობაში იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობას (ბარქაია, ჯანელიძე, 2018, გვ. 30, ასევე, ხუციშვილი, 2002, გვ. 38). ხელისუფლებამ იმ ეტაპზე ისლამური ქვეყნებიდან და ორგანიზაციებიდან

საგანგებო დავალებებით შემოსული ემისრების საქმიანობის შეზღუდვაც კი ვერ მოახერხა (თუმცა იგი მხოლოდ საქართველოს პრობლემას არ წარმოადგენდა) (ლომაძე, გაზ. ,,კვირის პალიტრა, 2015). ეს მიზანმიმართულად გამოიყენა რუსეთის ფედერაციამ საერთაშორისო ტერორიზმის ხელშეწყობაში საქართველოს დასადანაშაულებლად. ქვეყნის ხელისუფლების გონივრული მოქმედებების შედეგად ჩეჩენმა ლტოლვილებმა მოგვიანებით დატოვეს საქართველო, თუმცა პანკისის საკითხს დღემდე არ კარგავს აქტუალობა (ინტერნეტ წყარო, რადიო თავისუფლება, 2020), რაც საკუთრივ საქართველოში, ასევე ახლო აღმოსავლეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული მდგომარეობით უნდა აიხსნას.

ქვეყნის ეროვნული უსაფრთოხოებისათვის დამაზიანებელი იყო ასევე **სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტიც**. დღის წესრგიში დადგა სასაზღვრო სექტორში კომპაქტურად დასახლებული ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქეების საომარ ოპერაციებში შესაძლო მონაწილეობის საკითხი. შეიქმნა კონფლიქტში საქართველოს ხელოვნურად ჩართვისა და სახელმწიფო ტერორიზმის განხორციელების შესაძლებლობა (რაც მიმდინარე ეტაპზე ყარაბაღის მეორე ომმაც ნათლად დაადასტურა, მხედველობაში გვაქვს კარწახის სასაზღვრო პუნქტის ბლოკირება, სტრატეგიული დანიშნულების ინტერნეტ-კაბელების გადაჭრის მცდელობა ქვემო ქართლში, თბილისში გამართული ცალკეული აქციები, ყარაბაღის საბრძოლო მოქმედებებში ეთნიკურად სომეხი საქართველოს მოქალაქეების მცირე ნაწილის მონაწილეობა ა.შ.) (ინტერნეტ გამოცემა - Civil.ge, 2020, ასევე Civil.ge, 2020), თუმცა აღნიშნული შემთხვევების ნაწილი საინფორმაციო ომის ნაწილადაც უნდა იქნას გააზრებული.

ხაზგასასმელია აგრეთვე ის გარემოება, რომ ხანგრძლივი თანაცხოვრების მიუხედავად დღემდე სათანადოდ ვერ მოხერხდა ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი საქართველოს მოქალაქეების სრულყოფილი ინტეგრაცია ქართულ საზოგადოებაში.

საქართველომ სრულყოფილად ვერ შეძლო ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის ფუნქციონირება სომხებით და აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ ტერიტორიებზე. საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში არაერთი აქტივისტის

აქტიური მონაწილეობის მიუხედავად, ზოგადად დაბალია სამოქალაქო ცხოვრებაში მათი ჩართულობის ხარისხი, რაც ხელს უწყობს მავანთა მხრიდან სომეხი, აზერბაიჯანელი და ქართველი მოქალაქეების დაპირისპირებისა და საქართველოს წინააღმდეგ საზიანო მოქმედებებში მათი ჩართვის შესაძლებლობას. აღნიშნული ფაქტორები საქართველოში არსებული უსაფრთხოების გარემოს გაუარესების წინაპირობად იქცა.

თემის აქტუალობა

კვლევის აქტუალობას განსაზღვრავს სხვადასხვა ფაქტორთა ერთობლიობა. თანამედროვე პერიოდში განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა საზოგადოების რელიგიური გრძნობებით მანიპულირების შემთხვევებმა, რაც განაპირობებს რელიგიის სახელმწიფო-პოლიტიკური მიზნებით გამოყენების შესაძებლობას. ამ ფონზე საქართველოს ირგვლივ არსებულ გეოპოლიტიკურ ველში გვევლინებიან სახელწმიფოები და კონკრეტული ჯგუფები, რომელთა მიზანი ერთის მხრივ სახელმწიფო წეს-წყობილების რელიგიურ საწყისებზე დაბრუნების მცდელობაა, მეორეს მხრივ კი რელიგიას განიხილავენ, როგორც მათი სტრატეგიული ინტერესების გატარების ხელშემწყობ გარემოებად. რელიგიური ექსტრემიზმის, ძალადობის, სახელმწიფო პოლიტიკაზე ზეგავლენის კონკრეტული ფაქტების მომატების ფონზე ყურადსაღებია აჭარაში არსებული რელიგიური ფონის განხილვა და შესაბამისი ფაქტორების გამოკვეთა. ამ თვალსაზრისით მიზნად დავისახეთ შეგვესწავლა აჭარაში არსებული ისლამური ობიექტები, მუსლიმური ფონდები და ორგანიზაციები, მათი საქმიანობის ძირითადი მიზნები და კონკრეტული შედეგები, რეგიონში არსებული მუსლიმური მიმდინარეობები და ამ რელიგიის მსახურთა საქმიანობის ძირითადი მიმართულებები, საქართველოში არსებული უცხოური რელიგიური სასწავლო დაწესებულებები, რელიგიური და უმაღლესი განათლების მისაღებად მუსლიმურ ქვეყნებში წასული საქართველოს მოქალაქეები, კონკრეტული ჯგუფებისა თუ ქვეყნების მიერ რელიგიური რიტუალების (მათ შორის ყურბან ბაირამის) მხარდაჭერისა და დაფინანსების უზრუნველყოფა. კვლევას აქტუალობას სძენს ის გარემოებაც, რომ რელიგიის პოლიტიკური მიზნებით გამოყენების მცდელობებიდან გამომდინარე, მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს სრულიად

საქართველოსა და განსაკუთრებით აჭარაში განხორციელებული და დაგეგმილი ეკონომიკური ხასიათის პროექტები (ჩიქოვანი, 2006, გვ. 71-83).

აღნიშნული პროექტები პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია კონკრეტული ქვეყნების პოლიტიკური ჯგუფების ინტერესებთან. არაა გამორიცხული შესაძლო კავშირი აჭარაში არსებული მუსლიმურ ორგანიზაციებთან.

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა რელიგიური მოტივებით ახალგაზრდების კონფლიქტურ რეგიონებში გადინების კონკრეტულმა შემთხვევებმა და მოსახლეობაში ისლამის რადიკალური მიმარულებების გავრცელების ცალკეულმა მცდელობებმა (მაგ. პანკისის ხეობა, ქვემო ქართლის აზერბაიჯანელებით დასახლებული რამდენიმე სოფელი, გურიაში - აჭარლებით დასახლებული ნასაკირალი, ზოტი, ჩხაკაურა, სამთაწყარო, ხულოში ღორჯომის ხეობა და ა.შ.). *(ინტერნეტ წყარო, რეპორტიორი, მაისაია, 2015, ასევე სსუს-ს 2015, 2016, 2017, 2018 წლის ანგარიშები)* აღნიშნული ტენდენცია კიდევ უფრო ზრდის საკითხის აქტუალობას. რელიგიური ფაქტორის გამოყენების მნიშვნელობას სერიოზულად აცნობიერებენ ტერორისტული ორგანიზაციებიც (ჩიქოვანი, 2006, გვ. 71-83, ასევე, ჩქოფია, 2017, გვ. 161-174).

სწორედ, რომ რელიგიური საკითხების მანიპულირებით ხდებოდა საქართველოს თანამოქალაქეების რეკრუტირება და კონფლიქტურ რეგიონებში მათი გადინება. სხვადასხვა წყაროს ინფორმაციით საქართველოდან დაახლოებით 100-მდე ახალგაზრდა მონაწილეობდა ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე საომარ კონფლიქტში (Bureau of Counterterrorism, Country Reports onTerrorism 2014). მათგან გარკვეული ნაწილი აჭარასა და აჭარიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსახლებულ მუსლიმანური აღსარებლობის მოსახლეობაზე მოდიოდა (სსუს-ის 2015, გვ. 11-14, ასევე 2016, გვ. 12-15; ასევე 2017, გვ. 12-15 წლის ანგარიშები) აღნიშნულიდან გამომდინარე კვლევა აჭარაში რადიკალური ისლამის გავრცელების შესაძლო გარემოებების შესწავლასა და ანალიზსაც ისახავს მიზნად, რაც საშუალებას მოგვცემს შევიმუშავოთ პრევენციული ხასიათის შესაბამისი რეკომენდაციები.

კვლევის ამოცანები პირდაპირ კავშირშია მსოფლიოში მიმდინარე რელიგიურ და პოლიტიკურ მოვლენებთან. ამ ფონზე განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ახლო

აღმოსავლეთში მიმდინარე სამხედრო გეოპოლიტიკური სიტუაცია და მოსახლეობის მიგრაციის მზარდი ტენდენცია ძირითადად ევროპის ქვეყნებში. გამორიცხული არაა მათი შემოდინება კავკასიის ქვეყნებში, მათ შორის საქართველოშიც. სირიელი, ერაყელი და ლიბიელი და სხვა ქვეყნების მიგრანტების მნიშვნელოვანმა რაოდენობამ თავი მოიყარა ევროპის ისეთ განვითარებულ ქვეყნებში, როგორებიცაა საფრანგეთი, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, ჰოლანდია, იტალია და სხვა (UNHCR, 2017). მუსლიმ მიგრანტებს ევროპის ქვეყენბში დახვდნენ ამავე ქვეყნების მუსლიმური აღმსარებლობის სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფის წარმომადგენლები მაგალითად, საფრანგეთში - ალჟირელი მუსლიმები (მუსლიმ მოსახლეობის საერთო წილი 10 %-ია), გერმანიაში - თურქი მუსლიმები, რომელთა რაოდენობა ხუთ მილიონ ადამიანს სჭარბობს. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ მათი ინტეგრაციის ხარისხი ევროპულ საზოგადოებასთან არ არის მაღალი (ონლაინ წყარო - trt.net, 2016). ისინი ინარჩუნებენ ტრადიციული-ყოფითი კულტურის ისლამურ წესებს, რაც განაპირობებს მნიშვნელოვან დისტანცირებას დომინანტ ეთნოსთან. დაინტერესებულ მხარეთა ჩარევითა და შინაგანი კონფლიქტის არსებობით სასურველი პირობების შექმნის შემთხვევაში სერიოზული კონფლიქტური გარემო იქმნება, რაც სახელმწიფოებრიობისათვის მნიშვნელოვნად საფრთხის შემცველია (Schofield, 2021; ასევე Fitzpatrick, 2021).

ბოლო პერიოდში საქართველოში განვითარებული მოვლენების ანალიზი კიდევ უფრო ზრდის ზემოთდასახელებული საკითხების შესწავლის მნიშვნელობას და განსაზღვრავს პრობლემის აქტუალობას. დღემდე არ არის ზუსტი პასუხი გაცემული 2017 წლის 11-12 მარტს ბათუმში განვითარებული მოვლენების გამომწვევ მიზეზებზე, რომელმაც ვანდალიზმის სახე მიიღო. გასარკვევია, ვის მიერ იყო ორგანიზებული და მართული აქცია, რა მიზნებს ემსახურებოდა იგი, რა კატეგორიის ხალხი მონაწილეობდა აღნიშნულ აქციაში. ხომ არ იყო იგი გარკვეულ ჯგუფის მიერ ერთგვარი ძალების მოსინჯვის მცდელობა; რამ განაპირობა ბოლო ათწლეულში რელიგიური საკითხების აქტუალიზაცია და რა რისკებს შეიცავს იგი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების თვალსაზრისით.

გარკვეულმა ძალებმა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ ბათუმის 2017 წლის 11-12 მარტის მოვლენების მართვაში, ჩემი დაკვირვებით სცადეს აღნიშნული პროცესების რელიგიურ ელფერში წარმოჩენა. ადგილი ჰქონოდა ვანდალურ ქმედებებს (მანქანების დაწვა, საზოგადოებრივი ქონების განადგურება, სამართალდამცავი სტრუქტურებისადმი წინააღმდეგობა...), რასაც თან ახლდა საქართველოს შ.ს.ს აჭარის პოლიციის დეპარტამენტის მთავარ სამმართველოში შეჭრის მცდელობა. მიუხედავად ამისა აქცია არ იყო რელიგიური შინაარსის მატარებელი და არც რელიგიური ექსტრემიზმის გამოვლინებად შეიძლება ჩაითვალოს.

რელიგიური ექსტრემიზმის ერთ-ერთი დამახასიათებელი თავისებურებაა არსებული პოლიტიკური სისტემის მშვიდობიანი მეთოდებით შეცვლისადმი სკეპტიციზმი და უნდობლობა (Dalgaard-Nielsen, 2013, გვ. 99-115). ამიტომაც ისინი აგრესიულ ქმედებას გამართლებულად მიიჩნევენ. საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით სავარაუდოა საქართველოს მოქალაქეების მცირე ნაწილი დაექვემდებაროს გარკვეულ ჯგუფთა მხრდიან ზემოქმედების შესაძლებლობას, რამაც შემდგომში შესაძლოა გამოიწვიოს დაპირისპირება სხვადასხვა აღმსარებლობის რელიგიურ ჯგუფებს შორის. აღნიშნული დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა გარკვეულ სახელმწიფოების მიზანმიმართული დესტრუქციული საქმიანობა და შორსმიმავალი გეოპოლიტიკური გეგმები. ეს ფაქტორი ერთი-ორად ზრდის საკვლევი თემის აქტუალობას.

რელიგიური მრწამსის განსხვავებულობა და დაინტერესებული მხარეების ზეგავლენა სახელმწიფოში აჩენს მნიშვნელოვნად მოწყვლად ადგილებს, რომელებიც ხელს უწყობენ მართვადი კონფლიქტური კერების შექმნასა და სადაზვერვო პოზიციების გამყარებას. ისტორიული გამოცდილების გათვალისწინებით სხვადასხვა სახელმწიფოთა თუ ორგანიზაციათა სადაზვერვო ორგანოები რიგ შემთხვევაში პირდაპირ არიან ჩართულნი სამიზნე ობიექტისა და ჯგუფის დამუშავებისა და მართვის საქმეში. ასეთ ვითარებაში ისინი კორუფციის ექსპორტით, კრიმინოგენული სიტუაციის მიზანმიმართული გაუარესებით, რელიგიური ექსტრემიზმისა და სეპარატისტული საქმიანობის გაღვივებით, მოსახლეობაში სასურველი განწყობის სტიმულირებით და სხვა მეთოდების

გამოყენებით აქტიურად ცდილობენ თავიანთი სახელმწიფოების სტრატეგიული ინტერესების გატარებას (კუხალაშვილი, 2006, გვ. 75-93), რისთვისაც სასურველ ფონს ქმნის საქართველოსნაირ ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური, რელიგიური, სოციალური მდგომარეობა. ამ მიზანს შეიძლება დაუქვემდებარონ ცალკეული რელიგიების ფუნდამენტური პრინციპებიც (ერთიანი სახელმწიფოს შექმნის იდეა და ა.შ.).

აჭარაში ისლამური პოზიციების გაძლიერების მიზნით კულტურულ, ჰუმანიტარულ და ეკონომიკურ კავშირებს ამოფარებული ცალკეული ორგანიზაციები აქტიური მოქმედებებით მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნიან ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებასა და სუვერენიტეტს. იგი ქვეყნის უსაფრთხოებისათვის სერიოზული გამოწვევაა.

ამ ფონზე თანამედროვე მსოფლიოში მნიშვნელოვანი როლს ანიჭებენ ლეგალურ და არალეგალურ საგანმანათლებლი ქსელებს, რომლებიც უშუალოდ ჩართულნი არიან ახალგაზრდების იდეოლოგიური დამუშავებისა და მათი შემდგომი მართვის საქმეში. ევროპაში მსგავსი ქსელების არსებობა ხელს უწყობს ე.წ. ,,Home grown terrorist (როდესაც შენი მოქალაქე მიმართავს ტერორიზმს)" სინდრომის გაჩენას (Weinberg, Eubank 2010, გვ. 594-602), რის შედეგადაც ახალგაზრდები რეკრუტირდებიან მცირე ჯგუფებში, რელიგიურ კლუბებში, არაფორმალურ შეხვედრებსა და სწავლებებში. ცხადია, იგი წლების განმავლობაში ხორციელდება, რათა მიღწეული იქნას სათანადო განწყობა. მსგავსი სასწავლებლების არსებობა საქართველოში, შესაბამისად აჭარაშიც არ არის გამორიცხული.

განსხვავება ისაა, რომ თუ ევროპაში ,,Home grown terrorist"-ია (როდესაც შენი მოქალაქე მიმართავს ტერორიზმს)" გავრცელებული, საქართველოში შესაძლოა სულ სხვა გამოხატულება ჰქონდეს, თუმცა ორივე შემთხვევაში მას რელიგიურ ექსტრემიზმამდე მივყავართ.

მსგავსი ორგანიზაციებისა და დაწესებულებების საქმიანობა პირდაპირ თუ ირიბად დაკავშირებულია სპეციალურ სამსახურებთან. წარსული და მიმდინარე პროცესების ერთიანი ანალიზი საშუალებას მოგვცემს მოვახდინოთ მოსალოდნელი საფრთხის პროგნოზირება და შევიმუშაოთ შესაბამისი რეკომენდაციები. რელიგიური

ექსტრემიზმისა და მისი სადაზვერვო მიზნებისათვის გამოყენების შესაძლებლობების გააქტიურება კიდევ უფრო ზრდის საკვლევი თემის მნიშვნელობას და თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას.

საბჭოთა სისტემის რღვევის შედეგად წარმოშობილმა პოლიტიკურმა სუბიექტებმა ახალი გეოპოლიტიკური სივრცე და სრულიად განსხვავებული უსაფრთხოების არქიტექტურა შექმნა. ამ რეალობას გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას მატებდა საბჭოთა კავშირის, როგორ სამართლებრივი სუბიექტის გაქრობა მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან და ახალი პოლიტიკური სუბიექტების გაჩენა. **დასრულდა ცივი ომი, მაგრამ გაჩნდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ახალი ეკონომიკური ინტერესები.** საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრე რუსეთის ფედერაციის წინაშე დღის წესრიგში დადგა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების საკუთარ პოლიტიკურ ორბიტაზე დარჩენის საკითხი. პოლიტიკური ბერკეტების ხელში ჩაგდების მცდელობამ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში და მათ შორის საქართველოშიც განაპირობა რუსეთის მხრიდან კონფლიქტების ინსპირირება. ამას დაემატა საბჭოური იდეოლოგიის მარცხით განპირობებული **იდეოლოგიური ვაკუუმი.** სწორედ ამას უნდა უკავშირდებოდეს **პოლიტიკური ისლამის (რომელიც მანამდეც არსებობდა) გავრცელების მზარდი ტენდენცია.** იგი თავდაპირველად გამოხატული იყო ყოფილ პოსტაბჭოთა რესპუბლიკებში, მათ შორის ისლამური აღმსარებლობის მოსახლეობით დასახლებულ საქართველოშიც საგანგებო დავალებებით აღჭურვილი ემისრების სისტემატურ მივლინებებში (ლომაძე, გაზ. ,,კვირის პალიტრა, 2015, ასევე სანიკიძე, 1999, გვ. 48, ასევე კეკელიძე, 2007, გვ. 47) რომელთა შორსგამიზნული ამოცანები ჯერ კიდევ არაა გააზრებული საქართველოს პოლიტიკური ელიტისა თუ სამოქალაქო საზოგადოების მიერ. **ამ საკითხების შესწავლა-წარმოჩენა აღნიშნულ კვლევას მატებს მეტ აქტუალობას,** მით უფრო, რომ ცალკეულ სახელმწიფოთა მხრიდან ოფიციალურ თუ არაოფიციალურ დონეზე გამოიხატა სიმპათია საკუთარ თუ სხვა ქვეყნებში პოლიტიკური ისლამის ავრცელების და მოძლიერების ხელშესაწყობად.

ამ ფონზე მნიშვნელოვან ყურადღებას იმსახურებს სამხრეთ კავკასია, საკუთრივ საქართველო. აფხაზეთის, ცხინვალის, ჩეჩნეთისა და ყარაბაღისა კონფლიქტებმა სამხრეთ

კავკასია ისლამური სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში მოაქცია. სწორედ ამ პერიოდს უკავშირდება რეგიონში ისლამური ქვეყნებიდან/ორგანიზაციებიდან სპეციალური ემისრებისა და სპეცსამსახურების თანამშრომლების სისტემატური მოვლინება, ყარაბაღის კონფლიქტში ტერორისტულ ორგანიზაციად წოდებული რუხი მგლების მონაწილეობა, ჩეჩნეთის კონფლიქტში ალ-კაიდასა (გენერალი ხატაბი) და სხვა ქვეყნების წარმომადგენელების აქტიური მონაწილეობა. ამ მოვლენებმა საქართველოს წინაშე დღის წესრიგში დააყენა გაყინული კონფლიქტის რეგიონებიდან მომდინარე *ტერორისტული საფრთხეების პრევენციის აუცილებლობის საკითხი. მთელი სიმწვავით გამოიკვეთა ფუნდამენტალური ისლამის გავრცელების საფრთხე და მასთან დაკავშირებული ტერორისტული გამოწვევები* (ალექსიძე, 2005:283). *მათი სრულყოფილი შესწავლა, გააზრება და ანალიზი კვლავაც პრობლემად რჩება საქართველოს სამეცნიერო საზოგადოებასა და პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში, რაც ჩვენს კვლევებს კიდევ უფრო მეტ აქტუალობას ანიჭებს.*

დასახელებულ ფაქტორებს ემატება სამხრეთ კავკასიისა და საქართველოს გეოპოლიტიკური, *სატრანზიტო მნიშვნელობის ზრდის* ტენდენცია. ძლიერდება საქართველოს *ევრეოატლანტიკური ორიენტაცია, რაც წინააღმდეგობაში მოდის რუსეთისა და რეგიონის ცალკეული სახელმწიფოების ინტერესებთან* და უფრო აძლიერებს ცალკეული ისლამური ქვეყნისა და ორგანიზაციების საქართველოთი დაინტერესებას. შეცვლილი პოლიტიკური რეალობისა და უსაფრთხოების ახალი არქიტექტურის შექმნამ (2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი, რუსეთის ფედერაციის მიერ 2014 წელს ყირიმის ანექსია, აღმოსავლეთ უკრაინაში მიმდინარე სამხედრო დაპირისპირება, თურქეთში ჩაშლილი სამხედრო გადატრიალების მცდელობა, სირიის კონფლიქტი და ახლო აღმოსავლეთში ისლამური სახელმწიფოს შექმნა, Foreign Fighters (უცხოელი მებრძოლი) ახალი ტალღის გაჩენა, ყარაბაღის მეორე ომი და ა. შ.), გეოპოლიტიკურ პროცესებსა და თუ საერთაშორისო სამშვიდობო ოპერაციებში ქვეყნის აქტიურმა მონაწილეობამ საქართველო კიდევ უფრო დაახლოვა დასავლურ სამყაროსთან. *საქართველოს უსაფრთხოების კონტექსტში ზემოთ დასახელებული საკითხების*

შესწავლა თანამედროვე მეცნიერებაში კვლავაც მნიშვნელოვან პრობლემად ისახება, რაც დასახელებულ კვლევას მატებს კიდევ უფრო მეტ აქტუალობას.

საკითხი აქტუალურია როგორც მსოფლიო საზოგადოებისათვის, ისე საქართველოსათვის. მსოფლიოში მიმდინარე გლობალური და გეოპოლიტიკური მოვლენები, არაბული გაზაფხული, ახლო აღმოსავლეთში აღმოცენებული საომარი კონფლიქტები, საყოველთაო ტრანსნაციონალური ჯიჰადის გამოვლინებები, საქართველოზე გამავალი საერთაშორისო სატრანსპოტო, გაზსადენი და ნავთობსადენი მაგისტრალები კიდევ უფრო აქტუალურს ხდის უსაფრთხოების უზრუნველყოფის პრობლემებს. შესაბამისად აქტუალურია ამ საკითხებთან დაკავშირებული გამოკვლევებიც. საქართველოს სატრანზიტო და ენერგოდამაკავშირებელი სახელმწიფოდ ქცევის სტრატეგიული მიზანი საშუალებს იძლევა რუსეთის ფედერაციის გვერდის ავლით, ევროპისათვის შეიქმნას ალტერნატიული ენერგო-უზრუნველყოფის მნიშვნელოვანი წყარო. შესაბამისად, საქართველოს მიერ გაცხადებული ევროატლანტიკური კურსის შეჩერებისა და რუსეთის მიერ ენერგეტიკული რესურსების პოლიტიკურ ბერკეტად შენარჩუნების მიზნით ქვეყანაში გაზრდილია რელიგიური საფუძვლით წარმოებული ტერორიზმის განხორციელების ალბათობა.

საკითხის კვლევას აქტუალობას სძენს ასევე მსოფლიოში მზარდი ფუნდამენტალური იდეოლოგიების მოძლიერების ტენდენციაც. საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ პოლიტიკურმა ისლამმა უპირველესად ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, შემდგომში კი ევროპაში (სადაც მილიონობით მუსლიმია) დაიწყო გავრცელება. რელიგიური ნორმების ინტერპრეტირებისა და სოციალურ-მატერიალურ საშუალებათა შეთავაზების გზით ხდება მუსლიმი (და არა მხოლოდ მუსლიმი) და ფინანსურად გაჭირვებული ახალგაზრდების მოძიება და სწავლების პროცესის ხელშეწყობა. რელიგიური ნორმების ინტერპრეტირებით, მიკერძოებული სისტემატური სწავლებით ახალგაზრდებში ხდება სათანადო განწყობის მიღწევა და არც თუ იშვიათად ტერორისტულ საქმიანობაში ჩართვა. ამან მნიშვნელოვანი ასახვა ჰპოვა სირიის კონფლიქტში. ევროპიდან, აფრიკიდან, პოსსაბჭოთა რესპუბლიკებიდან, მათ შორის საქართველოდანაც ასამდე ახალგაზრდა გაეგზავრა სირიაში მიმდინარე საომარ

კონფლიტში. *ფუნდამენტალური ისლამის მოძლიერება საქართველოში შესაძლოა იქცეს ევროპაში საერთაშორისო და ისლამური ტერორიზმის განხორციელების დამაკავშირებელ მნიშვნელოვან რგოლად.* ამავე დროს იგი შესაძლოა დასავლურ სამყაროში, ქრისტიანულ სივრცეში დაუშვებელი პრეცენდენტის წარმოშობის წინაპირობადაც იქცეს.

სწორედ ამიტომაა აუცილებელი აღნიშნული პრობლემებისა და პროცესების შესწავლა, მათი მეცნიერული ანალიზი, შესაბამისი სტრუქტურებისათვის რეკომენდაციების შემუშავება, რაც ასევე დასახელებული კვლევის აქტუალობაზე მეტყველებს.

კვლევის აქტუალობას განსაზღვრავს აგრეთვე ისიც, რომ მასში გაანალიზებულია საქართველოში არსებული კონცეპტუალური ჩარჩო ტერორიზმის საკითხებთან დაკავშირებით, ყურადღება გამახვილებულია მის თავსებადობაზე არსებულ გამოწვევებთან, საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებთან და უფლებებთან.

საკვლევი თემის მიზანი და ამოცანები

კვლევის მიზანია შევისწავლოთ აჭარის მოსახლეობაში არსებული რელიგიური განწყობები, ქრისტიანული და მუსლიმური აღმსარებლობის მოქალაქეებში ჩამოყალიბებული შეხედულებები და დამოკიდებულებები საქართველოში არსებული პოლიტიკურ-სამართლებრივი ცხოვრების კონტექსტში, რის საფუძველზე განვსაზღვრავთ საქართველოს სავარაუდო ადგილს გლობალური უსაფრთხოების გამოვლინების ინდექსის ჭრილში და დავადგენთ მოსახლეობის განწყობების როლს ეროვნული უსაფრთხოების გარემოს ხელოვნური დამძიმების შემთხვევაში.

კვლევის მიზნის განხორციელებისათვის გამოვყავით შემდეგი ამოცანები:

1. სამეცნიერო ლიტერატურის, საარქივო დოკუმენტური მასალების, საქართველოს და უსაფრთხოების საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების გაანალიზების საფუძველზე მოვახდინეთ ზოგადად რადიკალიზმის, მათ შორის რელიგიური ნიადაგზე განხორციელებული ფუნდამენტალიზმისკენ მიმართული რადიკალური ქმედებების რეალური მიზნების, მოტივების,რადიკალური ქმედებების ჩამტარებელი სუბიექტების, ტერორისტული აქტების განხორციელების ხელშემწყობი ფაქტორების და წამახალისებელი გარემოებების ანალიზი.
2. აჭარაში ისლამის გავრცელების ისტორიის წარმოჩენა, ოსმალთა, ასევე საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და კომუნისტური მმართველობის პერიოდებში განვითარებული რელიგიური და პოლიტიკური პროცესების ანალიზი, რაც საშუალებას მოგვცემს შევადაროთ და სათანადოდ შევაფასოთ პოსტსაბჭოთა პერიოდში მიმდინარე პროცესები.
3. მიზნიდან გამომდინარე ასევე მნიშნელოვან ამოცანას წარმოადგენდა პოლიტიკისა და რელიგიის ურთიერთმიმართების საკითხების შესწავლა: აჭარის რეგიონში ისლამისა თუ ქრისტიანობის პოლიტიზირების მცდელობების და ფაქტების და დაინტერესებული სუბიექტების მიზნების და მოტივების დადგენა.
4. რელიგიური ფუნდამენტალიზმის ქართულ რეალობასთან შესაბამისობა-შეუსაბამობა თუ რელიგიური ფუნდამენტალიზმის საფრთხის რელევანტურობა, სოციალურ-ეკონომიკური და ყოფითი ელემენტების როლი მოსახლეობის რადიკალიზაციის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) პროცესში.
5. რეალობის გათვალისწინებით გვერდს ვერ ავუვლიდით სირიასა და ერაყში არსებულ სამხედრო დაპირისპირებებში საქართველოს მოქალაქეების , მათ შორის ქართველი მუსლიმების მონაწილეობის ფაქტებს, ამდენად ჩვენი ერთერთი მნიშვნელოვანი ამოცანა იყო შეგვესწავლა და გაგვეანალიზებინა აღნიშნულ

კონფლიქტებში მათი მონაწილეობის მიზეზები და ეროვნული უსაფრთხოების საკიხებზე მათი შესაძლო გავლენის ხარისხი.

6. საქართველოს სახელმწიფოს სტრატეგიული და კონცეპტუალური დოკუმენტების, ტერორიზმთან და ეროვნულ უსაფრთხოებასთან დაკავშირებული საერთაშორისო ანგარიშების ანალიზის საფუძველზე დადგა კვლევის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა: გამოგვევლინა საქართველოს კონტრტერორისტული პოლიტიკის და ანტიტერორისტული კანონმდებლობის ზოგიერთი ხარვეზი.

კვლევის ძირითადი კითხვები:

კვლევის მიზნიდან გამომდინარე თემის საკვლევი კითხვები შეიძლება ჩამოყალიბდება შემდეგნაირად:

რა ფაქტორები განაპირობს საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ რეგიონში - აჭარაში რადიკალური და პოლიტიკური ისლამის იდეოლოგიის ექსპორტს?

რა შესაძლო ნაბიჯები უნდა იქნას გადადგმული რადიკალური რელიგიური იდეოლოგიის ექსპორტის შესაჩერებლად?

ხელოვნურად ხომ არ ხორციელდება რელიგიური საკითხების გააქტიურება და ხომ არ შედის იგი გარე თუ შიდა ძალების სტრატეგიულ, პოლიტიკურ ინტერესებში?!

რამდენად ადეკვატურად პასუხობს არსებულ გამოწვევებს საქართველოს კონტრტერორისტული პოლიტიკა; რა სავარაუდო გამოწვევების წინაშე შეიძლება დადგეს საქართველო?

კვლევის მეთოდები

ნაშრომის თეორიულ-მეთოდოლოგიურ საფუძველს წარმოადგენს თანამედროვე მეცნიერების მიერ შემუშავებულ პრინციპთა და მეთოდთა კომპლექსური გამოყენება. სადოქტორო ნაშრომით გათვალისწინებული მიზნების შესრულებისათვის კვლევის ძირითად მეთოდებად გამოვიყენეთ:

დაკვირვება:

საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური პროცესებისადმი, ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევებისადმი საქართველოს ქრისტიანი და მუსლიმი მოქალაქეების დამოკიდებულების შესასწავლად გამოვიყენეთ დაკვირვების მეთოდი. დასახელებული მეთოდის ფარგლებში ვაწარმოებდით დაკვირვებებს აჭარასა და აჭარიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში (ლაითური, ნარუჯა, ჩხაკაურა, ნასაკირალი, ზოტი (ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტები), მოხე, ჭელა - ადიგენის მუნიციპალიტეტი) მცხოვრებ მუსლიმურ და ქრისტიანულ რელიგიურ თემებზე, რელიგიურ დაწესებულებებსა და იქ შეკრებილ მორწმუნეებზე. ფოკუსჯგუფებს შორის იყვნენ უცხოეთის მოქალაქეები, სავარაუდოდ საგანგებო დავალებით მოვლენილი ემისრებიც. ამ მეთოდის გამოყენებამ გააადვილა მოსახლეობის გარკვეული ნაწილის რადიკალიზაციის გამომწვევი ფაქტორების დადგენა. დაკვირვებას ვაწარმოებდით აგრეთვე საქართველოში და ზოგადად, კავკასიის რეგიონში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებზე და ყურადღება გავამახვილეთ მათი ზეგავლენის შესაძლებლობაზე რეგიონში განვითარებულ პროცესებთან დაკავშირებით.

ინტერვიუ:

კვლევის მიზანშეწონილობიდან გამომდინარე ჩემს მიერ ჩატარდა თექვსმეტი ექსპერტული და სიღრმისეული ინტერვიუ. ინტერვიუების მნიშვნელოვანი ნაწილი კონფიდენციალობის დაცვით იქნა ჩატარებული.

ინტერვიუერებად შერჩეული იქნენ საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც საქმიანობენ ან საქმიანობდნენ აკადემიურ, რელიგიურ და სახელმწიფო სტრუქტურებში. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე, მათ პირდაპირი ან/და ირიბი შემხებლობა გააჩნიათ/გააჩნდათ აჭარის რეგიონთან. დასახელებული მეთოდის გამოყენებამ საშუალება მოგვცა დაგვედგინა სამოქალაქო, აკადემიურ და სახელმწიფო სექტორში დასაქმებული პირების შეხედულებები და პოზიციები რეგიონში განვითარებულ პროცესებთან დაკავშირებით. მათ მიერ გამოთქმული შეფასებები და ვარაუდები ნაშრომის შესაბამის თავებში იქნა სათანადოდ ასახული.

მოსახლეობის გამოკითხვა/ანკეტირება:

სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკურ-სამართლებრივი პროცესების სათანადო ანალიზის მიზნით გამოყენებული იქნა მასობრივი და ანკეტური გამოკითხვის მეთოდები. მასობრივი გამოკითხვის ფარგლებში ელექტრონული კითხვარის მეშვეობით, ზოგადი შერჩევის პრინციპით გამოკითხული იქნა სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებში დასაქმებული 19 - 65 წწ. ასაკობრივი ჯგუფის 500 მოქალაქე. კვლევის მიზნობრივ ჯგუფებს წარმოადგენდა ზოგადად საქართველოს მოქალაქეები. გამოკითხვის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში არსებული კონტრტერორისტული პოლიტიკის ეფექტურობის შეფასება, კონტრტერორისტული პოლიტიკის ნაკლოვანებებისა და მუსლიმი ახალგაზრდების ტერორისტულ საქმიანობაში შესაძლო ჩართვის მიზეზების შესწავლა. ამ მეთოდის გამოყენებამ გაადვილა რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის ხელშემწყობი ფაქტორების დადგენა.

ანკეტირების მეთოდის გამოყენებით გამოკითხული იქნა საქართველოს 107 მოქალაქე, აქედან 5 რესპოდენტის პასუხი კვლევაში არ იქნა გაზიარებული, კითხვარებზე მათი არასრულყოფილად პასუხის გაცემის გამო. მიზნობრივ ჯგუფად შერჩეული იქნა საქართველოს ის მოქალაქეები, რომლებსაც უმაღლესი, სასკოლო ან/და რელიგიური განათლება მიღებული აქვთ ისლამურ აღმსარებლობის ქვეყნებსა თუ ორგანიზაციებში, ან/და საქართველოში არსებულ რელიგიურ დაწესებულებებში. ამ მეთოდის გამოყენებით შევეცადეთ დაგვედგინდა იმ ქართველი მუსლიმების პოლიტიკური და რელიგიური განწყობანი, ვისაც შემხებლობა ჰქონდა საქართველოსა და ისლამურ ქვეყნებში არსებულ რელიგიურ თუ საერო უმაღლეს დაწესებულებებთან. ზემოაღნიშნული მეთოდის გამოყენება მნიშვნელოვნად დაგვეხმარა დაგვედგინა ქართველი მუსლიმების ისლამურ ქვეყნებსა თუ რელიგიურ დაწესებულებებში გადინების მიზეზები, მათი როლი და შეხედულებები, აგრეთვე ინტეგრაციის ხარისხი რეგიონში მოსახლეობასთან. ამ მეთოდის გამოყენებით დადგინდა რელიგიური თანასწორობისა თუ დისკიმინაციის საკითხებთან დაკავშირებული პრობლემები.

შემთხვევის ანალიზი:

2017 წლის 11-12 მარტს ბათუმსა და 2012-2020 წწ. პანკისის ხეობაში განვითარებული პროცესების შესწავლისა და შეფასების მიზნით გამოვიყენეთ შემთხვევის ანალიზი.

აღნიშნული მეთოდის გამოყენების მიზანშეწონილობა განაპირობა ბათუმში მომხდარი შემთხვევის პრეცედენტულმა და შემდგომში მისი განვითარების ქრონოლოგიურმა ხასიათმა, რამაც მოითხოვა ზემოაღნიშნული პროცესისათვის სათანადო ანალიზის გაკეთების აუცილებლობა. შემთხვევის ანალიზის მეთოდის გამოყენება პანკისის ხეობაში არსებული სიტუაციისა და საკითხისადმი საზოგადოების გაზრდილი ინტერესებითაც იყო განპირობებული. ამ მეთოდის გამოყენებამ შესაძლებლობა მოგვცა დაგვედგინა საქართველოს უსაფრთხოების წინაშე მდგარი რელიგიური და ტერორისტული გამოწვევები, აჭარასა თუ პანკისის ხეობასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორები. აღნიშნული მეთოდის გამოყენებით დადგინდა რელიგიური თემის აქტუალიზაციის გარემოებანი.

კონტენტ ანალიზი.

კონცეპტუალური დოკუმენტებისა, სახელმწიფო უწყებებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების ანგარიშების, სამართლებრივი წყაროებისა და ინტერენტში განთავსებული ინფორმაციების შესწავლისათვის გამოვიყენეთ *კონტენტ-ანალიზის კვლევის მეთოდი.* იგი დაგვეხმარა კრიტიკულად შეგვეფასებინა საქართველოს სტრატეგიული და საკონონმდებლო დოკუმენტები და ანგარიშები (ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია, ეროვნული სამხედრო სტრატეგია, ტერორიზმთან ბრძოლის წინააღდმეგ საქართველოს ეროვნული სტრატეგია, საქართველოს კანონი „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N542, საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების შეფასების 2007-2009 და 2010-2013 წწ. დოკუმენტები, საქართველოს შსს საინფორმაციო

ანალიტიკური დეპარტამენტის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების 2011, 2013-2015 წლების სტატისტიკა, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2015-2019 წლების ანგარიშები, საერთაშორისო მშვიდობისა და ეკონომიკის ინსტიტუტის 2011-2018 წლების გლობალური ტერორიზმის 2011-2018 წლების ინდექსისა და ამავე ინსტიტუტის გლობალური მშვიდობის ინდექსის 2013-2014 წლების ანგარიშები, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის 2007-2011 წლების ანგარიშები ტერორიზმის შესახებ, ფინეთის 2018-2021 წლების კონტრ-ტერორიზმის სახელმწიფო სტრატეგია და სხვა). კვლევის აღნიშნული მეთოდის გამოყენებით შევეცადეთ გამოგვევლინა სახელწმიფოს ოფიციალურ დოკუმენტებსა და საკანონმდებლო აქტებში არსებული ხარვეზები და გამოწვევები, ასევე მიღწევები ტერორიზმთან და რადიკალიზაციასთან ბრძოლის თვალსაზრისით.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე

ნაშრომის მეცნიერული სიახლეა საქართველოს წინაშე მდგარი რელიგიური და პოლიტიკური საკითხების ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტში განხილვა. სამეცნიერო საზოგადოებაში იგი წარმოადგენს პირველ კომპლექსურ კვლევას, რომლითაც წარმოჩნდება აჭარაში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეების პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, კულტურული, საგანმანათლებლო ასპექტები და მისი გავლენა ქვეყნის ეროვნულ უსაფრთხოებაზე. ნაშრომში გაანალიზებულია უცხო სახელმწიფოთა მიერ რელიგიის პოლიტიკური მიზნებით გამოყენების შესაძლებლობები და ცალკეული მაგალითები, ქვეყნის წინაშე მდგარი ტერორისტული გამოწვევები და მისი განმაპირობებელი მიზეზები. რელიგიური კონფლიქტის ინსპირირებისა და კონტრტერორისტულ პოლიტიკაში არსებული საკითხების შესწავლის შედეგად გაკეთებული დასკვნები საშუალებას მოგვცემს გაანალიზდეს აღნიშნული საკითხი და ქვეყნისათვის დამაზიანებელი პროცესების პრევენციისათვის შემუშავდეს სათანადო რეკომენდაციები.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა

სადისერტაციო ნაშრომში განხილულ საკითხებს აქვს თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა. ნაშრომის თეორიულ ღირებულებას განსაზღვრავს რელიგიის, ჯიჰადისტური ტერორიზმისა და კონტრ-ტერორიზმის საკითხებში მსოფლიოს წამყვანი სპეციალისტების მეცნიერული მიდგომების ანალიზი ქართულ რეალობასთან შედარება-შეპირისპირების კონტექსტში, კონცეპტუალური დოკუმენტების, სამართლებრივი ბაზისა და საქართველოში არსებული გარემოს ანალიზი, მოსახლეობაში არსებული განწყობების შესწავლა და კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციები. ნაშრომის თეორიულ მნიშვნელობაზე მეტყველებს ამ პრობლემატიკაზე ქართულ სამეცნიერო ველში არსებული გამოკვლევების სიმწირე და მკვლევარებს შორის ჯერ კიდევ არსებული არასაკმარისი მზაობა აღნიშნული საკითხებით დაინტერესებისათვის.

სადისერტაციო ნაშრომს აქვს პრაქტიკული ღირებულებაც. მასში განხილული მოვლენების ანალიზის საფუძველზე მიღებული დასკვნები და რეკომენდაციები იძლევა საქართველოში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირების, კონტრტერორისტულ საქმიანობასთან დაკავშირებით არსებული ხარვეზების გამოვლენის შესაძლებლობას.

ლიტერატურის მიმოხილვა

საკვლევ თემატიკას მიეძღვნა არაერთი სამეცნიერო სტატია, წიგნი თუ პუბლიცისტური წერილი, თუმცა ჩემს მიერ წარმოდგენილ კონტექსტში საკითხი არ შესწავლილა. წინამდებარე ნაშრომი ამ კუთხით პრობლემის შესწავლის ერთგვარი მცდელობაა. ამ მიზნით ჩვენს წინაშე იდგა არამარტო თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურის, არამედ საკვლევი რეგიონის შესახებ წინა საუკუნეებში შექმნილი მემკვიდრეობის, ცალკეული წყაროების, ასევე ცნობილი მოღვაწეების, მოგზაურებისა თუ მეცნიერების მიერ გამოქვეყნებული პუბლიკაციების შესწავლა. ამ თვალსაზრისით, საკვლევი თემის სპეციფიკიდან გამომდინარე მიზანშეწონილად მივიჩნიეთ კიდევ ერთხელ გავცნობოდით ისლამური რელიგიის წმინდა წიგნებს: ,,ყურანსა“ და ,,სუნას“.

,,ყურანი“ - მუჰამმადის მიერ წარმოთქმული ქადაგებანი წარმოგვიდგენს ისლამურ საზოგადოების ცხოვრების წესს. წმინდა წიგნი არეგულირებს საზოგადოებრივი

ურთიერთობებს, აწესებს ცხოვრების წესსა და დოგმებს, აწესრიგებს საზოგადოებრივი საწყისების მორალურ-სამართლებრივ ურთიერთობებს და სახელმწიფოებრივი მოწყობის პრინციპებს. ყურანი საინტერესოა იმითაც, რომ იგი აღიარებს სხვა კონფესიებს (იუდაიზმი და ქრისტიანობა), რაც მის ტოლერანტულ ბუნებაზე მიანიშნებს. იგი შეიცავს ფასეულ ინფორმაციას სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის მატარებელ ადამიანთა ურთიერთობის თავისებურებების შესახებ.

მეორე წმინდა ძეგლში **„სუნა“** წარმოდგენილია წინასწარმეტყველ მუჰამმედის გამონათქვამები, ქმედებები და შეგონებები, ანუ მუჰამმადის ცხოვრების გზა მას შემდეგ, რაც ის წისასწარმეტყველი გახდა. მუსლიმთათვის **„სუნა“ - „ყურანის“** შემდეგ ყველაზე მნიშვნელოვანი რელიგიურ-სამართლებრივი მნიშვნელობის ძეგლია (Bismillah, 2020) მასში მოცემულია მუსლიმანებიასთვის სავალდებულოდ შესასრულებელი და არასავალდებულო წესები და ნორმები (Bismillah, 2020). ორივე წყარო ფაქტობრივად წარმოადგენს ერთ მთლიანობას, მნიშვნელოვან ისტორიული, რელიგიურ, სამართლებრივ, პოლიტიკურ ძეგლს, რომლის შესწავლა დაგვეხმარება სამიზნე ჯგუფის რელიგიური და ყოფა-ცხოვრებითი თავისებურებების ანლიზში. სწორედ ამ მიზანდასახულობის გათვალისწინებით მოგვიხდა დასახელებული წყაროების გაცნობა.

ჩვენი ინტერესების სფეროში მოექცა აგრეთვე XIX საუკუნის ცნობილი მოღვაწეების, მოგზაურების თუ მეცნიერების მემკვიდრეობის შესწავლა. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია **თედო სახოკიას („მოგზაურობანი. გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი“, ბათუმი, 1985), გიორგი ყაზბეგის („სამი თვე თურქეთის საქართველოში“, ბათუმი, 1995), დიმიტრი ბაქრაძის („არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, ბათუმი, 1987) და სხვათა ნაშრომების შესწავლა.** დასახელებულ ნაშრომებში განხილულია აჭარის მოსახლეობის ტრადიციულ-ყოფითი კულტურის საკითხები, რელიგიური სპეციფიკა და ა.შ. ავტორთა სამართლიანი შენიშვნით, რელიგიური ტრანსფორმაციის მიუხედავად ადგილობრივმა მოსახლეობამ ტრადიციულ-ყოფით კულტურას დააკისრა ეთნიკური ფუქნცია, რაც ერთგვარად წარმოადგენდა ოსმალობის წინააღმდეგ ბრძოლის გზას და ემსახურებოდა ქართული ეროვნული თავისთავადობის შენარჩუნების

ინტერესებს. ეს შეხედულება აისახა თანამედროვე ქართულ სამეცნიერო პუბლიკაციებშიც (რობაქიძე, 1971, 1974; შამილაძე, მგელაძე, ლორია, 2009, გვ. 183-190).

მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა ცნობილი მკვლევრის მათის პელკმანის ნაშრომი ,,საზღვრების დაცვა, რელიგია, იდენტობა და თანამედროვეობა საქართველოს რესპუბლიკაში (2006). კვლევა საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ იგი ასახავს საბჭოთა პერიოდში შექმნილ განწყობებსა და პოლიტიკას აჭარაში. სარფში დადგენილი სსრ კავშირ - თურქეთის საზღვარი წარმოადგენდა ბარიერს, კაპიტალიზმისაგან, ისლამისა თუ სხვა მავნე იდეოლოგიებისაგან საბჭოთა მოქალაქეების ,,დასაცავად" თურქეთი კი მტრულ კაპიტალისტურ სახელმწიფოდ იყო აღქმული. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებსა და იდენტობასთან დაკავშირებლ საკითხებზე. ავტორის სამართლიანი შეფასებით, საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის საზღვრების დადგენის შემდეგ სხვადასხვა სახელმწიფოში აღმოჩნდნენ მეგობრები, ნათესავები და ოჯახის წევრებიც კი. საბჭოთა პერიოდში მათთან დაკავშირება ნემისმიერი ფორმით აკრძალული იყო. რეჟიმის დამსხვრევამ და საზღვრების გახსნამ ახალი ბიძგი მისცა მეგობრული, ნათესაური, სოციალურ-ეკონონომიკური და კულტურული ურთიერთობების დაწყებას, რითაც დაიმსხვრა საბჭოთა დროინდელი მითი კაპიტალისტური სამყაროს, ისლამური თურქეთისა და იქ მცხოვრები ადამიანების მტრებად მოხსენიების შესახებ.

კონფლიქტის, როგორც სოციალური მოვლენის, კონფლიქტებში ეთნიკური ღირებულებების როლის, პოლიეთნიკურ საზოგადოებაში რელიგიური რეორიენტაციის პრობლემებს საინტერესოდ განიხილავს ცნობილი სპეციალისტი ლიანა მელიქიშვილი. ავტორი ქვეყნის უსაფრთხოების პრობლემებს სხვა ასპექტებთან ერთად განიხილავს იდეოლოგიურ კონტექსტში და რელიგიის მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში (მელიქიშვილი, 2002, გვ. 147, ასევე მელიქიშვილი, 1998, გვ. 278-313).

რელიგიის, კონფლიქტების და ისლამის საკითხებს ეხება რელიგიათმცოდნე აბესალომ ასლანიძის მონოგრაფია ***,,ისლამი და თანამედროვეობა (2013).*** ავტორი განიხილავს ისლამის როლსა და მნიშვნელობას საზოგადოებრივ და პოლიტიკურ

ცხოვრებაში. ყურადღებას ამახვილებს თანამედროვე ეტაპზე ისლამის განვითარების სტადიებზე, ისლამურ სამყაროში მომხდარ გეოპოლიტიკურ პროცესებზე. ავტორი დეტალურად განიხილავს ისლამის და საქართველოს ურთიერთმიმართების საკითხებს.

მსოფლიოში მიმდინარე პროცესებში ისლამის როლზეა საუბარი ვახტანგ მაისაიას ნაშრომში ,,თანამედროვე ისლამის როლი მსოფლიო გეოპოლიტიკაში" (2002). ავტორი ყურადღებას ამახვილებს მსოფლიო პოლიტიკის ასპექტებსა და უსაფრთხოების განზომილებაზე რეგიონალური პროცესების მაგალითზე. განხილულია ისლამის გეოსტრატეგიული ასპექტები საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის პარალელურად, მნიშვნელოვანი ყურადღება გამახვილებულია ისლამური ფუნდამენტალიზმის საკითხებზე კავასიაში და მასთან დაკავშირებული მოვლენების დახასიათებაზე.

ჩვენი ყურადღება მიიქცია ***თეიმურაზ ფანჯიკიძის ნაშრომმა ,,მუჰამედი, ისლამი, ვაჰაბიზმი და საქართველოს პრობლემები"*** *(1999)* მონოგრაფიაში წარმოდგენილია ისლამის როლი და ადგილი ქართულ მუსლიმურ მოსახლეობაში. ავტორი მიმოიხილავს ისლამის გავრცელების გეოგრაფიულ არეალს საბჭოთა პერიოდში. მისი აზრით კომუნისტური ეპოქა არ აღმოჩნდა საკმარისი ისლამური ცნობიერების ტრანსფორმაციისათვის. ავტორი გამოხატავს შეშფოთებას ბოლო პერიოდში მუსლიმური იდეოლოგიის პროპაგანდის გააქტიურებისა და შესაბამისი ლიტერატურის გავრცელების ტენდენციის ზრდის გამო, რაც ქართული სახელმწიფოებრიობისათვის მნიშვნელოვან საფრთხეს წარმოადგენს. ავტორი საქართველოსა და მის ცალკეულ რეგიონებში ისლამის გავრცელების ტენდენციებზე აკეთებს აქცენტს და მას უსადაგებს უსაფრთხოების საკითხებსაც.

აღნიშნულ საკითხზე უფრო ფართოდ საუბრობს **ქეთევან ხუციშვილი. მისი ნაშრომი ,,რელიგიური სიტუაციის ცვლილება და უსაფრთხოების პრობლემა თანამედრივე საქართველოში"** (2004) ნათლად წარმოაჩენს საბჭოთა სისტემის დემონტაჟის შემდეგ რეგიონში მომრავლებული რელიგიური, ფინანსური და საქველმოქმედო ორგანიზაციების დიდი ნაწილის საქმიანობას ისლამის პროპაგანდისა და მხარდაჭერის საქმეში. ავტორის აზრით აღნიშნულ პროცესებს ხელს უწყობს უცხო სახელმწიფოთა

მიზანმიმართული დახმარება, რასაც თან ახლავს საქართველოში გაბატონებული ძირითადი რელიგიის შესუსტების ტენდენცია. ქ. ხუციშვილი თვლის, რომ მტრულ ორგანიზაციათა მხარდაჭერით რეგიონში არსებული რელიგიური განსხვავებულობა შესაძლოა კონფლიქტური კერის წარმოქმნის წინაპირობად იქცეს. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფოს მიერ განსახორციელებელი პრევენციული ხასიათის მოქმედებების გატარების აუცილებლობაზე.

რელიგიური ფაქტორის სადაზვერვო მიზნების გამოყენების საკითხებს ეძღვნება **დ. კუხალაშვილის ნაშრომი „უცხო ქვეყნების მტრული საქმიანობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმდეგ“** (2002) **და „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უშიშროების სამსახურის შექმნა-ჩამოყალიბების ისტორიიდან“** (2006). იგი მიმოიხილავს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში უცხო სახელმწიფოთა (საბჭოთა რუსეთის, გერმანიის, დიდი ბრიტანეთის, თურქეთის, აზერბაიჯანის, სომხეთის) სადაზვერვო სამსახურების ინტერესებსა და საქართველოში განსახლებული ეთნიკურ თემებისა და რელიგიური შეხედულების მქონე მოსახლეობის როლს ზემოთდასახელებული ინტერესების განხორციელებაში. ავტორის განმარტებით, მტრულად დაინტერესებული სადაზვერვო სამსახურები სადაზვერვო პოზიციების განმტკიცების მიზნით უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ იმ პერიოდში აჭარაში განხორციელებულ რელიგიურ დაპირისპირებებს. მათი მეშვეობით ხდებოდა სახელმწიფოსათვის დამაზიანებელი ხასიათის სხვადასხვა აქციისა და ღონისძიების გამართვა. ავტორი სამაგალითოდ ასახელებს თურქეთის მიერ აჭარაში ჩატარებულ ე.წ. რეფერენდუმს, რომელშიც მონაწილე მოსახლეობა დაყოფილი იყო რელიგიური ნიშნის მიხედვით. საქართველოს ერთიანობისა თუ პროთურქული ორიენტაციის მოსახლეობას ურიგებდნენ განსხვავებული ფერის ბიულეტენებს, რაც იძლეოდა წმინდა სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციას მოსახლეობაში გავრცელებული საზოგადებრივი აზრისა და რელიგიური კუთვნილების შესახებ. ავტორის სამართლიანი შენიშვნით, იმ პერიოდში მორწმუნე ადამიანების (როგორც ქრისტიანი, აგრეთვე მუსულმანი) გარკვეული ნაწილი აქტიურად ექვემდებარებოდა სადაზვერვო კონტროლს, შესაბამისად მათი მონაწილეობა საქართველოს წინააღმდეგ მიმართულ სადაზვერვო ოპერაციებში არ იყო გამორიცხული.

საკვლევ პრობლემატიკასთან დაკავშირებით, განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს ი. წულაძის სადისერტაციო ნაშრომი **„ისლამური ფუნდამენტალიზმი თანამედროვე თურქეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში“** (2001). ნაშრომში გათვალისწინებულია თანამედროვე რეალიები. იგი საყურადღებოა იმ თალსაზრისითაც, რომ მასში წარმოდგენილია მეცნიერულად არგუმენტირებული შეხედულებები და მოცემულია ყურადსაღები პროგნოზი და რეკომენდაციები. ავტორი მიმოიხილავს თურქეთში არსებულ პოლიტიკურ და რელიგიურ ჯგუფებს, მათ გავლენას სახელმწიფოს საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე. იგი აღნიშნავს, რომ ქვეყანაში მომძლავრებული ისლამური პოზიციების გათვალისწინებით, საქართველოს ესაჭიროება ფრთხილი და ზომიერი პოლიტიკა, შემდგომი საფრთხეების პრევენციის მიზნით. ი. წულაძე ყურადღებას ამახვილებს თურქეთის იმჟამინდელი ხელისუფლებისა და პოლიტიკური წრეების გეოპოლიტიკურ მსოფლმხედველობაზე, ასევე მის განსახორციელებელ გზებსა და მიზნებზე. ნაშრომში ნათლლადაა წაროჩენილი კულტურულ-ეკონომიკური თანამშრომლობის გაღრმავებათან გათვალისწინებული გარკვეული რისკები.

საქართველოში, საკუთრივ აჭარაში მცხოვრები მუსლიმური თემის მდგომარეობას საინტერესოდ წარმოგვიდგნეს ბათუმელი პროფესორის **რუსლან ბარამიძის მონოგრაფია „საქართველოს მუსლიმური თემი და სახელმწიფო და პოლიტიკა (1991-2012 წწ.)** (2014) როგორც ნაშრომის სათაურიდან ჩანს, კვლევის ქრონოლოგიური ჩარჩო განისაზღვრება 1991 - 2012 წლებით. ავტორი სახელმწიფო პოლიტიკისა და საზოგადოებრივი პროცესების გათვალისწინებით განიხილავს მუსლიმური თემის პოლიტიკურ და სამართლებრივ მდგომარეობას და ყურადღებას ამახვილებს აჭარაში განვითარებულ მოვლენებზე. ნაშრომში განხილულია რეგიონში მოქმედი რელიგიური სასწავლო დაწესებულებები, აზიზიეს მეჩეთის მშენებლობის საკითხი, საზოგადოებაში არსებული აზრთა განხვავებულობა და მათ გავლენა რელიგიურ თემებსა და ქვეყანაში განვითარებულ პოლიტიკურ პროცესებზე. ავტორი ყურადღებას ამახვილებს რეგიონში არსებულ რელიგიურ თავისებურებებზე და აანალიზებს ოფიციალური პირების, ორგანიზაციებისა და საზოგადოების შეხედულებებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე საგარეო საფრთხეებზე. ავტორი თვლის, რომ

სახელწიფოს უნდა შეეძლოს რელიგიური საკითხებით მანიპულირების მცდელობათა დაბალანსება, რათა თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი საფრთხეები.

თანამდეროვეობის კონტექსტში მუსლიმური თემის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხები განხილულია რუსლან ბარამიძის სხვა ნაშრომებში. მხედველობაში გვაქვს მონოგრაფია **,,ქართველი მუსლიმები თანამედროვეობის კონტექსტში“** (2010), რომელშიც გაანალიზებულია დასავლეთ საქართველოში მცხოვრები მუსლიმების ყოფა-ცხოვრებისა და კულტურის საკითხები. ავტორი მიმოიხილავს ისლამის გავრცელების მოკლე ისტორიასა და არეალს. ყურადღებას ამახვილებს აჭარაში მცხოვრები მუსლიმი მოსახლეობის ყოფისათვის დამახასაიათებელ გარკვეულ დეტალებზე, ტრადიციებზე, რიტუალებსა და შეხედულებებზე. ნაშრომი აგრეთვე იძლევა მნიშვნელოვან ინფორმაციას რეგიონში არსებული საკულტო რელიგიური დაწესებულებების არსებობის, მათი სამართლებრივი, ფინანსური და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ნაშრომი საინტერესოა იმდენად, რამდენადაც იგი მიმოიხილავს როგორც საკულტო რელიგიური დაწესებულებების სამართლებრივ მდგომარეობას, ასევე, აქცენტს აკეთებს მის ფუნქციონირებათან დაკავშირებით არსებულ პრობლემებზეც.

აღნიშნული პრობლემატიკით დაინტერესებულ მკვლევარებს დიდ სამსახურს გაუწევს სალომე დუნდუასა და ზვიად აბაშიძის ერთობლივი გამოკვლევა **,,ეთნიკური და რელიგიური იდენტობის საკითხები და სამოქალაქო ინტეგრაციის პორბლემები საქართველოში“** (2009). ნაშრომში განხილულია საქართველოში მცხოვრები ეთნიკური და რელიგიური თემის ყოფითი კულტურის საკითხები. ავტორები განიხილავენ სამიზნე ჯგუფის ინტეგრაციის საკითხებს საქართველოს ძირითად ეთნოსთან და დომინანტი რელიგიური აღმსარებლობის მქონე მოსახლეობასთან მიმართებაში. სამიზნე ჯუფები საქართველოში ცხოვრების ხანგრძლივი ისტორიის მიუხედავად მწირ ინფორმაციას ფლობენ მომიჯნავე რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების კულტურული და ყოფითი ტრადიციების შესახებ, რამაც მათივე განმარტებით ქართულ რეალობაში ეთნო-რელიგიური გაუცხოვების ხასიათი მიიღო. ავტორთა განმარტებით აღნიშნულ პროცესი თანმდევია ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური სიტუაციისა. მონოგრაფიის მიხედვით საქართველოში მცხოვრები რელიგიური და

ეთნიკური ელემენტების ერთმანეთთან გაუცხოებას და ერთიანი საზოგადოებრივი ერთობის არარსებობას განაპირობებს სუსტი დემოკრატიული ინსტიტუტები და საზოგადოების უნდობლობა სახელმწიფო დაწესებულებებისადმი.

პოლიტიკური თეოლოგიისა და რელიგიის საკითხებს ეძღვნება კრებული - **„პოლიტიკური თეოლოგია, მოდერნულობამდე და მოდერნულობის შემდეგ“** (ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2012), კრებულში წარმოდგენილ სტატიებში ყურადღება გამახვილებულია სახელმწიფო პოლიტიკის წარმათვაში პოლიტიკური თეოლოგიისა და ზოგადად რელიგიის მნიშვნელობის საკითხებზე. კარლ შმიდტის თეორიებზე დაყრდნობით ნაშრომში წარმოდგენილია, პოლიტიკურ დისკუსიებსა და აქციებში პოლიტიკური ჯგუფებისა და პარტიების მიერ რელიგიის გამოყენების პრობლემები. ნაშრომი საყურადღებოა იმ თვალსაზრისითაც, რომ მასში განხილულია სხვადასხვა ქვეყანაში ძალაუფლების მატარებელი სუბიექტების ურთიერთობის საკითხები. ავტორთა სამართლიანი შენიშვნით ძალაუფლების მატარებლებს ჭირდებათ თავიანთი უფლებამოსილების ლეგიტიმურობის ჩვენება, რისთვისაც არცთუ ისე იშვიათად მიმართავენ რელიგიებს, როგორც საზოგადოების ნდობით აღჭურვილ ორგანიზაციებს. ავტორები აღნიშნავენ, რომ თანამედროვე ეტაპზე გაზრდილია საზოგადოების რელიგიურობა, რაც ხელს უწყობს რელიგიისა და პოლიტიკის შინაარსობრივ დაახლოებას, რაზეც ნაშრომში სათანადო ყურადღება არის დათმობილი.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში რელიგიის როლისა და მნიშვნელობის საკითხებს განიხილავს მკვლევარი **რაგიდ ანდრიაშვილი ნაშრომში „ისლამის გადმონაშთები საქართველოში“** (1988). ავტორი ეხება ისლამური ფუნდამენტალიზმისა და მისი გამოვლინებების საკითხებს. სამაგალითოდ იგი განიხილავს საქართველოში არსებულ მუსლიმურ თემს. ავტორის აზრით ისლამური იდეოლოგიის სიმტკიცეს აჭარაში განაპირობებს საზოგადოებაში არსებული რელიგიური ცნობიერება, მისი გავრცელების სიღრმე და სხვა ფაქტორები.

გიორგი სანიკიძე ნაშრომში **„ისლამი და მულსიმები თანამედროვე საქართველოში“** (1999), განიხილავს აჭარის დედასამშობლოსთან დაბრუნების შემდგომ პერიოდს. აჭარელი მუსლიმების პოლიტიკურ და რელიგიურ დამოკიდებულებებს. ავტორი

მიმოიხილავს აჭარის საკითხს მეფის რუსეთის, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის, საბჭოთა იმპერიისა და მიმდინარე პერიოდში. იგი აღნიშნავს, რომ რეგიონის მულისმური მოსახლეობა მუდმივად იყო გარკვეულ პოლიტიკურ ჯგუფთა ზეგავლენის ობიექტი. შესაბამისად ხშირი იყო მათი რელიგიური გრძნობებით მანიპულირების შემთხვევები. აღნიშნულის გამოხატულებად ავტორს მუჰაჯირობა მიაჩნია.

მე-20 საუკუნეში განვითარებულ პოლიტიკურ თუ რელიგიურ მოვლენებს ეხება საქართველოს **შსს არქივის თანამშრომელთა მიერ გამოცემული წიგნი „არქივის კვალდაკვალ“** (საქართველოს შსს არქივი, 2017). კრებულში ოცამდე ნაშრომია თავმოყრილი. მასში აღწერილია, თუ რა ვითარებაში მოხდა საბჭოთა ხელისუფლების დამყარება, რა ნიშნით ასახლებდნენ ბეგებს თუ თავადებს, როგორ გაუსწორდა საბჭოთა ხელისუფლება ადგილობრივ პატრიოტებს. ნაშრომში დეტალურადაა აღწერილი თუ რა ნიშნით ხდებოდა მოსახლეობის რეპრესიები და წარმოდგენილია დახვრეტის ოქმები.

გარკვეული თვალსაზირისით ინტერესს იწვევს **ნათია დემურიშვილის ნაშრომი „მუსლიმური ხუროთმოძღვრული ძეგლები საქართელოში“** (2010). მართალია იგი საქართველოში არსებული მუსლიმური კულტურის ძეგლების აღწერას ეხება, მაგრამ ამავე დროს წარმოდგენილია ქართველი მუსლიმების ყოფითი ტრადიციები აჭარის დედასამშობლოდან დაბრუნების შემდგომ და საქართველოს გასაბჭოების ადრეულ საფეხურზე.

რელიგიურ კონფლიქტების საკითხებზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით ცნობილი მკვლევრის **რ. ჯორბენაძის მეცნიერულ მემკვიდრეობას. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი მონოგრაფია „პოლიტიკური კონფლიქტების მართვა“** (2001).
დასახელებულ მონოგრაფიაში ავტორს განხილული აქვს სხვადასხვა საერთაშორისო თეორიები, მათ შორის ცნობილი მეცნიერის ს. ჰანთიგტონის შეხედულებები. ზემოთ დასახელებული ავტორის მიხედვით საქართველო ცივილიზაციათა კლასიფიკაციით ორი დიდი მართლმადიდებლურ-სლავურ და ისლამურ ცივილიზაციებს შორისაა მოქცეული. ამ ფონზე ორი დიდი მსოფლმხედველობის იდეოლოგიათა დაპირისპირების გზაჯვარიდენზე საქართველოს არსებობა თავის მხრივ ზრდის ქვეყნის

დესტაბილიზაციის შესაძლებლობას, რაც პოსტკონფლიქტურ გარემოში მყისიერად აისახება. **რევაზ ჯორბენაძე თავის ნაშრომში „პოლიტიკური კონფლიქტების მართვა“** (2001) იშველიებს მარქსის თეორიას, რომელიც კონფლიქტის განხილვასას კლასობრივ პარადიგმას ეყრდნობა. ნაშრომის მიხედვით, საზოგადოების ბუნებაშია ჩადებული კლასობრივი კონფლიქტი, თუმცა ამის საწინააღმდეგოდ, პოლიტიკური კონფლიქტების საკითხზე მსჯელობისას ასახელებს კონფლიქტების შესწავლის სტრუქტურულ-ფუნქციონალურ და სოციო-პოლიტიკურ პარადიგმას. შესაბამისად, მნიშვნელოვანი ყურადღება ექცევა ადამიანის აგრესიულ და ინსტიქტურ ბუნებას. ამ მიდგომის ავტორები კონფლიქტს ადამიანის ბიოლოგიური არსებით ხსნიან და ავრცელებენ ადამიანის სოციალურ ცხოვრებაზე.

მსოფლიოში არსებული გამოწვევების ფონზე არასწორად ხდება ისლამის ტერორიზმთან დაკავშირება. ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებებია წარმოდგენილი **ჰარუნ იაჰიას ნაშრომში „ისლამი ტერორიზმის წინააღმდეგ“** (2007). ავტორის აზრით, ისლამისადმი ასეთი დამოკიდებულება კონკრეტული ჯგუფების ინტერესებს ემსახურება. ნაშრომში აღნიშნულია ისლამის როლი ზოგადსაკაცობრიო ცივილიზაციის ისტორიაში და ხასზგასმულია საზოგადოების მშვიდობიანი თანაარასებობის აუცილებლობა. ავტორის აზრით, ისლამს არანაირი საერთო არ გააჩნია ძალადობასა და ტერორთან. ჩვენის მხრივ დავძენთ, რომ მართალია თანამედროვე ისლამი დაშორდა **„ჰაზავათის“ („ყველა არამუსულმანი არის გიაური და გიაურების წინააღმდეგ საჭიროა საღვთო ომი“)** ნორმებს, თუმცაღა მიმდინარე ეტაპზე არცთუ ისე იშვიათია მსგავსი დამოკიდებულების არაოფიციალური გამოვლენის შემთხვევები.

რელიგიური კონფლიქტების პრობლემატიკის შესახებ მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა **მარკ იუნგეს, ბერნდ ბონვეჩისა და დანიელ მიულერის ნაშრომი „ეთნოსი და ტერორი საქართველოში“** (2015). იგი მოიცავს 1937-1938 წლებში საბჭოთა იმპერიის მიერ განხორციელებული რეპრესიების დეტალურ ანალიზს, როგორც რაოდენობრივ, ისე თვისებრივ ჭრილში. ნაშრომში ხაზგასმულია საბჭოთა იმპერიის მიერ გატარებული პოლიტიკა საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეთნიკური და რელიგიური მრწამსის მქონე მოსახლეობასთან მიმართებაში. ნაშრომში აღნიშნულია, რომ საბჭოთა იმპერიის

მიერ განხორციელებულ რეპრესიულ პოლიტიკას ვერც აჭარის მცხოვრებნი გადაურჩნენ. მონოგრაფიაში მითითებულია გასამართლებულ ადამიანთა რაოდენობრივი მონაცემები და წარმოდგენილია სტატისტიკური ანალიზი.

აღნიშნულ საკითხზე მუშაობისას საინტერესოა აგრეთვე უცხოელი ავტორების თვალით დანახული პრობლემა. ამ თვალსაზრისით ყურადსაღებია საბჭოთა კონსულ კ. იუსტის მოხსენება, რომელიც შემდგომში გახდა არაერთი პუბლიკაციის წყარო. მხედველობაში გვაქვს **ნაშრომი - ,,აჭარა რუსი დიპლომატის თვალით 1921-1922, კ. იუსტის მოხსენება**", რომელიც გამოსცეს პროფესორებმა - **მერაბ ვაჩნაძემ და და ვახტანგ გურულმა** (1998). ზემოთ დასახელელებულ პუბლიკაციაში ნათლად ჩანს საბჭოთა იმპერიის ვერაგული ბუნება და საქართველოსთან მიმართებაში გატარებული პოლიტიკის არსი. იმპერიის ინტერესებში შედიოდა დაპყრობილი ქვეყნების დასუსტება, რათა ხელი შეეწყო შემდგომში მათი გასაბჭოებისათვის. ამ მიზნით საბჭოთა დიპლომატი ცდილობს ცალკ-ცალკე ეთნოსებად წარმოადგინოს **,,აჭარელი" და ,,ქართველი"** და ერთმანეთს დაუპირისპიროს ისინი. კ. იუსტი მიზანშეწონილად მიიჩნევს ქართველების ავტონომიას საქართველოში (აჭარის ავტონომია) და ამას ,,ქართული კოლონიზაციის შეჩერების" ,,აუცილებლობით" ხსნის. მოხსენებაში მიმოხილულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელმძღვანელობის ღონისძიებანი აჭარასთან მიმართებაში, რომელსაც დიპლომატი საქართველოს იმჟამინდელი მთავრობის სტრატეგიულ შეცდომებად განიხილავს.

მუშაობის პროცესში, საკვლევი თემის მიზნიდან გამომდინარე, მუშაობა მოგვიხდა საქართველოს შსს არქივში. ქართველი ცნობიერების დამახინჯების, ქართველების სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფებად დაყოფის საბჭოური მცდელობის ნათელი მაგალითია საქართველოს შსს არქივში დაცული ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელშიც ნათლად ჩანს საბჭოთა სისტემის შინაგანი არსი და ბუნება. აღნიშნული დოკუმენტი წარმოადგენს ცენტრალური კომიტეტის იმჟამინდელი მდივნის ლავრენტი ბერიას წერილს იოსებ სტალინისადმი (საქართველოს შსს არქივში (II), ფონდი, N14, საქმე N152, გვ. 82-84). იგი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ ლ. ბერია ასოცირდება დახვრეტებთან, მასობრივ რეპრესიებთან და ტერორთან. როგორც ჩანს, ლ. ბერიას ჰქონდა ,,პატრიოტული

გამონათებებიც“. იგი წერილში გამოხატავს გულისწყრომას იმასთან დაკავშირებით, რომ 1937 წელს საბჭოთა მოსახლეობის აღწერის შემდეგ შედგენილ ,,ეროვნებათა ლექსიკონში“ აჭარლები ცალკე ერად არის წარმოდგენილი. იგი თხოვს იოსებ სტალინს, რათა გასცეს განკარგულება აღნიშნული შეცდომის სასწრაფოდ გამოსასწორებლად. ამავე წერილში ლ. ბერია აკრიტიკებს საბჭოთა მეცნიერებათა აკადემიას, რომელსაც საქართველოს მოსახლეობის ეთნიკურ კლასიფიკაციაში აჭარლები ასევე ცალკე ეთნოსადდ ჰყავდა წარმოდგენილი. წერილში ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე აჭარის მოსახლეობის რელიგიური თავისებურებების საკითხებზეც.

ჩვენი ინტერესი შსს არქივში დაცულმა კიდევ ერთმა დოკუმენტმა მიიქცია (საქართველოს შსს არქივი, ფონდი 21, საქმე 2491). მასში წარმოდგენილია დამოუკიდებელი საქართველოს მიმართ საბჭოთა რუსეთის მიერ განსახორციელებელი გეგმები. დოკუმენტიდან ჩანს, თუ რა როლს აკისრებდა საბჭოთა ხელისუფლება ადგილობრივ მუსლიმ მოსახლეობას მათი პოლიტიკური ინტერესების განხორციელებასთან დაკავშირებით. ამ გეგმის მიხედვით საქართველოს სამთავრობო ჯარებისათვის წინააღმდეგობა სწორედ მუსლიმანური აღმსარებლობის მქონე მოსახლეობასაც უნდა გაეწია.

დოკუმენტში ასევე ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ საბჭოთა რუსეთის სტრატეგიული ინტერესების გატარება არც აჭარის თურქეთთან მიერთებას გამორიცხავდა, პირიქით უფრო გაადვილდებოდა საქართველოს გასაბჭოება. საბჭოთა ხელისუფლება თვლიდა, რომ თურქეთისათვის პერსპექტივაში უფრო ადვილი იქნებოდა ტერიტორიებს წართმევა, ვიდრე ერთიანი ძლიერი საქართველოს გასაბჭოება (საქართველოს შსს არქივი, ფონდი 21, საქმე 2491).

საქართველოს ორ მეზობელ რეგიონში მომძლავრებული ისლამური მოძრაობის ფონზე საყურადღებია საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშები. მათში მიმოხილულია საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეები და ყურადღება გამახვილებულია რეგიონში ფუნდამენტალური ისლამის გავრცელების მზარდ ტენდენციაზე. აღნიშნულმა ტენდენციამ სრულიად საქართველოსათვის დღემდე უცნობი რელიგიური ექსტრემიზმისა გამოვლინების ფორმები მიიღო. ანგარიშებში ასევე

ხაზგასმულია პრევენციული ხასიათის მოქმედებების შესახებაც, რომელმაც ქვეყანა სერიოზულ საფრთხეებს ააცილა (სსუ-ს ანგარიშები, 01.08.2015-31.12.2015, 01.01.2016-31.12.2016, 01.01.2017-31.12.2017, 01.01.2018-31.12.2018).

პოტენციური რელიგიური კონფლიქტები და რელიგიური პრობლემატიკის საკითხები სხვადასხვა კუთხით განიხილულია სხვა ავტორთა შრომებშიც, საკუთრივ: **ზაქარია ჭიჭინაძის (თბილისი, 2004), ვუკოლ იაშვილის (ბათუმი, 1948), რაგიდ ანდრიაშვილის (თბილისი, 2013, თბილისი 1988), თენგიზ ცეცხლაშვილის (ბათუმი, 2012), საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივის მიერ გამოცემული წიგნი „ბოლშევიკების თვალით დანახული საქართველოს ოკუპაცია„ (თბილისი, 2016), მაყვალა ნათმელაძის, ალექსანდრე დაუშვილის, მაია ჯაფარიძის, კობა წენგუაშვილის (თბილისი, 2008), ალექსანდრე ფრენკელის (თარგმნა და გამოსცა რ. სურმანიძემ, თბილისი, 2012), სოფო ზვიადაძის (თბილისი, 2016); ქრისტინე მარგველაშვილი, (თბილისი, 2016), მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის ეგიდით გამოცემული ნაშრომი (თბილისი, 2000), გიორგი ნიჟარაძის, (თბილისი, 2008); ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტის გამოცემა, (თბილისი, 2014), საქართველოს შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების 2011, 2013-2015 წლებში არსებული სტატისტიკა და სხვა.**

ცხადია ყველა ნაშრომის განხილვა წინამდებარე ნაშრომში შეუძლებელია. დასახელებულ და სხვა პუბლიკაციებში გამოთქმული ძირითადი დებულებები ასახულია საკვალიფიკაციო ნაშრომის მომდევნო თავებში.

კვლევის დროს ვეფუძნებოდით აგრეთვე ჩემს მიერ მოძიებულ საველე მასალებს, სოციოლოგიურ გამოკითხვებს.

ამრიგად, ჩემს მიერ წარმოდგენილი იქნა მნიშვნელოვანი სამეცნიერო ლიტერატურა, საარქივო მონაცემები და ანგარიშები, ელექტრონული და ბეჭდვითი პუბლიკაციები, რომელთაც გარკვეული შემხებლობა აქვთ საკვლევ თემასთან. კვლევის ფარგლებში შესწავლილი იქნა თვით სამიზნე ჯგუფიც, როგორც საკუთრივ აჭარაში აგრეთვე აჭარიდან სხვადასხვა რეგიონებში განსახლებულ მუსლიმ მოსახლეობაში. ჩემს მიერ

შესწავლილი საკითხების და წყაროების ურთიერთშეჯერების საფუძველზე მოგვეცა შესაძლებლობა შეგვემუშავებინა შესაბამისი რეკომენდაციები.

სადოქტორო ნაშრომის ტრუქტურა

სადისერტაციო ნაშრომი შედგება შესავალის, სამი თავის, შესაბამისი ქვეთავების, დასკვნისა და რეკომენდაციებისაგან.

შესავალში წარმოდგენილია საკვლევი თემის მიზნები, ამოცანები, კვლევის მეთოდოლოგია, მოკლედაა მიმოხილული საკვლევ პრობლემატიკასთან არსებული ლიტერატურა და წყაროები.

ნაშრომის პირველი თავი ეთმობა ქართულ პოლიტიკურ/სამართლებრივ სივრცეში და საერო ცხოვრებაში მუსლიმური თემის საქმიანობის განხილვას. ნაშრომის ამ ნაწილში გაანალიზებულია საქართველოში, კერძოდ კი აჭარაში მუსლიმური თემის ცხოვრების თავისებურებანი, ისლამური და ქრისტიანული რელიგიური მიმდინარეობების გავრცელებისა და რელიგიის პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენების შესაძლებლობის საკითხები. მნიშვნელოვანი ნაწილი ეთმობა რელიგიური თემის პოლიტიკური და სამართლებრივი ცხოვრების ცალკეული ასპექტების განხილვას ოსმალთა ბატონობის, საქართველოს დემოკრატიული რესპუპულიკის (1928-1921 წწ.), საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პირობებში. ეს პრობლემები წარმოდგენილია პირველი თავის სამ პარაგრაფში:

- ✓ რელიგია - სახელმწიფო პოლიტიკაზე ზემოქმედების ფაქტორი;
- ✓ მუსლიმური თემი და გარე ზემოქმედების ფაქტორები;
- ✓ რელიგიურ საფუძველზე განხორციელებული დესტაბილიზაციისა და განსხვავებული რელიგიური ჯგუფებისადმი სახელმწიფოს მიერ გატარებულის პოლიტიკის საკითხისათვის (1918-2020 წწ.).

ნაშრომის მომდევნო თავი ეთმობა რელიგიური ფუნდამენტალიზმის საკითხების განხილვას, მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების რადიკალიზაციის შესაძლებლობისა და მათ მოსალოდნელ შედეგებს, ასევე საქართველოს წინაშე არსებული იდეოლოგიური და რელიგიური გამოწვევების წარმოჩენას. ნაშრომში ხაზგასმულია რელიგიის

მოწყვალოდობისა და პოლიტიკური მიზნით მისი გამოყენების შესაძლებლობის საკითხებზე. ეს პრობლემა ახლო აღმოსავლეთში განვითარებული პროცესების ფონზე საქართველოს მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების, უცხოელი თუ ქართველი პოლიტიკოსების, ექსპერტების აქტიური მსჯელობის საგანიცაა, რომლებიც ხშირად იშველიებენ ერაყსა და სირიაში მიმდინარე საომარ კამპანიაში მოქალაქეების მონაწილეობის ფაქტებს და ევროპაში განხორციელებულ ტერორისტული აქტების სიხშირეს. აქედან გამომდინერე ნაშრომის ამ ნაწილში შევეცადეთ წარმოგვედგინა საქართველოში, კერძოდ კი აჭარაში არსებული რელიგიური და პოლიტიკური პროცესები, მასში ჩართული აქტორები და დაინტერესებული მხარეები. ეს საკითხები ასახულია მეორე თავის შემდეგ პარაგრაფებში:

- ✓ რელიგიური ფუნდამენტალიზმის საფრთხის საკითხისათვის საქართველოში;
- ✓ რადიკალიზაციის პრობლემები აჭარაში;
- ✓ რელიგიურ და საერო სასწავლო დაწესებულებებების კურსდამთავრებულ საქართველოს მოქალაქეთა რელიგიურ-პოლიტიკური განწყობები და ექსპერტთა შეფასებები;
- ✓ 2017 წლის 11-12 მარტის მოვლენები ბათუმში;
- ✓ პანკისის მოვლენები (2012-2020 წწ.)

ნაშრომის მესამე თავი ,,ტერორიზმის საფრთხე საქართველოში“ ეხება მსოფლიოსა და საქართველოში მოსალოდნელ მზარდი რელიგიური ფუნდამენტალური იდეოლოგიების, ცალკეულლი ჯგუფების მოძლიერებისა და ტერორისტული საქმიანობის გააქტიურების ტენდენციებს. საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ პოლიტიკურმა ისლამმა გავრცელება დაიწყო ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში, შემდგომში კი ევროპაში (სადაც მილიონობით მუსლიმია). რელიგიური ნორმების ინტერპრეტირებისა და სოციალურ-მატერიალურ საშუალებათა შეთავაზების გზით ხდებოდა მუსლიმი (და არა მხოლოდ მუსლიმი) და ფინანსურად გაჭირვებული ახალგაზრდების მოძიება და სწავლების პროცესის ხელშეწყობა. მიკერძოებული რელიგიური ნორმების სისტემატური სწავლებით, ახალგაზრდებში ხდება სათანადო განწყობის მიღწევა და არც თუ იშვიათად, მათი ტერორისტულ საქმიანობაში ჩართვა.

ყოველივე ამან მნიშვნელოვანი ასახვა ჰპოვა სირიის კონფლიქტში. ევროპიდან, აფრიკიდან, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკებიდან უამრავი ახალგაზრდა გაეგზავრა სირიაში მიმდინარე სამომარ კონფლიქტში. სირიისა და ერაყის კონფლიქტებში საქართველოდან, მათ შორის აჭარიდანაც გაემგზავრა ათობით ქართველი მუსლიმი (ძირითადად სალაფიზმის იდეოლოგიის მიმდევარნი).

ფუნდამენტალური ისლამის მოძლიერების შემთხვევაში შესაძლოა საქართველო იქცეს ევროპაში საერთაშორისო და ისლამური ტერორიზმის განხორციელების დამაკავშირებელ მნიშვნელოვან რგოლად. ამავე დროს იგი შესაძლოა დასავლურ სამყაროში, ქრისტიანულ სივრცეში დაუშვებელი პრეცენდენტის წარმოშობის წინაპირობადაც იქცეს. ამან განაპირობა ნაშრომის ამ ნაწილში ზემოთდასახელებული პრობლემებისა და პროცესების განმაპირობებელი ფაქტორების გამოვლენის საჭიროება, ტერორიზმისა და რადიკალიზაციის სფეროში თანამედროვე მეცნიერული მიდგომების ანალიზი. ამ თვალსაზრისით ჩატარებულმა კვლევებმა გამოკვეთა საქართველოში არსებული კონტრტერორისტული პოლიტიკის ეფექტურობის შეფასების აუცილებლობა, გამოავლინა კონტრტერორისტული პოლიტიკის ნაკლოვანებები და მუსლიმი ახალგაზრდობის ტერორისტულ საქმიანობაში ჩართვის მიზეზები. ყველა ეს პრობლემა ასახულია მესამე თავის შემდეგ პარაგრაფებში:

- ✓ ტერორისტული საფრთხეები და საქართველო;
- ✓ ტერორიზმის რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები საქართველოში;
- ✓ მოსახლეობის განწყობა აჭარაში კონტრტერორისტული საქმიანობის კვლევის პროცესში.

დასკვნაში მოცემულია კვლევის შედეგად მიღებული ძირითადი მიგნებები, რომელთა საფუძველე შემუშადა შესაბამისი რეკომენდაციები.

თავი 1 - მუსლიმური თემი ქართულ პოლიტიკურ - სამართლებრივ და საერო ცხოვრებაში

1.1. რელიგია - სახელმწიფო პოლიტიკაზე ზემოქმედების ფაქტორი

ცალკეულ ისტორიულ ეპოქებში ხშირი იყო რელიგიური და ეთნიკური ჯგუფების გამოყენების მცდელობები სახელმწიფოზე ზემოქმედების მიზნით. აღნიშნული ფაქტების სიმრავლეს არც საქართველო უჩიოდა. საქართველოში არსებული ტოლერანტული გარემოს გათვალისწინებით ადგილი ჰქონდა რელიგიური, ეთნიკური და პოლიტიკური ჯგუფების გამოყენების არაერთ მცდელობას.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) არსებობის პერიოდში დაინტერესებული სახელმწიფოების მხრიდან ხშირი იყო რელიგიური კონფლიქტების ინსპირირების შემთვევევები, რაშიც მნიშვნელოვან როლს ქვეყანაში მცხოვრები სხვადასხვა რელიგიური აღმსარებლობის პირები თუ ორგანიზაციები ასრულებდნენ. ამ ფონზე განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს აჭარაში მცხოვრები დომინანტური რელიგიური თემების როლის შესწავლა ქართულ საერო და პოლიტიკურ ცხოვრებაში. მნიშვნელოვანია აგრეთვე აჭარიდან საქართველოს სხვადასხვა კუთხეში განსახლებული ქართველი მუსლიმების განწყობების შესწავლაც.

ისლამი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული რელიგიაა, რომლის მიმდევართა რიცხვმა კარგა ხანია გადააბიჯა ერთ მილიარდს. მას მეტად საინტერესო სულიერი მსოფლმხედველობა და ტრადიციები უდევს საფუძვლად. არაბთა პერიოდის მნიშვნელოვანი ისტორიული დოკუმეტი - ჰაბინ იბნ მასლამას დაცვის სიგელი ქრისტიან თბილისელებისა და არაბ მუსლიმებს შორის ურთიერთობას არეგულირებდა. მოგვიანებით არაბები ირანმა და ოსმალეთმა ჩაანაცვლეს. დაპყრობითი ომების პარალელურად ისინი ატარებდნენ მოსახლეობის ისლამიზაციის თანიმდევრულ პოლიტიკას, რაც მათივე რწმენით განამტკიცებდა დაპყრობილი მოსახლეობის ერთგულებასა და ხელს შეუწყობდა ირანულ თუ ოსმალურ საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას.

კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ (1453 წელი) კულტურული ბიზანტიის ნაცვლად ოსმალეთი გაგვიმეზობლდა. საქართველო მისი აგრესიის ობიექტი აღმოჩნდა. შესაბამისად გაიზარდა ზეწოლა და ქვეყნის მართვაში ჩარევის სურვილი. საქართველოს ჯერ სამცხე - საათაბაგო ჩამოაშორა, შემდეგ კი აჭარა. ოსმალები ისლამის გავრცელების

მთავარ ინსტრუმენტად იყენებდნენ როგორც ეკონომიკურ ფაქტორებს, ისე დიდგვაროვნების მოსყიდვას.

ოსმალებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ მოსახლეობის გატეხვა (ეროვნული მენტალობის) ტრადიციულ-ღირებულებითი ყოფითი ელემენტების შეცვლით იყო შესაძლებელი. ამ მიზნის მისაღწევად დაიწყეს პირდაპირი შეტევა იმ დროს არსებულ ტრადიციულ-კულტურულ-ყოფით ელემენტებსა და ღირებულებებზე. ეფექტურად იყენებდნენ ეკონომიკური იძულების მექანიზმებს. რელიგიური კუთვნილების მიხედვით ხდებოდა გადასახადებით მანიპულირება. ისლამის აღიარებით მათ გარკვეული პრივილეგიები ენიჭებოდათ. ამ შემთხვევაშიც, რელიგია გამოყენებული იყო, როგორც პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტი. მოსახლეობის წინააღმდეგობის მიუხედავად ოსმალეთმა შეძლო ისლამიზაციის პროცესის დასრულება სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში, რამაც სერიოზული ზიანი მიაყენა განათლებასა და ტრადიციულ-ყოფით კულტურას.

რუსეთ-თურქეთის (1828-1829 და 1877-1878 წწ.) ომების შედეგად მართალია სამცხე-საათაბაგო და აჭარა დაუბრუნდა დედასამშობლოს (რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში), თუმცა იმპერიის ხელისუფლებას აღნიშნული ტენდენციის შეცვლა აზრადაც არ მოსვლია. პირიქით, სამსახურებში ხოჯა-მოლებს თუ მაღალი საზოგადოების წარმომადგენლებს ასაქმებდნენ და აწინაურებდნენ. ისლამურმა სასულიერო წოდებამ მეფის მთავრობის ხელში მიიღო შესამჩნევი პოლიტიკური, იურიდიული და კლასობრივი უფლებები, რასაც ემატებოდა ეკონომიკური ფაქტორიც.

აღნიშნულ მოვლენას საგანგებო ყურადღება არაერთმა მკვლევარმა მიაქცია, მათ შორის ნ. დემურიშვილმაც. იგი იმოწმებს ზ, ჭიჭინაძის ინფორმაციას, რომლის მიხედვით რუსეთის სასარგებლო ქადაგებისათვის ერთ-ერთი აჭარელი ხოჯა - ქარცივაძე - ჯამაგირად თვეში ას მანეთს იღებდა (დემურიშვილი, 2010:10,11). ქარცივაძე არ იყო გამონაკლისი. ამ პროცესებს დაემატა მუჰაჯირობის სახელით ცნობილი გადასახლებები, როცა რუსეთის ხელშეწყობითა და წაქეზებით ოსმალეთის იმპერიის მიერ მართულმა სასულიერო და საერო თანამდებობის პირებმა ხელი შეუწყეს მკვიდრი მოსახლეობის აყრა-გადასახლებას ოსმალეთის იმპერიაში. მოგვიანებით მათმა მნიშვნელოვანმა

ნაწილმა მოისურვა უკან დაბრუნება, თუმცა რუსეთმა მათ მიღებაზე უარი განაცხადა. რუსეთი ხომ იმპერიის სამხრეთ საზღვრების უსაფრთხოებისათვის მკვიდრი მოსახლეობის აყრას და დაცარიელებულ მიწებზე სანდო ეთნიკური ჯგუფების - ბერძნების, სომხების, რუსი სექტქნტების ჩამოსახლებას ისახავდა მიზნად.

ცაზირმის რუსიფიკატორული პოლიტიკის მიუხედავად ქართველ მუსლიმთა ერთი ნაწილი ცდილობდა თანამონაწილეობა მიეღო საქართველოს აღშენებლობის საქმეში. დემოკრატიული საქართველოს პერიოდში კი მუსლიმი მ. აბაშიძე პირველ პარლამეტში იყო არჩეული, საიდანაც თანამემამულეებს მოუწოდებდა მონაწილეობა მიეღოთ ახალი ქართული სახელმწიფოს შენებაში. ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე იდგა აგრეთვე ,,ქართველ მუსლიმთა საქველმოქმედო საზოგადოება“ და ,,სამუსლიმანო საქართველოს განმანთავისუფლებელი კომიტეტი“ (დემურიშვილი, 2010, გვ. 13).

ცარიზმის მმართველობის ბოლო პერიოდში გააქტიურდა რელიგიური აღორძინების ახალმა ტალღა. გაიზარდა მეჩეთების, რელიგიური სასწავლებლებისა თუ მედრესეების რაოდენობა. განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა რელიგიური რწმენისა და ეროვნების ერთმანეთთან გაიგივების პროპაგანდამ (ასლანიძე, 1997). განახლდა ანტიქართული ორგანიზაციების საქმიანობა, რომელთა მიზანი იყო აჭარის საქართველოდან ჩამოცილება. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) პერიოდში აჭარა (სრულიად საქართველოსთან ერთად) დიდი სახელმწიფოების (საბჭოთა კავშირი, თურქეთი, დიდი ბრიტანეთი) ინტერესთა შეჯახების ადგილად იქცა. ეკონომიკურმა პროექტებმა, ბაქოს ნავთობის ტრანსპორტირების საქმეში ბათუმის როლმა რეგიონს განსაკუთრებული დატვირთვა შესძინა. იმ პერიოდში რეგიონში ასევე აქტიურად მოღვაწეობდნენ ძმები ნობელები, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს ამ საქმეში (კუხალაშვილი, 2006, გვ. 63-101).

დესტაბილიზაციის ხელშემწყობ ფაქტორად იქცნენ პირველი მსოფლიო ომის შემდგომ ოსმალეთის, ბულგარეთის, ავსტრიის თუ ზოგიერთი სხვა მეომარი ქვეყნის გაფანტული ჯარისკაცები, რომლებმაც ბათუმში მოიყარეს თავი. გააქტიურდა ანტიქართული ორგანიზაცია ,,სედაი მილლეთი“-ს საქმიანობა. სერიოზული საფრთხე შეექმნა სახელმწიფოს ეროვნულ უშიშროებას. აქაც რელიგია იყო გამოყენებული

ზეგავლენის ინსტრუმენტად - აჭარის თურქეთთან მიერთების მათეული მიზნის განსახორციელებლად. ისინი ცდილობდნენ პროქართული ორიენტაციის მქონე პირების ნეიტრალიზებას.

საბჭოთა რეჟიმის დამყარების შემდეგ ხელისუფლებამ გააჩაღა ანტირელიგიური კამპანია. დაიხურა მეჩეთები, ეკლესიები, რელიგიური სასწავლებლები. გაუქმდა სამუფთო, აიკრძალა შარიათის სასამართლო, ჩადრი, წინდაცვეთა, რელიგიური რიტუალებისა და ცერემონიალების ჩატარება დაკრძალვისა თუ ქორწინების დროს, გატარდა სხვა ანტირელიგიური ღონისძიებანი. მე-20 საუკუნის შუახანებიდან იწყება აჭარიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მოსახლეობის განსახლების პროცესი, რომელმაც ინტენსიური ხასიათი მიიღო 1989 წლის სტიქიური მოვლენების შემდეგ. განსახლებულებმა შეინარჩუნეს ,,ისლამური რელიგიური წეს-ჩვეულებები, მოგვიანებით კი, სწორედ ეს მოსახლეობა, აქტიურად ჩაერთო რელიგიური აღორძინების პროცესში" (დემურიშვილი, 2010, გვ. 91; ბარამიძე, 2010, გვ. 25).

საბჭოთა ანტირელიგიური პოლიტიკა საკმარისი არ აღმოჩნდა მისი დაძლევისათვის. ბოლო პერიოდში, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ე.წ. რელიგიური აღორძინების ეპოქაში ქართველ მუსლიმების (ისევე როგორც ქრისტიენების, სხვა რელიგიური აღმსარებლობის) მნიშვნელოვან ნაწილში რელიგია კიდევ უფრო გამყარდა (ფანჯიკიძე, 1999, გვ. 25-26). გაიზარდა მეჩეთების, რელიგიური სასწავლებლებისა თუ მედრესეების რაოდენობა, განსაკუთრებული დატვირთვა შეიძინა რელიგიური რწმენისა და ეროვნების ერთმანეთთან გაიგივების პროპაგანდამ (ასლანიძე, 1997).

დასამალი არაა, რომ აჭარაში ადგილი აქვს რელიგიური განათლებისა და რელიგიური ლიტერატურის შემოტანის მცდელობებს. მორწმუნეები მარაგდებიან როგორც წმინდა რელიგიური, პოლიტიკური შინაარსის ლიტერატურით. ,,ეს პროცესები ხელისუფლებიდან არ იმართება, მაგრამ მეზობელ ქვეყანაში მრავლად არიან ფუმდამენტალისტები, რომლებიც ვერ მალავენ თავიანთ აშკარა აგრესიულ ზრახვებს საქართველოს მიმართ'' (ასლანიძე, 1997, გვ. 13).

ისმება კითხვა: მულტიკულტურულ გარემოში, კონსტიტუციით ყველა ჯგუფის გარანტირებული უფლებების მიუხედავად, აჭარაში მეჩეთებისა და მედრესეების მომრავლება ხომ არ უქმნის საფრთხეს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს? ხომ არ გახდება იგი სულიერი იარაღი სხვა სახელმწიფოს ხელში?

საქართველოში არსებული რელიგიური და ეთნიკური სიჭრელე ზრდის მტრულად დაინტერესებული პირთა, ორგანიზაციათა თუ სახელმწიფოთა მცდელობას - არსებული გარემო გამოყენებული იქნას მათი სტრატეგიული ინტერესების გასატარებლად. შესაბამისად დასაშვებია სხვადასხვა სახის კონფლიქტის ინსპირირება. აქვე შევნიშნავთ, რომ ზოგადად სამეცნიერო ლიტერატურაში გამოყოფენ კონფლიქტის სხვადასხვა სახეს, მათ შორის: კონფლიქტის გაფართოება და კონფლიქტის ესკალაცია. კონფლიქტის გაფართოება გულისხმობს პროცესში ახალი მონაწილეების ჩართვას. შესაძლებელია ამ დროს კონფლიქტი გასცდეს ორ ან მეტ მხარეს ან მოიცვას ასევე სხვა საკითხები განსახილველად, ესკალაცია კი კონპლიქტის ის ფაზაა, რა დროსაც მოწინააღმდეგე მხარეები მზად არიან ერთმანეთის მიმართ განახორციელონ აგრესიული ქმედებებიც კი. მტრული ქმედებების ინტენსიფიკაცია იწვევს მხარეებს შორის ურთიერთობის შესუსტებას - საერთაშორისო დონეზე დიპლომატების შემცირებას, ელჩების გაწვევას, გაფრთხილებებს, ბლოკადებს, სანქციებს და ა. შ. (ჯორბენაძე, 2001, გვ. 50-51).

როგორც ითქვა, აჭარა დასახლებულია სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებითა და რელიგიური აღმსარებლობის საქართველოს მოქალაქეებით. ქვეყნის წინაშე მდგარი სოციალური, ეკონომიკური, პოლიტიკური, დემოგრაფიული ვითარება, ოკუპირებული ტერიტორიები იძლევა რელიგიის სახელმწიფო პოლიტიკაზე ზეწოლის შესაძლებლობას, რაც შესაძლოა გამოხატული იქნას ზეგავლენის მქონე ობიექტებზე, იდეოლოგიური, საგანმანათლებლო, ეკონომიკური ღონისძიებების გატარებით. ამ შემთხვევაში სავსებით შესაძლებელია გამოიკვეთოს კონკრეტული პიროვნებები, რომელთა აქტიური დამუშავების შემდეგ შესაძლებელი გახდება მათი საქმიანობის ორგანიზება დამაზიანებელ სადაზვერვო მოქმედებათა განსახორციელებლად.

რელიგიური ემოციებით გამოწვეული რადიკალური მოქმედებები მეტად სახიფათო და დამაზიანებელია სახელმწიფოსათვის. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება

თავად პიროვნების განათლების დონეს. რაც უფრო მაღალია განათლების დონე საზოგადოებაში, მით უფრო ტოლერანტულია იგი. რელიგია თავიდან ბოლომდე დოგმატურ პრიციპებზეა აგებული, თუმცა დაინტერესებულ პირთა თუ ორგანიზაციათა მხრიდან ვხვდებით რელიგიური ნორმების ინტერპრეტაციის მცდელობებს მათი პოლიტიკური შეხედულებების შესაბამისად. ეს კი ეწინააღდეგება თვით რელიგიის ძირითად პრინციპებსა და ფასეულობებს.

1.2 მუსლიმური თემი და გარე ზემოქმედების ფაქტორები

თანამედროვე ეტაპზე განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა დაინტერესებული ორგანიზაციებისა თუ სახელმწიფოების მიერ რელიგიის გამოყენების პრაქტიკამ. ცალკეულ შემთხვევებში შეინიშნება ისლამის პოლიტიზირება და სახელმწიფოთა მმართველობის სისტემების ისლამის პოლიტიკურ საწყისებზე, თეოკრატიულ მოდელზე გადასვლის, ყველა მუსულმანის ერთ სამოქალაქო საზოგადოებად გაერთიანების მცდელობები, რაც შეიძლება გახდეს კონფლიქტების საფუძველი (Торнау, 1892, С. 19).

სახელმწიფოები თავიანთი პოლიტიკის გატარებისას - სტრატეგიული ინტერესების დასაკმაყოფილებლად იყენებენ ყველა შესაძლო რესურსს. საქართველო ოდითგანვე იყო დიდი სახელმწიფოების ინტერესთა გადაკვეთის წერტილი. შესაბამისად ხშირი იყო კონფლიქტის ინსპირირების შემთხვევები, რაშიც აქტიურად გამოიყენებოდა და გამოიყენება რელიგიური ფაქტორი.

კვლევის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია ეს საკითხი განვიხილოთ აჭარისა და აჭარიდან განსახლებული ქართველი მუსლიმების მაგალითზე.

დამოუკიდებლობის მოპოვებამდე აჭარაში თითზე ჩამოსათვლელი იყო მუსლიმური სალოცავები. საბჭოთა პერიოდში ყველა რელიგიური დაწესებულება დახურეს. გარდაქმნის პერიოდში დაიწყო მათი აღდგენის პროცესი, თუმცა სამლოცველოების რაოდენობა საგრძნობლად გაიზარდა საბჭოთა სისტემის დემონტაჟის შემდეგ. 2011 წლისათვის მუსლიმური საკულტო და სასწავლო საწესებულებების (ჯამე, სამლოცველო, მედრესე) რაოდენობა გაიზარდა 162-მდე (ბარამიძე, 2014, გვ. 2025).

გავრცელებული პრაქტიკით ისლამურ სალოცავებითან ერთად ასევე შენდება მუსლიმური სასწავლო დაწესებულებიც. ყოველივე ამან შესაძლოა განაპირობოს დაინტერესებული მხარის მცდელობა რელიგიური თემების მანიპულირებით მიაღწიოს თავისი სტრატეგიული ინტერესების განხორციელებას. ეს დადასტურდა პანკისის ხეობასა და ქვემო ქართლში განვითარებული მოვლენებითაც, თუმცა დამაფიქრებელია ამ საკითხებთან დაკავშირებით ცალკეული არასამთავრობო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების პოზიციები.

სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, რელიგიური მიმდინარეობის თუ რელიგიური სექტების გავრცელებისა და პოპულარიზაციისათვის დაინტერესებული მხარე იყენებს ფინანსურ რესურსებს. სექტების უმრავლესობა საქველმოქმედო საქმიანობით ნიღბავს თავის ძირითად ამოცანას. ისინი უფასოდ არიგებენ წიგნებს, ჟურნალებს, საკვებ პროდუქტებსა ტანსაცმელს, იზიდავენ მოსახლეობის შეჭირვებულ კატეგორიას. ქ. ხუციშვილის სამართლიანი შენიშვნით, ისინი რეგისტრირედებიან როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები და ფონდები. მათ საქმიანობაში გამოიკვეთა ბევრი დარღვევა, რაც დასტურდება გაუთავებელი პროცესებით, სახელმწიფოსა და საზოგადოების გარკვეულ ჯგუფთან დაპირისპირებებით (ხუციშვილი, 2004, გვ. 14).

თავიანთი საქმიანობისას ისინი იყენებენ საზოგადოებასთან ურთიერთობის თანამედროვე საშუალებებს, სარეკლამო მისიონერულ მეთოდებს, რომლებიც უმეტეს შემთხვევაში ამ ორგანიზაცათა ზედაფენის ეკონომიკურ-პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ მიზნებს ემსახურება. ეს მიზნები ხშირად წინააღმდეგობაში მოდის სახელმწიფო ინტერესებთან. ,,ამის გამო საზოგადოების შიგნით ჩნდება დაძაბულობის კერები, რომლებიც სახელმწიფოს საყრდენ ღირებულებათა სისტემებს ემუქრება“ (ხუციშვილი, 2004, გვ. 14).

ქვეყნის სხვადასხვა რეგიონში განსახლებული მოსახლეობა წააწყდა უამრავ ყოფით პრობლემას, რომელთა მოუგვარებლობა ცალკეულმა ჯგუფებმა მიგრანტების რელიგიურ კუთვნილებას დაუკავშირა. ზოგადად უნდა ითქვას, რომ განსახლებული მოსახლეობისათვის ე.წ. ,,ადათი“ აქ განსაკუთრებული დატვირთვისაა. იგი გულისხმობს უფროსებისადმი პატივისცემას, მეზობლების თხოვნის გათვალისწინებას,

სამართლიანობას და ა.შ. ოჯახის უფროსების, მეზობლების, მეგობრების, თანასოფლელების თხოვნით, ზოგადად ,,ადათის“ გავლენით და რა თქმა უნდა რელიგიური გრძნობების გამოსახატავად საჯაროდ სრულდება სხვადასხვა რელიგიური რიტუალები: მევლუდი, ყურანის-კითვა, ბაირამის აღნიშვნა, დაკრძალვა და ა.შ. სოფლებში საკმაოდ დიდია ახალგაზრდებზე უფროსების გავლენა. ახლდადგახსნილმა რელიგიურმა სასწავლებლებმა იტვირთა ახალგაზრდების რელიგიური სწავლებისა და აღზრდის ფუნქცია.

რელიგიურ სასწავლებლებთან დაკავშირებით აჭარაშის მოსახლეობის დამოკიდებულება არაერთგვაროვანია. ერთნი მის არსებობას კატეგორიულად ემიჯნებიან და სახელმწიფოებრიობის, ეროვნული უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან გამოწვევად მიიჩნევენ. მეორე ნაწილს კი მათი არსებობა დასაშვებად და მართებულად მიაჩნია. გაჩნდა ეჭვები რელიგიური სასწავლებლების დაფინანსების წყაროების შესახებ. მოსახლეობის ნაწილს შესაძლებელად მიაჩნია ამ დაფინანსების გამოყენება არასახელმწიფოებრივი მიზნებისათვის. უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებული კვლევები ცხადია გვერდს ვერ აუვლიდა აღნიშნულ პრობლემას.

ისლამი სხვა რელიგიების მსგავსად ტოლერანტულია. აჭარაში მცხოვრები მუსლიმებიც ტოლერანტობით ხასიათდებიან. ამავდროულად კატეგორიულად დაუშვებელია ისლამის და ზოგადად რელიგიის ტერორისტულ ორგანიზაციებთან დაკავშირების მცდელობები. ნებისმიერი ხასიათის ძალადობა მიუღებელია როგორც ისლამისათვის, ასევე სხვა რელიგიებისათვის.

აჭარაში მუსლიმებთან ერთად ცხოვრობენ მართლმადიდებელი ქრისტიანებიც. რელიგიური განსხვავებულობის მიუხედავად სახეზეა ჰარმონიული ურთიერთობა. ჩვეულებრივია ქორწინებები ქრისტიანებსა და მუსულმანებს შორის. გვხვდება ოჯახები, რომლის წევრთა ნაწილი ქრისტიანია, ნაწილი ისლამს აღიარებს. ასეთი სიტუაციის მიუხედავად ცალკეულ პირთა თუ ორგანიზაციათა მხრიდან ვხვდებით დესტაბილიზაციის მცდელობის კონკრეტულ მაგალითებს. იგი გამოიხატება სხვადასხვა სახის პროვოკაციულ განცხადებებსა თუ მოქმედებებში. მხედველობაში გვაქვს მოხეს, ჭელას, ზოტის, ნასაკირალისა და ბათუმის მოვლენები. ამავე მიზანს ემსახურებოდა

ქობულეთის ინციდენტიც (როცა ღორის თავი ჩამოკიდეს ისლამური სკოლა-პანსიონისთვის გათვალისწინებული შენობის შესასვლელში). ფაქტია, რომ მოსახლეობის მცირე ნაწილი გაუთვიცნობიერებლად ხდება ამ მოვლენების ხელშემწყობი. ისლამი, სხვა რელიგიებისაგან განსხვავებით საერო და სასულიერო ცხოვრებას ერთმანეთს უთავსებს. ადამიანთა შორის ურთიერთობებს ისლამი ყურანითა და სუნათი არეგულირებს. ისლამში მნიშვნელოვანია სასულიერო პირების როლი მორწმუნე მოსახლეობაში რელიგიური სწავლების განხორციელების თვალსაზრისითაც. საინტერესოა თვით რელიგიური მსახურებიც, რომელთა წარმომადგნელები შესაძლოა აქტიური დაკვირვებისა და ზემოქმედების ობიექტები იყვნენ ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოწყობითა თუ თავიანთი ინტერესების გატარებით დაინტერესებული პირებისა თუ პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან. შესაბამისად, შესაძლებელია კონკრეტული რელიგიური ჯგუფისათვის ისეთი ინფორმაციის მიწოდება თუ იდეოლოგიური საქმიანობის წარმართვა, რომლითაც შესაძლებელი გახდება რელიგიური თუ ეთნიკური შუღლის გაღვივება და კონფლიქტის ინსპირირება. ამას ადასტურებს 1918-1921 წწ. აჭარაში ოსმალეთის, აზერბაიჯანისა და ინგლისის პროვოცირებით განხორციელებული რელიგიური ხასიათის კონფლიქტის ინსპირირების შემთხვევები. დაკვირვებისა და შესწავლის პროცესში იკვეთებოდნენ სადაზვერვო პერსპექტივის მქონე სუბიექტები, რის შემდგომაც თანამშრომლობის განსახორციელებლად ტარდებოდა შესაბამისი სადაზვერვო ოპერაციები. ამგვარი ქმედებებით ერთის მხრივ უზრუნველყოფილი იყო საზოგადოების საშუალო ფენაში სადაზვერვო შეღწევადობა, მეორეს მხრივ კი მათ მიერ წარმართული პროპაგანდის მეშვეობით ცდილობდნენ მუსლიმურ მოსახლეობაში შეექმნათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხელისუფლების საწინააღმდეგო განწყობანი.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ შეინიშნება ისლამის ერთგვარი გაძლიერების ტენდენციები. ამ პროცესებს ხელს უწყობს დიდი მოცულობის ფინანსური დახმარებები და ,,საქველმოქმედო“ საქმიანობით შენიღბული ღონისძიებები. ამასთან დაკავშირებით პრესაში არაერთი სტატია გამოქვეყნდა (მაგ. გაზეთი ,,საერთო გაზეთი, 2016). ამაში მნიშვნელოვან როლს რელიგიური სასწავლებლები ასრულებს. მაღალმთიანი

აჭარის ზოგიერთ სოფლებში (ღორჯომის ხეობა, ხულო,) გვხვდება მცირეწლოვანი ქალიშვლების სკოლიდან გამოყვანისა და გათხოვების კონკრეტული შემთხვევები (ფუტკარაძე, საველე ექსპედიციის მასალები ხულოს მუნიციპალიტეტში, 2017). მარტო ერთი, 2018 წლის განმავლობაში აჭარაში ოცი ასეთი შემთხვევა დაფიქსირდა, სრულიად საქართველოში კი 100 - ზე მეტი (ოსოტიმეჰინი, 2018, ასევე, MICS, 2018).

აღნიშნულის შესახებ ჯერ კიდევ 1988 წელს ყურადღება გაამახვილა რ. ანდრიაშვილმა (ანდრიაშვილი, 1988). მსგავსი ფაქტები განპირობებულია სოფლის სოციალურ-ეკონომიური განვითარებისა და განათლების დაბალი დონით, დასაქმების შეზღუდული ხელმისაწვდომობითა და სხვა გარემოებებით.

,,ყურანი" ისლამის დოგმატიკის, საკულტო სისტემის, ზნეობრივი ნორმების საფუძველია. ფრანგი ისლამთმცოდნე ა. მასე ,,ყურანს" ,,ისლამის ბიბლია"-ს უწოდებს. (массэ Аю, 1982, С. 61). ისლამი, როგორც მსოფლიო რელიგია, მნიშვნელოვანი პოლიტიკური იარაღიცაა. ობიექტ ქვეყნებსა და გავლენის სფეროებში დღემდეა ამ რელიგიის გავრცელების მცდელობა. ამას ხელს უწყობს ისლამის არსი, რომელიც თავის თავში არ ცნობს არანაირ სახელმწიფოს, ერს, ტრადიციებს. ისლამის მიხედვით მუსლიმი მუსლიმის ძამაა, გაყოფილი არაა საერო და სასულიერო მოხელის უფლება და ა.შ. ადამიანთა და სახელმწიფოს ქცევა უნდა შეესაბამებოდეს ისლამისა და შარიათის წესებს. ამიტომაც მუსლიმანისათვის ნებისმიერი ტერიტორია მისი სამშობლოა, ისლამის მიმდევარი კი ძმა. დაახლოებით მსგავსი იდეაა გატარებული ქრისტიანობაშიც. ამ საკითხზე სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთი მოსაზრებაა გამოთქმული (ფანჯიკიძე, 1999:7/8). ისლამის თანახმად, არსებობენ მუსლიმები და არამუსლიმები. იგი ერთის მხრივ ქადაგებს ყველა მუსულმანის ძმობის იდეას, მეორეს მხრივ კი მორწმუნე მუსულმანისათვის ისლამის გავრცელების არეალი არის მისი სამშობლო - ყოველგვარი ეროვნული თუ კულტურული განსხვავებულობის გარეშე. სწორედ ეს იდეაა სახელმწიფოსა და მის მესვეურებზე ზემოქმედების ბერკეტი.

აჭარის მუსლიმურ თემზე, ისევე როგორც სხვა რელიგიური აღსარებლობის პირებზე ზემოქმედების მცდელობები ზემოთხსენებული პრობლემის ხელშემწყობ გარემობად მიგვაჩნია. ამ იდეოლოგიის თანახმად ნებისმიერი მუსლიმი პოტენციურად

გაერთიანებული მუსულმანური სახელმწიფოს მოქალაქე შეიძლება გახდეს. დღეს ცალკეულ მეზობელ სახელმწიფოებთან გვაკავშირებს სტრატეგიული და მეგობრული ურთიერთობა, თუმცა ყველა ქვეყანაში მოიძებნებიან კონკრეტული ადამიანები, პოლიტიკური თუ საზოგადოებრივი ორგანიზაციები, რომლებსაც ექნებათ მცდელობა ქართველი მუსლიმები ან სხვა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანები გამოიყენონ მათი ინტერესებისათვის. ამ თვალსაზრისით საყურადღებოა ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში ქართველი მუსლიმების მცირე ნაწილის მონაწილეობა. ამასვე ადასტურებს აჭარაში მოქმედი არაერთი საქველმოქმედო ორგანიზაციის საქმიანობაც. მხედველობაში გვაქვს ,,მადლი 2005“, რომლის წინააღმდეგ სახელწიფო სისხლის სამართლის საქმეს აწარმოებდა (ნეტგაზეთი, 2010). აჭარელი მუსლიმების მონაწილეობას ამ კონფლიქტებში ობიექტური და სუბიექტური მიზეზები უდევს საფუძვლად, თუმცა იქ მებრძოლი ქართველი მუსლიმების განცხადებები დამაფიქრებელია და პირდაპირ მიმართულია ქვეყნის პოლიტიკურ და სასულიერო ხელმძღვანლობაზე ზემოქმედების მოსახდენად. მათივე განცხადებებში ნათლად ჩანს აჭარის ისლამურ სახელმწიფოდ გადაქცევის სურვილი. მსგავსი ტიპის განცხადებები იდეოლოგიური დამუშავების შედეგია, რომლის გაუთვალისწინებლობა პერსპექტივაში სერიოზული საფრთხის შემცველი იქნება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისათვის. უდავოა, რომ აჭარიდან საბრძოლველად წასული ქართველი მუსლიმების ქმედებებს სხვადასხვა მიზნები ამოძრავებდათ, თუმცა აჭარის ისლამურ სახელმწიფოდ ქცევის სურვილი მეტად დამაფიქრებელია. მათი ქმედებებიც ამ მიზნების შესაბამისია. მათი მცდელობა - სახელმწიფო პოლიტიკაზე ზემოქმედებით მიაღწიონ სასურველ შედეგს განუხორციელებელია, რადგანაც ქართველ მუსლიმებში სახელმწიფოებრიობის განცდა მაღალ დონეზეა. ცალკეული შემთხვევები კი ყველა რელიგიის წარმომადგენლებშიცაა.

ისლამური სახელმწიფოს დროშის ქვეშ მებრძოლი საქართველოს მოქალაქეების მიერ გავრცელებულმა ვიდეომიმართვებმა საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. ერთნი შეშინდნენ მოსალოდნელი საფრთხის შიშით, მეორეს მხრივ კი გაიზარდა ისლამის მიმდევარი ახალგაზრდების კონფლიქტის ზონაში გადინების რისკები. კონფლიქტში მონაწილე ქართველი მუსლიმების ნაწილის ისლამურ სკოლა-

პანსიონებში სწავლება დღის წესრიგში აყენებს აღნიშნული სასწავლებლების, მედრესეების სამართლებრივი სტატუსის გარკვევის აუცილებლობას. ხელისუფლებას ამ თვალსაზრისით მართებს პრობლემისადმი მეტი ყურადღების გამახვილება. (გერლიანი, ჩაჩიბაია, 2021). ბოლომ პერიოდში სააღმზრდელო საქმიანობის ლიცენზირების შესახებ კანონში შევიდა ცვლილებები. შესაბამისად ზემოთაღნიშნული სასწავლებლები დაექვემდებარნენ ლიცენზირებას. პანსიონატების ნაწილმა არსებობა შეწყვიტა (გერლიანი, ჩაჩიბაია, 2021).

ახალგაზრდების ისლამურ სასწავლებლებში წასვლის ერთ-ერთი ძირითადი მოტივატორი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობაც იყო. მსგავსი ტიპის საწავლებლები ახალგაზრდებს ღამის გასათევს და საკვებს სთავაზობს. მათი გარკვეული ნაწილი პარალელურად სწავლობს ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ კატეგორიის სტუდენტთა მცირე ნაწილის ინტეგრაციის ხარისხი უნვერსიტეტის სტუდენტებთან არც თუ ისე მაღალია. იგი შესაძლოა განპირობებული იყოს როგორც ეკონომიკური მდგომარეობით, განსხვავებული რელიგიურ-პოლიტიკური შეხედულებებით და სხვა მიზეზებითაც (გერლიანი, ჩაჩიბაია, 2021).

რეგიონში ისლამური სასწავლებლების (მედრესე, პანსიონი) მომრავლების პარალელურად ადგილი აქვს ახალგაზრდების ქვეყნიდან გადინებას თურქეთის რელიგიურ სასწავლებლებში (ლომიძე, ,,კვირის პალიტრა“, 2015; ასევე, უჩიძე, ონლაინ სტატია, 2014).

კვლევის მიზანდასახულობიდან გამომდინარე, მქონდა შესაძლებლობა შევხვედროდი მათი ოჯახის წევრებს, მოგვიანებით კი იქედან დაბრუნებულ რამოდენიმე ახალგაზრდასაც, რომელთა ადრინდელი შეხედულებები ჩემთვის მათ წასვლამდე იყო ცნობილი. მათთან ურთიერთობამ ნათლად წარმოაჩინა მათი პოლიტიკური და რელიგიური მსოფლმხედველობის რადიკალური ტრანსფორმაცია.

ამ ფონზე, რეგიონში გაჩნდა სხვადასხვა არასამთავრობო და უფლებადამცველი ორგანიზაცია, რომელთა ამოცანას მათივე განმარტებით მუსლიმთა უფლებების დაცვა წარმოადგენდა. საგრძნობია ამ ორგანიზაციების დაფინანსების მზარდი ინტენსივობაც. რეიტინგულ და ყურებად სატელევიზიო არხებში გახშირდა გადაცემები

ზემოთაღნიშული ორგანიზაციების წარმომადგენლების მონაწილეობით, რაც ისლამური აღმსარებლობის მოქალაქეების ნაწილში ხელს უწყობდა დასახელებულ პირთა ავტორიტეტის გაზრდას. იგი ასევე მათი შემდგომი საქმიანობის გაფართოების მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია.

სახელმწიფო პოლიტიკაზე ზემოქმედების ერთ-ერთი უმთავრესი საშუალება მოსახლეობაში ამ ტიპის ადამიანების თუ ორგანიზაციების პოპულარობისა და გავლენის ზრდაა. აჭარაში იგი ხორციელდება მათ ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურული და საგანმამათლებლო საქმიანობაში (*სპეცსამსახურების საქმიანობა იცნობს მეთოდოლოგიას, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება მათთვის სასურველი პირების მაღალ პოზიციებზე დანიშვნის ხელშეწყობა, ეკონომიკური პოლიტიკური და კულტურული ბერკეტები კი სტრატეგიული მიზნის მიღწევის საშუალებებია).* ისლამის პოლიტიკური მიზნებით გამოყენების შემთხვევები ისლამის სახელით მოქმედებების გაფართოვების შესაძლებლობას იძლევა. ეს კი დაინტერესებულ ორგანიზაციასა თუ სახელმწიფოს მისცემს საშუალებას ზეგავლენა მოახდინოს ობიექტ სახელმწიფოზე, გაატაროს სასურველი პოლიტიკური თუ სამართლებრივი რეფორმები საკუთარი სტრატეგიული ინტერესების განსახორციელებლად. ისლამის ზრდის ტენდენციისათვის ხელშეწყობის პარალელურად, ბიზნესს თუ სხვა საქმიანობას ამოფარებული ორგანიზაციები ისინი ხელს უწყობენ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიგრაციას ზოგადად საქართველოში და მათ შორის აჭარაში. გახშირდა საქართველოს მოქალაქეებთან ქორწინების შემთხვევები, რაც საქართველოს მოქალაქეობის მიღების ნაცადი ხერხია. მასთან ფიქტიური ქორწინების გამოყენებით დასტურდება სასოფლო-სამეურნეო მიწების დასაკუთრების ცალკეული შემთხვევები.

ისლამი სხვა რელიგიების მსგავსად ხელს უწყობს დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებას (იკრძალება აბორტი). ამ ფაქტორმა აჭარის მოსახლეობის რაოდენობის მნიშვნელოვან ზრდას შეუწყო ხელი. საბჭოთა პერიოდში აჭარაში მრავლად იყო მრავალშვილიანი ოჯახები. ისლამური ტენდენციების გაძლიერების მიუხედავად ეს სიტუაცია რამდენადმე შეიცვალა. დღეისათვის მრავალშვილიანობა იშვიათ მოვლენად იქცა აჭარაშიც (ჰაკერტი, რ. მოსახლეობის დინამიკა საქართველოში, 2017, გვ. 25), თუმცა

შერეული (თურქულ-ქართული) ქორწინებების შემთხვევაში სრულიად განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე (აღნიშნულ თემას მიეძღვნა კიდეც რამოდენიმე ტელეგადაცემა). ვფიქრობთ, რომ ესეც არის სტრატეგიული, შორსგამიზნული გეგმის ნაწილი, რაც ხელისუფლებისაგან გააზრებულ და ფრთხილ მოქმედებას მოითხოვს და დღის წესრიგში აყენებს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მცირე ნაწილის საქმიანობის ძირითადი მიზნების შესწავლის აუცილებლობის საკითხს.

დახვეწასა და ფრთხილ მიდგომას მოითხოვს საკადრო პოლიტიკის წარმოებაც. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია კვალიფიციური და ახალგაზრდა კადრების მოზიდვის მხადრაჭერა მაღალმთიან აჭარაში, როგორც საჯარო სამსახურში ასევე საგანმანათლებლო დაწესებულებებში. იგი ხელს შეუწყობს ახალგაზრდა გონიერი თაობის რეგიონით დაინტერესებას. პროფესიონალი კადრების მხარდაჭერა წაახალისებს მაღალმთიანი აჭარის მაცხოვრებლებს სამოქალაქო აქტივობებში მონაწილეობისაკენ, უფრო ხელმისაწვდომი გახდება მუნიციპალური და სახელმწიფო სერვისების მიწოდება.

მნიშვნელოვანია, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ხელმძღვანელებად დანიშნული პირების სამსახურეობრივი საქმიანობაში არ იყოს რელიგიური ნარატივების გავრცელება. დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა უზრუნველყოფს თითოეული ადამიანის თავისუფალ და შეუფერხებელ განვითარებას, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვას, სახელმწიფო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ეფექტური ღონისძიებების გატარებას. ამ პროცესში მნიშვნელოვანი როლი აკისრია სახელწიფო, საჯარო, საგანმანათლებლო დაწესებულებების სათანადო საკადრო პოლიტიკის მხარდაჭრის საკითხებს და ისეთი ღონისძიებების გატარებას, რომელიც სახელმწიფო მოსამსახურეს საჯარო უფლებამოსილების განხორციელებისას არ მისცემს შესაძლებლობას იხელმძღვანელოს ვიწრო პოლიტიკური და პირადი ინტერესებით. ამდენად, კადრების შერჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს შესარჩევი კანდიდატურის კვალიფიციურობა და კეთილსინდისიერება. თურქეთის საქართველოში, საკუთრივ იმერხევში, სოფელ უსტამისში ერთ-ერთმა ქართველმა რესპოდენტმა ჯელალ დემირმა აღნიშნა: ,,ჩვენ იქითაი და აქეთაი გურჯები აინი (ერთნი) ვართ და ჩვენ ერთ დევლეთში (სახელმწიფოში) უნდა ვიყოთ. ჩვენ გვინდა, რომ

მუსლიმანი გურჯების ადგილებში ჩატარდეს რეფერენდუმი, რომ თურქეთის დევლეთმა გააერთიანოს გურჯებიო“ (ფუტკარაძე, კ. საველე ექსპედიციის მასალები. იმერხევი, თურქეთის რესპუბლიკა, 2016). მსგავსი მოსაზრებები აქა იქ აჭარის მაღალმთიან სოფლებშიც მოვისმინეთ, თუმცა უფრო შესამჩნევი იყო ახალგაზრდა (და არა მარტო ახალგაზრდა) რესპოდენტების შეშფოთება რეფერენდუმისა თუ ზემოთ დასახელებული სხვა ქმედებების შორს გამიზნული პოლიტიკური ზრახვების გამო (ფუტკარაძე, საველე ექსპედიციის მასალები ხულოს მუნიციპალიტეტში, 2017). ზემოაღნიშნულის ფაქტების სამართლებრივი და პოლიტიკური მტკიცება ან დადასტურება ძალზედ რთულია, თუმცა გვერდს ვერ ავუვლით ამგვარი მოსაზრებების არსებობას, რაც დასტურდება ჩემს მიერ მოძიებული საველე მასალებითაც. ასევე პროვოოკაციულ და სარისკო ხასიათს ატარებდა ისლამური სახელმწიფოს მიერ გურჯისტანის ვილაიეთის შექმნისა და სოციალურ ქსელებში აჭარის ისლამურ სახელმწიფოდ გამოცხადების შესახებ განცხადებები (ვარდიაშვილი, 2015). ყოველივე ეს პერსპექტივაში ქვეყნის უსაფრთხოების სერიოზული გამოწვევა შეიძლება გახდეს (ვარდიაშვილი, 2015)

არსებული პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ პოლიეთნიკურ და პოლიკონფესიურ გარემოში პოლიტიკური მიზნებისათვის ეთნიკური თუ რელიგიური ჯგუფების გამოყენების ალბათობა გაცილებით დიდია. ამის მაგალითები მოიძებნება საქართველოს უახლეს ისტორიაშიც. ასლან აბაშიძის მმართველობის პერიოდში არც თუ იშვითი იყო მუსლიმური თემის პოლიტიკური მიზნებისათვის გამოყენების შემთხვებები, რაც გამოიხატა ღორჯომის ხეობის მკვიდრთა (ხულო) აქტიური მონაწილეობით ბათუმის, ჩოლოქისა და თბილისის ცნობილი მოვლენების დროს. ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა გვენახა ვიდეოფირი, სადაც ა. აბაშიძე ხვდებოდა მაღალმთიანი აჭარის სასულიერო პირებს და ათანხმებდა პოლიტიკურ გეგმებს საკუთარი პოლიტიკური მდგომარეობისა და აჭარის ავტონომიის პოლიტიკური სტატუსის განმტკიცებისათვის. ეს იყო საქართველოს სახელმწიფო პოლიტიკაზე ზეწოლის კლასიკური მაგალითი. პრაქტიკულად აბაშიძე იქცა ხელშეუხებელ მმართველად. თავის მხრივ, მუსლიმი თემი დაინტერესებული იყო სახელისუფლებო სტრუქტურებში ,,მათი კაცის“ მოყვანით. სახელმწიფოზე ზემოქმედების გამოხატულება იყო აჭარიდან მოსახლეობის ნაწილის

ჩოლოქზე ჩაყვანის გახმაურებული ფაქტები 2004 წელს. ყოველივე ამის განხორციელებაში აბაშიძე აქტიურად იყენებდა რელიგიურ ფაქტორს, სხვადასხვა ორგანიზაციებსა და კონკრეტულ პიროვნებებს, მის მიერ შექმნილ პოლიტიკურ პარტიას - ,,აღორძინების კავშირს.“

ხელისუფლებაზე პოლიტიკური ზეწოლა-ზეგავლენისათვის შესაძლოა გამოყენებული იყოს საგარეო, სასაზღვრო, რელიგიური და სხვა ფაქტორები. საზოგადოების გულისწყრომა გამოიწვია დიდგორობის უქმე დღედ გამოცხადებასთან დაკავშირებულმა საკითხმა. საზოგადოების გარკვეული ნაწილი ითხოვდა დიდგორობის დასვენების დღედ გამოცხადებას, თუმცა ხელისუფლებამ აღნიშნული იდეა უარყო მოსაზღვრე ქვეყნის დიპლომატიური უწყების მოკრძალებული თხოვნის შემდეგ. ოსმალეთის ისტორიაში იგი ერთ-ერთ საბედისწერო დღედაა მიჩნეული. პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ვითარების გათვალისწინებით ხელისუფლება იძულებული გახდა წასულიყო ამ დათმობაზე (ქოქოშვილი, 2017).

მეზობელი ქვეყნის პოლიტიკური ელიტის გარკვეული ნაწილის ეს მოთხოვნა უშუალო კავშირშია აჭარის მუსლიმ მოსახლეობაში გავლენის გაძლიერების ამოცანებთან, ფინანსურ და კულტურულ ექსპანსიასთან. მსგავსი ტიპის მოთხოვნები აჩენს მათი პოლიტიკური ინტერესების გამტარებელი პირის თუ პირების რეგიონის ხელისუფლებაში მოყვანის პერსპექტივის საშიშროებას, რა თქმა უნდა მუსლიმურ თემზე ზეგავლენის გზით. ამით შესაძლებელი გახდება გარე ძალების პოზიციების სამართლებრივად განმტკიცება, სახელმწიფოსათვის დამაზიანებელი პროპაგანდისტული მოქმედებების განხორციელება. მნიშვნელოვანია, რომ სტრატეგიულ პარტნიორებთან გაღრმავდეს, გაძლიერდეს ურთიერთობები და ორმხრივი თანამშრომლობის ფორმატში განხილული იქნეს ყველა შესაძლო საკითხი რომელთა მიმართაც მხარეებს შესაძლოა განსხვავებული დამოკიდებულება და პოზიციების ჰქოდეთ. ეს აუცილებელია, რათა ჩრდილი არ მიადგეს სტრატეგიულ ურთიერთობებს და აცილებული იქნას ნებისმიერი შესაძლო უსიამოვნება სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების პროცესში.

არსებული პროცესების ანალიზი გვიჩვენებს, რომ ყველაზე ხშირი და სახიფათოა რელიგიური მოტივებით ნაკარნახევი ცალკეული პოლიტიკური მოქმედებები. მიზნებისაგან გასხვავებით მოტივები ზოგჯერ ნაკლებად ცნობიერდება. მოქმედების დროს ხშირად ,,ანგარიში არ ეწევა მის გამომწვევ მოტივებს“ (леотьев, 1977, С. 20). ხშირ შემთხვევაში ბუნდოვანია ამ მოტივების გამომწვევი მიზეზები და მათი მოქმედებების რეალური მიზანი, მაშინ როდესაც ადგილი აქვს პოლიტიკურ ნიადაგზე რელიგიური პროცესების მართვას. ეს პროცესი წმინდა ფსიქოლოგიური საფუძვლითაც უნდა იყოს განპირობებული, რაც საზოგადოების მანიპულირების ერთ-ერთ უძველეს და ნაცად მეთოდს წარმოადგენს.

რეგიონის გეოსტრატეგიული ინტერესების გათვალისწინებით ეკონომიკური აღმავლობის და უსაფრთხოების გარანტი შეიძლება გახდეს არაერთი ფაქტორი. რელიგიური და ეთნიკური სიჭრელე, დიდი სახლემწიფოების მზარდი ინტერესი აჩენს კითხვით ნიშნებს სრულიად კავკასიის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით. გასათვალისწინებელია გაყინული კონფლიქტების არსებობაც, რომელიც ხშირ შემთვევაში გამოიყენება, როგორც ზეგავლენის ბერკეტი. თვალში საცემია რადიკალური ისლამის გავრცელების ზრდის ტენდენცია (ჩრილოეთ კავკასია, საქართველო, ცალკეული ქეისებში აზერბაიჯანი (Markedonov, 2010; Baran, Cornel, 2006, p. 41), მოსახლეობაში დომინანტური რელიგიისადმი მხარდაჭერის შესუსტება. ეს ვითარება შესაძლოა რელიგიური კონფლიქტის მაპროვოცირებელი გარემოებად იქნას განხილული. სრულიად ვეთანხმებით ქ. ხუციშვილის მოსაზრებას, რომ ,,ნეგატიური რელიგიური ველი, საკმაო საფრთხის შემცველია არა მარტო საქართველოს უსაფრთხოებისათვის, არამედ პოტენციურად რეგიონის უსაფრთხოებისათვისაც. ექსპერთთა აზრით, კავკასიაში არ არსებობს თავისუფალი ნიშა ახალი რელიგიებისათვის, თუ არის მხოლოდ იმ ათეისტების ხარჯზე, რომლებიც ჩამოყალიბდნენ კომუნისტური მმართელობის პერიოდში. ასე რომ ნებისმიერი ახალი რელიგიური სექტის შემოსვლა კავკასიაში ექცესის წინაპირობაა“ (ხუციშვილი, 2004, გვ. 20).

1.3 რელიგიურ საფუძველზე განხორციელებული დესტაბილიზაციის მცდელობანი და განსხვავებული რელიგიური ჯგუფებისადმი სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკის საკითხისათვის (1918-2020 წწ.)

საქართველო ოდითგანვე ტოლერანტული და შემწყნარებლური ქვეყანა იყო. შესაბამისი იყო (და არის) ქვეყნის ხელისუფლების პოლიტიკაც, თუმცა მრავალფეროვანი ეთნოკოფესიური გარემო არ გამორიცხავს კონფლიქტის ინპირირებისა და ესკალაციის შესაძლებლობას.

კონფლიქტის მიზეზი შეიძლება გახდეს ტრადიციული და არატრადიცული რელიგიური ჯგუფების კულტურულ ღირებულებებსა და ყოფით წესებს შორის არსებული განსხვავებებიც. ეს განსხვავებულობა ღია დაპირისპირებების პროვოცირების საფრთხის შემცველია. რისკის ქვეშ დგება საზოგადოების ეთნოკულტურული იდენტობა (ხუციშვილი, 2004, გვ. 21).

აჭარაში ისლამის პოლიტიკური მიზნებით გამოყენების არაერთი შემთხვევა ფიქსირდება. ასეთი შემთხვევები მრავლად იყო დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის (1918-1921) პირობებშიც. აჭარა დედასამშობლოს რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების შემდეგ დაუბრუნდა. იმჟამად რეგიონში ძლიერი იყო ოსმალეთის პოლიტიკური და იდეოლოგიური გავლენა, რაც აადვილებდა კონფლიქტის ინსპირირებას (რელიგიური ფაქტორის გამოყენებით) და მის შემდგომ მართვას. დაინტერესებული ქვეყნების სპეცსამსახურები სადაზვერვო ინტერესის ობიექტზე ზეგავლენის მოსაპოვებლად მიმართავდნენ რელიგიური და ეთნიკური დაპირისპირებების ინსპირირების ნაცად მეთოდებს. ამისთვის კი იყენებდნენ სადაზვერვო სამსახურების მიერ განხორციელებულ ოპერატიულ-ოპერაციული და ოპერატიულ-აგენტურული საქმიანობის მოქმედებათა შედეგებს (კუხალაშვილი, 2006, გვ. 63-101, საქართველოს შსს არქივი, ფონდი 21, საქმე 13).

დიდი სახელმწიფოები, სტრატეგიული და სატელიტი ქვეყნების მხარდაჭერით ახორციელებდნენ ერთობლივ სადაზვერვო ოპერაციებს თავიანთი სტრატეგიული ინტერესების გასატარებლად. ასე იყო დემოკრატიული საქართველოს პირობებშიც. აღნიშნული საქმიანობის აქტიურობით გამოირჩეოდნენ: დიდი ბრიტანეთი, გერმანია,

საბჭოთა რუსეთი, ოსმალეთი. სომხეთი და აზერბაიჯანი ამიერკავკასიის ფედერაციის არსებობის დროსაც კი კეთილსინდისიერად არ ასრულებდნენ მათზე დაკისრებულ მოვალეობებს. აზერბაიჯანი იყო თურქეთის, სომხეთი კი საბჭოთა რუსეთის სტრატეგიულ პარტნიორი (კუხალაშვილი, 2006, გვ. 63-101). დემოკრატიული საქართველოს სხვადასხვა რეგიონში დამოუკიდებელ სადაზვერვო საქმიანობას აწარმოებდა დიდი ბრიტანეთი და გერმანია. დაპირისპირებულ მხარეთა ინტერესები ზოგჯერ ერთმანეთსაც ემთხვეოდა, რაც გაცილებით მძიმე შედეგების მომტანი აღმოჩნდა (კუხალაშვილი, 2006, გვ. 63-101).

რეგიონში გერმანიის როლის შესუსტებამ და დენიკინის გააქტიურებამ განაპირობა დიდი ბრიტანეთის სადაზვერვო საქმიანობის გაძლიერება. ბათუმის ოკუპაციით ინგლისელებმა ფაქტობრივად განსაზღვრეს მათი ინტერესის სფერო და ქმედებები მიმართეს ქართული ეკონომიკის საზიანოდ (კუხალაშვილი, 2006, გვ. 63-101). იშვიათი არ იყო რელიგიური ხასიათის კონფლიქტების ინსპირირების შემთხვევები, რაც კავკასიით, მათ შორის საქართველოთი დიდი ბრიტანეთის დაინტერესებას უსვამს ხაზს.

ინგლისელების თანხმობით (1919 წლის თებერვალი) ბათუმი და სოჭის ოლქი დენიკინელთა ხელში უნდა გადასულიყო. შემდგომ კი განზრახული იყო მათ მიერ სოხუმის დაკავებაც. ბათუმის დაკავებისთანავე ინგლისელებმა წესრიგის დაცვა უცხოელებს მიანდეს. მხოლოდ ერთი ქართველი იყო წესრიგის დამცველთა რიგებში. ანალოგიური მდგომარეობა იყო სხვა სახელმწიფო დაწესებულებებშიც (კუხალაშვილი, 2002:8).

1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მმართველობის პირობებში გადაიდგა ნაბიჯები ქართული ეკონომიკის დასაზიანებლად, გაძვირდა პროდუქცია, სათბობი (შეშა, ნავთი), შეუძლებელი გახდა ქართული ბონების შოვნა, არ იყო საკმარისი სასურსათო პროდუქტები, არსებულზე კი გამუდმებით მატულობდა ფასები. შემოიღეს ნავთის გადასახადი ბაქოს ან ამიერკავკასიის ბონებით. ,,ინგლისელთა უშუალო მონაწილეობით ქვეყანაში სისტემატური ხასიათი მიიღო დიდი ოდენობით სხვადასვა დასახელების საქონლის ყოველგვარი აღრიცხვის გარეშე შემოტანა - გატანამ“ (კუხალაშვილი, 2002, გვ. 8).

ინგლისელთა ანტიქართული ქმედებები აჭარაში ორი ძირითადი მიმართულებით ხორციელდებოდა: **1. იდეოლოგიური** (პრესის, მიტინგების მეშვეობით) და **2. პრაქტიკული** საქმიანობით. მიზანი - აჭარის საქართველოსაგან ჩამოცილება იყო, **როცა არ აღიარეს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კანონიერი უფლებები ბათუმის ოლქზე** (სიორიძე, 2008, გვ. 457). პრაქტიკულად ინგლისელებმა შეძლეს წარმატებული სადაზვერვო იდეოლოგიურ-პროპაგანტისტული საქმიანობის წარმოება. ინგლისელთა მხრიდან განხორციელებულ სადაზვერვო აქციებს შორის მნიშვნელოვანი იყო რელიგიული შუღლის ინსპირირება. ზემოქმედების ძირითად ჯგუფებად შერჩეული იყო ქრისტიანულ მოსახლეობასთან ერთად მცხოვრები ქართველი მუსლიმები. ამავე მეთოდს იყენებდნენ ოსმალეთის/თურქეთის სადაზვერვო სამსახურებიც (საქართველოს საწინააღმდეგო აქციების გამართვა, აჯანყება, რელიგიური შუღლის გაღვივების მცდელობანი და სხვა პროცესები) (კუხალაშვილი, 2006, გვ. 212).

ქვეყანაში არსებულ მძიმე მდგომარეობას ეფექტურად იყენებდა ოსმალეთიც. აჭარაში ოსმალეთი ფლობდა იდეოლოგიური პროპაგანდის ბერკეტებს (სამსაუკუნოვანი ბატონობის გამო). ვითარებას ართულებდა იმხანად პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ოსმალო, ბულგარელი და ავსტრიელი ჯარისკაცების სიმრავლე ბათუმში, რაც არ გამორიცხავდა პოლიტიკური მოტივით განხორციელებულ დესტაბილიზაციას. ნაცადი რომაული მეთოდი - ,,დაყავი და იბატონე"- ,,DIWADE ET IMPERA" ეფექტურად გამოიყენებოდა ოსმალების მიერ აჭარის დაპყრობისთანავე, რათა ერთმანეთისათვის დაეპირისპირებინა ქართველები. უფრო მეტიც, ისინი ხელს უწყობდნენ მუსლიმი ქართველების ძირითადი ეთნოსისაგან - ქრისტიან ქართელებისაგან გაუცხოების პროცესს (იაშვილი, 1948, გვ. 26, ასევე სურგულაძე, 2008, გვ. 68-79), მანიპულირებდნენ რელიგიით, ხოჯა-მოლების გამოყენებით ეწეოდნენ ანტიქართულ და ანტისახელმწიფოებრივ აგიტაციას (სურგულაძე, 2008, გვ. 68-79). ადგილობრივი მოსახლეობის წინააღდეგობის მიუხედავად, ოსმალებმა მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში შეძლეს თავიანთი მიზნის მიღწევა (იაშვილი, 1948, გვ. 84).

აჭარისადმი თავისი ინტერესები გააჩნდა აზერბაიჯანსაც. ეს ინტერესები თანხვედრაში მოდიოდა ოსმალეთის ინტერესებთან. ოსმალეთის მიერ მოწყობილ

ინტრიგებში აზერბაიჯანელებიც იყვნენ ჩართულნი. ამიერკავკასიის ფედერაციული სახელმწიფოს არსებობის (და შემდგომაც) პირობებში იგი ხშრად იკავებდა ნეიტრალულ პოზიციას, რასაც ერთმორწმუნეობით ხსნიდა. ფაქტობრივად, აზერბაიჯანს აჭარის სახით სატრანზიტო გზის ხელში ჩაგდება უნდოდა (კუხალაშვილი, 2002, გვ. 11). რაც შეეხება ოსმალეთს, მათ ისარგებლეს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციით, მოახდინეს ბათუმის ოკუპაცია და რეფერენდუმის გზით შეეცადნენ სამართლებრივად განემტკიცებინათ რეგიონში მათი ბატონობა. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ კენჭისყრა ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებითაც იყო გათვალისწინებული. იგი 1918 წ. 1 ივლისს ჩატარდა. ბიულეტენები წარმოადგენდა თეთრი და ლურჯი ფერის ქაღალდის ორ ბარათს. თეთრი - ოსმალთა სასარგებლოდ ხმას ნიშნავდა, ხოლო ლურჯი - საწინააღმდეგოს. საარჩევნო ყუთთან მისულ ამომრჩეველს კომისიის წევრი ეკითხებოდა, თუ რომელი ფერის ბარათს აირჩევდა. ამომრჩეველი დაყოფილი იყო ეროვნული ნიშნის მიხედვით, ,,რაც იძლეოდა ინფორმაციის (წმინდა სადაზვერვო) მოპოვების შესაძელბლობას ნაციონალური ჯგუფის პოზიციის გასარკვევად (შემდგომი მოქმედებების დაგეგმვისათვის (კუხალაშვილი, 2002, გვ. 9). მსგავსი ფაქტები ადასტურებს 1918-1921 წლებში მეზობელი სახელმწიფოების საზიანო საქმიანობას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წინააღმედეგ. საქართველოსადმი მტრულად განწყობილი სახელმწიფოების სტრატეგიული ინტერესების გატარებაში მნიშვნელოვან როლს მათი სადაზვერვო სამსახურები ასრულებდნენ. იმ დროს საქართველოში არსებული ეთნიკური, რელიგიური, ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა გარემოებები ცალკეული სახელმწიფოების მხრიდან გამოყენებული იყო სადაზვერვო პოზიციების განმკიცებისათვის.

ინტერესთა შეჯახებების ასეთ ვითარებაში საინტერესოა იმდროინდელი საბჭოთა რუსეთის დამოკიდებულება საქართველოსადმი. ბოლშევიკები არ აპირებდნენ მეფის რუსეთის ყოფილი ტერიტორიების დათმობას. მართალია რუსეთს მოუწია საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობა, მაგრამ ეს მხოლოდ დროის მოგებას ემსახურებოდა. შსს არქივში დაცული ერთ-ერთი დოკუმენტის მიხედვით, რუსეთი თავისი ინტერესების გატარებისათვის, ასევე საქართველოს გასაბჭოებისათვის იყენებდა ისტორიული

მოწინააღმდეგისათვის ტაქტიკური ხასიათის დახმარებების მეთოდსაც (საქართველოს შსს არქივი, ფონდი 21, საქმე 13). დოკუმენტის მიხედვით საქართველო-რუსეთის ხელშეკრულებაზე ხელმოწერის შემდეგ ადგილობრივ კომუნისტებს უნდა შეძლებოდათ გაზეთის გამოცემა (მოგვიანებით დახურა საგანგებო რაზმმა) და პოლიტიკური საქმიანობის თავისუფლება. მათაც არ დააყოვნეს. ორგანიზაციაში მოიწვიეს უცხოელები, ახორციელებდნენ დამაზიანებელ მოქმედებებს არმიაში, რითც ხელს უწყობდნენ აზერბაიჯანელ მეამბოხეთა და აჭარაში მოქმედი პანთურქებით დაკომპლექტებული ანტიქართული ორგანიზაცია ,,სედაი-მილეთის“ წინააღმდეგ ბრძოლის შესუსტებას. საგანგებო რაზმის მიერ მოპოვებული მასალებით გამოიკვეთა სახელმწიფო ღალატის ნიშნები (სათადარიგო ჯარისკაცთა ჯგუფის მიერ პანთურქისტების წინააღმდეგ მოქმედი ბრძოლის ხაზის მიტოვება ხულოში, ქართული სამხედრო ნაწილების საფრთხის წინაშე დაყენება და ა. შ.). ეს ქმედებები საბჭოთა ზეგავლენის შედეგი იყო.

ზემოთ დასახელებული დოკუმენტის მიხედვით, საგანგებო რაზმს სოფელ ნატანებში დაუკავებია თბილისიდან ბათუმში მიმავალი ვინმე სოფიო კრიცმანი. მას კომუნისტური პარტიის ბათუმის კომიტეტის ხელმოწერილი ორი მოწმობა ჰქონია: ერთი საქართველოს, მეორე კი ინგლისელების წინააღმდეგ მოქმედებების თავისუფლებას ანიჭებდა მის მფლობელს. შესაბამისად, იგი მოუწოდებდა დაემხოთ საქართველოს დემოკრატიული რეჟიმი, ე. წ. სამხრეთ ოსეთისათვის მიეცათ თვითგამორკვევის უფლება. ისინი არ ერიდებოდნენ აჭარაში პროთურქული ხასითის მოქმედებების მხარდაჭერასაც (საქართველოს შსს არქივი, ფონდი 21, საქმე 13).

საბჭოთა რუსეთის პოლიტიკური ლიდერების აზრით თურქეთისათის საქართველოს წართმევა უფრო ადვილი იყო, ვიდრე დამოუკიდებელი საქართველოს დაპყრობა. ამიტომაც უწყობდნენ ხელს აჭარაში თურქული ორიენტაციის ძალების გაძლიერებას. ეს სოფო კრისმანთან დაკავშირებული ისტორიითაც დადასტურდა. საბჭოთა რუსეთს აღარ აშინებდა თურქული პოზიციების გაძლიერება აჭარაში. 1921 წლის 6 მარტს, რუსეთსა და თურქეთს შორის გაფორმდა ხელშეკრულება მეგობრობისა და ძმობის შესახებ, რითაც თურქეთმა პრაქტიკულად უარი თქვა აჭარაზე.

საქართველოს გასაბჭოების შემდეგ რუსეთმა აჭარაში პროქართული და ქემალისტური ძალები ერთმანეთს მიუსია და მაქსიმალურად შეავიწროვა ისინი. რუსეთი ორმაგ სტანდარტებს ცარიზმის დროსაც მიმართავდა. 1877-1878 რუსეთ-თურქეთის ომისა და სან-სტეფანოს ხელშეკრულების დადების შემდეგ, მეფის რუსეთის ხელშეწყობით აჭარაში ათეულობით მეჩეთი იქნა აგებული. ამით რუსეთს ერთის მხრივ ადგილობრივი მოსახლეობის გულის მოგება სურდა, მეორეს მხრივ კი იგი ერთგვარი პოლიტიკური იარაღი იქნებოდა საქართველოში ეროვნულად მოაზროვნე პოლიტიკოსების წინააღმდეგ.

1921-1922 წწ. აჭარაში არსებული მდომარეობა კარგადაა წარმოდგენილი ბათუმში საბჭოთა კონსულის კ. იუსტის მოხსენებაში ,,მიმდინარე მომენტი აჭარაში". თეზისებისაგან შემდგარ დოკუმენტში დახასიათებულია პოლიტიკური (18 თეზისი) და ეკონომიკური მდგომარეობა (13 თეზისი) და გაკეთებულია შესაბამისი დასკვნები.

კ. იუსტის მოხსენება თავისი შინაარსით წმინდა სადაზვერვო ხასიათის ინფორმაციაა. მოხსენებაში აღნიშნულია აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცების პროცესის სირთულე, საბჭოთა პოლიტიკის მიმართ მოსახლეობის ნეგატიური განწყობა და სხვა საკითხები. რეგიონში პოზიციების განმტკიცებისათვის კ. იუსტი მიზანშეწონილად მიიჩნევდა საბჭოთა წყობილების განმტკიცების აუცილებლობას. ქართველი მოსახლეობის ბათუმში დამკვიდრებას კ. იუსტი თბილისის კოლონიალურ პოლიტიკას უწოდებს, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ აჭარაში ეროვნული მოძრაობის ორგანიზება ადგილზევე, აჭარაში ხდებოდა. იუსტი ამ დოკუმენტში აჭარლებს ცალკე ეთნოსად წარმოადგენს და ერთმანეთის საპირისპიროდ იყენებს ეთნომიმებს: ,,საქართველო და აჭარა"; ,,ქართველი და აჭარელი" (მე-18 თეზისი). იგი აუცილებელ საჭიროებად მიიჩნებს აჭარის ავტონომიის არსებობას. მისი აზრით, ,,თუ აჭარის ავტონომია გახდება საფუძველი აჭარის საქართველოდან ჩამოცილებისა, ანუ ,,ქართული კოლონიზატორობის ლიკვიდაციისა", მაშინ ავტონომია შენარჩუნებული უნდა იქნესო" (ვაჩნაძე, 1998, გვ. 6-12, ასევე, გურული, 1998, გვ. 6-10).

ზემოთმოყვანილი ფაქტები ნათელყოფს გარე სახელმწიფოების მიერ საკუთარი მიზნის მისაღწევად გავლენის ობიექტი ქვეყნების წინააღმდეგ გამოყენებული მეთოდების სიმრავლეს (კონკრეტულ ეტაპზე მოწინააღდეგესთან გაერთიანება,

იდეოლოგიური საქმიანობა, რელიგიით მანიპულირება და ა. შ.). გარე ძალები ორგანიზებული საქმიანობით, რელიგიური ფაქტორის გამოყენებით მნიშვნელოვნად აზარალებენ სამიზნე ქვეყნის პოლიტიკურ, ეკონომიკურ, ენერგეტიკულ, სამხედრო სფეროებს. ყოველივე დადასტურდა აჭარაში განვითარებული მოვლენებით. თანამედროვე პერიოდში სახეზეა იგივე მეთოდების გამოყენების ტენდენცია, შეცვლილია მხოლოდ მისი განხორციელების ტექნიკური საშუალებები. მოწინააღმდეგის მიერ წინა პლანზე წამოწეული რელიგიური პრობლემატიკა და საზოგადოების გათიშვის მცდელობები მნიშვნელოვან გამოწვევად იქცა თანამედროვე საქართველოსათვისაც. აჭარიდან განსახლებული, მუსლიმი ქართველებით დასახლებულ ტერიტორიებზე ადგილი ჰქონდა სხვადასხვა ხასიათისა და სიმძიმის ინციდენტებს (ჭელას, ზოტის, სამთაწყაროს, ჩხაკაურას, ქობულეთის, ინციდენტები). განსხვავებული შინაარსის მატარებელი იყო 2017 წლის 11-12 მარტს ქ. ბათუმში განვითარებული მოვლენებიც. თავისი მასშტაბურობით, სიმძიმით და სახელმწიფოსადმი დამაზიანებელი ქმედებების ერთობლიობით აღნიშნულმა პროცესმა სრულიად განსხვავებული ხასიათი მიიღო. ამ მოვლენებმა ნათლად წარმოაჩინა გარე ძალების მიერ ინსპირირებული, საზოგადოების ნაწილობრივ რელიგიური გრძნობებით მანიპულირების მძიმე შედეგები.

აჭარა ქვეყნისათვის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ ზონაში მდებარე სტრატეგიულ რეგიონია. მასზე კონტროლი მნიშვნელოვანი ეკონომიკური, პოლიტიკური და სამხედრო წარმეტებების შესაძლებლობას იძლევა. გასათვალისწინებელია რეგიონის რელიგიური სპეციფიკა, ისლამური აღმსარებლობის მოსახლეობით დასახლებული სახელმწიფოს მოსაზღვრეობა.

გასაბჭოების შემდეგ საქართველოს მძიმე პერიოდი დაუდგა (ომისა და ოკუპაციის თანმდევი მოვლენები, რეპრესიები და ა. შ.). ქვეყანა მოექცა რუსული გავლენის სფეროში. საქართველოს ტერიტორიაზე დაკანონდა ავტონომიური წარმონაქმნები. კულაკური ოპერაციების (კულაკური ტროიკა), ნაციონალური ოპერაციებისა (დვოიკა და ნაციონალური ტროიკები) და სოციალური წმენდის მეშვეობით სხვადასხვა სოციალური და ეთნიკური ჯგუფის ათეულათასობით ადამიანი პოლიტიკურ რეპრესიებს დაექვემდებარა.

სადამსჯელო-პოლიტიკური ხასიათის ღონისძიებები გატარდა ავტონომიის სტატუსის მქონე აჭარაშიც. მოსკოვისა და ყარსის ხელშეკრულებებით ნახიჭევანი და ბათუმის ოლქი გადაეცა საბჭოთა მხარეს ავტონომიური სტატუსის მინიჭების პირობით. როგორც 1926 წლის, ასევე 1937 წლის აღწერის მასალებში აჭარლები ცალკე ეთნიკური ჯგუფის სახით არიან წარმოდგენილნი (1926 წელს - 71390, 1937 წელს კი 88127 (იუნგე, ბონვეჩი, მიულერი, 2015, გვ. 71). სისხლის სამართლის საქმეებიც ,,საქართველოს სსრ ტიტულოვანი ერი (ქართველები) და მეორე რანგის ტიტულოვანი ერების“ მიხედვით განიხილებოდა (იუნგე, ბონვეჩი, მიულერი, 2015, გვ. 22).

საგამოძიებო საქმეებში ხშირია ეროვნების გრაფაში ,,აჭარელის“ მითითება. ენისა და აზროვნების ინსტიტუტის, ანთროპოლოგიის ინსტიტუტის შრომებში აჭარლები ცალკე ეთნოსად იყო მოხსენიებული (სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ლ. ბერია არ ეთანხმებოდა აჭარლების არაქართველობის შესახებ არსებულ მოსაზრებებს, რასაც ადასტურები მისი წერილი სტალინისათვის (იხ. იუნგე, ბონვეჩი, მიულერი, 2015, გვ. 22). ნიშანდობლივია, რომ პროცენტული თვალსაზრისით აჭარიდან რეპრესირებულთა მაჩვენებლები სჭარბობდა საქართველოს სხვა კუთხეების ანალოგიურ მონაცემებს (იუნგე, ბონვეჩი, მიულერი, 2015, გვ. 73). ეს გარემოება გვავარაუდებინებს ოსმალთა 300 წლიან ბატონობითა და საზღვრისპირა რეგიონში ცხოვრებით განპირობებულ უნდობლობას აჭარის მოსახლეობის მიმართ. სწორედ ამ მოტივით მოხდა 1944 წელს განხორციელებული გადასახლებანი სამცხე-ჯავახეთიდან და ნაწილობრივ აჭარიდანაც. რელიგიური მოტივაციით საბჭოთა მთავრობა ცდილობდა საზღვრისპირა რეგიონებიდან ,,არასანდო ელემენტების“ თავიდან მოშორებას სხვადასხვა რესპუბლიკებში, უპირატესად შუა აზიაში მათი გასახლების გზით. ამას უნდა უზრუნველყო სსრკ-ის სამხრეთი საზღვრების უსაფრთხოება და თურქეთის იდეოლოგიური ზემოქმედების თავიდან აცილება.

აჭარლების მიმართ ხელისუფლების უნდობლობის პოლიტიკას რეალური საფუძველი არ გააჩნდა. რელიგიური ტრანსფორმაციის მიუხედავად აჭარის მოსახლეობამ შეინარჩუნა ქართული ყოფისა და კულტურის თავისებურებანი, რითაც იგი დაუპირისპირდა ისლამის მსოფლმხედველობაზე დაფუძნებულ ოსმალური ყაიდის

ცხოვრების წესს. ეს დადასტურდა შემდგომ პერიოდში განვითარებული მოვლენებითაც. მხედველობაში გვაქვს თანამედროვე პერიოდში რადიკალური ისლამის და უცხოური გავლენის გაძლიერების მცდელობის ფონზე პროგრესულად მოაზროვნე სასულიერო ლიდერების და სამოქალაქო საზოგადოების პოზიცია, რომლებიც გადაჭრით ეწინააღმდეგებიან ამ პროცესს. მუსლიმი მოსახლეობის გარკვეული ნაწილის მოთხოვნისა და ცალკეული უცხოური ორგანიზაციების ზეწოლის მიუხედავად საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი საკუთარი არგუმენტების მოშველიებით **გარე დაფინანსების** მეშვეობით ახალი მეჩეთის მშენებლობას კატეგორიულად ეწინააღდეგება. ეს დადასტურდა ამ საკითხთან დაკავშირებული ხელმოწერებით და ჩემს მიერ ჩატარებული ანონიმური გამოკითხვის შედეგებითაც.

თუმცა არც პრობლემის გაუბრალოება ივარგებს. ცალკეული პიროვნებები თუ ორგანიზაციები დღესაც ცდილობენ დაპირისპირების კერების გაჩენას, ქრისტიანი და მუსლიმი მოსახლეობის წაკიდებას, რელიგიური თემებით მანიპულირებას. ამ მიზნით აქტიურად გამოიყენება ეკონომიკური ბერკეტები. პრაქტიკულად სახეზეა რეგიონის ეკონომიკური ექსპანსიის მცდელობა, საეჭვო წყაროებიდან არაკონტროლირებადი ფინასნური შემოწირულობები, სასულიერო დაწესებულობების არაკონტროლირებადი მშენებლობები და ფუნქციონირება, მუსლიმ სასულიერო პირთა გარვეული ნაწილისადმი სისტემატიური ფინანსური უზრუნველყოფა და ა. შ. ჩვენ გვქონდა შეხვედრა რამოდენიმე მეჩეთის ხელმძღვანელ პირთან რომლებსაც არ დაუმალავთ მეზობელი სახელმწიფოს კონკრეტული მეჩეთისაგან დაფინანსების ფაქტები, თუმცა ოფიციალურ დონეზე მსგავსი ფაქტები არ ჟღერდება.

საიდუმლოებას არ წარმოადგენს ე.წ. პანსიონების სახელით შენიღბული რელიგიური სასწავლებლების ფუნქციონირება, გონიერი ახალგაზრდების თურქეთის სასულიერო სასწავლებლებში გადინება და ამ პროცესებისათვის ხელშეწყობა მათი სრული ფინანსური უზრუნველყოფით. აშკარაა ასეთი კატეგორიის ქართველი ახალგაზრდების სტამბოლისა და ანკარის უნივერსიტეტებში სწავლების ხელშეწყობის ტენდენციაც, რაც თავისთავად მნიშვნელოვანია და დადებითი მოვლენაა, პოლიტიკური ხასიათის ამოცანებს რომ არ ემსახურებოდეს. პრობლემა არის არა სწავლება, არამედ

მიზანი. მიზანი კი აშკარაა: თურქეთის საერო სასწავლებლებში განათლება მიღებული ახალგაზრდების რეგიონის საჯარო სამსახურებში დასაქმება და დაწინაურების ხელშეწობა შორსგამიზნული მიზანდასახულობით. გარკვეულ რისკებს შეიცავს უცხოელთა მასობრივმა მიგრირების, ბინადრობის უფლების მქონე უცხოელთა რაოდენობრივი ზრდის ტენდენცია, ადგილობრივ მოსახლეობასთან ქორწინების გახშირებული შემთხვევები და ამ გზით მათთვის და მათი შვილებისათვის საქართველოს მოქალაქეობის მიღების უზრუნველყოფა. საყოველთაოდაა ცნობილი, რომ დამხვდურ მოსახლეობასთან უცხოელი მუსლიმების ინტეგრაციის ხარისხი ძალზე დაბალია (მაგალითისათვის გერმანიის დასახელებაც კმარა (ონლაინ გამოცემა TRT, 2021, ასევე France24, 2021, ასევე, Schofield, BBC, 2021).

ეს კი დამატებითი რისკების შემცველ მოვლენად გვესახება. აღნიშნული პროცესები მომავალში გავლენას მოახდენს რეგიონის მოსახლეობის დემოგრაფიულ სტრუქტურაზე, რაც გვავარაუდებინებს მათ მიერ რეგიონში პოლიტიკური და სამართლებრივი ცვლილებების მცდელობებს.

თავი 2 - რელიგიური ფუნდამენტალიზმი და საქართველო

2.1 - რელიგიური ფუნდამენტალიზმის საფრთხის საკითხისათვის საქართველოში

ახლო აღმოსავლეთში განვითარებული პროცესების ფონზე საერთაშორისო საზოგადოებაში და მათ შორის საქართველოშიც ცალკეულ პოლიტიკოსთა, ექსპერტთა თუ მოსახლეობის ჯგუფების მხრიდან საუბარია რელიგიური ფუნდამენტალიზმის საფრთხეზე (საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრი GCSD, 2018, ასევე, ცომაია, 2018, ასევე კრიკორიანი, 2016). ამის დასამტკიცებლად ხშირად იშველიებენ ერაყსა და სირიაში მიმდინარე საომარ კამპანიაში თავიანთი მოქალაქეების მონაწილეობის ფაქტებს და ევროპაში განხორციელებულ ტერორისტულ აქტების სიხშირეს.

აშშ-დან, ევროპის, აზიისა და აფრიკის ქვეყნებიდან (მათ შორის საქართველოდანაც) მოქალაქეების სირიაში გადინება შესაძლოა მოსახლეობის მხრიდან იყოს განსჯის საგანი. დასახელებულ კონფლიქტებში - სირიაში, ისლამური სახელმწიფოს რიგებში წასულმა აქართველოს მოქალაქეების მცირე ნაწილმაც მიიღეს მონაწილეობა. ხომ არ არის ეს ფაქტი ისლამური ფუნდამენტალიზმით განპირობებული? სანამ ამ კითხვაზე გავცემდეთ პასუხს, მიზანშეწონილად მიგვაჩნია თავად ისლამური ფუნდამენტალიზმის შესახებ ვისაუბროთ.

მსოფლიოში ტრადიციული ისლამის სხვადასხვა განმარტება არსებობს. მისი შედარებით თანამედროვე გაგება მეტწილად ჩამოყალიბდა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ. პოლიტიკური ისლამის იმპორტის პრევენციის მიზნით რიგ სახელმწიფოებში, (მაგ. აზერბაიჯანში) ჩამოყალიბდა ტრადიციული ისლამის გაგება, რომლის მიხედვითაც იგი წარმოადგენს რელიგიური მიმდინარეობას, რომელსაც არა აქვს პოლიტიკური ნარატივები და არ ერევა სახელმწიფოს საქმიანობაში (Bedford, Mahmudlu & Abilov 2021). იგი მჭიდრო კავშირშია არსებულ ტრადიციულ-ყოფით ელემენტებთან და იცავს სახელმწიფოს გარე ძალების მხრიდან პოლიტიკური ისლამის ექსპორტის მცდელობებისაგან. ტრადიციული ისლამი სეკულარული მმართველობის სისტემის მხარდამჭერად გვევლინება (Bedford, Mahmudlu & Abilov 2021). ასეთ დროს სახელმწიფო და რელიგია მკაცრად გამიჯნულია ერთმანეთისაგან. რომელიმე რელიგია სახელმწიფოში არ სარგებლობს უპირატესობით, ხოლო სახელმწიფო არ ერევა რელიგიურ საკითხებში და პირიქით.

ისლამის თანამედროვე გაგება ადამიანის უფლებებთან მიმართებაში საკმაოდ ლოიალურია. ის, სეკულარული მმართველობის პრინციპების მსგავსად, პირდაპირ არ ქადაგებს სახელმწიფოს მართვას ისლამური ნორმების საფუძველზე. ქვეყანაში არსებული მმართველობითი სისტემა და კანონმდებლობა არ წარმოადგენს ისლამური სამართალზე, ანუ შარიათზე დაფუძნებულ სისტემას, თუმცა ისლამურ ქვეყნებში არც მისი როლის ნიველირება იქნებოდა სწორი (Delling, 2004, p. 31-34, as cited in Baderin, 2007, p. 31-40).

ტრადიციული ისლამისაგან განსხვავებით რელიგიური ფუნდამენტალიზმი გამორიცხავს სეკულარული სახელმწიფოს არსებობას (Saidi, 2008). ,,იგი ხშირად წარმოადგენს თანადროულ საზოგადოებაში მიმდინარე გლობალიზაციური და სეკულარიზაციული პროცესების რეაქციას“ (Saidi, 2008). ფუნდამენტალიზმის პრინციპების მომხრეთა გაგებით სახელმწიფო წყობა დაფუძნებული უნდა იყოს ისლამურ სამართალზე. ფუნდამენტალისტური ისლამი ქადაგებს მუჰამადის პერიოდში არსებული ცხოვრების წესის დანერგვას (ალკოჰოლური სასმელების, გართობის, სიმღერის აკრძალვა, უმკაცრესი სასჯელი დანაშაულებზე, საერო ცხოვრებაში ქალთა უფლებების შეზღუდვა და ა. შ.), ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის განმსაზვრელად ისლამის აღიარებას.

ისლამური იდეოლოგია თანამედროვე ეტაპზე საერთო ისლამური სახელმწიფოს შექმნასაც გულისხმობს, რაც თავის თავში მოიაზრებს გეოგრაფიული, პოლიტიკური, ეკონომიკური, ენერგეტიკული ინტერესების გატარებას.

ფუნდამენტალისტური ისლამის აღორძინების გეოპოლიტიკურ ბიძგად ითვლება ირანის 1979 წლის ისლამური რევოლუცია. ქვეყნის მმართველობა დაეფუძნა ისლამურ კანონებს. ისლამური წესრიგის დასაცავად შეიქმნა ე.წ. ,,ირანის რევოლუციის გუშაგთა კორპუსი“. უმაღლეს ხელისუფლად განისაზღვრა უმაღლესი სულიერი ლიდერი აიათოლა ჰომეინი. ნებისმიერი სამთავრობო ცვლილება დღესაც კი მასთან თანხმდება.

ტრადიციული ისლამი სხვა რელიგიების მსგავსად ტოლერანტულია. იგი სხვების რელიგიური აღმსარებლობის პატივიცსცემას გულისხმობს, მაშინ როცა ფუნდამენტალური ისლამის შემთხვევაში ისლამურ ქვეყანაში მცხოვრები მოქალაქე ისლამური ცხოვრების წესებით უნდა ცხოვრობდეს. ფუნდამენტალურ ისლამს ასევე

უკავშირებენ ისეთ რადიკალურ რელიგიურ მიმდინარეობას, როგორიც ტაკფირიზმია. ტაკფირიზმის პოპულარიზაცია თანამედროვე ეტაპზე საიდ ქუთბის, იბნ ტაიმიიასა და იბნ კათირის მოძღვრებასთანაა დაკავშირებული. ტაკფირიზმი ,,ჭეშმარიტ მუსლიმებს" უფლებას აძლევს სხვა მუსლიმი გამოაცხადოს ,,ქააფირად" / ურწმუნოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ჩაიდენს ტაკფირს ანუ ქცევას, რომელიც მიუღებელია ისლამისათვის. ტაკფირიზმი ერთგვარ ლეგიტიმაციას აძლევს ,,ჭეშმარიტი მუსლიმის" ქმედებებს, რომელიც მიმართულია ურწმუნოების, განდგომილების წინააღმდეგ, იქნება ეს ჩადენილი საკუთრივ მუსლიმ საზოგადოებაში -,,უმმაში" თუ სხვა რელიგიურ ან სამოქალაქო ჯგუფებში. აღნიშნული ფაქტორი განასხვავებს ტაკფირიზმს, როგორც კონსერვატიული ისლამური, ასევე სხვა ტრადიციული სალაფიტური ისლამური მიმდინარეობებისაგან. იგი წარმოადგენს სალაფიზმის უკიდურეს რადიკალურ მოძღვრებას, მაშინ, როდესაც სალაფიზმის სხვა მიმდინარეობები ეწინააღმდეგებიან ძალადობრივი ქმედებების განხორციელებას უშუალოდ მუსლიმურ საზოგადოებაში. ძალადობრივ ქმედებების განხორციელების დროს ტაკფირიზმი ერთმანეთისაგან არ განასხვავებს ხელისუფლებას, რეჟიმს და უბრალო მოქალაქეებს (Podeh, 2013). იგი ჭეშმარიტ მუსლიმს პატიობს ძალადობრივ აქტს და ამდაგვარ ქმედებას ლეგიტიმურად თვლის რელიგიური და პოლიტიკური მიზნების მიღწევისათვის. ტაკფირიზმი თანამედროვე ეტაპზე საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების გარკვეული ნაწილის იდოლოგიური ბაზისიცაა (Olivet, 2002, p. 45).

ტრადიციულ და ფუნდამენტალურ ისლამს გააჩნია საერთო მახასიათებელიც. ესაა რელიგიის ყოველგვარ სახელმწიფოებრივ წარმონაქმნზე მაღლა დგომის იდეა. შესაბამისად რელიგიური ფასეულობები უფრო მაღალი ღირებულების მატარებელია, ვიდრე სახელმწიფოში არსებული ცხოვრების საერო წესი, ტრადიციები და არსებული მმართველობითი სისტემა. სწორედ ეს ფაქტორი ქმნის რელიგიის პოლიტიკური ან/და სხვა მიზნით გამოყენების შესაძლებლობას (ჩიქოვანი, 2012, გვ. 45).

არსებობს მოსაზრება, რომ საქართველოში, მათ შორის აჭარაში მუსლიმურ თემს დღეისათვის არა აქვს საკმარისი ადამიანური, ფინანსური რესურსი ქართულ პოლიტიკურ სივრცეში სრულფასოვან პოლიტიკურ ძალად წარმოჩენისათვის, მაგრამ

ისლამური იდეოლოგიის ირგვლივ მუსლიმი საზოგადოების კონსოლიდაცია, პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლა მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მუსლიმთა უფლებების დაცვას და დემოკრატიული პროცესების გაჯანსაღებას (ფუტკარაძე, ინტერვიუ ქართველ მუსლიმთა კავშირის წარმომადგენელთან. 2017 წლის 12 სექტემბერი, ბათუმი). რა გარემოებები და მიზანშეწონილობა განაპირობებს მსგავსი მასტიმულირებელი განწყობების შექმნას?

ტერორისტული ორგანიზაციების სულიერო/საერო ხელმძღვანელები რელიგიას განიხილავენ, როგორც პოლიტიკური გავლენის გაფართოვების შესაძლებლობას და სახელმწიფო მმართველობის ალტერნატიულ მოდელს. ტერორისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელთა და მათ მიმდევართა აზრით ტერიტორიების გაფართოება უნდა დაეფუძნოს ისლამური იდეოლოგიის გავრცელებას, ხოლო მმართველობის სისტემა აგებული უნდა იყოს ისლამური პრინციპების საფუძველზე. ტერორისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელებისათვის მიუღებელია ამ გზაზე ყოველგვარი კომპრომისი. რა თქმა უნდა, მსგავსი ნარატივი ყოვლად მიუღებელია მორწმუნე მოსლიმისათვის. "ჰეზბოლას" სულიერი წინამძღვრის სიტყვით, ისლამისტები ისლამური სივრცის გაფართოებას ნებისმიერი საშუალებით შეეცდებიან (ჩიქოვანი, 2012, გვ. 45). ირანული ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი უარყოფდა ზომიერი ფუნდამენტალისტების არსებობას, რომლებსაც იგი აიგივებდა ზომიერ ნაცისტებთან (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საგარეო პოლიტიკის კვლევისა და ანალიზის ცენტრის ბიულეტენი, N 4, 1998, გვ. 3).

რეგიონში ფუნდამენტალური ისლამის პოზიციების გაძლიერებაზე საუბარი ექსპერტთა თუ პოლიტიკოსთა მხრიდან დაიწყო გასული საუკუნის 90 - იან წლებში. მაშინ კავკასიაში გააქტიურებული იყო სომარი კონფლიქტები. აფხაზეთის კონფლიქტში მონაწილეობდნენ ჩრდილო კავკასიელები, სხვადასხვა მუსლიმური აღმსარებლობის ქვეყნების (სირია, საუდის არაბეთი, თურქეთი) წარმომადგენლები (ჭაღიტაშვილი, 2009, გვ. 47-52). ეს ფაქტი აფხაზთა გარკვეული ნაწილის ქრისტიანობის მიუხედავად (აფხაზეთის დე-ფაქტო მთავრობის მიერ 2011 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით აფხაზი მოსახლეობის 16 პროცენტი ისლამური აღმსარებლობისაა (usembassy, 2017, p. 3) იძლეოდა კონფლიქტის რელიგიურ ჭრილში განხილვის საფუძველს ცალკეული პოლიტიკურ ჯგუფების თუ გარე ძალების მიერ. მით უმეტეს, რომ იმ დროს რეგიონში მომრავლდნენ ისლამური ემისრები. სირიის სპეცსამსახურების ოფიცრების მიერ აფხაზეთის კონფლიქტის მიმდინარეობისას ჩამოყალიბდა ისლამისტური ჯგუფები, რომელთა მიზანს ერთის მხრივ რადიკალური რელიგიური იდეების გავრცელება იყო, მეორეს მხრივ კი ეთნიკური ქართველი ქრისტიანების მკვლელობები (ამ ჯგუფში შედიოდა სამი ადამიანი. მათგან ორი უშუალოდ სირიის სპეცსამსახურის კადრის ოფიცერი იყო, მესამეს სირიის სამხედრო ძალებში სათანადო სამხედრო-დივერსიული მომზადება ჰქონდა გავლილი. მათი აფხაზეთში ტრანსპორტირება უშუალოდ რუსების ხელშეწყობით მოხდა (ჭაღიტაშვილი, 2009, გვ. 100-103). მკვლევარი ნინო ჩიქოვანი რეგიონში არსებულ კონფლიქტებს ეთნიკურ იდენტიფიკაციასთან დაკავშირებულ საკითხებს უკავშირებს, ხოლო რელიგიას განიხილავს, როგორც ეთნიკურობის განმსაზღვრელ და მოსახლეობის განწყობების სტიმულირების ხელშემწყობ ფაქტორს (ჩიქოვანი, 2012, გვ. 47). საზღვარგარეთის სამეცნიერო ლიტერატურაში კავკასიის კონფლიქტები მძიმე საბჭოთა მემკვიდრეობასა და მისი რღვევის შედეგად შემქნილი ვითარების შედეგებთანაა დაკავშირებული, რომელშიც რელიგია კონფლიქტის წარმოშობის არაძირითად, მაგრამ ერთ-ერთ ფაქტორად არის განხილული (Bertsch, 2000, p. 8), თუმცა ეს არ გამორიცხავს აქტორების მიერ რელიგიის ან ეთნიკურობის ინსტრუმენტებად გამოყენებას საკუთარი ინტერესების რეალიზებისათვის. ეს მოსაზრება სრულად ესადაგება საქართველოში განვითარებულ მოვლენებს. ბოლო ოცწლეულში

შეცვლილმა გეოპოლიტიკურმა, ეკონომიკურმა, პოლიტიკურმა სიტუაციამ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოში რელიგიის როლისა და მნიშვნელობის ზრდის შესაძლებლობა რეალობად აქცია. სახეზეა ისლამის პოლიტიზირების მცდელობები. ასევე საფრთხის მატარებელია ისლამური ხალიფატის განცხადება აჭარის გაერთიანებული ისლამური სახალიფოს საზღვრებში მოქცევის შესახებ. მიუხედავად ამისა, აჭარაში ისლამური ფუნდამენტალიზმის საფრთხეზე საუბარი მართებულად არ მიგვაჩნია. აღნიშნული დასკვნის გაკეთების საშუალებას გვაძლევს აჭარის მაცხოვრებელთა საზოგადოებრივი ცნობიერებიის მაღალი დონე, რელიგიურ-სამართლებრივ ნორმებზე დაფუძნებული მმართველობითი სისტემისა და სამართლებრივი ბაზის არარსებობა, რეგიონში მცხოვრები რელიგიური თემების ერთმანეთთან ინტეგრაციის მაღალი ხარისხი. ამასთან, ერთეული შემთხვევების გარდა რეგიონში ადგილი არ ჰქონია რელიგიური ექსტრემიზმს გამოვლინებებს. ყოველივე ეს გამორიცხავს რეგიონში ისლამური ფუნდამენტალიზმის არსებობას, თუმცა აუცილებლად მიგვაჩნია ყურადღების გამახვილება მასტიმულირებელ ინდიკატორებზე (რადიკალურ-ექსტრემისტული იდეების პროპაგანდირება) იმ ორგანიზაციათა და ქვეყანათა იდენტიფიცირებისათვის, ვის სტრატეგიულ ინტერესებშიც შედის რელიგიური და ნაციონალური საფუძველით განპირობებული საგარეო პოლიტიკური კურსის გატარება. აჭარა - ქრისტიანულ და ისლამურ კულტურათა, ცივილიზაციათა შეხვედრისა კონტაქტის გზაჯვარედინია. სწორედ კულტურათა კონტაქტების დროს შეიძლება წარმოიშვას გეოპოლიტიკურ პროცესებთან დაკავშირებული პრობლემები. მეცნიერთა ყურადღების ცენტრში ექცევა საზღვრული (ზღვრული) პროცესები ცივილიზაციებს, ხალხებს, ქვეყნებს შორის. იქმნება მაღალი სასაზღვრო ენერგეტიკის მატარებელი კომუნიკაციური სივრცის არეალი (ჩიქოვანი, 2012, გვ. 50). საბჭოთა პერიოდში მეცნიერება, კულტურა, იდეოლოგია, საზოგადოება მკაცრი კონტროლის ქვეშ იყო, მაგრამ აჭარაში არ დაფიქსირებულა კულტურათა კონფრონტაციის, ერთი კულტურის (იდეოლოგიის) მიერ მეორე კულტურის სრული უარყოფასა და იგნონირების მაგალითები. თუმცა კულტურათა კონფრონაციის ცალკეული მაგალითები თანამედროვე საქართველოში გვხვდება (გილერტი, კელა, გუედესი, რაიკოვა, ჰაშინგერი, ტეილორი, 2000). ცალკეულ

შემთხვევებში შეინიშნება ქრისტიანული და მუსლიმური თემის კონკრეტული წარმომადგენლების ერთმანეთთან გაუცხოება და მიუღებლობა. მათი რაოდენობა ბევრი არაა, თუმცა ნამდვილად იმსახურებს ყურადღების გამახვილებას. დამოუკიდებლობის პირველ ხანებში მსგავსი ტენდენცია არ შეინიშნებოდა, თუმცა ამჟამინდელი მდგომარეობით გამოიკვეთა რელიგიური საკითხების წინ წამოწევისა და საზოგადოების გრძნობებზე მანიპულირების მცდელობები. ჩნდება კითხვები: ხელოვნურად ხომ არ ხორციელდება რელიგიური საკითხების გააქტიურება, ქრისტიან და მუსლიმ ქართველებს შორის რელიგიური მიუღებლობის ტენდენციის წახალისება? ხომ არ შედის იგი გარე თუ შიდა ძალების სტრატეგიულ, პოლიტიკურ ინტერესებში?! რა სტატეგიული ინტერესების გატარებას ემსახურება იგი? დასახელებული კითხვები პირდაპირ კავშირშია ზემოთ მოყვანილ მსჯელობასთან. ამ კითხვებზე პასუხის გაცემა ხელოვნურად სტიმულირებული დაპირისპირების დროული პრევენციის შესაძლებლობაა. კითხვაზე პასუხის გაცემით უზრუნველყოფილი იქნება ქვეყნის სტრატეგიული ინტერესის დაცვა. აჭარაში არსებული მსგავსი განწყობის ცალკეული გამოვლინებები განპირობებულია არა რელიგიური საფუძვლის არსებობით, არამედ რთული სოციალურ-ეკონომიკური პირობებით. მძიმე სოციალური ყოფა არის ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორი რამაც განაპირობა აჭარიდან ახალგაზრდების მცირე ჯგუფის სირიის კონფლიქტში მონაწილეობა, მედრესეებში, საქართველოსა და უცხოეთში არსებულ რელიგიურ სასწავლებლებში სწავლება. აჭარაში არ დგას მუსლიმი მოსახლეობის ზოგად ქართულ სივრცეში ინტეგრაციის პრობლემა. აჭარის მოსახლეობა, როგორც ქართული ეთნოსის ნაწილი ეროვნული წეს-ჩვეულებების, ტრადიციების საფუძველზე ცხოვრობენ. ამიტომაც არ შეიძლება აქ ისლამური ფუნდამენტალიზმის არსებობაზე საუბარი. ამ საკითხის წამოწევა ცალკეული ქვეყნებისა და ჯგუფების პოლიტიკური, ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ინტერესების გატარებას ემსახურება. კონფლიქტის ესკალაციის პერიოდში რელიგიური საკითხები არ არის ყველაზე მნიშვნელოვანი. რელიგიური ჯგუფები მაშინ აქტიურდებიან, როდესაც უარესდება მათი სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა (Senghaas, 2002, p. 74). როგორც ითქვა, რელიგიის პოლიტიზირებას და რადიკალური შეხედულებების გაღვივებას ხელს უწყობს მძიმე სოციალური

მდგომარეობა. კონკრეტული მაგალითები აჭარაში არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც რეგიონის მუსლიმური თემის პოზიცია. საფუძველს მოკლებულია მდგომარეობის კოლექტიურ პრობლემად წარმოჩენა. შესაბამისად, აჭარაში ამ ეტაპზე არ არსებობს ისლამური ფუნდამენტალიზმის საფრთხე. თუმცა აშკარადაა რელიგიის პოლიტიზირების მცდელობა.

მართლმადიდებლური გეოპოლიტიკის ძირითად პოლიტიკურ ცენტრად მოსკოვი გევლინება. საბჭოთა კავშირის რღვევის შედეგად დაკარგული პოლიტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების გავლენის სფეროს აღდგენისათვის მოსკოვი იდეოლოგიურ იარაღად მართლმადიდებლური რელიგიას იყენებს. რუსეთის ხელისუფლებას ეკონომიკური გაძლიერებისა და ეკონომიკის გაჯანსაღების ნაცვლად მთავარი აქცენტი გადატანილი აქვს პოსსაბჭოთა რესპუბლიკებში თავისი გავლენის სფეროების აღდგენაზე, რასაც დუგინი ,,გეოპოლიტიკურ აფსურდს“ უწოდებ (Дугин, 1999, С. 213). იგი საქართველოში არსებულ ანტირუსულ განწყობებზე ამახვილებს ყურადღებას და მიზანშეწონილად მიიჩნევს რელიგიური გრძნობების სტიმურილებით გეოპოლიტიკური მიზნების მიღწევის აუცილებლობას, კერძოდ ევრაზიულ კავშირში საქართველოს გაწევრიანებას (Дугин, 1999, С. 213).

აღნიშნულიდან გამომდინარე საქართველოს საგარეო და საშინაო პოლიტიკური კურსის განსაზღვრისას აუცილებლად უნდა იყოს გათვალისწინებული რელიგიური ფაქტორი. გეოპოლიტიკურ ჭრილში მართლმადიდებლობის განხილვა ევროკავშირში პოლიტკოსთა მსჯელობის საგნადაც იქცა. დაისვა საკითხი: რამდენადაა შესაძლებელი მართლმამდიდებული ქვეყნების ევროკავშირში გაწევრიანების შემთხვევაში რუსული გავლენის გაფართოება. სწორედ ამ საკითხს ეძღვნება პოლ გობლის სტატია ,,მართლმადიდებლური ევროკავშირი“. აღნიშნული სტატიის მოშველიებით თსუ-ს პროფესორი მალხაზ მაცაბერიძე მიიჩნევს, რომ ევროკავშირში მართლმამდიდებლური ქვეყნების რაოდენობის ზრდა რუსეთს დაეხმარება რელიგიური საკითხების გადაჭრაში, პოლიტიკური ინტერესების გატარებასა და გავლენის გაფართოებაში (მაცაბერიძე, 2003, გვ. 6). მართლმადიდებლობა არ განსაზღვრავს რუსულ იდენტობას. აღნიშნულის შესახებ საგანგებო ყურადღებაა გამახვილებული ზემოთდასახელებულ სტატიაში (Goble, 2019, p.

126). ავტორი აანალიზებს რუსულ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ შეხედულებებს. მისი აზრით, რუსეთმა შეიძლება გამოიყენოს რელიგია გეოპოლიტიკური მიზნებისათვის საკუთრივ რუსეთში და მის მეზობელ მართლმადიდებლურ ქვეყნებში. რელიგია არაა საგარეო პოლიტიკის ძირითადი განმსაზღვრელი ფაქტორი, მაგრამ არის გეოპოლიტიკური ინტერესების გატარების ინსტუმენტი. მეზობელ სახელმწიფოებში რუსეთის გრძელვადიან ხედვას განსაზღვრავს არა რელიგია, არამედ მისი ისტორია და ტერიტორიები. რუსული პატრიოტიზმის, იდენტობის ფორმირებაში უფრო დიდი როლი აქვს ისტორიულ თარიღებს, ვიდრე საკუთრივ რელიგიას (Goble, 2019), თუმცა მართლმადიდებლობა ოდითგანვე იყო რუსეთის განსაკუთრებული ინტერესის სფერო. ცარიზმის პერიოდში ე.წ. ,,ოხრანკა“ (საიდუმლო პოლიცია) უთვალთვალებდა და სწავლობა იმპერიაში მოქმედ ყველა რელიგიური მიმდინარეობას. საბჭოთა პერიოდის ბოლო წლებში საკავშირო სახელმწიფო უსაფრთხოების კომიტეტმა შექმნა და დააფინანსა მართლმადიდებლური, ნაციონალისტური ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიები. თანამედროვე ეტაპზე ქრისტიანულ-ნაციონალისტური ძალების მომძლავრება რუსეთში ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი პირების/ პარტიების განეიტრალებას ემსახურება. საგარეო პოლიტიკური კურსის განხორციელების საქმეში რუსეთის სპეცსამსახურები იყენებენ ე.წ. ,,ქრისტიანული მართლმადიდებლობის - ჯიჰადის“ ექსპორტს მეზობელ ქვეყნებში (Goble, 2017, p. 14).

ამრიგად, საქართველოში და მის ერთ-ერთ რეგიონში - აჭარაში ფუნდამენტალიზმის საფრთხის შესახებ საუბარი გადაჭარბებულია და უსაფუძვლო, თუმცა ქრისტიანული და და ისლამური თემის წარმომადგენელთა უმნიშვნელო ნაწილში შეინიშნება რადიკალური და ნაციონალური შეხედულებები და დაპირისპირებების ხელოვნურად გაღვივების მცდელობა. დაინტერესებული მხარის ხელში რელიგია წარმოადგენს პოლიტიკურ, ეკონომიკურ, კულტურულ თუ სხვა სფეროებზე ზეგავლენის შესაძლობლობას.

2.2 რადიკალიზაციის საკითხები აჭარაში (1992-2020 წწ.)

1991 წელს, საბჭოთა კავშირის რღვევას მსოფლიოსა და კავკასიის რეგიონში სერიოზული გეოპოლიტიკური ძვრები მოჰყვა. დაიშალა არსებული ბიპოლარული მსოფლიო უსაფრთხოების არქიტექტურა, რასაც ცალკეულ რეგიონებში ავტომატურად მოჰყვა ეთნიკური, რელიგიური, რეგიონალური თუ ლოკალური მასშტაბის კონფლიქტის კერების წარმოშობა. საბჭოთა კავშირის, როგორც სამართლებრივი სუბიექტის გაქრობამ, მოუღო ბოლო კომუნისტური იდეოლოგიის არსებობას, გაათავისულა უზარმაზარი იდეოლოგიური სივრცე, რომელიც პოსტ-საბჭოთა ქვეყნებს თავიანთი ეროვნული იდეოლოგიური სისტემით უნდა ჩაენაცვლებინათ. მსოფლიო წესრიგის რღვევამ საერთაშორისო არენაზე ახალი სახელმწიფოები წარმოშვა. ისინი საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესების გატარებას უკვე პოს-საბჭოთა პერიოდში ცდილობდნენ. დიდი სახელმწიფოების ინტერესები ხშირ შემთხვევაში თანხვედრაში არ მოდიოდა პატარა ქვეყნების საშინაო და საგარეო ვექტორებთან, შესაბამისად კავკასიასა და რეგიონში არსებულმა პროცესებმა შეუქცევადი ხასიათი მიიღო და მნიშვნელოვან პრობლემად იქცა. ამ თვალსაზრისით, ერთ-ერთ საკითხს, მრავალ სხვა პგამოწვევას შორის, რეგიონში ისლამური ფუნდამენტალიზმისა და რადიკალიზაციის პრობლემა წარმოადგენს. პოსსაბჭოთა სივრცეში იდეოლოგიური სივრცის ღიაობამ აქამდე არნახული შესაძლებობა მისცა მუსლიმურ თუ ქრისტიანულ იდეოლოგიებს. ცალკეულ სახელმწიფოთა მცდელობებმა - ისლამური იდეოლოგიური ექსპანსიის გამოყენებით - მოეპოვებინათ კონტროლი საქართველოზე, არაბული გაზაფხულის გაღვივებამ და სირიასა და ერაყში არსებულმა პროცესებმა, საქართველოს ცალკეულ რეგიონებში ხელი შეუწყეს რელიგიურ და პოლიტიკურ ნიადაგზე მოსახლეობის რადიკალიზების ნიშნების გაჩენას. საზოგადოების ცალკეულ სეგმენტებში გამოიკვეთა რადიკალური შეხედულებების არსებობა. იგი გამოიხატა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური წეს-ყობილებისადმი მკვეთრად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულებით, რაც განპირობებული იყო რელიგიური, ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მოტივებით. ეთნიკურად ქართველი მუსლიმების მცირე ნაწილში შესაძლებელი გახდა რელიგიური საფუძვლით განპირობებული რადიკალური შეხედულებების გაჩენა,

სამიზნე ჯგუფში ექსტრემისტული იდეების გაღვივება. უფრო მეტიც, უზრუნველყოფილი იქნა მათი მცირე ნაწილის სირიასა და ერაყში გამგზავრება და საომარ მოქმედებებში მონაწილეობა.

რა ფაქტორებმა განაპირობა საქართველოში, კერძოდ კი აჭარასა და საქართველოს მუსლიმი მოქალაქეებით დასახლებულ ტერიტორიებზე რადიკალური და პოლიტიკური ისლამის იდეოლოგიის ექსპორტი? რამდენად შეძლო რადიკალურმა და პოლიტიკურმა ისლამმა საბჭოური იდეოლოგიური ვაკუუმის შევსება? რა შესაძლო ნაბიჯები უნდა იქნას გადადგმული პოლიტიკური ისლამის იდეოლოგიის ექსპორტის შესაჩერებლად?

რადიკალიზაციის ზუსტი განმარტება დღემდე არ არსებობს, თუმცა ყველა თანხმდება რომ, იგი არის გარკვეული გრძნობების, შეხედულებების, რწმენის გამოძახილი, რომელიც დროის გარკეულ პერიოდში იძენს რადიკალურ, ძალადობრივ მეთოდებს და ემსახურება პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ მიზნებს. ე.ი. რადიკალიზაცია, როგორც ზოგადად კონფლიქტისთვის დამახასიათებელი ნიშანდობლივი მოვლენა არის პროცესი, რომლის დროსაც ადამიანი კრიტიკულად განეწყობა არსებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის მიმართ და მზად არის გამოიყენოს ძალადობრივი მეთოდები მის შესაცვლელად. მაკეული და მოსკალენკო რადიკალიზაციას განიხილავენ, როგორც ღირებულებებისა და შეხდულებების განვითარების შესაძლობლობას, რომლის გაზიარების შემთხვევაში ადამიანი მზად არის დახმარება გაუწიოს ცალკეულ ჯგუფს ან თავად იყოს კონფლიქტის წარმოშობის ინსპირატორი.

რადიკალილიზაცია თავის მხრივ არ ნიშნავს არსებული სოციალურ-პოლიტიკური სისტემის აუცილებლად ძალადობრივი გზით შეცვლის აუცილებლობას. ის ითვალისწინებს ბრძოლის ლეგალურ გზებსაც. სწორედ ეს ფაქტორი განაპირობებს განსხვავებას რადიკალიზაციასა და აქტივიზმს შორის. რადიკალიზაცია ღირებულებებისა და შეხდულებების განვითარების უნარია, როცა შესაძლებელია კონფლიქტის ინსპირირება. აქტივიზმი კი ითვალისწინებს არსებული პოლიტიკური სისტემის მხოლოდ სამართლებრივი გზით შეცვლის აუცილებლობას.

რადიკალიზაციაში მნიშვნელოვანია არსებული ფაქტორები, ცხოვრების წესი, ადათობრივი სამართალი. ხშირად რადიკალიზაციას შეცდომით ტერორიზთან

აიგივებენ. ბოგნარის მტკიცებით, შესაძლებელია რადიკალთა გარკვეულ ნაწილს ახასიათებდეს ტერორისტის ფსიქოლოგიურ შტრიხები, თუმცა ეს არ იძლევა რადიკალიზმის ტერორიზმთან პირდაპირ დაკავშირების საფუძველს (Bruce, 2007).

სამეცნიერო ლიტერატურაში პიროვნების რადიკალიზმის სამ მახასიათებელს გამოყოფენ: რაციონალურ-ფსიქოლოგიური, ფსიქოლოგიურ-პათოლოგიური და სოციალურ-ეკონომიკური (Dalgaard-Nielsen, 2008, p. 11). შესაძლებელია გარკვეული ჯგუფის დემონიზირება საზოგადოების მხრიდან, რაც ზეგავლენის ჯგუფში რადიკალური შეხედულებების გაღვივების ხელშემწყობ ფაქტორად განიხილება. სათანადო ზეგავლენის შემთხვევაში შესაძლებელია მან ექსტრემიზმის სახე მიიღოს.

რადიკალიზაციის პრობლემებთან დაკავშირებით გარკვეულ ინტერესს იწვევს საქართველოში მცხოვრები ვაინახური წარმოშობის ქისტების, აზერბაიჯანელების და ქართველების (აჭარა) მუსლიმური თემი. საგულისხმოა, რომ ქისტებსა და მუსლიმ ქართველებს არა აქვთ ქართულ საზოგადოებაში ინტეგრაციის პრობლემა *(ქისტები სრულყოფილად ფლობენ ქართული ენას, წეს-ჩვეულებებს, სრულყოფილად არიან ადაპტირებული ქართულ საზოგადოებასთან), რასაც ვერ ვიტყვით* აზერბაიჯანელების შესახებ. ეს თავისებურება აზერბაიჯანთან სასაზღვრო სიახლოვითა და რეგიონში ქართული სახელმწიფოს ნაკლები ჩართულობითაა განპირობებული. საყურადღებოა კიდევ ერთი გარემოება: სირიაში მიმდინარე საომარ კონფლიქტში უპირატესად ინტეგრაციის მაღალი ხარისხით გამორჩეული ქისტებისა და მუსლიმი ქართველების (აჭარა) თემებიდან იღებდნენ მონაწილეობას. აზერბაიჯანული თემის წარმომადგენლების მცირე ნაწილიც იღება სირიაში საომარ მოქმედებებში მონაწილეობას, თუმცა ზოგადად აზერბაიჯანულ თემთან მიმართებაში ეს საკითხი ნაკლები სიმწვავით ხასიათდებოდა (გობრონიძე, ვალიევი, 2018, გვ. 18).

პიროვნების რადიკალიზაციის მნიშვნელოვანი გარემოება საკუთარ იდენტობასთან დაკავშირებული პრობლემებია (Neumann, 2008). ადამიანი საკუთარი თავის რეალიზებისათვის ეძებს ჯგუფს, გარემოს, იდეოლოგიას. ეს შეხედულება ნაკლებად ესადაგება ეთნიკურად ქისტი მებრძოლების სირიის კონფლიქტში მონაწილეობას და მის გამომწვევ მიზეზებს. საქართველოს მთიანეთთან (სვანეთი, ხევსურეთი, მთიალეთი,

ფშავი) და ჩრდილოეთ კავკასიის ხალხებთან კულტურულ - ისტორიული სიახლოვე ამ თვალსაზრისით გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია (იხ. Neumann, 2008). განსხავებული სიტუაციაა აჭარის მუსლიმური თემის შემთხვევაში. ისტორიულად, ქართველობა და მართლმადიდებლობა იდენტური შინაარსის შემცველ ცნებებად ჩამოყალიბდა. ამიტომ არამართლმადიდებელი თუ სრულად არა, საზოგადოების გარკვეულ ნაწილში მაინც არ მიიჩნეოდა სრულყოფილ ქართველად. ეთნიკური ქართველები - აჭარლები რელიგიური განსხვავებულობის მიუხედავად სრულად არიან ინტეგრირებულნი დანარჩენ ქართულ მოსახლეობათან, თუმცა ქვეცნობიერად საქართველოს სხვა რელიგიური აღმსარებლობის მოქალაქეების მცირე ნაწილში შესაძლოა სრულყოფილ ქართველებად არ იქნენ მიჩნეული. ამ სიტუაციას ეფექტურად იყენებენ გარე ძალები. მუსლიმური სასწავლებლების გახსნითა და დაფინანსებით, კულტურული და ეკონომიკური პროექტების განხორციელებით და სხვა ბერკეტების გამოყენებით ცდილობენ რელიგიური შუღლის გაღვივებას, ქართველი მუსლიმების დანარჩენი ქართველებისაგან განსხვავებულობის გრძნობების დათესვას. ადგილი აქვს მუსლიმი თემის მიზანმიმართული დემონიზირების მცდელობებსაც. ეს და ზოგიერთი სხვა ფაქტორი ქრისტიანი და მუსლიმი ჯგუფების რადიკალიზაციის მნიშვნელოვან გარემოებად უნდა იქნას განხილული.

რადკალიზაციის პრობლემატიკასთან უშუალო კავშირშია ე.წ. სოციალური ჯგუფების თეორია, რომელიც გულისხმობს პიროვნების ჩართულობის, სწავლების, ძალადობრივ ღონისძიებებში მონაწილეობის მიღების სისტემურ პროცესს. აქ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ მეგობრები, ნათესავები, ახლობელი ადამიანები, რელიგიური ჯგუფები, არაფორმალური შეხვედრები და საგანმანათლლებლო, რელიგიური დაწესებულებები (Maskaliūnaitė, 2015). საკვლევ რეგიონში პოსტსაბჭოთა ეპოქის პირველი წლებიდანვე მომრავლდა უკონტროლოდ გახსნილი არაოფიციალური რელიგიური თუ საერო სასწავლებლები, რომლებშიც სისტემატური ხასიათი მიიღო არაფორმალურმა შეხვედრებმა. საგანმანათლებლო პროცესი არ ეფუძნება საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ დადგენილი წესებს, რაც სხვადასხვა ხასიათის ეჭვების საფუძველს იძლევა.

ანალოგიური ხასიათის პრობლემებმა იჩინა თავი აჭარიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონში განსახლებულ მოსახლეობაშიც. მე-19 ს. 80-იანი წლებიდან, უფრო აქტიურად კი მე-20 საუკუნის შუახანებიდან იწყება მთიანი აჭარიდან ზღვისპირეთსა და ქვეყნის სხვა რეგიონებში ჭარბი მოსახლეობის მიგრაცია. საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაწესებული აკრძალვების მიუხედავად აჭარლებით დასახლებულ გურიის ზოგიერთ სოფელში, კერძოდ ზოტსა და ჩხაკაურაში ფარულად ფუნქციონირებდა მეჩეთები (ბარამიძე, 2014, გვ. 12), თუმცა იმდროინდელი პოლიტიკური სისტემის გათვალისწინებით მათ რაიმე მნიშვნელოვანი ფუნქციის შესრულება არ შეეძლოთ. საბჭოთა სისტემის დემონტაჟის შემდეგ მოსახლეობა მიუბრუნდა რელიგიას. ეს განსაკუთრებით თვალში საცემი გახდა აჭარაში და აჭარიდან საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში განსახლებულ მოსახლეობაში. გამოიკვეთა უცხო ქვეყნებისა თუ ცალკეული ორგანიზაციების ინტერესები მუსულმებით დასახლებული ტერიტორიების მიმართ. გაჩნდა რადიკალიზაციის საფრთხეები (ფუტკარაძე, 2019, გვ. 393).

რელიგიური გრძნობების სენსიტიურობისა და მნიშვნელობიდან გამომდინარე, იგი თავიდანვე დაექვემდებარე საბჭოთა სპეცსამსახურების აქტიურ შესწავლასა და კონტროლს. კონტროლზე იქნა აყვანილი რელიგიურ საკითხებზე მომუშავე პირები თუ ორგანიზაციები, მაქსიმალურად შეიზღუდა მათი კავშირი უცხოეთის შესაბამის ორგანიზაციებთან. ცხადია, ყველაფერი ეს მოხდა ადამიანის უფლებების შეზღუდვის ხარჯზე. საბჭოთა მხარე შეეცედა რეგიონში არსებული რელიგიური განწყობები შეეცვალა კომუნისტური იდეოლოგიის მეშვეობით. მათ სწამდათ, რომ შეძლეს რელიგიური მრწამსის განდევნა და კომუნისტური იდეოლოგიით მისი ჩანაცვლება, რაც სპეციალისტების განმარტებით სერიოზული შეცდომა იყო. ეს შეცდომა მოგვიანებით აღიარეს სპეცსამსახურებმაც.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის (1991 წლის 9 აპრილი) შემდეგ, უკვე დამოუკიდებელმა, თუმცა პოლიტიკურად, ეკონომიკურად დასუსტებულმა ქვეყანამ ვერ შეძლო საკუთარ თავზე აეღო იდეოლოგიური ფუქნციის შესრულება. ქვეყნის სისუსტემ რეგიონში რელიგიური ემისრების, ფინანსური ორგანიზაციების უკონტროლო შემოსვლას შეუწყო ხელი. იხსნებოდა სასწავლებლები, ფინანსდებოდა სხვადასხვა

ორგანიზაციები, ახალგაზრდების გარკვეულ ნაწილს კი სასწავლებლად უშვებდნენ უცხოეთში.

ახალი შესაძლებლობები მიეცა მუსლიმური აღმსარებლობის თუ არაბული ქვეყნების სპეცსამსახურებს. გააქტიურდა მიგრაციული პროცესები, უფრო ხელშესახები რეგიონში გახადა ღირებულებათა ექსპორტი. აღნიშნული პროცესების ხელშემწყობ შიდა (ეკონომიკური, სოციალური, კულტურული) ფაქტორებს დაემატა გარე - საინფორმაციო პოლიტიკურ-რელიგიური ფაქტორებიც. საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გამოიკვეთა რადიკალიზმის გარკვეული ნიშნები (დოლიძე, გოგუაძე, გობრონიძე, მოდებაძე, 2018, გვ. 9-13, ბატიაშვილი, კვახაძე, 2019, გვ. 6-12, გობრონიძე, 2017, საქართველოს უსაფრთხოების და განვითარების ცენტრი GCSD, 2018, გვ. 20-28).

პოლიტიკოსების მხრიდან გაკეთებული განცხადებები, მათ მიერ წარმოებული კამპანია თავდაპირველად აგებული იყო ქართველი ერის ნაციონალურ გრძნობებზე და ღირებულებებზე. ,,საქართველო ქართველებს", ,,საქართველოში ჩამოსახლებულმა უცხოტომელებმა უნდა დატოვონ ქვეყანა", ,,ქართველი აუცილებლად ქრისტიანი უნდა იყოს" და სხვა გაუაზრებელმა განცხადებებმა (საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში 2009, გვ. 13) და ლოზუნგებმა ხელი შეუწყეს ეთნიკურად არაქართული თემების მიმართ დომინანტი ერის ნაწილში მკვეთრად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულების გაჩენას, განცალკევებულობის განწყობის ჩამოყალიბებას. გაჩნდა რეალური გაუცხოების პრობლემა. ამას დაემატა ეთნიკურ - რელიგიური თემებისადმი საგარეო სუბიექტების დაინტერესება.

ქართველი პოლიტიკოსების მხრიდან ისლამური იდეოლოგიის ექსპორტი საქართველოში თავდაპირველად ნაკლებ საფრთხედ მიიჩნეოდა. დღეს იგი ქვეყანისათვის სერიოზული გამოწვევა გახდა (ჟურნალი სარკე, 1999, კეკელიძე, 2007, გვ. 65, ,,ახალი თაობა", 2002)

რელიგიური თემებზე მანიპულირებამ გამოიწვია ქრისტიან და მუსლიმ ქართველებთა ერთ ნაწილში უთანხმობის გაჩენა. დაინტერესებულ მხარეთა გავლენით აჭარაში გაჩნდა ცალკეული რელიგიური თუ არასამთავრობო ორგანიზაციები,

რომლებმაც წინა პლანზე წამოსწიეს რელიგიური საკითხები და მიზნად დაისახეს პოლიტიკური ისლამის გავლენის გაძლიერება.

ცივილიზაციათა შეჯახების პრობლემატიკაზე გამოქვეყნებულ სტატიაში (ჟურნალი ,,foreign Affairs“, 1993) სამუელ ჰანთიგნტონი) კულტურათა შორის ომს წინასწარმეტყველებდა XXI საუკუნეში (ამ თეორიას ავტორიტეტულად მიიჩნევს მეცნიერთა გარკვეული ნაწილი, სოციალური კონსტრუქტივიზმის მიმდევრები კი მას არ ეთანხმებიან). 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენამ ავტორისეულ შეხედულებას ახალი სიცოცხლე შესძინა. ამან განაპირობა ისლამისა და მისი მიმდევრების მიმართ დასავლეთის ქვეყნების ხელისუფალთა პოლიტიკის გადახედვის აუცილებლობა. ამ პროცესებს თავისი გამოძახილი ჰქონდა ჩვენს ქვეყანაშიც. რელიგიური რადიკალიზმის დეფინიციიდან გამომდინარე, ფსიქოლოგიური ომის პირველი ფაზა ისლამური იდეოლოგიის გამტარებელი აქტორების სასარგებლოდ დასრულდა ჩვენთანაც, საქართველოში (რელიგიური იდეოლოგიის გააქტიურება, რელიგიური დაპირისპირების ცალკეული კერების (ქობულეთი, მოხე, ჭელა და ა. შ.) გაჩენა, საქართველოს მოქალაქეების ტერორისტულ ორგანიზაციებში ჩართვის კონკრეტული შემთხვევები და ა. შ) (სსუს 2014, 2015,2016,2017, 2018 ანგარიშები).

სირიისა და ერაყის საომარ კონფლიქტებში პანკისის ხეობიდან წასულ ახალგაზრდებთან ერთად მონაწილეობდნენ ქართველი მუსლიმების (სუნიტები) გარკვეული ნაწილიც. რეგიონში აშკარად **გამოიკვეთა რადიკალური ისლამური იდეოლოგიის ექსპორტი,** ცალკეული სახელმწიფოების მხრიდან ტრადიციული **ისლამის პოლიტიკურ იარაღად გამოყენების სურვილი.** 1992 წლიდან აჭარაშიც აქტიურად და მიზანმიმართულად დაიწყო **არალეგალური ისლამური სასწავლებელებისა თუ მეჩეთების მშენებლობა, ყურან-კურსების სწავლება. უცხოელი ემისრებისა და მისიონერების შემოსვლა**. ისლამური განათლების მისაღებად აჭარიდან ისლამური აღმსარებლობის ქვეყნების (უპირატესად თურქეთის) რელიგიურ სასწავლებებში გაემგზავრა ათეულობით ახალგაზრდა. ამ პროცესმა თანდათანობით უფრო მასშტაბური ხასიათი შეიძინა.

ამ ფონზე განსაკუთრებულ ინტერესს იმსახურებს ისლამის წამახალისებელი გარემოებების, მისი პოპულარიზაციისა და პოლიტიზირების განმაპირობებელი ფაქტორების გამოვლენა.

აჭარასა და აჭარიდან საქართველოს სხვა რეგიონებში განსახლებულ მოსახლეობაში ფიქსირდება არასასურველი და ქვეყნის უსაფრთხოებისათვის რისკის შემცველი ფაქტები. ერთ-ერთი ასეთია ე.წ. **სოფელ ჭელას ინციდენტი (ადიგენის მუნიციპალიტეტი).** საქართველო-თურქეთის სასაზღვრო გზაგამტარი პუნქტის მეშვეობით საქართველოში ,,ღიად თუ ფარულად“ შემოიტანეს მინარეთი და ოფიციალური ნებართვის გარეშე დამონტაჟეს ჭელას მეჩეთზე (2013 წლის 27 ნოემბრი). ადიგენის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წ. 20 აგვისტოს გადაწყვეტილებით, მინარეთის მშენებლობა უკანონოდ ჩაითვალა. შესაბამის სამსახურს დაევალა მისი დემონტაჟი. პარალელურად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურმა დაიწყო მოკვლევა მინარეთთან დაკავშირებული მონაცემების ნამდვილობის დადგენის მიზნით (El-publication - Minaret Returned and ‘Stored’, Not Re-Erected, 2018). 2014 წ. 26 აგვისტოს მოხდა მინარეთის დემონტაჟი, რაც ადგილობრივ მოსახლეობასა და პოლიციას შორის ფიზიკური დაპირისპირების მიზეზი გახდა. ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრმა (EMC) (ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2013) და თავისულების ინსტიტუტმა ამ ფაქტს უარყოფითი შეფასება მისცა (ჟურნალი ,,სამხრეთის კარიბჭე“, 2018). ხელისუფლება იძულებული გახდა მინარეთი ,,კანონის ნორმების დაცვით“ დაებრუნებინა მეჩეთისათვის (ნანუაშვილი, 2013). ამ ინციდენტში გამოიხატა ხელისუფლების წარმომადგენელთა არაპროფესიონალური მიდგომა. პოლიტიკურ პარტიებსა და ცალკეულ პირებს რეკომენდაცია მიეცათ თავი შეეკავებინათ ,,ძალადობრივი პროტესტის ან/და ძალადობის პროვოცირებისაგან“ (აშშ–ის უწყებათაშორისი დელეგაციის წინასაარჩევნო შეფასებები, 2013).

ქვეყნის უსაფრთხოებისათვის რისკის შემცველ ინციდენტს ჰქონდა ადგილი ამავე მუნიციპალიტეტის **სოფელ მოხეში.** ამ სოფელში აჭარიდან ჩასახლებულმა მუსლიმებმა სოფლის ერთ-ერთი შენობის მეჩეთად აღდგენა მოიწადინეს. ეს მაშინ, როცა სოფელს სხვა

ადგილას უკვე ჰქონდა მუსლიმანური სამლოცველო. მუსლიმთა ამ მოთხოვნას ადგილობრივი ქრისტიანი მოსახლეობის პროტესტი მოყვა. საპატრიარქოს განცხადებით, რომელიც წარმოდგენილია ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტის 2013 წლის ანგარიშში პირდაპირაა აღნიშნული, რომ ეს შენობა საუკუნეების განმავლობაში წარმოადგენდა ქრისტიანულ ნაგებობას. შესაბამისად მიუღებელი იყო მისი მეჩეთად გადაკეთება (TDI - ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2013).

ტენდერში გამარჯვებულ კომპანიას იქ კულტურის სახლი უნდა აეშენებინა. სიტუაცია დაიძაბა როგორც ხელისუფლების წარმომადგენლებსა და მუსლიმებს, ისე იქ მცხოვრებ მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის. ტოლერანტობისა და მრავალფეროვნების ინსტიტუტმა აქცენტი გააკეთა სახელისუფლებო ძალების მიერ ძალის სავარაუდო გადამეტებაზე და მომხდარ ფაქტს უარყოფითი შეფასება მიეცა (TDI - ტოლერანტობის და მრავალფეროვნების ინსტიტუტი, 2013). რელიგიის სახელმწიფო სააგანტოს ინფორმაციით, სოფელ მოხეს მცხოვრებლებს მათთვის მეჩეთის საკითხზე არ მიუმართავთ (,,ტაბულა“, 2014). სრულიად საქართველოს სამუფთო კი მხარდაჭერას უცხადებდა მუსლიმებს და ხელისუფლებას საკითხის გაჭიანურებაში ადანაშაულებდა (მოხეს ინციდენტი - სამუფთოს განცხადება, 2016).

საფრთხის შემვცელად გვესახება აგრეთვე **2016 წლის 11-12 მარტს ბათუმში განვითარებული მოვლენები**. 2016 წლის 11 მარტს ქ. ბათუმში საპატრულო პოლიციის ეკიპაჟის მიერ მოქალაქის დაჯარიმება გადაიზარდა მასობრივ პროტესტში, რასაც ცალკეული ადამიანების დაკავება მოჰყვა. აქციის მონაწილეებმა მოგვიანებით გადაინაცვლეს აჭარის პოლიციის დეპარტამენთან. საზოგადოებასა და ინტერნეტ-სივრცეში ვრცელდებოდა ხმები აჭარაში მცხოვრები მოსახლეობის ე.წ. ,,თათრებად“ (მუსულმანი ქართველების არაქართველებად მიჩნევა) მოხსენიების შესახებ. აღნიშნულმა ფაქტმა კიდევ უფრო გაამწვავა სიტუაცია. მოხდა შეტაკება საპოლიციო ძალებთან, დაწვეს მანქანები, გაანადგურეს ინფრასტრუქტურა. პრაქტიკულად, ადგილი ჰქონდა ვანდალიზმს (ამ საკითხთან დაკავშირებით უფრო ფართო მსჯელობა გვექნება ცალკე პარაგრაფში)

მოვლენებზე დაკვირვება საშუალებას იძლევა დავინახოთ აქციის ორგანიზებულობის ელემენტები. საზოგადოებაზე ზემოქმედების მოსახდენად და მოსახლეობაში სათანადო განწყობის მისაღწევად გამოიკვეთა რელიგიური საკითხებით მანიპულირების მცდელობა.

ამ ფონზე ყურადღებას იმსახურებს სირიასა და ერაყში საბრძოლველად წასული საქართველოს მოქალაქეების, მათ შორის აჭარიდან წასული ახალგაზრდების მონაწილეობის ფაქტები. მათ მიზანს შეადგენდა ცოცხალი ძალით ისლამური სახელმწიფოს უზრუნველყოფა და აჭარის რეგიონში ისლამური ხალიფატის პოზიციების გაძლიერებისათვის ხელშეწყობა.

რეგიონის მოსახლეობაში გავრცელებული ისლამური აღმსარებლობა და მძიმე სოციალური და ეკონომიკური პირობები არაფორმალური ისლამური სასწავლებლების მომრავლების ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორად იქცა. ისლამი უარყოფს ეროვნულ და კულტურულ განსხვავებულობას და აღიარებს ყველა მუსულმანის ძმობის იდეას. სწორედ ამ ბერკეტს იყენებენ ცალკეული მუსლიმური სახელმწიფოები და ორგანიზაციები შესაძლო ზემოქმედების მოსახდენად. მათი იდელოგოგიით, ისლამის მიმდევარი პოტენციურად გაერთიანებული მუსულმანური სახელმწიფოს მოქალაქე შეიძლება გახდეს. გაჩნდა მოსაზრება **რეგიონში ისლამური პარტიის ჩამოუალიბების თაობაზე,** რაც არ უარყო აჭარის მუსლიმური თემის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ჩემთან საუბრის დროს.

რესპოდენტის აზრით ,,აჭარის მუსლიმი თემი ჯერ არ არის მზად ფართომასშტაბიანი პოლიტიკური საქმიანობისათვის. ამას გარკვეული დრო და რესურსი სჭირდება. ამისათვის მიმდინარეობს აქტიური სამუშაოები და დროის განსაზღვრულ მონაკვეთში დასახელებული იდეა მიღწევადი იქნება“ (ფუტკარაძე, ინტერვიუ ქართველ მუსლიმთა კავშირის ერთ-ერთ წარმომადგენელთან 2017). რესპოდენტის თქმით, ტრადიციული ისლამის გაძლიერება და **ისლამური პარტიის პოლიტიკაში მოსვლა ხელს შეუშლის არატრადიციული ისლამური მიმდინარეობების საქმიანობას.**

ერთ-ერთმა რესპონდენტმა საქართველოში სხვა კონფესიებთან შედარებით მუსლიმი თემის არათანაბარ მდგომარეობზე გაამახვილა ყურადღება (თუმცა აჭარაში

მეჩეთების რაოდენობა რამდენჯერმე ჭარბობს ქრისტიანული ტაძრების თუ სხვა სამლოცველოების რაოდენობას). რესპოდენტი ამართლებს თურქეთის რელიგიურ სასწავლებლებში აჭარიდან ქართველი ახალგაზრდების სასწავლებლად გამგზავრებას, თუმცა გვერდს უვლის საუბარს იმ სქემის შესახებ, რომლის მიხედვითაც ხდება მოზარდების შერჩევა, კერძოდ: ყველაზე გონიერ ბავშვებს ამთავრებინებენ რელიგიურ სასწავლებლებს. მათგან ყველაზე ნიჭიერები კი მიყავთ სტამბულისა თუ ანკარის პრესტიჟულ საერო სასწავლებლებში ასევე მოთხოვნად და პრესტიჟულ სპეციალობებზე, აფინანსებენ, აძლევენ აკადემიურ განათლებას, რათა სამშობლოში დაბრუნების შემდეგ დასაქმდნენ სახელმწიფო სტრუქტურებში და გაატარონ შესაბამისი პოლიტიკა (ლაილსი, 2012, ასევე, ფუტკარაძე, საველე დღიური, 2017).

აღნიშნულის შესახებ მუსლიმი რესპონდენტები და მეჩეთის მსახურნი საუბარს გაურბიან, თუმცა პოლიტიკური სპეკულაციების თავიდან ასაცილებლად საჭიროდ მიიჩნევენ აჭარაში ,,ისლამური უნივერსიტეტის ან არსებულ სახელმწიფო უნივერსიტეტში ისლამის სწავლების ფაკულტეტის ჩამოყალიბებას“, რაც მათი აზრით ხელს შეუწყობს ,,ტრადიციული ისლამის სწორად სწავლებას და ხელს შეუშლის რეგიონიდან სირიასა და ერაყში ახალგაზრდების *გადინებას*'' (ინტერვიუ აჭარის ყოფილ მუფთ ბეჟან ბოლქვაძესთან, ფუტკარაძე, 2016).

რეგიონში ვაჰაბიტური იდეოლოგიის გავრცელების მცდელობა თვალშისაცემია სხვა რელიგიების წარმომადგენლებისათვისაც. აღნიშნულის შესახებ აშკარად საუბრობს ბათუმის ერთ-ერთი ქრისტიანული ტაძრის მსახური, რომელმაც ვინაობის დაფიქსირება არ ისურვა. მისი განცხადებით უნდა შეიზღუდოს ქვეყნისათვის რისკის მატარებელი უცხო ქვეყნის მოქალაქეთა საქართველოში შემოსვლის შესაძლებლობა, გამკაცრდეს სასაზღვრო კონტროლი, სახელმწიფომ ქმედითი ღონისძიებები უნდა გადადგას უცხო ქვეყნებისა და ორგანიზაციების გავლენის შესასუსტებლად. რესპოდენეტი დაუშვებლად მიიჩნევს რეგიონში ისლამური უნივერსიტეტის ან შესაბამისი ფაკულტეტის გახსნას (კონფიდენციალობის პირობების დაცვით ჩატარებული ინტერვიუ ქრისტიანული ტაძრის ერთ-ერთ წარმომადგენელთან, ფუტკარაძე, 2019).

რადიკალური ისლამური იდეოლოგიის გავლენის ზრდასა და აჭარაში არსებულ არალეგალურ **საგანმანათლებლო ცენტრებს უკავშირდება ქართველი მუსლიმების - თამაზ ჭაღალიძის, ხვიჩა გობაძის, ნოდარ პაქსაძის, ბადრი ირემაძის, მამუკა ანთაძის და სხვათა მონაწილეობა სირიისა და ერაყის კონფლიქტში** (საქართველოს სუს ანგარიში, 2015, გვ.13). ამასთან, აჭარაში მოქმედებს არაერთი ე.წ საქველმოქმედო ორგანიზაცია, რომელთა საქმიანობაც საზოგადოებაში იწვევს საფუძვლიან ეჭვებს. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ორგანიზაცია **,,მადლი 2005“**, რომლის წინააღმდეგ 2005-2006 წლებში საქართველოს საგამოძიებო უწყებებმა დაიწყეს გამოძიება და ფინანსური საკითხების შესწავლა.

აჭარიდან ახლო აღმოსავლეთის კონფლიქტში ქართველი მუსლიმების მონაწილეობას ობიექტური და სუბიექტური მიზეზები უდევს საფუძვლად. იქ მებრძოლი ქართველი მუსლიმების განცხადებები ქვეყნის პოლიტიკურ და სასულიერო ხელმძღვანლობაზე ზემოქმედების მოხდენას ისახავს მიზნად. ამის დასტურია სირიის საბრძოლო ოპერაციებში მონაწილე ქართველი მუსლიმის, ,,აჰმედ გურჯის“ სახელით ცნობილ თამაზ ჭაღალიძის განცხადება: ,,ყურადღება! საქართველოს ქააფირებს მივმართავ, ვინც ისლამისა და მუსლიმანების წინააღმდეგ რაიმე ჩაიდინეთ ნატო-ს მისიებით - ერაყში, ავღანეთში, აფრიკაში, თუ საქართველოში - ლაფანყურში, პანკისში, გურიაში, აჭარაში, ჯავახეთსა თუ სხვა რეგიონებში, ყველა ფაქტი გვახსოვს და ყველა მონაწილის სახელი და გვარი ვიცით. ვიცით ყველა "კაგებეშნიკი," ვინც ჩვენს ძმებს შეურაცხყოფას აყენებს. ამ ყველაფერზე პასუხს აგებთ. გპირდებით დაჩოქილ ვედრებას დაგაწყებინებთ, გაჩენას ინანებთ, თქვე, ვირთხებო! საპატრიარქოს აჭარლების და აჭარის პრობლემებისთვის ისეთ დღეში ჩაგაგდებთ, ინატრებთ, რომ ქვეწარმავლად გავჩენილიყავითო. ვფიცავ ალაჰს, ერთი შანსი აქვთ მოქალაქეებს, ისლამი აღიარონ და ხალიფატს დაემორჩილონ!" (გადახაბაძე, გაზ. ,,კვირის პალიტრა“, 2015). განცხადების ავტორი უარყოფს ფინანსური ინტერესებით მონაწილეობას საბრძოლო ოპერაციებში, თვლის, რომ საქართველოში ისლამის მიმდევრებს ჩაგრავენ, მუფთებს კი მთავრობის დანიშნულებად მიიჩნევს (გადახაბაძე, ,,კვირის პალიტრა“, 2015). თ. ჭაღალიძის ამ განცხადებაში ნათლად ჩანს აჭარის რეგიონის ისლამურ სახელმწიფოდ გადაქცევის

სურვილი. ცხადია, მსგავსი ტიპის განცხადებები მათი იდეოლოგიური დამუშავების შედეგია. ცხადია, ასეთი ერთეული შემთხვევები არ იძლევა განზოგადების საშუალებას, თუმცა აღნიშნულის გაუთვალისწინებლობა დამაზიანებელი იქნება ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოებისათვის.

აჭარიდან საბრძოლველად წასული საქართველოს მოქალაქეების ქმედებას სხვადასხვა მიზანი ამოძრავებდათ. ამ მიზნებს შორის ყველაზე სახიფათო აჭარის ავტონომიის ისლამურ სახელმწიფოდ ქცევის სურვილი იყო. შესაბამისად, მათი ქმედებებიც ამ სტრატეგიულ ამოცანას ემსახურებოდა. გავრცელებულმა ვიდეო მიმართვებმა (ინტერნეტში ,,ქართველი ხალხის მიმართ ისლამური სახელმწიფოს სახელით გავრცელებული ვიდეომიმართვა“, 2015, ასევე, ქარჩავა, ,,იმის მიუხედავად, რომ ძლიერი საველე მეთაურები პანკისის ხეობიდან არიან, მუქარები ქისტების მხრიდან არ ყოფილა“, 2015, ვიდეო-მიმართვა) საზოგადოებაში არაერთგვაროვანი რეაქცია გამოიწვია. მოსახლეობის ნაწილს მოსალოდნელი საფრთხის გამო შიში დაეუფლა. არც კონფლიქტის ზონაში ისლამის მიმდევარი ახალგაზრდების შემდგომი გადინების რისკი გამოირიცხებოდა.

როგორც ითქვა, აჭარაში ფუნქციონირებდა არაერთი არალეგალური ისლამური სასწავლებელი. ისმის კითხვა: *რა სამართლებრივი სტატუსი აქვს ამ არალეგალურ სასწავლებლებს? მედრესეებს?* საკითხი ბუნდოვანია. არც ერთ ამ სასწავლებელს ბოლო დრომდე არ ჰქონდა შესაბამისი ლიცენზია. შესაბამისი უწყებების მხირდან ამ კითხვებზე პასუხი ბუნდოვანი იყო. კვლევის მიზანდასახულობიდან გამომდინარე მომიხდა ერთ-ერთ არაოფიციალურ მუსლიმურ სასწავლებელში ინფორმაციის მოპოვება. იმ სასწავლებელში აჭარის მაღალმთიანეთიდან ჩამოსული 30-ზე ახალგაზრდა უფასოდ ცხოვრობდა და სწავლობდა. ზოგი მათგანი სპორტით იყო დაკავებული, ზოგი უნივერსიტეტში სწავლობდა. პანსიონატში ცხოვრების სანაცვლოდ ისინი ყოველდღიურად უნდა დასწრებოდნენ ლოცვებსა და ყურან კურსების სემინარებს, ესწავლათ არაბული წერა-კითხვა და ა. შ. ერთ-ერთ სემინარზე დასწრების უფლება მეც მომეცა. სემინარის ფარგლებში განიხილავდენენ ,,ალლაჰის მოციქულის მუჰამედის“-ის ცხოვრებას და ,,ყურანის“ ძირითად პრინციპებს. სემინარზე დასწრებამ კიდევ ერთხელ დაადასტურა

ისლამის მიკერძოებული სწვლების შესახებ არსებული ეჭვები. სემინარზე საუბარი იყო ცალკეულ განვითარებულ სახელმწიფოებზე, რომელიც მათი ინფორმაციით ჩაგრავდნენ მუსლიმებს. გაკვეთილზე მთავარი აქცენტი გადატანილი იყო მუსლიმთა ერთობის აუცილებლობაზე ,,ანტიმუსლიმური პროცესების შესაჩერებლად". მასწავლებელი საუბრობდა აგრეთვე ,,ისლამური მოძრაობის გაძლიერების" და ,,ისლამური ხელისუფლებების დამყარების" საკითხებზე. ვფიქრობთ, რომ ასეთი სასწავლებელ-პანსიონების არსებობა მნიშვნელოვანი გამოწვევაა უსაფრთხოების სამსახურებისათვის. ერთ-ერთი რესპონდენტი ადასტურებს ბათუმში მდებარე ერთ-ერთ არალეგალური სასწავლებელ/პანსიონატის ჩართულობას სირიაში ახალგაზრდების გაგზავნის საქმეში (ფუტკარაძე, კონფიდენციალობის დაცვით ჩატარებული ინტერვიუ უსაფრთხოების საკითხების ექსპერტთან, 2016). აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობდნენ საუდის არაბეთიდან და ეგვიპტიდან ჩამოსული ორი მოქალაქე, რომელთაგანაც ერთ-ერთი საქართველოს კონტრტერორისტულმა სამსახურებმა დააკავეს, მეორემ კი მოახერხა გაქცევა. ეს ფაქტი ფართო საზოგადოებისათვის დღემდე უცნობია.

არალეგალური სასწავლებლის ჩართვას სირიაში ახალგაზრდების გაგზავნის საქმეში არ ჰქონდა მასობრივი ხასიათი. ასეთი ერთეული შემთხვევები არ იძლევა საკითხის განზოგადების საშუალებას. ზოგადად, სირიაში მებრძოლი ქართველების მიმართ პანსიონატის მასწავლებლებსა და იქ მცხოვრებ ახალგაზრდებს უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ, თუმცა არ მალავენ აჭარაში ისლამის გავრცელების სურვილს და მუსლიმი ქართველების საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში აქტიურ ჩართულობის აუცილებლობას (ლიცენზირების შესახებ კანონში შეტანილი იქნა ცვლილებების თანახმად აღნიშნული სასწავლებლები დაექვემდებარა ლიცენზირებას. ლიცენზირებასთან დაკავშირებული სირთულეების გამო პანსიონატების ნაწილმა ვეღარ შეძლო მუშაობის გაგრძელება და დაიხურა. იხ. გერლიანი, ჩაჩიბაია, 2021).

აჭარის ისლამური სასწავლებლებში (მედრესე, პანსიონი) სწავლების პარალელურად, მიმდინარეობს გამორჩეულად ჭკვიანი, გონიერი ახალგაზრდების მიზიდვა და სწავლის გასაგრძელებლად უცხოეთის (უპირატესად თურქეთის) უმაღლეს სასწავლებლებში გაგზავნა - მომავალი პერსპექტივის გარანტიითა და ფინანსური

რესურსების გამოყენებით (ლაილსი, 2012, გვ. 18-28). ამ ფონზე, თითქოსდა მუსლიმთა უფლებების დასაცავად, შეიქმნა უცხოეთიდან დაფინანსებული ცალკეული არასამთავრობო და უფლებადამცველი ორგანიზაციები, რომელთა საქმიანობა შესაძლოა სერიოზული ეჭვების საფუძველს იძლეოდეს (ლაილსი, 2012, გვ. 18-28). სხვადასხვა რეიტ ინგულ და ყურებად გადაცემებში ხშირია მათი წარმომადგენლების მონაწილეობით მომზადებული გადაცემები თუ ინტერვიუები.

კავკასიის გეოსტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით რეგიონში შემავალი სახელმწიფოები ჰეგემონი და რეგიონული დიდი სახელმწიფოების ინტერესში ადრიდანვე იყო მოქცეული. საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ გააქტიურებულმა ეკონომიკურმა, სამხედრო, პოლიტიკურმა და კულტურულმა კავშირებმა სახელმწიფოთაშორისი ურთიერთობები ახალ სიმაღლეზე აიყვანა. ამ მხრივ ყურადღებას იმსახურებს სამხრეთ კავკასიის მნიშვნელობა თანამედროვე პოლიტიკური ჭადრაკის დაფაზე. რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობა, პოლიტიკური და ისტორიული წარსული მეწტილად პასუხს სცემს კითხვებს - თუ რა ფაქტორები უდევს საფუძვლად სამხრეთ კავკასიის ქვეყნებში განვითარებულ პროცესებს. ამ მხრივ საყურადღებოა რეგიონის სატრანზიტო შესაძლებლობები. იგი დაკავშირებულია რუსეთის გვერდის ავლით ცენტრალური აზიიდან ბუნებრივი რესურსების (გაზი, ნავთობი) ევროპისადმი მიწოდეის საკითხთან. აბრეშუმის გზის პროექტი - გულისხმობს ჩინეთიდან და ცენტრალური აზიიდან წამოსული ტვირთების ტრანზიტს აზერბაიჯანის გავლით და საქართველოს საზღვაო პორტების გამოყენებით; აშშ-სა და თურქეთს შორის გაუარესებული ურთიერთობის ფონზე დასავლურ წრეებში მწიფდება აზრი რეგიონში სანდო მოკავშირის შეძენის თაობაზე. ახლო აღმოსავლეთში განვითარებული პროცესებისა და აშშ - ირანს შორის შესაძლო დაპირისპირების შემთხვევაში მნიშვნელოვან როლს იძენს მათი შეიარაღებული ძალების ლოჯისტიკური მომარაგების ფუნქცია. როგორც ცნობილია, თავის დროზე თურქეთმა 2003 წელს უარი უთხრა აშშ-სა და ნატოს - გამოეყენებინათ თავისი ტერიტორია ერაყში წარმოებული საომარი კამპანიის დროს, რამაც დასავლურ პოლიტიკურ და სამხედრო წრეებში თურქეთის, როგორც არასაიმედო მოკავშირის

არსებობის განწყობა შექმნა. ცხადია, ამ ფაქტორმა საქართველოსადმი დასავლეთის ინტერესების ზრდას შეუწყო ხელი.

პრობლემის სრულყოფილი გააზრებისათვის საჭიროა სირიის კონფლიქტის გამომწვევი ძირითადი ფაქტორების ანალიზი. სირიის ომი თავდაპირველად ყატარული გაზსადენის პროექტის განხორციელებას უკავშირდებოდა. პროექტი გულისხმობდა ევროპის ქვეყნებისათვის გაზის მიწოდებას სირიის ტერიტორიის გავლით. მისი განხორციელების შემთხვევაში მნიშვნელოვნად შემცირდებოდა ევროპის ენერგოდამოკიდებულება რუსეთთან, ასევე შემცირდებოდა რუსული გავლენა ახლო აღმოსავლეთში, უპირველესად კი სირიაში. გეოპოლიტიკურმა დაპირისპირებამ განაპირობა სირიაში მიმდინარე პროცესები. მოსახლეობის რადიკალიზაცია, ტერორისტული ორგანიზაციების გააქტიურება, სხვა ძალადობრივი და ექსტრემისტული მოქმედებები კი გეოპოლიტიკურ ბრძოლაში ჩართული მხარეების ხელშემწყოფი პროპაგანდისტული აქტივობისა და სირიის ხელისუფლების მიერ განხორციელებული ძალადობრივი მოქმედებების შედეგი იყო (ზურაბიანი, 2020, გვ. 54).

გეოპოლიტიკური ინტერესების შედეგია სამხრეთ კავკასიის კონფლიქტებიც. იგი არამხოლოდ შიდა ეკონომიკური ან/და პოლიტიკური არასტაბილურობის, არამედ გარე ფაქტორების, მეზობელი სახელმწიფოებისა და გეოპოლიტიკური ინტერესების შეჯახებითაა განპირობებული. ობიექტ ქვეყანაში მოსახლეობის რადიკალიზების პროცესშიც ეს ორი ფაქტორია განმსაზღვრელი. სათანადო პროპაგანდის მეშვეობით ობიექტ ქვეყანაში სისტემატიურად ხორციელდება დროში გაწერილი პროცესი. უწყვეტად განხორციელებული მიზანმიმართული ქმედების შედეგად ხდება საზოგადოებაზე ან მის ცალკეულ ნაწილზე, ჯგუფზე ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოხდენა, სტიმულირდება საზოგადოების განწყობების ფორმირება. კონკრეტული საკითხის ირგვლივ ხდება უკვე სტიმულირებული განწყობების გაერთიანება.

გარე ძალების შესაძლებლობების ნათლად წარმოჩენისათვის მოვიშველიებთ ფერჰათ პირინჩის მოსაზრებებს, რომელიც გამოხატა ჟურნალ ,,მართვისა და ეკონომიკის კვლევები“-ში გამოქვეყნებული სტატიაში - ,,სირიის კრიზისი და ერაყი: მიგრაციისა და რადიკალიზაციის გავლენის ანალიზი“. ერაყში ისლამური სახელმწიფოს გავლენის

გაძლიერებისა და მოსახლეობაში რადიკალიზმის/ექსტრემიზმის ხელშემწყობ მიზეზებად ავტორი მიიჩნევს განიარაღებული ერაყის უსაფრთხოების სამსახურებსა და სამთავრობო ძალებში ერაყის საომარი კამპანიის დასრულების შემდეგ ჩამოყალიბებულ უარყოფით განწყობებს, სადამის პერიოდში დაწინაურებული სუნიტი ჩინოვნიკების ხელისუფლებისაგან ჩამოშორებას, ბაღდათის ოფიციალური პოლიტიკის მარცხს (PİRİNÇÇİ, 2011, p. 225-227), ხოლო სირიაში რადიკალიზმისა და ისლამური სახელმწიფოს გავლენის გაფართოებას ხსნის გაჭიანურებული სამხედრო კონფლიქტით, ოპოზიციურ მხარეთა შორის კოორდინაციისა და თანხმობის არ არსებობით, შიიტური ხელისუფლების დომინირების შეცვლის სურილით, რომლის ალტერნატივად განიხილავს სუნიტურ ისლამურ სახელმწიფოს. ავტორის მტკიცებით, ისლამური სახელმწიფოს წარმატება ერაყში მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ამ სახელმწიფოსადმი მხარდაჭერითაც იყო განპირობებული (PİRİNÇÇİ, 2011, p. 225-227).

ყოველივე ზემოთქმულიდან შეგვიძლია დავასკვნათ შემდეგი: სირიასა და ერაყში არსებული რთული პოლიტიკური და ეკონომიკური ვითარება, მოსახლეობის განწყობები, ისლამური სახელმწიფოს, როგორც მართვის ალტერნატიული მოდელის შეთავაზება - საზოგადოების გარკვეულ ნაწილში იქცა რადიკალიზმისა და ექსტრემიზმის ხელშემწყობ ფაქტორად. თვალშისაცემია სამიზნე ქვეყანაში ისლამური სახელმწიფოს მიერ პროპაგანდისტული ღონისძიებების აქტივობა: აუდიო და ვიდეო მიმართვები; ისლამური სახალიფოს შექმნის მოწოდებები სოციალური ქსელების გამოყენებით; მუსლიმი მოსახლეობის გაერთიანების მცდელობა ისლამური სახელმწიფოს დროშის ქვეშ; ემისრების ინსტიტუტის გამოყენება; კონფლიქტის ზონებში მებრძოლების გაგზავნა; ერაყის სპეცსამსახურებისა და შეიარაღებული ძალების ყოფილი ოფიცრების მაღალ იერარქიულ პოზიციებზე დანიშვნა; დაწინაურების პერსპექტივის აგიტირება; მატერიალური, ეკონომიკური და სულიერი უპირატესობის წარმოჩენა და სხვა ღონისძიებები. ამ თვალსზრისით გარკვეულ როლს თამაშობს რელიგიური ფაქტორიც. მაგალითად რესპონდენტები ასახელებენ პანკისელ ბესო კუშტანაშვილს, რომელიც ტერორისტულ ორგანიზაციას მხოლოდ რელიგიური და იდეოლოგიური მოტივაციის საფუძველზე შეუერთდა. მსგავსი მოსაზრება გამოთქვეს აჭარასა და ქვემო ქართლშიც,

სადაც გამოკითხულთა უმრავლესობა ეჭვობს, რომ სირიასა და ერაყში მოქმედ ტერორისტულ ჯგუფებში ჩასართავად წასულ მებრძოლებს რელიგიურთან ერთად ფინანსური მოტივაციაც აქვთ (გობრონიძე, ვალიიევი, 2018, გვ. 28).

ფართო მასებზე ზეგავლენის მოხდენას ემსახურებოდა სირიის ქალაქ რაქას ტაძარში ისლამური სახელმწიფოს ლიდერის აბდულ ალ ბაღდადის აჯაროდ გამოსვლა და ლოცვა, კონტროლირებად ტერიტორიაზე ,,სურსათ-სანოვაგით" დატვირთული მდიდრული მაღაზიების ჩვენება, სიკვდილის დასჯისა და თავის მოკვეთის სცენების მოწყობა და ა.შ. სირიაში, საცხოვრებელ სახლებსა და საჯარო ტერიტორიებზე აკეთებდნენ წარწერას: ,,ხალხი მოითხოვს რეჟიმის დამხობას" (აშ შაბ იურიდ ისკან ან ნიზამ), რაც ასევე მოსახლეობაზე ზეგავლენის მოხდენას ისახავდა მიზნად.

პროპაგანდისტული საქმიანობის შედეგია აგრეთვე აჭარის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში ჩამოყალიბებული განწყობები, რომლის ანალიზი გვაძლევს პროპაგანდის გამტარებელი შემდეგი სუბიექტების იდენტიფიცირების შესაძლებლობას:

1. ქვეყნის შიგნით არსებული ძალები;
2. გარე ძალები (ისლამური, არაბული და მეზობელი სახელმწიფოები);
3. ტერორისტული ორგანიზაციები - ISIS (ისლამური სახელმწიფო).

ქვეყნის შიგნით არსებული ძალების მიზანს ცალკეული პოლიტიკური, ეკონომიკური და რელიგიური ინტერესების გატარება, პოლიტიკური ძალაუფლების გაძლიერება წარმოადგენს. ამ კუთხით გარე ძალების სათანადო მხარდაჭერაც არ არის გამორიცხული. ცალკეული მედია-ტელევიზიების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ბეჭდური მედიის (,,თათრის ღამე", ,,ქრისტიანობის კრიზისი" და სხვა) მიერ ტრანსლირებული გადაცემები და ბეჭდური გამოცემები მოსახლეობაზე ზეგავლენის მოხდენის ძირითადი იარაღი და ინტრუმენტია. რელიგიურ საკითხებზე სატელევიზიო გადაცემებში ცალკეული პირების სისტემატური მიწვევა პროპაგანდისა და შესაბამისი იდეების გავრცელების მნიშვნელოვანი წყაროა. რელიგიურ საკითხებზე აქცენტის გაკეთება აქტიურად გამოიყენება პოლიტიკური სარგებლის მიღების მიზნით.

რეგიონში გარე ძალების მიზანს მოსახლეობის პოლარიზაცია, ნაციონალური და რელიგიური შეხედულებების გაღვივება წარმოადგენს. რელიგიური, ისტორიული და

ნაციონალური საკითხების გააქტიურებამ რეგიონში მაცხოვრებელ ქართველ მუსლიმებისა და ქრისტიანების ცალკეულ ჯგუფებს შორის რადიკალური შეხედულებების გაღვივება გამოიწვია.

ამრიგად, რეგიონში მაცხოვრებელი ორივე კონფესიის ქართული თემი გარე ძალების წინაშე მოწყვლადია და აქტიურ ზეგავლენას ექვემდებარება. ქრიტიანული თემის მოწყვლადობაზე და პროპაგანდისტულ ზეგავლენაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ აქტიურად ხორციელდება ნაციონალისტური და რელიგიური საკითხების წამოწევა, ხდება ქართველობის ქრისტიანობასთან დაკავშირება და არაქრისტიანი ქართველის არასრულფასოვან ქართველად წარმოჩენის ცალკეული მცდელობები. პარალელურ რეჟიმში მუსლიმური საკითხების წამოწევა, მეჩეთის მშენებლობაზე საუბრებისა და სატელევიზიო-ბეჭდური გადაცემების განახლება ქრისტიან მოსახლეობაზე უარყოფით გავლენას ახდენს და მისი ცალკეული ნაწილის რადიკალიზებას იწვევს. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, თუ დროის რა მონაკვეთში, რა ინტერვალით და მოცულობით მიეწოდა ქრისტიან და მუსლიმ თემს კონკრეტული ინფორმაცია, რა რელიგიური და პოლიტიკური შეგრძნებები გამოიწვია მან მოსახლეობაში და რა მიზანს ემსახურება მსგავსი პროპაგანდისტული საქმიანობა.

პროპაგანდისტულ საქმიანობის გააქტიურებას ადგილი აქვს რეგიონსა და ქვეყანაში მუსლიმი თემის ვითომდა დისკრიმინაციული მდგომარეობის, მუსლიმი მოქალაქეების ჩაგვრისა და პოლიტიკურ-საერო პროცესებში მათი ნაკლები ჩართულობის შესახებ მუსლიმების სულიერი ლიდერების თუ ცალკეული წარმომადგენლების მიერ გაკეთებული განცხადებების ფონზე. მსგავსი ტიპის განცხადებები/გადაცემები მუსლიმ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში ერთობ უარყოფითად აღიქმება.

აჭარაში არსებულ მედრესეებში, არალეგალურ სკოლებსა და უცხოეთში არსებულ ისლამურ სასწავლებლებში ხშირია მოსწავლეებსა და მასწავლებლებს შორის არაფორმალური შეხვედრები, მეცადინეობები, ე.წ. დარიგებები. ყოველივე ეს გვავარაუდებინებს - შეხვედრების პროპაგანდისტული მიზნებისათვის გამოყენების შესაძლებლობაზე ექსტრემისტული იდეების გასაღვივებლად. მსგავსი ქმედებით შესაძლებელია საზოგადოების პოლარიზაცია, რელიგიურ ნიადაგზე ფორმირებული

ჯგუფების პოლიტიკურ სარბიელზე გამოსვლის უზრუნველყოფა. სახელმწიფოს მხრიდან არსებული ძალებისა და რესურსების სხვა მიმართულებებზე გადანაწილება, მოსახლეობის, სპეცსამსახურების, მმართველი რგოლის მოტყუების მცდელობა, რისი მიზანიც მეორე მხარის პოლიტიკური, ეკონომიკური, გეოპოლიტიკური ინტერესის დაფარვა ან/და გატარებაა.

ტერორისტულმა ორგანიზაციებმა, კერძოდ კი ისლამურმა სახელმწიფომ შეძლო აჭარაში და აჭარიდან საქართველოს სხვა რეგიონებში განსახლებული ქართველი მუსლიმების მცირე ნაწილის გადაბირება, სირიასა და ერაყში არსებულ საომარ მოქმედებებში მათი მონაწილეობის უზრუნველყოფა. ისლამურმა სახელმწიფომ კარგად გამოიყენა რეგიონში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური კრიზისი. აჭარაში მოსახლეობის პოლარიზაციის მცდელობის ფონზე განახორციელა ზემომთიან სოფლებში მცხოვრები და ისლამურ სასწავლებლებში, მადრასეებში სასწავლებლად წასული ახალგაზრდების მცირე ნაწილის გადაბირება. ისლამური სახელმწიფოს ემისრები რელიგიური სწავლებისა და პირადი შეხვედრების დროს აქცენტს აკეთებდნენ ჯგუფის იდეურ ერთობაზე, ერთი მიზნისა და იდეის ქვეშ გაერთიანებაზე, ოჯახური ატმოსფეროს შექმნაზე და ჯგუფის წევრებს შორის სანდო, მეგობრული ურთიერთობის გამყარების აუცილებლობაზე. მსგავსი სწავლების და შეხვედრების დროს ჯგუფის წევრებს საწყის ეტაპზე მცირე დოზით, ხოლო შემდგომ უწყვეტად მიეწოდებოდა ინფორმაცია მისი ან სხვა ქვეყნის მიერ წარმოებული ძალადობრივი პოლიტიკის, ასევე მუსლიმი თემის დისკრიმინაციისა და ზოგიერთი მუსლიმი სასულიერო პირის პროსახელისუფლებო მოქმედებების შესახებ. ევროპაში ტერორისტული ორგანიზაციების პროპაგანდის წარმოების მეთოდი ემისრების გაგზავნასთან ერთად სოციალური ქსელები, მოწოდებები და ინტერნეტ-ტელევიზია იყო. აჭარაში კი სათანადო ზეგავლენის მოხდენა ცალკეულ ისლამურ სასწავლებლებსა და ოფიცალურ/არაოფიციალური შეხვედრების დროს ქართველი და უცხოელი ემისრების უშუალო მონაწილეობით ხორციელდებოდა. სირიაში მებრძოლი ქართველი მუსლიმების მიერ საჯაროდ გამოქვეყნებული ვიდეომიმართვები მოსახლეობაზე ზეგავლენისა და პროპაგანდისტული პოლიტიკის შედეგია. მსგავსი მეთოდით მოხდა ისლამური სახელმწიფოს გავლენის სფეროს დაფიქსირება საჯარო

სივრცეში. იგი იყო ერთგვარი მესიჯი რეგიონში არსებული რადიკალური ისლამური წრეებისათვის, მათი შემდგომი გააქტიურების მიზნით. მოწოდებების მიზანს წარმოადგენდა აგრეთვე მოსახლეობის, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების დაშინება. პროპაგანდა ისლამური სახელმწიფოსადმი სიმპათიით განწყობილ ადამიანებს უღვივებდა პრაგმატულ განწყობებს - ისლამური სახელმწიფოსადმი ერთგულება თვითრეალიზაციისა და ისლამური სახელმწიფოს იერარქიულ პოზიციებზე დანიშნვნის შესაძლებლობას იძლეოდა.

2.3 რელიგიურ და საერო სასწავლო დაწესებულებებების კურსდამთავრებულ საქართველოს მოქალაქეთა რელიგიურ-პოლიტიკური განწყობები და ექსპერტთა შეფასებები

დემოკრატიული სამყაროს მნიშვნელოვანი მონაპოვარი ადამიანის უფლებების და თავისუფლების განუხრელი დაცვაა. საკუთარი მოქალაქეების წინაშე ხელისუფლების საქმიანობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულობის პრინციპების დაცვა განსაზღვრავს დემოკრატიული ქვეყნის სტაბილურ და მდგრად განვითარებას.

ქვეყნის სტაბილურობისა და დემოკრატიული განვითარების ეფექტურობა ბევრადაა დამოკიდებული მოსახლეობის განწყობებზე, რადგან მოსახლეობაში არსებული განწყობები შესაბამისად აისახება ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სოციალურ თუ უსაფრთხოების სეგმენტებზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია საკვლევი რეგიონის მოსახლეობის და საექსპერტო წრეების შეხედულებებისა და განწყობების იდენტიფიცირება. აჭარაში განვითარებული პროცესების ობიექტური ანალიზისათვის მნიშვნელოვანია რელიგიურ და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილე პირების, რელიგიურ ჯგუფების, საექსპერტო კორპუსის ნააზრევის შეწავლა და ანალიზი. ამ საკითხების შესწავლა დაგვეხმარება არსებული პროცესების ობიექტურ ანალიზში, პროგნოზირებასა და სათანადო რეკომენდაციების შემუშავებაში.

აჭარაში არსებული რელიგიური და პოლიტიკური გარემოს შესაფასებლად, რეგიონში არსებული თუ პოტენციური გამოწვევების, კონფლიქტის (რელიგიურ თუ სხვა საფუძველზე) ინსპირირების ფაქტორების და დაინტერესებული მხარის როლის

შესწავლისათვის ჩემს მიერ ჩატარდა ექსპერტული და სიღრმისეული ინტერვიუები. ფოკუს ჯგუფად ჩავთვალეთ ის ექსპერტები, რომლებიც მუშაობდნენ (ან მუშაობენ) საქართველოს სახელმწიფო უწყებებსა (სამართალდამცავი და სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო უწყებები, თავდაცვის ძალები) და საუნივერსიტეტო დაწესებულებებში, ისინი, ვისაც პირდაპირი ან ირიბი შემხებლობა ჰქონდა (ან აქვს) აჭარის რეგიონთან.

ექსპერტული ინტერვიუს პარალელურად ელექტრონული კითხვარის ფორმატით განხორციელდა გამოკითხვა და ანკეტირება საქართველოსა თუ ისლამური აღმსარებლობის ქვეყნებში (ძირითადად თურქეთში) განათლებამიღებული ახალგაზრდების ფოკუს ჯგუფში. გამოიკითხა საქართველოს 107 მოქალაქე, საიდანაც 5 რესპოდენტის პასუხი არ იქნა მხედველობაში მიღებული მათ მიერ არასრულყოფილი პასუხების გაცემის გამო. მათგან 28,5% იყო მართლმადიდებელი, 61,9% - მუსლიმი, 7,2% არ იყო არცერთი რელიგიური აღმსარებლობის მიმდევარი, ხოლო 2,4% -მა თავი შეიკავა რელიგიური კუთვნილების დაფიქსირებისაგან.

ნიშანდობლივია, რომ რესპოდენტთა 35,8% იყო ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მფლობელი, 4,8% სწავლობდა სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის მაგისტრატურაში, ხოლო 40,6% ფლობდა მაგისტრის აკადემიურ ხარისხს. რესპოდენტთა 7,2% სწავლობდა დოქტურანტურაში, ხოლო 11,9% იყო უმაღლესი განათლების არმქონე.

ასაკობრივი თვალსაზრისით: რესპოდენთა ასაკი მერყეობდა 20- დან 45 წლამდე და 45 წელზე ზევით. კერძოდ რესპოდენთთა 71,6% შეადგენს 20 - 30 წლის ასაკოკობრივი კატეგორია, ხოლო 28,4% - 30-45 წლამდე და 45 წელზე უფროსი ასაკობრივი ჯგუფები. ანონიმური ანკეტა ითვალისწინებდა რესპონდენტთა ინფორმაციას მათი განათლების (სასულიერო, საერო), სასწავლებლების (სადაც მიიღეს განათლება), სამშობლოსადმი, რელიგიისადმი მათი დამოკიდებულების და სხვა საკითხების შესახებ.

გამოკითხულთა 93%-ს აზრით ,,*სამშობლო არის ადგილი, სადაც დაიბადა, გაიზარდა და წინაპრები ცხოვრობდნენ".* უმრავლესობის ასეთი პასუხი ბუნებრივია და მოსალოდნელიც, თუმცა მცირე ნაწილი (4,7%) სამშობლოს გაგებას ცხოვრების უკეთეს პირობებს უკავშირებს. ამდაგვარი დამოკიდებულება აიხსნება რეგიონში არსებული

რთული სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით, საზოგადოებაში ახალგაზრდების გარკვეული ნაწილის ინტეგრაციის დაბალი ხარისხით, თვითრეალიზაციის ნაკლები შესაძლებლობით. ასეთი განწყობა პერსპექტივაში შესაძლოა როგორც მიგრაციის, ასევე ცალკეულ პირთა მხრიდან მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის საფუძველი გახდეს.

დარჩენილი მცირე ნაწილის (2,3 პროცენტი) აზრით ,,*სამშობლო ამჟამინდელი საცხოვრებელი და შვილების დაბადების ადგილია".* რესპონდენტთა ეს კატეგორია სავარაუდოდ საცხოვრებელი ადგილის შეცვლის შემთხვევაში სამშობლოდ თავის ახალ საცხოვრისს მიიჩნევს და თავის განწყობებიც ტრანსფორმირდება ახალი რეალობის შესაბამისად.

უფრო დამაფიქრებელია რესპონდენტთა პასუხები სამშობლოსა თუ რელიგიის უპირატესობის შესახებ დასმულ კითხვასთან დაკავშირებით. გამოკითხულ რესპოდენტთა 58,1% ორივეს თანაბარ მნიშვნელობას ანიჭებს, 27,9 პროცენტისათვის სამშობლოა უპირველესი, ხოლო 14% პროცენტი რელიგიას ანიჭებს უპირატესობას, აქედან უშუალოდ ისლამს - 9,3%. რეგიონში არსებული კულტურული, იდეოლოგიური გარემო, ქართულ ტრადიციებზე დაფუძნებული აღზრდის სისტემა, ისტორიული ბედის ერთობა სამშობლოსა და რელიგიის თანაბარი მნიშვნელობის შეფასების საშუალებას იძლევა.

რესპოდენთთა 27,9%-ს აზრით სამშობლო მათთვის უპირატესია. აღნიშნული პროცენტული მაჩვენებელი ჩვენი დაკვირვებით განპირობებულია ახალგაზრდობაში რელიგიური შეხედულებებისა და ინსტიტუტების როლის შემცირებით. ტელევიზიებსა და სხვადასხვა საინფორმაციო სივრცეში გაკეთებული ცალკეული რეპორტაჟები თუ განცხადებები ხელს უწყობს მოზარდ-ახალგაზრდების ნაწილში რელიგიისა და რელიგიური ინსტიტუტების მიმართ ნდობის დაკარგვის ტენდენციის გაძლიერებას. იგი დასტურდება ჩვენს მიერ მოყვანილი პროცენტული მაჩვენებლითაც. როგორც ჩანს, ეს გათავისებული ჰქონდა გამოკითხვაში მონაწილე რესპონდენტების ამ ნაწილს, რომლებმაც ზოგადად რელიგიას და სამშობლოს თანაბარი მნიშვნელობა მიანიჭეს.

ინტერესს იწვევს გამოკითხულთა 14 პროცენტის პოზიცია, რომლებიც სამშობლოსთან შედარებით რელიგიას ანიჭებენ უპირატესობას. მათგან 9,3% მუსლიმია, დანარჩენი ნაწილი კი მართლმადიდებელი ქრისტიანები და ათეისტები არიან. ნიშანდობლივია, რომ ამ კატეგორიის მუსლიმ რესპონდენტთა უმრავლესობას მიღებული აქვთ რელიგიური განათლება ისლამურ სასწავლო დაწესებულებებში, რაც იძლევა საფუძველს პრობლემის უკეთ გააზრებისა და კვალიფიციური ანალიზისათვის.

მოსახლეობის ცნობიერებაში რელიგიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ამიტომ დადგა დღის წესრგში რელიგიის ისტორიის სწავლების საჭიროების საკითხი. რესპონდენტთა 57,1 პროცენტი რელიგიის ისტორიის, როგორც სამეცნიერო დისციპლინის სწავლებას უჭერს მხარს. მათი აზრით რელიგიის ისტორიის სწავლება ხელს შეუწყობს რელიგიის შესახებ ობიექტური და მიუკერძოებელი ინფორმაციის მიწოდებას. განსხვავებულია რესპონდენტთა 31,1 პროცენტის დამოკიდებულება. ისინი საერთოდ მიზანშეუწონლად მიიჩნევენ რელიგიის სწავლებას საგანმანათლებლო დაწესებულებებში. თანაბარიასაგანმანათლებლო დაწესებულებებში ისლამისა (2,4 პროცენტი) და ქრისტიანობის (2,4 პროცენტი) სწავლების მომხრე რესპონდენტთა რაოდენობა, რაც აღნიშნული კატეგორიის რესპონდენტების რელიგიურობის მაღალი ხარისხითა და რელიგიის ისტორიის საკითხებისადმი მათი დაინტერესებითაა განპირობებული.

გამოკითხულ პირთა გარკვეულ ნაწილში დომინირებს შეხედულება მუსლიმი ქართველის არასანდო და არასრულფასოვან ქართველად მიჩნევის შესახებ. გამოკითხულთა 50 პროცენტი თვლის, რომ საქართველოში მუსლიმური თემი დისკრიმინირებულია. მსგავსი განწყობების ფორმირების ხელშემწყობი ფაქტორებია არასათანადო საგანმანათლებლო და შემეცნებითი პროექტები, რთული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, თვითრეალიზაციის შესაძლებლობის დაბალი ხარისხი, რელიგიის პოლიტიზაციის და შესაძლო შიდა და გარე ზეგავლენის მცდელობები.

საკმაოდ დიდია იმ რესპონდენტთა რაოდენობა (14,3%), რომლებიც მუსლიმებს ნაწილობრივ დისკრიმინებულ თემად მიიჩნევს. 11,9 პროცენტის აზრით ისლამი სხვა კონფესიების თანაბარ მდგომარეობაშია, 23,8 პროცენტი კი მიიჩნევს, რომ ისლამური

თემი არაა დისკრიმინებული. სავარაუდოა, რომ რესპონდენტთა გარკვეული ნაწილი ითვალისწინებს საქართველოში არსებულ რთულ ვითარებას და მიუღებლად მიიჩნევენ ქვეყნისათვის დამატებითი პრობლემების შექმნას. ასეთი პოზიცია სამოქალაქო ცნობიერების მაღალი დონის გამოხატულებაა. შესაძლოა მათთვის მიუღებელი იყოს მუსლიმური თემის ცალკეული მოთხოვნები (მაგალითად, ბათუმში მეჩეთის მშენებლობა), მაგრამ სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით ისინი მიზანშეუწონლად მიიჩნევენ ამ საკითხზე პოზიციის დაფიქსირებას.

ამ საკითხთან უშუალო კავშირშია რელიგიური სამლოცველოების რაოდენობრივი მაჩვენებლები. აღნიშნულ საკითხზე გამოქვეყნებული პუბლიკაციებიდან ცნობილია, რომ აჭარაში მეჩეთების რაოდენობა (ბარამიძე, 2014, გვ. 20-25) რამდენჯერმე სჭარბობს სხვა დანარჩენი კონფესიების სამლოცველოების ჯამურ რაოდენობას.

გამოკითხულთა 52,4 პროცენტი ამ ფაქტს აჭარაში მუსლიმების რაოდენობრივი სიმრავლით ხსნის. მაღალმთიანეთში მუსლიმების რაოდენობა მართლაც სჭარბობს დანარჩენი კონფესიების მიმდევართა რაოდენობაზე, მაგრამ ბათუმსა და ქობულეთში საპირისპირო ვითარებასთან გვაქვს საქმე. იქ მცხოვრებ მართლმადიდებლებს ემატება მთიანი რაიონებიდან განათლების მისაღებად, სამუშაოდ თუ საცხოვრებლად გადმოსული ოჯახები, რომელთა ახალგაზრდობის გარკვეულ ნაწილში გამოხატულია გაქრისტიანების ტენდენცია, ასევე მთიან რაიონებთან შედარებით მაღალია დასაქმების, თვითრეალიზაციისა და განათლების მიღების შესაძლებლობა. ეს ფაქტორი მნიშვნელოვანია დასახელებული კონფლიქტის ინსპირირების პრევენციისათვის.

მეჩეთების რაოდენობრივი სიჭარბე ისტორიული წარსულითაა (ოსმალთა ბატონობით) განპირობებული რესპონდენტთა 35,7 პროცენტისათვის, ხოლო 9,5 პროცენტი ამ ფაქტს უცხოურ შემოწირულობებს უკავშირებს. 1990-ნი წლებიდან განვითარებულმა მოვლენებმა მართლაც შეუწყო ხელი გაურკვეველი წარმოშობის ფინანსური რესურსების, ისლამური, რელიგიური, პოლიტიკური ჯგუფების უკონტროლო შემოსვლას, რაც უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ სატელევიზიო გადაცემებში, კვლევებსა თუ სტატიებში კონფლიქტების ინსპირირების ერთ-ერთ ხელშემწყობ ფატორად მოგვევლინა (იმედი, 2017).

რელიგიურად და ეთნიკურად განსხვავებულ რეგიონებში ადგილი ჰქონდა (და აქვს) პოლიტიკური გავლენის გაძლიერებისა და რელიგიის პოლიტირიზების მცდელობებს. ამასთანაა დაკავშირებული რესპონდენტთა 2,4 პროცენტის შეხედულება უცხოეთიდან შემოდინებული ფინანსების ხელფასების სახით გაცემისა და მეჩეთების სიმრავლის შესახებ. დასამალი არაა მეჩეთებისა და სასულიერო ზედაფენების ფინანსური უზრუნველყოფა ხდებოდა გაურკვეველი წარმოშობის უცხოური ფინანსებით, რაც რესპონდენტთა ამ კატეგორიისათვის მუსულმანური სამლოცველოების რაოდენობრივ ზრდასაც უწყობს ხელს. ეს დასტურდება უმცირესობათა საკითხების ევროპული ცენტრის სამუშაო ანგარიშიდანაც (ლაილსი, 2010, გვ. 22-23).

კავკასიის რეგიონის გეო-სტრატეგიული მდებარეობიდან გამომდინარე, გეოპოლიტიკური მოთამაშეები, ქვეყნები თუ ორგანიზაციები თავიანთი მიზნების მისაღწევად მიმართავენ მეთოდთა ერთობლიობას ობიექტ ქვეყანაში, ჯგუფში დომინირებადი რელიგიური ან/და პოლიტიკური დასაყრდენის შექმნისა და პოლიტიკურ-კონომიკური გავლენის გაფართოებისათვის.

რა მიზნით ხარჯავენ ფულს აჭარაში დაინტერესებული მოთამაშეები? რატომ აფინანსებენ მეჩეთების მშენებლობას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად მივმართეთ ექსპერტთა ჯგუფს. ფილოსოფიის დოქტორს, ბსუ-ს მოწვეულ უფროს მასწავლებელს, რელიგიათმცოდნეს, ექსპერტ აბესალომ ასლანიძის შეფასებით დაინტერესებული მხარეები ფინანსების ხარჯვით იქმნიან იდეოლოგიურ დასაყრდენს. ,,რელიგიის

სფეროში წამოჭრილი საკითხების თავის დროზე მოუგვარებლობამ, რელიგიურმა ექსპანსიამ ადგილობრივ მუსლიმებშიც გააჩინა მეჩეთების თუ სასწავლებლების გახსნის მოთხოვნილება. ამ გამოწვევას ჩვენ ვერ (თუ არ) ვუკმაყოფილებთ. უცხოელების ფინანსების საქართველოში შემოდინებას მოსდევს რელიგიური და იდეოლოგიური ექსპანსიაც“ - აცხადებს ექსპერტი (ფუტკარაძე, ექსპერტული ინტერვიუ აბესალომ ასლანიძესთან, 2020). მისივე აზრით, მნიშვნელოვანია ამ თვალსაზრისით უცხო ქვეყნის წარმომადგენელათა მონაწილეობის შეზღუდვა, რადგანაც მსგავსი ქმედებები პოლიტიკური ან სხვა ინტერესებით არის განპირობებული. ამიტომ მორწმუნეთა მოთხოვნილების დაკმაყოფილება მეჩეთების მშენებლობასთან თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით უნდა მოხდეს ადგილობრივი რესურსების გამოყენებით. მსგავსი პოზიცია დააფიქსირეს უსაფრთხოების საკითხების ექსპერტებმაც. სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ემირიტუს პროფესორის, თადარიგის პოლკოვნიკ იაგო წულაძის აზრით ,,უცხოეთის მხრიდან ფინანასების შემოდინების მთავარი მიზეზი მუსლიმი თემის აქტიურ ჩამოყალიბებას და მის შემდგომ პოლიტიკურ პარტიად რეგისტრირებას ანუ ლეგალიზებას ემსახურება“ (ფუტკარაძე, ექსპერტული ინტერვიუ უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტ იაგო წულაძესთან, 2020). აღნიშნულის დასადასტურებლად ექსპერტი ბულგარეთის პრეცენდენტს ასახელებს.

ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ მეჩეთების მშენებლობისა და სასწავლებლების გახსნისათვის უცხოეთიდან შემოდინებული თანხა თავიანთი ქვეყნების ხელისუფალთა თანხმობის შედეგია (კონფიდენციალობის დაცვით ჩატარებული ექსპერტული ინტერვიულ უსაფრთხოების საკითხებში ექსპერტთან, 2019). ასეთი პოზიცია გამოხატა გრიგოლ ფერაძის თბილისის სასწავლო უნივერსიტეტის პროფესორმა, თადარიგის გენერალ-მაიორმა თენგიზ ენდელაძემაც. ექსპერტის აზრით მათ მიერ აშენებულ მეჩეთებში დასაქმდებიან თავიანთი ქვეყნების სპეცსამსახურების მიერ გადაბირებული პირები, ხოლო სასწავლებლებში მეტწილად წარმოდგენილნი იქნებიან მათი თანამოქალაქეები, სასულიერო თუ არასასულიერო პირები, რომლებიც იხელმძღვანელებენ თავიანთი ქვეყნების სასწავლო პროგრამებითა და დაზვერვების ინსტრუქციებით. ექსპერტს მიაჩნია, რომ უცხოური დაზვერვა გადაბირებით

საქმიანობას განახორციელებს მოსწავლეთა შორის, ხელს შეუწყობენ გადაბირებულთა კარიერულ წინსვლას (სასულიერო საქმიანობაში, ბიზნესში, პოლიტიკაში დაწინაურებას) და შექმნიან დასაყრდენ სასულიერო, პოლიტიკური თუ ბიზნეს ჯგუფებს თავიანთი ინტერესების გატარებისათვის (ფუტკარაძე, ექსპერტული ინტერვიუ თენგიზ ენდელაძესთან, 2020).

რეგიონში ისლამური სასწავლებლების მშენებლობისა და დაფინანსირების საკითხზე განსხვავებული პოზიცია კონფიდენციალურად გამოხატა ერთ-ერთმა რესპოდენტმა, აჭარის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენელმა. მისი აზრით მსგავს პროცესებს წამყვან სახელმწიფოებშიც აქვს ადგილი და ქვეყნისათვის იგი არაა საფრთხის შემცველი. სახელმწიფომ უნდა შეძლოს შემოდინებული თანხების თავის სასარგებლოდ გამოყენება, აამაღლოს განათლების ხარისხი. იგი არაეთიკურად მიიჩნევს რელიგიის პოლიტიკური მიზნით გამოყენებას, მეჩეთის მშენებლობის საკითხი კი მრევლის რაოდენობის გათვალისწინებით უნდა გადაწყდეს (ფუტკარაძე, კონფიდენციალობის დაცვით ჩატარებული ექსპერტული ინტერვიუ აჭარის პოლიციის დეპარტამენტის წარმომადგენელთან, 2019). სხვა რესპოდენტები იზიარებენ მსგავს შეხედულებებს და ქვეყანას განსაკუთრებული სიფრთხილისაკენ მოუწოდებენ.

როგორც ითქვა, მუსლიმური თემის ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამს მუსლიმი ქართველების ქართულ პოლიტიკურ და სამართლებრივ ცხოვრებაში ჩართულობის საკითხებთან დაკავშირებით. ასეთია რესპონდენტთა 59,5 პროცენტი. 19 პროცენტი საერთოდ უარყოფს მათ ჩართულობას, 21,4 პროცენტი კი მუსლიმების ჩართულობის მაღალ დონეზე აკეთებს აქცენტს. მსგავსი შეხედულებების განმაპირობებელი ფაქტორების შესახებ უკვე ვისაუბრეთ, ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ რთული-სოციალური ეკონომიკური ვითარების ფონზე ასეთი განწყობა შესაძლოა გახდეს მსგავსი შეხედულების მქონე ჯგუფების ან მათი ნაწილის შემდგომი რადიკალიზაციის, ხოლო მცირე ნაწილში ექსპტრემისტული შეხედულებების გაღვივების საფუძველი. სირიასა და ერაყში მოქმედი ისლამურ სახელმწიფოსა და სხვა ტერორისტული დაჯგუფების რიგებში რეგიონიდან წასული ახალგაზრდების მონაწილეობა ადასტრებს ამ დასკვნის ჭეშმარიტებას. ამავე დროს ხაზგასასმელია რეგიონის ეკონომიკურ და

ბიზნესპროექტებში მუსლიმი ქართველების წარმატებები. მათ ვხვდებით აგრეთვე მუნიციპალურ და რეგიონალურ ხელისუფლებაში, ასევე ძალოვან სტრუქტურებში საპასუხისმგებლო თანამდებობებზე.

ბოლო პერიოდში რეგიონში განხორციელდა სხვადასხვა სახის ეკონომიკური, ინფრასტრუქტურული და საგანმანათლებლო პროექტები, რამაც განსაზღვრა მუსლიმურ თემთან ცენტრალური და რეგიონალური ხელისუფლების დამოკიდებულების ხარისხი. რესპონდენტთა 38,1 პროცენტი საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების საქმიანობას დადებითად აფასებს. ნაწილობრივ დადებითად აფასებს 35,7 პროცენტი. შუახევში, დაბა ხიჭაურში გახსნილმა ტბელ აბუსერიძის სახელობის უნივერსიტეტმა რეგიონის მცხოვრებთ უფასო განათლების მიღების შესაძლებლობა მისცა. სახელმწიფოს ხელშეწყობით გახსნილი აბიტურიენტების უფასო მოსამზადებელი ცენტრის არსებობამაც გარკვეული როლი ითამაშა ხელისუფლებისადმი მოსახლეობის დადებითი განწყობის ჩამოყალიბებაზე. ამ სასწავლებელმა გარკვეულწილად შეამცირა უცხოეთის რელიგიურ სასწავლებლებში ახალგაზრდების გადინების პროცესი. მაღალმთიანი რეგიონებში მცხოვრები ოჯახებიდან ახალგაზრდების ნაწილი ასევე უფასოდ ეუფლება პროფესიას შოთა რუსთაველის სახელობის ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ცალკეულ სპეციალობებზე, რამაც ასევე შეუწყო ხელი უცხოეთის რელიგიურ სასწავლებლებში ახალგაზრდების გადინების შემცირებას. არაერთი საინტერესო პროექტი განხორციელდა ჯანდაცვისა (საყოველთაო დაზღვევა) და სოფლის მეურნეობის სფეროში. ყოველივე ამან დადებითი ასახვა ჰპოვა ხელისუფლებისადმი მოსახლეობის დამოკიდებულებაში, რაც აისახა ჩვენს მიერ ზემოთდასახელებულ მაჩვენებლებში.

მიუხედავად ამისა, მაინც გამოიკვეთა ხელისუფლების საქმიანობის უარყოფითად შემფასებელი ჯგუფი. რესპოდენტთა 14,3 პროცენტმა მუსლიმურ თემთან საქართველოს ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების დამოკიდებულება უარყოფითად, ხოლო 11,9 პროცენტმა ნაწილობრივ უარყოფითად შეაფასა. ეს გასაგებიცაა. კვლავაც მძიმეა რეგიონის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, რაც ამავე დროს არის ცალკეული ქვეყნების, ორგანიზაციებისა თუ პირების რეგიონით

დაინტერესების წინაპირობა, პოლიტიკური თუ ეკონომიკური ზეგავლენის შესაძლებლობა. მათ მიერ განხორციელებული კულტურულ-საგანმანათლებლო (სასწავლებლების გახსნა) ჰუმანიტარული (საქველმოქმედო ღონისძიებები) და სხვა პროგრამების ნაწილი გარკვეულწილად ემსახურება და ახალისებს რელიგიური და კუთხური შეუღლის გაღვივებას (ფრანგიშვილი, 2019). ამავე კონტექსტშია განსახილველი ცალკეულ შემთხვევებში მასმედიის გამოყენება არასწორი, მათთვის სასურველი ინფორმაციის გასავრცელებლად ადამიანის უფლებების, რწმენის თავისუფლების ლოზუნგებით მანიპულირება. ერთობლიობაში იგი ე.წ. რბილი ძალაა და ჰიბრიდული ომის ერთ-ერთ ნაცად მეთოდად მოიაზრება.

საქართველოს ცენტრალული და ადგილობრივი ხელისუფლების მიერ გატარებული ღონისძიებების, მეჩეთის მშენებლობის, სახელმწიფო პოზიციის თანმიმდევრობასა და კანონიერების საკითხებზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს ექსპერტებმა. მუსლიმი მოქალაქეებისა და უფლებადამცველი ორგანიზაციების გარკვეული ნაწილი ბათუმში მეჩეთის მშენებლობის გაჭიანურების საკითხს მუსლიმთა უფლებების დარღვევად და დისკრიმინაციად განიხილავს. გამოკითხულ ერქსპერტთა ნაწილმა თავი შეიკავა საკუთარი პოზიციის დაფიქსირებისაგან, მეორე ნაწილი კი სახელმწიფოს მიერ გატარებულ ქმედებებს არ მიიჩნევს თანმიმდევრულად. ექსპერტთა მესამე ჯგუფის აზრით, ბათუმში მეჩეთის მშენებლობის კანონიერების დადგენა სასამართლოს პრეროგატივაა. ისინი გამართლებულად მიიჩნევენ ბოლო პერიოდში სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ ქმედებებს. ასეთია ბსუ-ს პროფესორის, ფილოსოფიის დოქტორის აბესალომ ასლანიძის შეფასებაც. იგი გამართლებულად მიიჩნევს სახელმწიფოს მცდელობას - გადასცეს მიწის ნაკვეთი მუსლიმურ სამმართველოს და თავადვე შეიტანოს განაცხადი მეჩეთის მშენებლობაზე. მისი აზრით ასეთი საკითხები არა დაინტერესებული პირებისა თუ ცალკეული ჯგუფების, არამედ მერიისა და მუსლიმთა სამმართველოს გადასაწყვეტია (ექსპერტული ინტერვიუ აბესალომ ასლანიძესთან, 2020).

არაერთგვაროვანია ქრისტიანი ქართველების დამოკიდებულება მუსლიმური თემის მიერ გაჟღერებულ მოთხოვნებთან დაკავშირებით. გამოკითხულ ქრისტიან

რესპონდენტთა 28,6% დადებითად, ხოლო 31% ნაწილობრივ დადებითად ეკიდება მათ მოთხოვნებს. საერთო კულტურა, ისტორია, ტრადიციები და სხვა ფაქტორები მნიშვნელოვანია ასეთი განწყობების ჩამოყალიბებისათვის. გასათვალისწინებელია უმაღლესი განათლებისა და სოციალური პროგრამების ხელმისაწვდომობა, შერეული - ქრისტიანულ-მუსლიმური ქორწინებები და სხვა ფაქტორები.

განსხვავებულია დანარჩენი რესპონდენტების შეხედულებანი. 19 პროცენტი გამოხატავს მკვეთრად უარყოფით, 21,4 პროცენტი კი ნაწილობრივ უარყოფით დამოკიდებულებას მუსლიმური თემის მოთხოვნებთან დაკავშირებით. ასეთი განწყობები ჩვენის აზრით მიკერძოებული, არაობიექტური ინფორმაციის გავრცელებისა და პროპაგანდისტული საქმიანობის შედეგია. რელიგიური საკითხების წამოწევით ცალკეული პირები თუ ორგანიზაციები მიზანმიმართულად ცდილობენ რეგიონში მოქმედი ისლამური თემი არათანაბარ მდგომარეობაში წარმოაჩინონ, ყურადღება გაამახვილონ მუსლიმთა უფლებების მასობრივი დარღვევებზე, რაშიც ადანაშაულებენ ხელისუფლებას და ქრისტიანულ მოსახლეობას.

ამ პრობლემებთანაა უშუალო კავშირში ბათუმში ე.წ. აზიზიეს მეჩეთის მშენებლობასთან დაკავშირებული კონფრონტაციული განწყობები.

ჩემს მიერ ჩატარებული გამოკითხვებით დადგინდა, რომ მუსლიმური თემის მნიშვნელოვანი ნაწილი ქალაქში ახალი მეჩეთის მშენებლობის მომხრეა. არგუმენტად მორწმუნეების სიმრავლე სახელდება. რესპონდენტების მეორე ნაწილი (როგორც ქრისტიანული, ისე ისლამური აღმსარებლობის) კატეგორიულად ეწინააღმდეგება მეჩეთის მშენებლობას და მას გარე ძალების მიერ ინსპირირებულად მიიჩნევს.ეს დადასტურდა აგრეთვე აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული ხელმოწერებიდანაც. რესპონდენტთა მესამე ნაწილი კი არაა მომხრე მეჩეთის აშენებისა, მაგრამ თუ მაინც უნდა აშენდეს, არ უნდა იქნას დაშვებული უცხოური დაფინანსებით მისი მშენებლობა. დასახელებულ საკითხზე განსხვავებულია ექსპერტნთა მოსაზრებებიც. ექსპერტთა ნაწილი ამ მოთხოვნაში უცხო სახელმწიფოებისა და ორგანიზაციების ინტერესებს ხედავენ, მეორე ნაწილი კი ამ მოთხოვნას ლეგიტიმურად მიიჩნევენ. ერთ-ერთი ექსპერტი მეჩეთის მშენებლობის მოთხოვნის გააქტიურებას ხელისუფლების დაგვიანებულ ქმედებებს

უკავშირებს. იგი შეხვედრია მეჩეთის მშენებლობის საინიციატივო ჯგუფის ხელმძღვანელებსაც. მას საზოგადოებისათვის უცნობი ბევრი საკითხის შესახებ ჰქონდა ინფორმაცია. ექსპერტი მუსლიმური თემის ამ მოთხოვნას არალეგიტიმუად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ მორწმუნეთათვის სავსებით საკმარისია ძველი მეჩეთი, რომლის თითქმის ნახევარი კომერციული მიზნებითაა გამოყენებული (ფუტკარაძე, ექსპერტული ინტერვიუ აბესალომ ასლანიძესთან, 2020), თუმცა იგივე ექსპერტი აღნიშნულ პრობლემას მერიისა და სამუფტოს გადასაწყვეტ საკითხად განიხილავს.

მეჩეთის მშენებლობის საკითხს რელიგიური კონფლიქტის ინსპირირების საფრთხეს უკავშირებს ექსპერტთა მეორე ნაწილი. დავით კუხალაშვილის (უსაფრთხოების ექსპერტი) შეფასებით ამ მოთხოვნის მიზეზი ,,რელიგიური კონფლიქტის ინსპირირებაა და იკვეთება დაინტერესებული სახელმწიფოს ქმედებათა ნიშნები. კონფლიქტის ინსპირირება-გაფართოება ქვეყანაში სტაბილურობის მოშლის საფუძველი გახდება". ექსპერტები მიზანშეწონილად მიიჩნევენ ამ საკითხით დანიტერესებულ პირთა/ორგანიზაციათა მიზნების და შეხედულებების შესწავლისა და ანალიზის აუცილებლობას. მათი აზრით, მუსლიმთა სიმრავლით არგუმენტირებული მოთხოვნა ხელისუფლებამ ადექვატურად უნდა აღიქვას, მაგრამ უნდა გამოირიცხოს უცხო, დაინტერესებული მხარის ჩარევა.

მშენებლობის მოთხოვნის უფლება საქართველოს მუსლიმი მოსახლეობის უფლებაა, აღნიშნავს ერთ-ერთი ექსპერტი თუმცა არ გამორიცხავს ამ საკითხთან დაკავშირებული ვნებათაღელვის არსებობასაც (ფუტკარაძე, კონფიდენციალობის დაცვით ჩატარებული ექსპერტული ინტერვიუ საქართველოს თავდაცვის უწყების წარმომადგენელთან, 2020).

დარგის ერთ-ერთი ექსპერტი, აჭარიის პოლიციის დეპარტამეტის წარმომადგენელი რისკის შემცველად მიიჩნევს არაადექვატურ გამონათქვამს - ***„წადი და შენს თურქეთში ააშენე"*** (2019). ასეთი ფრაზები ხელს უწყობს ქართველ მუსლიმებსა და ქრისტიანებს შორის ურთიერთობათა გამწვავებას, ერთმანეთისაგან გაუცხოებას და მოსახლეობის ცალკეულ სეგმენტებში ასტიმულირებს რადიკალური შეხედულებების გაღვივებას. რესპოდენტის შეფასებით, როგორც მუსლიმი, ისე მართლმადიდებელი ქართველისათვის ერთნაირადაა ძვირფასი სამშობლო. ,,ქართული ფულით იქნება

აშენებული მეჩეთი თუ თურქულით, არ აქვს მნიშვნელობა, რადგან შეუძლებელია ფულის წარმომავლობის დადგენა, პიროვნებას თავისუფლად შეუძლია შენიღბოს ეს მომენტი. თუ მეჩეთის რეალური მოთხოვნა არსებობს, უნდა მოხდეს მისი რეალიზაციაც“ - აღნიშნავს ექსპერტი.

ჩვენი ამოცანა არაა ვისაუბროთ მეჩეთის აშენებისა თუ არაშენების სამართლებრივ საკითხებზე, ამ საკითხს ვეხებით იმდენად, რამდენადაც მსგავსი პრობლემები უკავშირდება ქვეყნის უსაფრთხოების საკითხებს. ემეჩეთის მშენებლობის საკითხთან დაკავშირებული კონფრონტაციული განწყობები გვაფიქრებინებს ერთის მხრივ რეგიონში მცხოვრებ ქრისტიანულ მოსახლეობაში ნაციონალური და რელიგიური გრძნობების გაღვივების შესაძლებლობას, მეორეს მხრივ კი არასრულფასოვანი ქართველის განწყობის სტიმულირებას. ეს განწყობები კი კონსტიტუციური წესწყობილების რღვევის მცდელობისა და მოსახლების დაპირისპირების საფუძველი შეიძლება გახდეს.

როგორც ცნობილია, მუსლიმური თემის ზოგიერთი წარმომადგენელი მხარს უჭერს ისლამური პარტიის ჩამოყალიბებას. ამ საკითხზე ჩემს მიერ ჩატარებულმა გამოკითხვებმა გამოავლინა როგორც საზოგადოების, ისე ექსპერტების განსხვავებული პოზიციები. გამოკითხულ რესპოდენტთა (მეორე ფოკუსჯგუფი) 59,5% საჭიროდ მიიჩნევს ***ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში მუსლიმური თემის მეტ ჩართულობიას, რაც პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბებით იქნება უზრუნველყოფილი.*** დემოკრატიულ სახელმწიფოში უზრუნველყოფილია მოქალაქეთა ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, მაგრამ დაუშვებელია რელიგიურ საფუძველზე პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბების პრეცენდენტის დაშვება.

ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებაში მუსლიმური თემის პოლიტიკური პარტიის სახით წარმოდგენას აქტიურად უჭერს მხარს 26,2, ხოლო ნაწილობრივ - 14,3 პროცენტი. ეს განწყობა რელიგიური პროპაგანდის შედეგია და უკავშირდება მუსლიმური თემის დისკრიმინაციის შესახებ განწყობის ჩამოყალიბების მცდელობას. ერთ-ერთი ექსპერტი **დაუშვებლად მიიჩნევს ქართველების ერთმანეთისაგან გამიჯნვას რელიგიური ან**

პოლიტიკური ნიშნით *(*ფუტკარაძე, კონფიდენციალობის დაცვით ჩატარებული ექსპერტული ინტერვიუ საქართველოს თავდაცვის უწყების წარმომადგენელთან, 2020)*.*

ისლამური თემის სურვილის შემთხვევაში პოლიტიკური პარტიის ჩამოყალიბება დასაშვებია ექსპერტთა ნაწილისათვის (ფუტკარაძე, კონფიდენციალობის დაცვით ჩატარებული ექსპერტული ინტერვიუ საქართველოს თავდაცვის უწყების წარმომადგენელთან, 2020), მაგრამ ამ შეხედულებას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა ექსპერტებს შორისაც. მათ შორის არის ბსუ-ს ზოგიერთი პროფესორი, უსაფრთხოების საკითხებისა და რელიგიის ზოგიერთი ექსპერტი და სხვები. ისინი ამ საკითხზე უბრალოდ საუბარსაც კი მიზანშეუწონლად მიიჩნევენ. უსაფრთხოების ექსპერტი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, თადარიგის გენერალ - მაიორი თენგიზ ენდელაძე ამ საკითხის უკან **უცხო სახელმწიფოების ინტერესებს ხედავს და ქართული სახელმწიფოებრიობისათვის დამღუპველად და საშიშ შეხედულებად მოიაზრებს.** ასეთივე პოზიცია დააფიქსირა კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორმა, თადარიგის პოლკოვნიკმა დავით კუხალაშვილმაც. მისი შეფასებით ,,ნებისმიერ სახელმწიფოს გააჩნია სტრატეგიული ინტერესები. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია **საკუთარ სახელმწიფოში დომინირებადი რელიგიური ხასიათის პოლიტიკური მიმდინარეობის სხვა სახელმწიფოში გავრცობის ორგანიზება, რითაც იქმნება რელიგიურ პროცესებში თანამოაზრე და პოლიტიკურ მოვლენებში მხარდამჭერი საზოგადოების ნაწილი“** *(*ფუტკარაძე, ექსპერტული ინტერვიუ დავით კუხალაშვილთან, 2020)*.*

მნიშვნელოვანია **ახალგაზრდების ისლამურ ქვეყნებში სასწავლებლად გადინების მიზეზების შესახებ მოსახლეობის დამოკიდებულებების შესწავლა.**

მიზეზებს შორის დასახელებულია: რელიგიური და უმაღლესი განათლების მიღების სურვილი (50 პროცენტი), სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა (38,1 პროცენტი) და თვითრეალიზაციის მეტი შესაძლებლობა (11,9 პროცენტი). საბჭოთა კავშირის დაშლით მართლაც გაუარესდა მოსახლეობის სოციალური მდგომარეობა. ომგამოვლილი საქართველო ვერ გაუმკლავდა პრობლემებს, ვერ შეძლო ეკონომიკური დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ამ ფონზე უხვად გამოჩნდნენ ჰუმანიტარულ მისიას

ამოფარებული ორგანიზაციები, კონკრეტული ადამიანები და ამოქმედდნენ თავიანთი სტატეგიული ინტერესების გასატარებლად. ინტენსიური ხასიათი მიიღო მეჩეთების მშენებლობამ. გაიხსნა მუსლიმური სასწავლებებლების ფართო ქსელი, გამოიკვეთა ნიჭიერი ახალგაზრდების უცხოეთში გადინების ტენდენცია. რეგიონის ახალგაზრდებისათვის მიმზიდველად გამოიყურებოდა უცხოეთში სწავლის შესაძლებლობა. ფინანსურად შეჭირვებულ ოჯახებს არ შეეძლოთ შვილების სწავლა-განათლების ფინანსური უზრუნველყოფა. უცხოეთში არსებული თუ რეგიონში გახსნილი რელიგიური სასწავლებები ახალგაზრდებს სთავაზობდა უფასო სწავლებასა და ცხოვრებას (ლაილსი, 2012, გვ. 22-25). რაც ახალგაზრდებში ამ პროცესების სტიმულატორად იქცა

ისლამური და მეზობელი სახელმწიფოების დაინტერესების მიზეზებს შორის დასახელებულია კულტურული (47,6 პროცენტი), ეკონომიკური (9,5 პროცენტი) - პოლიტიკურ (21,4 პროცენტი) და სხვა მიზეზები. გამოკითხვის ასეთი შედეგები აჭარის სტატეგიულ მდებარეობას, ტურისტულ, სატრანზიტო შესაძლებლობებს და სხვა ფაქტორებს უკავშირდება. საუკუნეების განმავლობაში აჭარა იყო კულტურათა გადაკვეთის წერტილი, ცივილიზაციათა გზაჯვარედინი, სადაც ერთმანეთს შეერწყა მართლმადიდებლური სამყაროსა და ისლამური ცივილიზაციის ნიშნები. ექსპერტული შეფასებებით ზემოაღნიშნულ ფოკუს ჯგუფში სამი ძირითადი შეხედულება გამოიკვეთა. ექსპერტთა ნაწილის მტკიცებით **აჭარით უცხოეთის დაინტერესება არ უნდა იქნას გაგებული, როგორც რეგიონის ხელში ჩაგდების მცდელობა,** თუმცა გავლენის მოსაპოვებად რელიგიური ფაქტორის გამოყენებას ბუნებრივად მიიჩნევს. რელიგიის საკითხებში ექსპერტის, თეოლოგ ზაზა კილაძის შეფასებით ,,**ისლამურ და მეზობელ ქვეყნებს ,,არ აწყობთ ერთიანი, მართლმადიდებლური ტრადიციების მქონე ძლიერი საქართველო, რომელსაც პირიქით იმათ საზღვრებში მოქცეულ ქართველებზე ექნება გავლენა“** *(*ფუტკარაძე, ექსპერტული ინტერვიუ რელიგიის საკითხებში ექსპერტ, თეოლოგ ზაზა კილაძესთან, 2019)*. მეზობელი სახელწმიფოების ინტერესებს ქართული რეგიონების მიტაცების მცდელობად** აღიქვამს ექსპერტთა მესამე ჯგუფი. ისინი ამ პროცესში რელიგიურ ფაქტორს ანიჭებენ გადამწყვეტ მნიშვნელობას. საზღვაო აკადემიის

ემიტირუსი პროფესორის, თადარიგის პოლკოვნისკ იაგო წულაძის, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის, თადარიგის გენერალ-მაიორი ენდელაძის და სხვათა შეფასებით უცხო სახელმწიფოთა მიზანია **,,სიტუაციის ესკალაცია და რეგიონის მიტაცება“.**

ასეთი მოსაზრების მხარდამჭერები ფრთხილად ეკიდებიან ისლამური აღმსარებლობის სახელმწიფოებთან **არსებული კულტურული, ეკონომიკური და პოლიტიკური თანამშრომლობის გაღრმავებას** (გამოკითხულთა 7,1 პროცენტი), თუმცა გამოკითხულთა აბსოლუტური უმრავლესობა მიუღებლად მიიჩნევს მსგავს შეხედულებებს. 2004 წლის (აბაშიძის ხელისუფლებიდან ჩამოშორების) შემდეგ აჭარაში განხორციელდა მასშტაბური ინფრასტრუქტურული, ეკონომიკური და კულტურული პროექტები. - ისლამურ აღმსარებლობის ქვეყნებში (ძირითადად თურქეთი, საუდის არაბეთი, აზერბაიჯანი, ყაზახეთი ასევე სხვა ქვეყნები) მოღვაწე ბიზნეს-ორგანიზაციების მიერ, ან მათი ჩართულობით. განვითარდა ტურისტული ინდუსტრიაც, რამაც ხელი შეუწყო ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმებას და ქვეყანაში უცხოური ვალუტის შემოდინებას. ამით უნდა აიხსნას მოსახლეობის უმრავლესობის განწყობა მეზობელ ქვეყნებთან (თურქეთი, აზერბაიჯანი და სხვა) ურთიერთობების გაღრმავების საკითხებთან დაკავშირებით. ისლამური აღმსარებლობის ქვეყნებთან თანამშრომლობის გაღრმავება მათ მიერ განიხილება, როგორც რეგიონში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების შესაძლებლობა.

რაც შეეხება მცირე ნაწილის (7,1 პროცენტის) უარყოფით განწყობას, იგი ისლამური პოზიციების მოძლიერების საშიშროებით, თურქეთის პოლიტიკური და სამხედრო წრეების ცალკეული პირების მიერ აჭარისა და ბათუმის შესახებ გაკეთებული განცხადებებით და სხვა ფაქტორებით არის ნასაზრდოები (ფრანგიშვილი, 2019).

დამოუკიდებელი საქართველოს პირობებში ინტენსიური ხასიათი მიიღო არა მარტო მუსლიმური ქვეყნების რელიგიურ სასწავლებლებში, არამედ დასავლეთის საერო უმაღლეს სასწავლებლებში ქართველი ახალგაზრდების სასწავლებლად გამგზავრებამ. ექსპერტთა ნაწილი ყურადღებას ამახვილებს უცხოური განათლების და

გამოცდილების მიღების აუცილებლობაზე, მაგრამ ასევე ქვეყნისათვის თანმდევ რისკებზეც აკეთებენ გარკვეულ მინიშნებებს. ექსპერტ იაგო წულაძის შეფასებით **,,რელიგიური და ეთნიკური ნიშნის მიუხედავად ნებისმიერ უცხო სახელმწიფოში სასწავლებლად წასული ახალგაზრდები ნამდვილად წარმოადგენენ საფრთხეს ეროვნული უსაფრთხოებისათვის, რადგან უცხო სახელმწიფოები მუდმივად ზრუნავენ საკუთარი, სადაზვერვო ხასიათის აგენტურული აპარატის ჩამოყალიბება-სრულყოფისათვის“.** იგივე პოზიცია აქვს უსაფრთხოების ექსპერტ თენგიზ ენდელაძესაც. ისინი ყურადღებას ამახვილებენ უცხო გარემოში სწავლის თავისებურებებზე, ახალგაზრდის ასაკზე, გამოცდილებასა და ამბიციებზე, რაც უცხო ქვეყნის სპესამსახურებისათვის გადაბირებითი საქმაიანობის ორგანიზების ერთ-ერთ წინაპირობად განიხილება. აღნიშნული მოსაზრების არგუმენტაციისას ისინი იშველიებენ თურქეთის მაგალითს ისტორიული წარსულიდან, როცა ენვერ-ფაშას ინიციატივით 1908 წელს შექმნილი თურქეთის სადაზვერვო სამსახური „ტესილატ-ი-მახსუსა“ („სპეციალური ორგანიზაცია“), აქტიურ გადაბირებით საქმიანობას ეწეოდა რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ მუსლიმებსა და თურქეთის რელიგიური სასწავლებლების მოსწავლეებში, აღვივებდნენ ანტირუსულ განწყობებს „დიდი თურქეთის“ შექმნის იდეის რეალიზაციისათვის. ამ საქმეში ისინი აქტიურად იყენებდნენ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე (მათ შორის ამიერკავკასიაში) შექმნილ ე.წ. „თათრულ-თურქულ კომიტეტებს“, რომლებიც შესანიშნავი დასაყრდენი იყო თურქეთის დიპლომატიური კორპუსისათვის“.

რელიგიის მკვლევარის აბესალომ ასლანიძის შეფასებით ,,ამ ორგანიზაციების ხელშეწყობით ასეულობით ახალგაზრდამ მიიღო რელიგიური განათლება უცხოეთში. ეს ახალგაზრდები თავის დროზე სასწავლებლად წაიყვანეს ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლეობის დროს (ამჟამად ძირითადად სკოლის კურსდამთავრებულები მიყავთ). ამ ასაკის ბავშვებს, ჯერ კიდევ არ ჰქონდათ ათვისებული ეროვნული კულტურული ღირებულებები, მაგრამ მიმღებმა მხარემ ისინი მიიღო ისეთებად, როგორებიც იყვნენ და განათლებაც შესაბამისი მისცა. ეს ახალგაზრდები ჩვენთან დაბრუნდნენ სხვა კულტურული ღირებულებებით. ამიტომ გაუძნელდათ საზოგადოებაში ინტეგრაცია და

საკუთარი ადგილის მონახვა. ამ ახალგაზრდებს, გამონაკლისების გარდა, არ გააჩნიათ საერო განათლება. მხოლოდ ყურან-კურსების ცოდნა კი დასაქმებისათვის საკმარისი არ აღმოჩნდა. ამიტომ იძულებული ხდებიან დამოუკიდებლად ეძებონ საზოგადოებაში ჩართვის გზები“ ამან განაპირობა ,,მუსლიმთა უფლებების დამცველი“ არასამთავრობო ორგანიზაციების ჩამოყალიბება და რელიგიური ლიტერატურის თარგმნა-გავრცელება. ნაწილმა არსებულ მეჩეთებში იმამის თანამდებობები დაიკავა, ნაწილმა კი თვითრეალიზების უზრუნველსაყოფად ახალი მეჩეთების გახსნისთვის დაიწყო ბრძოლა. მათი ეს საქმიანობა უზრუნველყოფილია უცხოური ფინანსებით. ახალი მეჩეთების და პანსიონებისათვის შეისყიდეს ათეულობით სახლი თუ სხვადასხვა დანიშნულების შენობა. „თავისუფალი ახალგაზრდობის“ ეს ნაწილი სხვადსხვა დაჯგუფებების, მათ შორის ტერორისტული ორგანიზაციების პირდაპირი სამიზნედ იქცა“.

კანონდარღვევით გახსნილი რელიგიური სასწავლებლები და პანსიონები მნიშვნელოვანი გამოწვევაა საქართველოსათვის. ექსპერტები ამ ფაქტს ქვეყნისათვის მნიშვნელოვან საფრთხედ მოიაზრებენ. ,,არ ვფიქრობთ, რომ რელიგიური სასწავლბლების გახსნა ქვეყნის შიგნით მცხოვრები მუსლიმების მოთხოვნა იყოს. ესაა ხელოვნურად „იმპორტირებული“ და მიზანმიმართულად პოლიტიზირებული პროცესი“ - აღნიშნა ერთ-ერთმა ექსპერტმა.

უსაფრთხოების ექსპერტები ცალსახად უარყოფითად აფასებენ რეგიონში უცხოელების მიერ დაარსებული რელიგიური დაწესებულებების უკონტროლო ზრდას და სახელმწიფოს სათანადო ღონისძიებების შემუშავებისაკენ მიუთითებენ. ,,*ყველა ასეთი სასწავლებელი უცხო ქვეყნის კლერიკალური ორგანიზაციების მიერ შექმნილი და იდეოლოგიური დივერსიის ამოცანებს ემსახურება“ - მიიჩნევს ექსპერტი იაგო წულაძე.* ,,საკუთარ სახელმწიფოში დომინირებადი რელიგიური მიმდინარეობის სხვა სახელმწიფოში გავრცობის ორგანიზება ხელსაყრელია სადაზვერვო საქმიანობისათვის“, აღნიშნავს იგი. ამ შეხდედულებას სხვა ექსპერტებიც იზიარებენ. თავდაცვის უწყების წარმომადგენელი ექსპერტი რელიგიური სასწავლო დაწესებულებების ზრდის მიზეზად მუსლიმების რაოდენობის ზრდას ასახელებს. ასეთი სასწავლებლების არსებობას კონკრეტულ შემთხვევაში მიიჩნევენ საფრთხედ ექსპერტების ერთი ნაწილი.

უსაფრთხოების ექსპერტ თენგიზ ენდელაძის აზრით ,,ისლამური სასწავლებლების გახსნა აჭარაში ქართულ სახელმწიფოებრიობისათვის საფრთხის შემცველი იქნება იმ შემთხვევაში, თუ მათი დამაარსებლები, თანადამაარსებლები, დამფინანსებლები, ლექტორ-მასწავლებლები იქნებიან უცხო ქვეყნების ორგანიზაციები და მოქალაქეები და სასწავლო პროცესსაც თავიანთი ქვეყნების სასწავლო პროგრამებით წარმართავენ.

ექსპერტთა ნაწილი ასეთი სასწავლებლების მომრავლებას ტერორისტული ორგანიზაციების ინტერესების კონტექსტში განიხილავს და საქართველოს მოქალაქეთა სირიასა და ერაყის საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობას ამ სასწავლებლების ,,დამსახურებად" მიიჩნევენ. ექსპერტი კობა ოშხერელი ხაზს უსვამენ აგრეთვე მუსლიმი ქართველების მიმართ საზოგადოების ნაწილში არსებულ, გაუცხოების განმაპირობებელ უარყოფით დამოკიდებულებას. იგი საჭიროდ მიიჩნევს სახელმწიფოს მიერ კარგად მოფიქრებული და ეფექტური ღონისძიებების გატარებას, რათა თავიდან იქნას აცილებული რელიგიური ნიშნით საზოგადოების გახლეჩა, ქვეყნის ლიბანიზაცია (ფუტკარაძე, ექსპერტული ინტერვიუ კობა ოშხერელთან).

ერთ-ერთ ასეთ ღონისძიებად გვესახება **უმაღლესი რელიგიური სასწავლებლის დაარსება.** საქართველოს მეჩეთებს დაახლოებით ათასამდე სასულიერო პირი (მეჩეთის იმამი, მუეძინი, სასულიერო სამმართველოსა და სამუფთოებში დასაქმებული პირები...) ემსახურება. რელიგიური განათლების მისაღებად **ახალგაზრდების გადინების შეზღუდვა შესაძლებელია საქართველოს ხელისუფლების მიერ მუსლიმური უმაღლესი სასწავლებლის (ფაკულტეტის ან სპეციალობის მაინც)** გახსნით, სადაც მომზადდებიან სასულიერო პირები ეროვნული ცნობიერებისა და ღირებულებების საფუძველზე (ლაილსი, 2012, გვ. 22-23).

ამრიგად, კვლევის შედეგებით დადგინდა, რომ საზოგადობის მცირე ჯგუფებში არსებობს რადიკალური განწყობები, რომელიც იძლევა დაინტერესებული მხარის აღნიშნული ჯგუფების კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში ჩართვის შესაძლებლობას. ცალკე ან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე, სახელმწიფო ზედამხედველობის პირობებში ისლამური სწავლების ცენტრის (ეროვნული სასწავლო პროგრამით და ადგილობრივი პროფესორ-მასწავლებლების მონაწილეობით) დაარსება ხელს შეუწყობს

აღნიშნული გამოწვევის პრევენციას (თუმცა აღნიშნულ საკითხზე შესაძლოა არსებობდეს განსხვავებული მოსაზრებებიც).

2.4 2017 წლის 11-12 მარტის მოვლენები ბათუმში

საქართველოში არსებული გაყინული კონფლიქტების ფონზე განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს აჭარაში არსებული სიტუაციის ანალიზი. ოდითგანვე ეს რეგიონი იყო დიდი სახელმწიფოთა ინტერესების გადაკვეთის ადგილი. აქ ერთმანეთს შეეჯახა რუსეთის ფედერაციის (სატელიტი - სომხეთი), თურქეთის - (სტრატეგიული პარტნიორი აზერბაიჯანის), ირანის ინტერესები. მეზობელი სახელმწიფოების აჭარისადმი მზარდმა ინტერესმა განაპირობა მათი მონაწილეობა ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ, საგანმანათლებლო თუ სხვა სფეროებში, რასაც ახლდა როგორც დადებითი, ისე უარყოფოთი შედეგები.

ისტორიულმა ბედუკუღმართობამ აჭარის მოსახლეობის ცნობიერებას სერიოზული დაღი დაასვა. რუსეთ-თურქეთის 1877-1878 წლების ომის შემდეგ აჭარა დაუბრუნდა სამშობლოს, თუმცა ამ ორი სახელმწიფოს შეთანხმებულმა პოლიტიკამ რეგიონის მოსახლეობისადმი დამოკიდებულების თავლსაზრისით ხელი შეუწყო მუჰაჯირობის სახელით ცნობილ გადასახლებებს. არანაკლები როლი ითამაშეს გამუსლიმანებულმა ქართველმა სასულიერო პირებმა და სოციალური ზედაფენების წარმომადგენლებმა. ლომან ეფენდი ქარცივაძის, ახმედ ხალიფაშვილის, ნური ბერიძის და სხვა პროგრესულ მოღვაწეთა საქმიანობამ რამდენადმე შეამცირა მუჰაჯირობის მასშტაბები

აჭარლების მიმართ ეთნონიმი ,,თათარი“-ს დამკვიდრება უპირატესად რუსეთის ,,დამსახურებაა“ (ზვიადაძე, სორდია, 2021, გვ. 8, ასევე, ფუტკარაძე, 1993, გვ. 13-14) *ოსმალებმა ქართველები თურქებად არ მიიღეს ხოლო რუსებმა - ქართველებად (*ფუტკარაძე, 1993, გვ. 14). *ათეისტურ საბჭოთა პერიოდში ამ მხრივ არაფერი შეცვლილა.* უფრო მეტიც, შეუძლებელი გახდა აჭარელის ბათუმში დამკვიდრება. უბრალოდ აკრძალული იყო მათი ქალაქში ჩაწერა.

პოსტსაბჭოთა პერიოდში ამ მხრივ ვითარება რამდენადმე შეიცვალა, თუმცა რელიგიის აღმავლობის ფონზე არნახული ხასიათი მიიღო მეჩეთების მშენებლობამ,

რომელთა რაოდენობა დღეისათვის ასოთხმოცამდეა (ლაილსი, 2012, გვ. 22/23, ასევე, თურაძე, ,,ბათუმელები“, 2016). მეჩეთებთან იხსნება მედრესეები, ძლიერდება ისლამური პოზიციები. ყოველივე ეს გარე ძალების აქტიური მოქმედების შედეგია (ლაილსი, 2012, გვ. 22-23).

2017 წლის 11-12 მარტს ქ. ბათუმში ადგილი ჰქონდა გარე თუ შიდა ძალების ინსპირირებით განხორციელებულ მოვლენებს, რომელშიც გამოჩნდა როგორც თურქული, ასევე რუსული მემკვიდრეობის კვალი. მივყვეთ მოვლენათა ქრონოლოგიას. თურქეთის საზღვართან მდებარე საპორტო-სტრატეგიულ ქალაქ ბათუმს (მოსახლეობა - 152839, საქართველოს სტატისტიკის სამსახური, 2014, გვ. 18) აქვს უდიდესი ტურისტული პოტენციალი. აღნიშნულიდან გამომდინარე ქალაქში გაჩნდა ინოეთნიკური ჯგუფების კომპაქტური დასახლებანი, ხოლო მუნიციპალიტეტებში (ხელვაჩაური, ქედა, შუახევი) არაქართული კომპანიების მიერ განხორციელდა სხვადასხვა ეკონომიკური პროექტი მათ შორის ჰიდრო-ელექტრო სადგურების მშენებლობა. ამ პროექტების განხორციელებამ მეზობელი სახელმწიფოდან მოიზიდა კვალიფიციური სპეციალისტები, რომელთა ნაწილი ოჯახებით დასახლდნენ აღნიშნულ რაიონებში. ამ პროექტებში ადგილობრივი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილიც იყო დასაქმებული. ადგილობრივ დასაქმებულთაგან ადგილი ჰქონდა საქმისადმი არაკეთილსინდისიერი დამოკიდებულების ერთეულ შემთხვევებს, რაც გახდა იქ დასაქმებული ადგილობრივი მოსახლეობის ერთბაშად გათავისუფლების საფუძველი (მანჯავიძე, 2013, ასევე ჯავახეთის მედია, 2014, გვ. 8, ასევე, არეშიძე, ,,თბილისელები“ , 2010).

საზოგადოების დაყოფისა და დაპირისპირების ხელშემწყობ ფაქტორად გვევლინება სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციისა თუ მედია საშუალებების მხრიდან რელიგიური დისკირმინაციის არარსებულ ფაქტებზე ხშირად არაკვალიფიციური და დაუსაბუთებელი განცხადებების გავრცელება და რეპორტაჟების მომზადება. სინდისის თავისუფლების აპელირებით მანიპულირება. კონკრეტული ადამიანები საერთაშორისო ორგანიზაციების ყურადღების მისაპყრობად პროვოკაციული ქმედებებსაც არ ერიდებიან. ადამიანის უფლებათა დაცვის საბაბით გამოიკვეთა დესტაბილიზაციის მცდელობები. ამ

თვალსაზრისით იყენებენ მავანთა მიერ აჭარლების ეთნონიმ ,,თათარად“ მოხსენიების ერთეულ შემთხვევებს (დუმბაძე, ,,ბათუმელები“, 2017).

მათ იციან, რომ ამ ეთნონიმით მოხსენიება შეურაცხმყოფლად აღიქვამება მოსახლეობაში. აშკარაა დაინტერესებულ მხარეთა მიზანმიმართული დესტრუქციული საქმიანობა, არასასურველი ეთნონიმით მოხსენიების აჟიტირება დესტაბილიზაციის გამოსაწვევად. თავისი სპეციფიკურობის მიუხედავად ამ კონტექსტში უნდა იქნას განხილული აგრეთვე ჭელას, მოხეს, ჭეჭლას, ზოტის, ნასაკირალის, ჩხაკაურის ლაითურის, სამთაწყაროს, ქობულეთის და ბათუმის მოვლენები.

გარეგნულად, ბათუმის მოვლენები პატრულის გამკაცრებულ ღონისძიებებს უკავშირდება. პატრულმა კანონდამრღვევს კანონის დაცვა მოთხოვა. წინააღმდეგ შემთხვევაში ჯარიმის ამოწერით დაემუქრა. წარმოუდგენელია იმ ვითარებაში პატრულს ვინმეს მისამართით გამოეთქვა შეურაცხმყოფელი ეთნონიმი. იგი არსებული კანონმდებლობის ფარგლებში იქცეოდა (იმედინიუსი, 2017, ასევე, საერთაშორისო გამჭვირვალეობა საქართველო, 2017). საპატრულო პოლიციის ღონისძიებებმა საბაგირო გზის ქვედა სადგურის მიმდებარე პრობლემურ მონაკვეთზე უზრუნველყო წესრიგის დამყარება, მოძრაობის დარეგულირება, რამაც საზოგადოების კმაყოფილება გამოიწვია. საგულისხმო ფაქტია - აქციამდე რამოდენიმე დღით ადრე კორუფციასთან ბრძოლის ცენტრის მიერ აჭარის პოლიციის სამმართველოსთან გაიმართა აქცია ლოზუნგით: ,,არ ვართ თათრები“ (Allnews, ონლაინ ინტერვიუ, 2017), რომელშიც რამოდენიმე ადამიანი მონაწილეობდა. ეს იყო მიზანმიმართული აქცია 11-12 მარტის დიდი აქციისათვის წინაპირობების მოსამზადებლად. გამოყენებული იქნა აგენტ პროვოკატორების ნაცადი მეთოდი. მასმედიაში გავრცელებული ინფორმაციით აქციის გამართვა ექვსი ადამიანის დაკავებას უკავშირდებოდა, თუმცა მონაწილეებს დაპატიმრებულთა გათავისუფლების შემდეგაც არ შეუწყვეტიათ დესტრუქციული მოქმედება. მიზანი აშკარა იყო. აქციის ორგანიზატორების ამოცანა არ იყო დაკავებული პირების განთავისუფლება. აგრესია, ვანდალიზმი, მოლოტოვის კოქტეილების და აგურების გამოყენებით განხორციელებული ვანდალური ქმედებები ჩვენის აზრით იყო წინასწარ დაგეგმილი ოპერატიულ-ოპერაციულ მოქმედებათა ერთობლიობა

კითხვით ნიშნებს ბადებს აქციის მონაწილეთა შემადგენლობა. მასში საკმარისად მცირე იყო საკუთრივ ბათუმში მაცხოვრებელი. უმრავლესობა საქართველოს სხვადასხვა რეგიონისა და სოფლების, აქციის დროისათვის ბათუმის კაფეებში, ბარებსა და სამშენებლო სამუშაოზე მყოფი ახალგაზრდების ნაწილისაგან შედგებოდა. მათ არც კი იცოდნენ, რისთვის მონაწილეობდნენ ამ ვანდალიზმში და რა მიზანს ისახავდა ეს აქცია (რეხვიაშვილი, 2017, ასევე, ავალიშვილი, 2017).

აქციის ორგანიზატორები სპეკულირებდნენ აჭარლების თათრებად მოხსენიების ცრუ ფაქტებით. ამ დესტრუქციულ სურვილებს კუთხურობა არ გააჩნია. თამთა ხალვაშის შეფასებით ,,ეს სურვილები და ქმედებები სიმპტომია უფრო მასშტაბური სოციალური პრობლემებისა, რომელიც მთელს საქართველოშია გავრცელებული. აჭარა, უბრალოდ, ნოყიერი გარემოა შურისმაძიებელი და დესტრუქციული სულისკვეთების გაღვივებისთვის“. საინტერესოა კიდევ ერთი გარემოება: ბათუმში არეულობების მეორე დღეს რუსეთმა შეამოწმა სამხრეთის ჯარების დაჯგუფების საბრძოლო მზადყოფნა, ხოლო მოვლენებიდან რამდენიმე დღეში ბათუმს თურქეთის პრემიერ–მინისტრი ილდირიმი ეწვია, რომელმაც არაოფიციალური სადილი გამართა პრემიერ კვირიკაშვილთან (ბერიძე, 2017).

აქციაში ნასამართლევი, კრიმინალური წარსულის მქონე პირებიც მონაწილეობდნენ. აქციის დაშლის შემდეგ, სატელევიზიო დებატებში, ჟურნალისტების მიერ მომზადებულ ზოგიერთ რეპორტაჟში მეტად სენსიტიურ და ფაქიზ საკითხზე კეთდებოდა არასასურველი განცხადებები, ხელოვნურად ხდებოდა საკითხის აჟიტირება, რაც აჭარის მკვიდრთა უარყოფითი განწყობის ჩამოყალიბებას და მუსლიმი და ქრისტიანი ქართველების გახლეჩას უწყობდა ხელს. ინტერნეტ და მედია სივრცეში განჩნდა სტატუსი - ,,აჭარელი არ არის თათარი“, რომელსაც უამრავი ქრისტიანი თუ მუსლიმი აზიარებდა (იუთუბ არხი, მოამბე, 2017).

დესტრუქციულმა მოქმედებებმა ჰიბრიდული ომის ყველა მიმართულება მოიცვა და სოციალურ ქსელებშიც ჰპოვა ფართო ასახვა. აშკარაა, დაინტერესებულ მხარეს სერიოზული სამუშაოები ჰქონდა ჩატარებული (Allnews, 2017). ჩვენი დაკვირვებით აქციის ორგანიზატორების მიზანი იყო მუსლიმ მოსალეობაში უარყოფითი

დამოკიდებულების გამძაფრება. ყოველივე ზემოაღნიშნულმა რეგიონის მართლმადიდებელ მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში აჭარლებისადმი უნდობლობის, ნიჰილისტური განწყობის ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი.

ყოველივე ზომოთქმული საშუალებას გვაზლევს გამოვკვეთოთ აქციის ორგანიზატორთა შემდეგი ძირითადი სავარაუდო მიზნები:

ა) სახელმწიფო ინსტიტუტებისა და იქ დასაქმებული ადამიანების დისკრეტიდაცია;

ბ) რელიგიური და კუთხური შუღლის ინსპირირება;

გ) აჭარაში მცხოვრები მართლმადიდებელი აღმსარებლობის მოსახლეობაში ნიჰილისტური დამოკიდებულების გაჩენა, უნდობლობის განწყობის ჩამოყალიბება.

კონფლიქტების შესახებ მეცნიერებაში არსებული თეორიის თანახმად, მსგავსი პროცესები შესაძლოა ჩაითვალოს ძალების ერთგვარი მოსინჯვის მცდელობად, რაც დაინტერესებული ორგანიზაციის თუ პირების ორგანიზებითა და რელიგიურ-კუთხური გრძნობების მანიპულირებით უფრო დიდი კონფლიქტის ინსპირირების შესაძლებლობას იძლევა (Webel, Galtung, 2009, გვ. 35-94). ზეგავლენის ძირითადი ობოიექტები მუსლიმებთან ერთად რეგიონში მცხოვრები მართლმადიდებლებიც იქნებიან.

ბათუმში განხორციელებული აქცია საზოგადოების, პოლიტიკური ელიტის, დიპლომატიური კორპუსის და ხვადასხვა ორგანიზაციების (მათ შორის საერთაშორისო) წარმომადგენლების მსჯელობის საგნად იქცა.

ე.წ. უკანონო ჯარიმები და ტერმინ ,,თათარი“-ით მანიპულირება იყო ერთგვარი შირმა რეალური მიზეზისა და ორგანიზატორთა მიზნების შესანიღბად. აქცია იყო რელიგიური და კუთხური ნიშნით საზოგადოების დაპირისპირების მცდელობა. აქციის ორგანიზატორებმა წინასწარ გათვალეს საზოგადოების გაღიზიანების ფაქტორები და ეფექტურად გამოიყენეს სენსიტიური და ფაქიზი თემები საკუთარი მიზნებისათვის (ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 19 სექტემბრის N628 გ/კ წერილი).

ბათუმის მოვლენები ქრონოლოგიურად შემდეგი თანმიმდევრობით მიმდინარეობდა:

1. კორუფციასთან ბრძოლის ცენტრის მიერ საპატრულო პოლიციის ადმინისტრაციულ შენობასთან გამართული რამდენიმეკაციანი აქცია 11 მარტამდე რამოდენიმე დღით

ადრე. მიზანი - არასასურველი ეთნონიმების გამოყენებით უარყოფითი განწყობის ჩამოყალიბება საზოგადოებაში აღნიშნული საკითხის პერსპექტივაში წინ წამოწევის მიზნით (Allnews, 2017);

2. ე.წ. პლაზას ტერიტორიაზე კანონდამრღვევისათვის პატრულის მიერ ჯარიმის გამოწერით განპირობებული დაძაბულობა და ექვსი ადამიანის დაკავება;
3. აქცია და აწციის მონაწილეთა საპროტესტო მსვლელობა აჭარის საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის დირექტორის კახა ბუხრაძის თანამდებობიდან გადაყენების მოთხოვნით;
4. აქციის პოლიციის დეპარტამენტის ადმინისტრაციულ შენობასთან;
5. დაძაბულობის ზრდა, ჭორების გავრცელება აჭარელის ,,თათარის“ ეპიტეტით მოხსენიების თაობაზე, კონფლიქტის საბოლოო ესკალაცია;
6. ჭორების გავრცელებით მიმდებარე ტერიტორიებიდან მოსახლეობის შეკრების ორგანიზება;
7. კონფლიქტის ესკალაციის პიკი შუა ღამისას. აქციის რეაქციული ნაწილის გადაწყვეტილება პოლიციის შესაბამის დანაყოფებთან ფიზიკურ დაპირისპირებაში გადასვლის შესახებ;
8. აქციის გადაზრდა ვანდალიზმში (მანქანების დაწვა, ინფრასტრუქტურის დაზიანება-განადგურება, პოლიციის დეპარტამენტის ტერიტორიაზე შეღწევის მცდელობა.

პოლიციის დამატებითი ძალების მოზიდვით აქციის დასრულება შესაძლებელი გახდა დილის 6 საათისათვის. დააკავეს აქციის 40 - მდე მონაწილე (ელექტრონული ჟურნალი ნიუს.გე, 2017). საქალაქო სასამართლოში დარეგისტრირდა ოთხი სისხლის სამართლის საქმე 21 პირის მიმართ (ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 19 სექტემბრის N 628 გ/კ წერილი).

აქციის მიზეზებთან დაკავშირებით საზოგადოებისა და პოლიტიკურ ისტებლიშმენტის მიერ გამოითქვა სხვადასხვა მოსაზრებანი:

1. კონფლიქტი ინსპირირებული იყო ოპოზიციური პოლიტიკური პარტიების მიერ, (არგუმენტი - ნაციონალური მოძრაობის ცალკეული წარმომადგენელის მიერ სოლიდარობის გამოცხადება) (ჩერგოლეიშვილი, 2017, ასევე, ,,News.ge, 2017);

2. კონფლიქტი ინსპირირებული იყო:

ა) ადგილობრივი სპეცსამსახურების მიერ (რეხვიაშვილი, 2017);

ბ) უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების მიერ;

3. კონფლიქტი განაპირობა უსამართლო ჯარიმებმა (,,მოამბე, 2017);
4. კონფლიქტი განაპირობა აჭარის მკვიდრი მოსახლეობის მიმართ შეურაცხმყოფელი ეთნონიმის გამოყენებამ (ჟურნალი ,,ნიუს.გე“, 2017).

აქციის მოვლენებთან დაკავშირებით, სოციალურ ქსელებსა და ჟურნალ-გაზეთებში (ტრაპაიძე, 2017, ასევე, ვერსია, 2017) გაიმართა აქტიური მსჯელობა. საზოგადოების ნაწილი მას უკრაინულ მაიდანთან აიგივებდა (ტრაპაიძე, 2017, ასევე, ვერსია, 2017). ჟურნალ-გაზეთში დაბეჭდილი სტატიები, სოციალურ ქსელებში განთავსებული სტატუსები და გაკეთებული აქცენტები მცდარი საზგადოებრივი აზრის ჩამოყალიბებას ემსახურებოდა. აქცენტს აკეთებდნენ გამონათქვამებზე: ,,აჭარელი არ არის თათარი“, ,,აჭარა აჭარლებს“, ,,საერთო უნდობლობა აჭარლების მიმართ“. ამავე მიზანს ემსახურებოდა გამოქვეყნებული პუბლიკაციები: ,,თათრის ღამე“ და ,,ქრისტიანობის კრიზისი“. ადამიანისა და საზოგადოების ცნობიერებაზე მრავალჯერადი მიზანმიმართული ზემოქმედება, მათზე მიწოდებული ინფორმაცია ადამიანის ქვეცნობიერში აღიქმება, როგორც ობიექტური ჭეშმარიტება (უზნაძე, 2010, გვ. 118).

ამრიგად, აქცენტები და საგაზეთო პუბლიკაციები მიუთითებს, რომ სახეზეა საზოგადოებაის ცნობიერებაზე მანუპულაციის მეთოდების გამოყენება, რომელიც აქტიურად იხმარება სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო საქმიანობაში. შესაბამისად, რიგი საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციები მათი მოქმედებით, ნებსით თუ უნებლიედ ჩართული იყვნენ ამ პროცესში.

ბათუმის მოვლენებმა დაადასტურა რელიგიური და კუთხური საკითხების მანიპულირების სახიფათო ტენდენცია. საზოგადოების გარკვეული ნაწილის შეხედულება პოლიტიკური ოპოზიციური პარტიების მიერ აქციის ორგანიზების შესახებ, არ მიგვაჩნია, მართებულად შემდეგი გარემოებების გამო:

ა) აქციის მონაწილეთა ნაწილი წარმოადგენდა ახალგაზრდების რეაქციულ ფრთას. საზოგადოებისათვის დღემდე უცნობია აქციის კონკრეტული ორგანიზატორების ვინაობა;

ბ) აქცია სახელმწიფო სტრუქტურებისა და ხელმძღვანელი პირების დიკრედიტაციასაც ისახავდა მიზნად. ვფიქრობთ, რომ ეს იყო კარგად დაგეგმილი სადაზვერვო ხასიათის ქმედება, რომლის კონკრეტული მიზნები დღემდე უცნობია;

გ) აქცია არ აყენებდა პოლიტიკურ, სოციალურ თუ სამართლებრივ მოთხოვნებს. აქციის მონაწილეები ითხოვდნენ დაკავებული ექვსი ადამიანის გათავისუფლებას, თუმცა მოთხოვნის დაკმაყოფილების შემდეგაც არ შეწყდა აქციის მიმდინარეობა;

დ) აქციის მიმართ საზოგადოების მკვეთრად გამოხატული უარყოფითი დამოკიდებულება. წარმოუდგენელია ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს ეს ფაქტორი არ გაეთვალისწინებინათ;

ე) ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელთა შეუთანხმებელი განცხადებები და მოქმედებები.

ვფიქრობთ, რომ ოპოზიციური პარტიების მონაწილეობა აქციის მიმდინარეობაში იყო შეცდომა, რადგან:

ა) ოპოზიციური პარტიის ცალკეულმა წარმომადგენლებმა აქციას გამოუცხადეს სოლიდარობა და მოუწოდეს საზოგადოებასაც ანალოგიური ქმედებისაკენ;

ბ) ოპოზიციური პარტიის ცალკეულმა წარმომადგენლებმა სოლიდარობის აქცია გამართეს ქუთაისსა და თბილისში;

პოლიტიკური პარტიების განსხვავებული შეფასებები და მათი რიგებიდან ერთ-ერთი აქტივისტის გარიცხვა გვაფიქრებინებს, რომ მათ გაიაზრეს დაშვებული შეცდომა. ფაქტების ანალიზი ნათელყოფს პარტიების ჩართულობის განპირობებულობას პოლიტიკური სარგებლის მისაღებად. აქციის კონკრეტული შედეგებიდან გამომდინარე, მათი მოქმედება ატარებდა სპონტანურ ხასიათს, მათ ქმედებებს არ ჰქონდა ერთიანი გეგმის სახე.

რეალობას მოკლებულია საზოგადოების გარკვეული ნაწილის შეხედულება ჯარიმების გამოწერითა და შეურაცხმყოფელი ეთნონიმების გამოყენებით აქციის განმაპირობებელი მიზეზების ახსნა:

ა) დღემდე საზოგადოებას არ ახსოვს ძალოვანი უწყების წარმომადგენელების მიერ შეურაცხმყოფელი ეთნონიმით აჭარის მკვიდრების საჯაროდ მოხსენიების ფაქტი;

ბ) რეგიონის ძალოვან სტრუქტურებში მეტწილად აჭარის მკვიდრები არიან დასაქმებული. ნაკლებ სავარაუდოა უწყების რომელიმე ხელმძღვანელს საჯაროდ გაეკეთებინა მსგავსი ხასიათის შემცველი განცხადება და არ გაეთვალისწინებინა აჭარის რეგიონალური სპეციფიკა;

გ) საჯარიმო სანქცია გამოიწერა კანონ-დარღვევის კონკრეტულ შემთხვევაზე. ამას აღიარებდნენ დაკავებულებიც, თუმცა საზოგადოების გარკვეულ ნაწილის მსგავსად ხაზს უსვამდნენ ჯარიმების სტატისტიკისა და მორალური პრინციპების შეუსაბამობას;

ე) სამართალდარღვევათა სტატისტიკით, აჭარაში ყოველ 10 000 მოსახლეზე საშუალოდ 1354 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი დგებოდა. 2017 წელს აჭარაში დაფიქსირდა სიჩქარის გადაჭარბების, დგომა-გაჩერების წესების დარღვევის, საავარიო ვითარების შექმნის 29449 შემთხვევა (საქართველოს შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი, საინფორმაციო ცენტრი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, 2011). დაფიქსირდა აგრეთვე წვრილმანი ხულიგნობისა და დაუმორჩლებლობის ფაქტები, რითაც რეგიონმა 2015 წლის იანვარ-ივნისის მონაცემებით ყოველ 10 000 კაცზე გაანგარიშებით პირველი ადგილი დაიკავა (15,8 %), მომდევნო პერიოდში კი მეორე ადგილზე გადაინაცვლა (საქართველოს შსს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტის საინფორმაციო ცენტრი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევები 2013-2015). ამ სტატისტიკის მოშველიებით ნათელია, რომ ბათუმში განვითარებული მარტის მოვლენების გამომწვევ მიზეზებს არაფერი აკავშირებდა ჯარიმების გამოწერასა და შეურაცხმყოფელი ეთნონიმით აჭარის მკვიდრთა მოხსენიების ყალბ ვერსიასთან.

საზოგადოებისა და საექსპერტო წრეების გარკვეული ნაწილი აქციის ორგანიზებაში ხედავს სპეცსამსახურების კვალს. ამ მოსაზრების გაჩენას ხელი შეუწყო შემდეგმა გარემოებებმა:

1. კორუფციასთან ბრძოლის ცენტრის ორგანიზებით პოლიციის დეპარტამენტთან 11-12 მარტის მოვლენებამდე რამოდენიმე დღით ადრე გამართული აქცია ლოზუნგით: ,,აჭარელი არ არის თათარი";
2. აქციის ორგანიზებულობის ხასიათი;
3. აქციის აგრესიულობა (მოლოტოვის კოქტეილები, აგურები, ალკოჰოლი და ა.შ.
4. აქციის ესკალაციისათვის, ახალგაზრდების მოზიდვისათვის ჭორების მიზანმიმართული გავრცელება, აჭარის მკვიდრთა მიმართ შეურაცხმყოფელი ეთნონიმით მანიპულირება;
5. პოლიციის დეპარტამენტის ტერიტორიზე ორგანიზებული შეღწევის მცდელობა;
6. აქციის ჩატარებისათვის ხელსაყრელი დროის შერჩევა (რეგიონის პირველი პირის არყოფნა ქვეყანაში);
7. სოციალურ ქსელებსა და მასმედიაში რელიგიური და კუთხური საკითხების გააქტიურება;
8. ბათუმის მოვლენების ტენდენციური გაშუქება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში. სტატიებისათვის პროვოკაციული სათაურების შერჩევა პრობლემის სრულიად განსხავებულ ჭრილში წარმოსაჩენად;
9. ძალოვანი უწყებებისა და მათი ხელმძღვანელების დისკრედიტაციის მცდელობა.

ბათუმის მოვლენებმა წარმოაჩინა სამთავრობო სტრუქტურებში არსებული შემდეგი ხასიათის პრობლემები:

1. ანალიტიკურ საქმიანობაში არსებული ხარვეზები;
2. კოორდინაციის ნაკლებობა სამთავრობო სტრუქტურებში;
3. ტაქტიკური, ოპერატიული და სტრატეგიული სამოქმედო გეგმის არ არსებობა კრიზისული სიტუაციების დროს;
4. გადაწყვეტილების მიმღებ პირთა დაგვიანებული მოქმედებები.

2.5 - პანკისის მოვლენები (2012-2020 წწ.)

რელიგიურ ფუნდამენტალიზმზე მსჯელობის კონტესტში მნიშვნელოვანია 2012-2018 წწ. პანკისში განვითარებული პროცესების ანალიზი. სირიასა და ერაყში განვითარებულ საბრძოლო მოქმედებში მონაწილეობას იღებდნენ პანკისის ხეობის მკვიდრნიც. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი ისლამური სახელმწიფოს მაღალ იერარქიულ პოზიციებზეც იყო წარმოდგენი.

ახლო აღმოსავლეთში განვითარებულმა მოვლენებმა გააქტიურა ვაჰაბიზმსა და რელიგიურ ფუნდამენტალიზმთან დაკავშირებული საკითხების განხილვა. 2014-2018 წლებში ხეობიდან (და არა მარტო ხეობიდან) კონფლიქტის ზონაში გაემგზავრა ვაჰაბიზმის იდეოლოგიით შეიარაღებილი ახალგაზრდების მცირე ნაწილი - ე.წ. ,,წმინდა მოვალეობის“ შესასრულებლად. ამ პროცესებს ხელს უწყობდა ხეობაში არსებული რთული სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა, განათლების დაბალი დონე. უფროსკლასელთა მნიშვნელოვანი ნაწილი (უმრავლესობას მამაკაცები შეადგენენ), პესიმისტურად იყვნენ განწყობილნი მომავლის მიმართ. ამ ფონზე ცალკეული ისლამური სახელმწიფოები თუ ორგანიზაციები მნიშვნელოვან რესურსებს ხარჯავდნენ, რაზედაც მიუთითებს ხეობასა და ზოგადად რეგიონში ისლამური მოძღვრების გასავრცელებლად განხორციელებული მოქმედებანი (გოგუაძე, კაპანაძე, 2015, გვ. 17-18), ასევე ჩემს მიერ ხეობაში ჩატარებული გამოკითხვის მასალებიც (ფუტკარაძე, საველე მასალები, პანკისის ხეობა, 2019). რესპონდენტთა ნაწილი ხაზს უსვამს უცხოეთში საბრძოლველად წასული ახალგაზრდების ოჯახების გაუმჯობესებულ ეკონომიკურ მდგომარეობას დანარჩენ ოჯახებთან შედარებით, გამოიკვეთა ეკონომიკური დისბალანსი კონფლიქტში მონაწილე და ადგილზე დარჩენილი ახალგაზრდების ოჯახებს შორის (გოგუაძე, კაპანაძე, 2015, გვ. 17-18).

კონფლიქტის ზონაში ახალგაზრდების გამგზავრების **სოციალურ-ეკონომიკურ განპირობებულობას ემატება იდეოლოგიური მოტივაციაც.** აშკარაა ხეობით მუსლიმური ქვეყნებისა და ცალკეული ორგანიზაციების დაინტერესების ზრდის ტენდენცია.

ფინანსური რესურსებისა და მისიონერ-ემისრების გამოყენებით ღვივდება ქვეყნის უსაფრთხოებისათვის რისკის შემცველი რადიკალური-ექსტრემისტული გრძნობები.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2016-2017 წწ. ანგარიშებიდან დასტურდება საქართველოში ტერორისტული ორგანიზაციების შესაძლო მხარდამჭერისა და უცხო ქვეყნების სტუდენტური ჯგუფების არსებობის, ტერორისტულ იდეოლოგიას გავრცელების ფაქტები (საქართველოს სუს ანგარიშები 2017, გვ. 14, 2016, გვ. 13). სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გატარებული ღონისძებების შედეგად, 2016 წელს გამოვლინდა ტერორიზმის დამფინანსებელი უცხო ქვეყნის 20 მოქალაქე (საქართველოს სუს ანგარიში, 2016, გვ. 13) და ტერორისტული ორგანიზაციები: ისლამური სახელმწიფო, ალ-კაიდა, თალიბანი. ისინი მიჩნეული იქნენ ქვეყნის უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან გამოწვევად (საქართველოს სუს ანგარიში, 2015, გვ. 11).

სსუს-ის ანგარიშებში დადასტურებულია სირიასა და ერაყში საქართველოს ათეულობით მოქალაქის ბრძოლის ფაქტები (2015, გვ. 11). ქვეყნიდან ახალგაზრდების გადინების პრევენციისა და ტერორიზმის საფრთხის შემცირებისათვის ხელისუფლებამ გაატარა ქმედითი ღონისძიებები. აიკრძალა სახელმწიფო უსაფრთხოებისათვის სავარაუდოდ საშიში მოქალაქეების შემოსვლა, კონტროლზე იქნა აყვანილი ისლამური ორგანიზაციების ფინანსური აქტივების შემოდინება, დაიწყო „ისლამური სახელმწიფოს“ წარმომადგენლის **აიუფ ბორჩაშვილის** და მისი დაჯგუფების წევრების (გ. კუპრავა, გ. ხუტუნიშვილი და დ. ფირისებია) წინააღმდეგ წინააღმდეგ საგამომძიებლო საქმიანობა. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით (2016 წლის 7 მარტი) აიუფ ბორჩაშვილს მიესაჯა 14, გიორგი ხუტუნიშვილს 11, წლით, დავით ფირისებიას კი 10 წლით თავისუფლების აღკვეთა (სსუს ანგარიში, 2015, გვ. 11-14).

სათანადო ღონისძიებები გატარდა საბრძოლო მოქმედებებში საქართველოს მოქალაქეების გამგზავრების პრევენციისათვის („პროფილაქტიკური საუბრები“-სა და სხვა მეთოდების გამოყენებით). სსუს-სა და პარტნიორი სახელმწიფოების შესაბამის უწყებებს შორის გაიზარდა ინფორმაციის გაცვლის სიხშირე - ტერორისტულ ორგანიზაციაში გაწევრიანებულ თუ მათთან კავშირში მყოფ და ტრანზიტით

გადაადგილების მსურველ პირთა შესახებ. გაიზარდა სასაზღვრო-გამშვებ პუნქტებში მოსამსახურეთა რაოდენობა (რამდენიმე ასეული ადამიანი), სასაზღვრო კონტროლზე აყვანილი იქნა 1286 პირი, ხოლო 1014-ს აეკრძალა საქართველოში შემოსვლა. ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე აღიკვეთა საქართველოს მოქალაქეთა კონფლიქტის ზონაში გამგზავრების მცდელობის 40 ფაქტი (სსუს ანგარიში, 2015, გვ. 11-13).

ვითარების დასტაბილურებას ემსახურებოდა გატარებული კონტრტერორისტული ღონისძიებები, მაგრამ ისლამურ სახელმწიფოში საბრძოლველად წასულ პირთა მაღალ თანამდებობებზე დანიშვნის, საქართველოსადმი და ქვეყანაში განვითარებული მოვლენებისადმი მათი კავშირისა და დამოკიდებულების საკითხების შესწავლა კვლავაც იდგა დღის წესრიგში. საყურადღებოა პანკისიდან კონფლიქტის ზონაში წასული თარხან ბათირაშვილის ისტორია, აჰმედ ჩატაევის (ცალხელა აჰმედის) საქართველოში შემოსვლის რეალური მიზეზები (პანკისელი ქისტების ნათესავი აჰმედ ჩატაევი არ იყო საქართველოს მოქალაქე, თუმცა გარკვეული პერიოდის განმავლობაში იგი ცხოვრობდა საქართველოში). სირიაში გამგზავრებადმდე თანხან ბათირაშვილი გაკვეული პერიოდის განმავლობაში ირიცხებიდა საქართველოს შეიარაღებული ძალების რიგებში, საჯარისო დაზვერვის შემადგენლობაში. იგი ასევე მონაწილეობდა რუსეთ-ჩეჩნეთის ომებსა და 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში. საქართველოს შეიარაღებული ძალებიდან მისი დათხოვნის შემდეგ, იგი იარაღის ტარების ბრალდებით დააკავეს. პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ წავიდა კონფლიქტის ზონაში და ისლამური სახელმწიფოს ომის მინისტრის თანამდებობაც კი დაიკავა.

დასაშვებად მიგვაჩნია, შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნისა და დაკავების გამო განაწყენებული თარხან ბათირაშვილის მიმართ გარკვეული ჯგუფების მიერ სპეციალური ღონისძიებების გატარების შესაძლებლობა, რის შედეგიც უნდა იყოს საომარ ზონაში მისი ტრანსპორტირება და საბრძოლო მოქმედებებში ჩართულობა. მაღალ თანამდებობებზე ქისტების დანიშვნა იყო სტიმულატორი ახალგაზრდების კონფლიქტურ ზონაში გასამგზავრებლად. ეკონომიკური და სოციალური პრობლემების მოგვარების პარალელურად შესაძლებელი გახდა ისლამური სახელმწიფოში მაღალი

თანამდებობის დაკავებაც. მისმა პიროვნულმა ფაქტორმა ხელი შეუწყო ახალგაზრდების კონფლიქტის რეგიონში გამგზავრებას და ისლამური ფუნდამენტალისტური იდეოლოგიის გაძლიერებას.

რამდენადმე განსხვავებულია აჰმედ ჩატაევის ისტორია. მის შესახებ საზოგადოებამ საქართველოს სპეცსამსახურების მიერ ლოპოტას ხეობაში (პანკისის ხეობის მიმდებარე ტერიტორია რუსეთის საზღვრის სიახლოვეს) 2012 წელს ჩატარებული კონტრტერორისტული ოპერაციის შემდეგ შეიტყო. გავრცელებული ინფორმაციით საქართველოს სპეცსამსახურებმა აღმოაჩინეს შეიარაღებული დივერსიული ჯგუფი, რომელიც გადაადგილდებოდა რუსეთის სახელმწიფო საზღვრის გასწვრივ. ჯგუფის წევრების უმრავლესობა უცხო ქვეყნის მოქალაქეები იყვნენ (რუსეთის ფედერაციის 5 და საქართველოს 3 მოქალაქე) (საქართველოს სუს ანგარიში, 2016, გვ. 11-14). ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად მოხდა შეიარაღებული ჯგუფის განეიტრალება. საქართველოს სამართალდამცავი უწყებებმა აჰმედ ჩატაევი გააგზავნეს მოსალაპარაკებლად. მოსალაპარაკებლად მისულმა ჩატაევმა შეიარაღებულ ჯგუფთან დარჩენა ამჯობინა. ოპერაციის შემდგომ ჩატაევი დააკავეს, თუმცა სასამართლომ იგი უდანაშაულოდ ცნო. ჩატაევმა ქვეყანა დატოვა. მის სახელს უკავშირდება თურქეთში, ათათურქის საერთაშორისო აეროპორტში მომხდარი ტერაქტი 2016 წლის ივნისში.

კონტრტერორისტული პროგრამის ფარგლებში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა მოახდინა ისლამური სახელმწიფოს მხარდამჭერ პირთა ოპერატიული დადგენა და მათი დაკავება. დაკავებულთა შორის აღმოჩნდა პანკისელი **აისუფ ბორჩაშვილი.** სწორედ მისი დაკავების შემდეგ გამოჩნდა ინტერნეტ სივრცეში აჰმედ ჩატაევის ვიდეომიმართვა. იგი მოითხოვდა ბორჩაშვილის დაუყონებლივ გათავისუფლებას, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ტერაქტის მოწყობით იმუქრებოდა. 2017 წ. შემოდგომაზე ახმედ ჩატაევი საქართველოში აღმოჩნდა. არაა გამორიცხული, რომ იგი შემოიტყუეს სპეცსამსახურებმა - საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში. 2017 წლის 21 ნოემბერს ჩატარებული კონტრეტერორისტული ოპერაციის შედეგად, დააკავეს აჰმედ აჰმედ ჩატაევის დაცვის ერთი წევრი, დანარჩენები კი ლიკვიდირებული იქნენ (წულაძე, 2017). ერთ-ერთი ვერსიით ჩატაევმა სიცოცხლე თვითმკვლელობით დაასრულა.

მოგვიანებით დააკავეს აჰმედ ჩატაევთან კავშირში მყოფი პირები, რომელთაგან ერთ-ერთი - თემირლან მაჩალიკაშვილი - პანკისში ჩატარებული ოპერაციის დროს იქნა დაჭრილი. მოგვიანებით იგი საავადმყოფოში გარდაიცვალა (მთვილიშვილი, 2018).

ღია წყაროების ანალიზი საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ აჰმედ ჩატაევის საქართველოში შემოსვლის ძირითადი მიზნები:

1. ტერაქტების მოწყობა საქართველოში არსებულ უცხო ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობებზე და ობიექტებზე;
2. ისლამური ხალიფატის მიერ ტერიტორიების დაკარგვის შემდეგ საქართველოში შემოსვლა, გამოზამთრება, კონსპირაციული საქმიანობის წარმართვა ისლამური სახელმწიფოს გავლენისა და იდეოლოგიის გასაფართოებლად, თანამოაზრეების შეკრება, გადაბირებითი ოპერაციების წარმოება.

აჰმედ ჩატაევის შემოსვლას უკავშირდება შემდგომ პერიოდში პანკისში ჩატარებული სპეციალური ღონისძიებები, რომლის ფარგლებშიც დაიჭრა თემირლან მაჩალიკაშვილი. გამოითქვა ვარაუდი სპეცრაზმის მხრიდან ძალის სავარაუდო გადამეტებისა და თემირლან მაჩალიკაშვილის მიზანმიმართული მკლველობის თაობაზე. გარდაცვლილის ოჯახის წევრებმა და საზოგადოების გარკვეულმა ნაწილმა მოითხოვა სპეცოპერაციაში ჩართული პირების დასჯა, იმ სპეცრაზმელის ვინაობის გამჟღავნება, ვინც უშუალოდ განახორციელა გასროლა.

ეჭვების გასაქარწყლებლად სპეცსამსახურებმა გამოაქვეყნეს ვიდეო მასალები, აჰმედ ჩატაევის ჯგუფთან თემირლან მაჩალიკაშვილის კავშირის დასადასტურებლად (კუნჭულია, 2020). სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში შეიქმნა საგამოძებო ჯგუფი, რომელსაც დაევალა სპეციალური საგამოძიებო მოქმედებების ჩატარება საქმეზე ჭეშმარიტების დასადგენად. მოგვიანებით პროკურატურამ ძიება შეწყვიტა (ტელეკომპანია იმედის სატელევიზიო გადაცემა, 2020).

ზემოთაღნიშნულ ისტორიასთან დაკავშირებით ქართულ საზოგადოებაში გაჩნდა სხვადასხვა შეხედულებები, კერძოდ:

1. უშიშროების სამსახურების სავარაუდო კავშირი აჰმედ ჩატაევის საქართველოში შემოყვანასთან;

2. სახელმწიფო უსაფრთოების სამსახურის სავარაუდო შეცდომები საგამოძიებო და ოპერატიული ქმედებებისა და სპეცოპერაციის წარმართვისას;
3. სპეცრაზმის მიერ ძალის სავარაუდო გადამეტება;
4. სახელმწიფო სტრუქტურების არაკომპეტენტურობა;
5. სპეცოპერაციაში მონაწილე პირების გასამართლების აუცილებლობა ადათობრივი სამართლის ნორმებით (Blood Revange);

სახელისუფლებო სტრუქტურების წარმომადგენლები შიშობდენ, რომ სპეცოპერაციაში მონაწილე პირების გასაჯაროება-დასჯა გამოიწვევდა კონტრტერორისტული სამსახურისა და სპეცრაზმის დემორალიზაციას.

ჩატაევის შემთხვევამ, პანკისში განვითარებულმა მოვლენებმა ხელი შეუწყო: *ა. სახელმწიფო სტრუქტურებისადმი უარყოფითი დამოკიდებულების გაჩენას, ბ. სპეცოპერაციის პოლიტიკური მოტივაციით ახსნის მცდელობას; გ. პანკისის ხეობის მოსახლეობის გარკვეული ნაწილის რადიკალიზებას.*

თბილისში გამართულ ერთ-ერთ მასშტაბურ აქციაზე, თემირლან მაჩალიაკშვილის მამამ მალხაზ მაჩალიკაშვილმა განაცხადა, რომ მას, რამოდენიმე პირთან ერთად ფიცი ჰქონდა დადებული, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის შენობაში თავი აეფეთქებინა, თუმცა ქართველების სიყვარულით მან ეს გადაიფიქრა (ინტერნეტ გაზეთი ON.GE, 2018). 2019 წ. 5 მაისს გამოქვეყნდა აუდიო საუბარი მალხაზ მაჩალიკაშვილსა და ერთ-ერთ პიროვნებას შორის. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განცხადებით, თავიდან იქნა აცილებული ტერორისტული აქტი უსაფრთხოების სამსახურის პირველ მოადგილზე. აუდიოჩანაწერში საუბარი იყო სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის უფროსის პირველი მოადგილის მარშუტებსა და სავარაუდო ტერორისტული აქტის განხორციელების ადგილზე (სოფ. მაჩხაანი, სასაფლაოს მიმდებარე ტერიტორია) (საქართველოს სუს განცხადება, 2019).

მალხაზ მაჩალიკაშვილის, ასევე საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ გაკეთებულმა განცხადებებმა წარმოაჩინა შემდეგი ძირითადი პრობლემები და რისკები:

1. სახელმწიფო უწყებებისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ ტერორისტული აქტის განხორციელების შესაძლებლობა;
2. პანკისის ხეობის მოსახლეობაში, განსაკუთრებით ახალგაზრდების მცირე ნაწილში რადიკალური-ექსტრემისტული შეხედულებების გაღვივება;
3. აღნიშნულ პროცესებში მესამე ძალების მონაწილეობის შესაძლებლობა;
4. გარკვეული პროცესების ინსპირირების ალბათობა;
5. სამართლის აღსრულებასთან დაკავშირებული სახელმწიფო პრობლემები.

მალხაზ მაჩალიკაშვილმა თავდაპირველად უარყო აუდიო ჩანაწერის ავთენტურობა და არ გამოცხადდა გამოკითხვაზე უსაფრთხოების სამსახურში. პოლიტიკური ძალები და საზოგადოების ნაწილი აუდიო ჩანაწერის ავთენტურობის დადასტურების შემთხვევაში ითხოვდა შესაბამისი ღონისძიებების დაუყოვნებლივ გატარებას. მოგვიანებით მაჩალიკაშვილი ადვოკატის თანმხლებით გამოცხადდა დაკითხვაზე. დაკითხვიდან გამოსულმა განაცხადა: ,,მინდა ვიცოდე, ვინ არის ჩემი მტერი, ვინა მყავს მტერი. მისი ცოცხალიც მაინტერესებს, მისი მკვდარიც მაინტერესებს, მისი შვილიც, შვილიშვილიც, თაობაც, შთამომავალიც, ნათესავიც, მისი მოდგმაც. ყველა მანტერესებს, არა იმიტომ, რომ გავანადგურო, არამედ იმიტომ, რომ მინდა ვიცოდე - ვინ არის ჩემი მტერი“ (ტელე ინტერვიუ, გადაცემა ,,ახალი კვირა“, ტვ - იმედი, 12 მაისი, 21-15). მოგვიანებით მან აღიარა, რომ სუს-ის მიერ გამოქვეყნებული საუბარი მას ეკუთვნოდა.

თემირლან და მალხაზ მაჩალიკაშვილების შემთხვევამ კიდევ ერთხელ წარმოაჩინა პანკისის ხეობაში არსებული პრობლემები, მოსახლეობის გარკვეული ნაწილი უნდობლობა სახელმწიფო სტრუქტურებისადმი.

ხელისუფლების არადროულმა და არაჯეროვანმა პასუხმა თემირლან მაჩალიკაშვილის ოჯახსა და საზოგადოების გარკვეულ ნაწილში გააჩინა კითხვები სპეცოპერაციის მიზანთან და თემირლან მაჩალიკაშვილის სტატუსთან დაკავშირებით. ამასთან, მოვლენის არასათანადო და არადროულმა შეფასებამ ხელი შეუწყო ხეობის ახალგაზრდების გარკვეულ ნაწილში რადიკალური და ნიჰილისტური დამოკიდებულებების გაჩენას, რაც გამოიხატა სპეცოპერაციში მონაწილე პირების ადათობრივი წესით გასამართლების მოთხოვნასა და 2019 წლის 21 აპრილის

დაპირისპირებაში. ხელისუფლებისადმი უნდობლობის და კრიტიკული დამოკიდებულების გაძლიერებას ხელი შეუწყო აგრეთვე 2019 წ. აპრილში ჰიდროელექტრო სადგურის მშენებლობის წინააღმდეგ ხეობაში ჩატარებულმა საპროტესტო აქციამ. იგი პოლიციის დანაყოფებთან ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა. დაშავდა 55 ადამიანი - 38 პოლიციელი და 17 მოქალაქე (საქართველოს შსს განცხადება, 2019). სიტუაცია დარეგულირდა ხეობაში შინაგან საქმეთა მინისტრის ჩასვლის შემდეგ. ხელისუფლებამ აქციის მონაწილეებს შესთავაზა მათ მიერ არჩეული სამი წარმომადგენლის გაგზავნა ქ. თელავში მოლაპარაკებაში მონაწილეობის მისაღებად. მოლაპარაკებების შედეგად დროებით შეჩერდა ჰესის მშენებლობა. გადაწყდა სახელმწიფო უწყებების მხრიდან გაკეთებული განცხადებების სრულყოფილი შესავლის აუცილებლობის საკითხი.

პანკისის ხეობაში არსებული ვითარების პარალელურად ბათუმსა და თბილისში გაიმართა მხარდამჭერი აქციები. არასამთავრობო ორგანიზაციათა ნაწილმა ეჭქვეშ დააყენა სახელწმიფო სტრუქტურების საქმიანობის კანონიერება. მათ მხარი დაუჭირეს აქციის მონაწილეებს და ეს ხელმოწერებითაც დაადასტურეს. სხვა მნიშვნელოვან გარემოებებთან ერთად, აღნიშნულმა მოვლენებმაც განაპირობა ხეობის მოსახლეობისა და უხუცესების მნიშვნელოვანი ნაწილის ნეგატიური განწყობის ჩამოყალიბება ერთის მხრივ სახელმწიფო უწყებებისადმი, მეორეს მხრივ კი რადიკალური ისლამისა და სირიასა და ერაყში არსებულ საომარ კონფლიქტში მონაწილე ხეობის ახალგაზრდებისადმი.

ხეობის ზოგიერთმა მაცხოვრებელმა საჯაროდ გააკეთა განცხადება სახელმწიფო უწყებების წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მოწყობის თაობაზე, რამაც უხუცესების და ადგილობრივი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. თუმცა ამავდროულად ისინი სახელმწიფო უწყებების გამჭვირვალეობასა და პასუხისმგებლობაზე აკეთებდნენ აქცენტს, რაც დასტურდება ჩვენს მიერ მოძიებული საველე მასალებითაც.

ამრიგად, აპრილის მოვლენებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ხელისუფლებასა და პანკისის მოსახლეობას შორის კომუნიკაციის დეფიციტი, სახელისუფლებო სტრუქტურებისადმი მოსახლეობის ნაწილის უნდობლობა. ამ პრობლემის მოგვარების

ერთ-ერთ გზად გვესახება ამ მოვლენების სრულყოფილი და ობიექტური შესწავლა, რისკ-ფაქტორების გაანალიზება და ადექვატური ღონისძიებების გატარება.

თავი 3 - ტერორიზმის საფრთხე საქართველოში

3.1 - ტერორისტული საფრთხეები და საქართველო

საქართველოს სახელმწიფოს მდგრადი განვითარება მრავლ ასპექტს მოიცავს. იგი გულისხმობს ქვეყნის ეკონომიკურ, კულტურულ, ეკოლოგიურ, ინსტიტუციონალურ განვითარებას მაქსიმალურად უსაფრთხო გარემოში. მსოფლიოში არსებული გლობალური და რეგიონალური დაპირისპირებების ფონზე მნიშველოვანი საფრთხე ექმნება ქვეყნის გრძელვადიან პერსპექტივაში განვითარების შესაძლებლობას, რაშიც სხვა მრავალ გამოწვევასთან ერთად ტერორიზმს (საერთაშორისო ტერორიზმს და ტრანსნაციონალურ დანაშაულებრივ სინდიკატებს) მნიშვნელოვანი ადგილი უკავია. ამ ფონზე მნიშვნელოვანია სახელმწიფოს ინსტიტუციონალური განვითარების გრძელვადიანი სტრატეგიის არსებობა, რაც პერსპექტივაში უზრუნველყოფს ქვეყანაში ცხოვრებისა და განვითარებისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნას. ინსტიტუციონალური განვითარება პირველ რიგში გულისხმობს იმ სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერებას, რომელთა პირდაპირი მოვალეობაა საზეგადოებრივი უსაფრთხოების, ეროვნული უშიშროებისა და სამხედრო საფრთხეებისაგან სახელმწიფოს დაცვა. იგი თავსებადი უნდა იყო ქვეყნის განვითარების სტრატეგიასთან და ადეკვატურად უნდა პასუხებდეს ქვეყანაში არსებულ სოციალულ-ეკონომიკურ გამოწვევებს სხვა სახელმწიფო თუ არასახელმწიფო ინსტიტუტებთან ერთად. ამ ფონზე მნიშვნელვანია განვიხილოთ სახელმწიფო სტრატეგიული კონცეპტუალური დოკუმენტები, რომელშიც ასახულია ტერორიზმის საფრთხის არსებობა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების წინაშე, საფრთხის გაძლიერების განმაპირობებელი ფაქტორები და ის მიდგომები, რომლებიც წარმოადგენენ სახელმწიფოს კონტრტერორისტული პოლიტიკის მნიშვნელოვან ნაწილს. კვლევის ნაწილში მნიშვნელოვანია ისეთი კონცეპტუალური დოკუმენტების განხილვა, როგორებიცაა **„საქართველოს ეროვნული უსაფრთოების კონცეფცია“, „საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია“, „ტერორიზმთან ბრძოლის შესახებ საქართველოს**

ეროვნული სტრატეგია“, „საქართველოს კიბერუსაფრთხოების ეროვნული სტრატეგია“, „საქართველოს კატასტროფის რისკის შემცირების ეროვნული სტრატეგია“, „საქართველოს კანონი ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესისა და საქართველოს საფრთხეების შეფასების შესახებ“, 2007-2009 და 2010-2013 წლების ჩარჩო დოკუმენტები. ამ დოკუმენტებში ნათლადაა წარმოჩენილი არსებული გეოპოლიტიკური გარემო და საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევები და საფრთხეები.

დასახელებული დოკუმენტების ანალიზამდე, მოკლედ მიმოვიხილავთ ტერორიზმის ისტორიას, განვითარებასა და მის დღევანდელ მდგომარეობას. სახელმწიფოს არსებობისა და განვითარების პროცესში არსებული საფრთხეებიდან მნიშვნელოვანია პიროვნებების მიმართ განხორციელებული ტერორისტული აქციები (სახელმწიფო იერარქიაში არსებული დონეებისა და პოლიტიკური ოპონენტების მიხედვით) და სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ განხორციელებული მოქმედებები.

ტერორიზმის ზუსტი დეფინიცია დღემდე არ არსებობს. განსხვავებულ პოლიტიკურ, ეკონომიკურ, გეოპოლიტიკურ გარემოში ვხვდებით მისი განსაზღვრებების სხვადასხვა ვარიაციებს. თუმცა არსებობს საერთო მახასიათებელი - შიშის, პანიკის დათესვა მოსახლეობასა და სახელისუფლებო სტრუქტურებში. ნიშანდობლივია, რომ ტერორიზმს და მის ჩამტარებელ სუბიექტებს უმეტეს შემთხვევაში არ გააჩნიათ სახელისუფლებო ძალების პირდაპირი სამხედრო გზით დამარცხების რესურსი. შესაბამისად, არაკონვენციური, შეზღუდული ქმედებებით ტერორისტული აქტის ჩამტარებელი პირი თუ ორგანიზაცია ცდილობს ტერორისტული აქტის განხორციელებას მოწყვლად ადგილებში, რათა სახელმწიფოს მესვეურები და საზოგადოება აიძულოს მიღონ მათთვის სასურველი გადაწყვეტილება.

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში მნიშვნელოვანია სწორად დაგეგმილი, ეფექტური სადაზვერვო და კონტრსადაზვერვო ქმედებათა ორგანიზაცია, რაც აისახება სახელმწიფოს სტრატეგიულ დოკუმენტებსა და საკანონმდებლო აქტებში. ტერორიზმთან ბრძოლა ძირითადად სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურებზე მოდის. ამიტომ მოკლედ ვისაუბრებთ ტერორიზმის დეფინიციის საკითხებზეც. სადაზვერვო ტერმინების

განმარტებით ლექსიკონში დაზვერვა თავისი შინაარსით წარმოადგენს სადაზვერვო მონაცემების შესაკრებ საქმიანობას - სავარაუდო მოწინააღმდეგის მოქმედებებისა და რესურსების შესახებ ინფორმაციის უწყვეტი პროცესის განხორციელების უზრუნველსაყოფად (საქართველოს დაზვერვის სამსახური, 2013, გვ. 79), კონტრდაზვერვა კი პოტენციური მოწინააღმდეგისა თუ ორგანიზაციის მიერ წარმოებულ დამაზიანებელ ქმედებათა გამოვლენის, აღკვეთის და პრევენციის მოქმედებათა ერთობლიობის ჯაჭვს გულისხმობს. სახელმწიფოს წინაშე არსებული გამოწვევების შესაბამისად, სპეციალური სამსახურები მათზე დაკისრებულ მოვალეობას სხვადასხვა მიმართულებით ახორციელებენ, რომელთა შორის საქმიანობის სიმძიმით და დამაზიანებელი შედეგებით უმთავრესს ტერორიზმთან ბრძოლა წარმოადგენს. ტერორიზმი - თავისი შინაარსით არის ფიზიკური პირის, ორგანიზაციის თუ სახელმწიფოს მოქმედება, რომელიც მიმართულია ასევე ფიზიკური პირისადმი, ორგანიზაციის თუ სახელმწიფოსადმი - აიძულოს, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება. ტერორიზმის ერთ-ერთი მიზანი - ძალადობის გამოყენებით საზოგადოების დათრგუნვა, შიშის, პანიკის დათესვა - განხილული უნდა იქნას სახელმწიფოებრიობისათვის საფრთხის შემცველ მოქმედებათა ერთობლიობაში. ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა კი სახელმწიფო უსაფრთხოების უმთავრესი პრიორიტეტი უნდა იყოს. ტერორიზმთან ბრძოლის პროცესში აუცილებელია ინფორმაციის საიმედოობის, დროულობის, სრულყოფილების, კონსპირაციულობის, მიზანმიმართულობის და სხვა ძირითადი პრინციპების დაცვა, რაც განაპირობებს ტერორიზმთან მებრძოლი სამსახურების წარმატებას. ტერორიზმი თავისი გამოვლინებით არის მუდმივი განახლების პროცესში მყოფი დანაშაულებრივი უჯრედი/სინდიკატი. ამიტომაცაა მნიშვნელოვანი წინმსწრები ინფორმაციის დროული მოპოვება, როგორც მოსალოდნელი საფრთხის პრევენციის ერთ-ერთი ძირითადი საშუალება.

თანამედროვე მსოფლიო გამოირჩევა ტერორიზის მზარდი ინტენსივობის ტენდენციით. თითოეული მოვლენების უკან შესაძლოა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური, რელიგიური, ეთნიკური თუ სხვა ფაქტორები. ტერორიზმის. ასეთი

მრავალფეროვნების გამო დღემდე არ არის ერთი კონკრეტული დეფინიცია. სხვადასხვა სახელმწიფოში იგი სხვადასხვა გამოვლინებით ხდება. დღეისათვის ტერორიზმის ასზე მეტი სხვადასხვა განმარტებაა. საკუთრივ ტერმინი ,,ტერორიზმი" ლათინურია და ნიშნავს შიშს, ტერორს (Blin, 2004, გვ. 9). სწორედ შიშიისა და ტერორის ინსტრუმენტების გამოყენებით ცდილობს ესა თუ ის პირი, ორგანიზაცია, სახელმწიფო თავისი მიზნებისა და პოლიტიკური ინტერესების გატარებას. პირველ ტერორისტულ ორგანიზაციად ძველ ისრაელში მოქმედი სექტები - ზილოტები და სიკარიუსები ითვლება (OConnor, 2020, p. 66-73).

ცნობილია ის ფაქტი, რომ ეს ორი სექტა დიდი ხნის განმავლობაში წინააღმდეგობაში იყო რომის იმპერიასთან. რომაელთა ტყვეობაში ხელში ჩავარდნის ნაცვლად ისინი თვითმკვლელობას არჩევდნენ. თვითმკვლელობის იარაღი საკრალური მნიშვნელობის დანა იყო. როგორც ძველი, ისე ახალი აღთქმა ეწინააღმდეება მკვლელობა/თვითმკვლელობას. ამ კონკრეტულ შემთხვევაში კი თვითმკვლელობა შეიძლება განვიხილოთ, როგორც ერთგვარი რიტუალი. იგი თავისი შინაარსით შეიძლება თავისუფლებისთვის მებრძოლის, შეწირულის შთაბეჭდილებას ტოვებდეს (OConnor, 2020, p. 66-73). გარდა ამისა, ეს სექტები ითვლებიან ტერორისტული ორგანიზაციების ერთგვარ დამფუძნებლად. მსგავსი ქმედებები, რიტუალები უამრავ ტერორისტულ ორგანიზაციას ახასიათებს მათ შორის ჰესბოლას, ჰამასს, შავ სექტემბერს, ირას, ჯამაათ ალ ნუსრას, ისლამურ სახლემწიფოს და ა.შ.

შუა საუკუნეებში ტერორიზმი განსხვავებული ფორმით ვლინდებოდა. იმ პერიოდში (სპარსეთის ტერტორიაზე მდებარე ალამუთის ცნობილი ციხე) არსებობდა ცენტრალიზებული სტრუქტურის მქონე ასასინების (არაბ. ჰაშიშის მწეველი) სახელით ცნობილი ტერორისტული ორგანიზაცია. ორგანიზაციის ხელმძღვანელობა თავის წევრებს ჰაშიშის გამოყენებით აბრუებდა, უქმნიდა ილუზიურ სამოთხეში ყოფნის წარმოდგენას, სადაც მისი ყოველი სურვილი სრულდებოდა. შესაბამისად, ასასინი მზად იყო შეესრულებინა ნებისმიერი დავალება. იგი იყო კარგად გაწრთვნილი, განათლებული მებრძოლი, რომელსაც შეეძლო ნებისმიერი სირთულის დავალების შესრულება. მათ კისერზე იყო ევროპაში, აზიაში, ახლო აღმოსავლეთში სახელმწიფო მოხელეებისა და

დიგვაროვნების მკვლელობების უამრავი ფაქტი. მათი მთავარი ციხესიმაგრე - ალამუთი აიღეს მონღოლებმა, რითაც დასრულდა ასასინების ისტორიაც.

XVIII – XIX საუკუნეებში დღის წესრიგში დადგა მეფის ლეგიტიმურობის ხარისხისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ეკლესის როლის გამოკვეთის საკითხი. ფეოდალურ საზოგადოებაში გაიზარდა თავისუფლებისაკენ სწრაფვა. ამას ხელს უწყობდა იმდროინდელი საზოგადოების მეცნიერული და ტექნოლოგიური პროგრესიც. სწორედ ამას უკავშირდება ტერორიზმის განვითარების შემდეგი საფეხური. 1789-1794 წლებში საფრანგეთში განხორციელდა რევოლუცია. ფართო გასაქანი მიეცა ე.წ. რევოლუციურ ტერორს. თავისი შინაარსით იგი იყო სახელმწიფო ტერორი, რომელსაც ემსხვერპლა 30 000 - მდე ადამიანი. ტერორისტულ ორგანიზაციად შეიძლება ჩაითვალოს იმ დროს რუსეთის იმპერიაში ჩამოყალიბებული ორგანიზაცია ,,ნაროდნაია ვოლია". აღნიშნულმა ორგანიზაციამ განახორციელა არაერთი ტერორისტული აქტი, მათ შორის რუსეთის იმპერატორის ალექსანდრე მეორის მკვლელობა (1881 წელი).

ტერორიზმის შემდეგი განვითარება ტერორისტული ორგანიზაციების მიერ გამოყენებული იარაღების, მეთოდების და მიზნების ცვალებადობას უკავშირდება. ამ თვალსაზრისით იყო მეცხრამეტე საუკუნეში ჩამოყალიბებული ორი ფუნდამენტალური დოქტრინა: **,,ბომბის ფილოსოფია"** და **,,საქმის პროპაგანდა".** ,,ბომბის ფილოსოფიის" ფუძემდებელი იყო გერმანელი კარლ ჰეინგენი. იგი თვლიდა, რომ ,,კაცობრიობის უმაღლესი ინტერესი ყველა მსხვერპლზე მაღლა იდგა, იმ შემთხვევაშიც კი თუ საქმე უდანაშაულო ხალხის მასობრივ გამოყენებას/მკვლელობას ეხებოდა". ჰეინეგენი საჭიროდ თვლიდა მაქსიმალური ქაოსის გამომწვევი იარაღის გამოყენებას და მოუწოდებდა შეექმნათ მასობრივი განადგურების საშუალებები (საქართველოს პარლამენტი, ანალიტიკური განყოფილება, ტერორიზმის შესახებ, 2).

ტერორიზმი სოციალურ-პოლიტიკური მოვლენაა. თანამედროვე მეცნიერებაში განასხვავებენ ტერორიზმის შემდეგ სახეობებს:

1. მტრულად განწყობილი უცხო ქვეყნების მიერ არამეგობრულ გარემოში ტერორისტულ ქმედებათა დაგეგმვა, დესტაბილიზაციის ინსპირირება, იქ არსებული ხელისუფლების დამხობა ან დაფინანსება მისი დამორჩილების მიზნით;

2. ინდივიდუალური ხასიათის ტერორისტული აქტი პოლიტიკური ან/და ფინანსური მოტივებით;
3. ადამიანთა დატყვევება და გატაცება პოლიტიკური ან მერკანტელური მოსაზრებებით;
4. აფეთქებათა ორგანიზაცია სხვადასხვა მეთოდებით, მათ შორის დღეისათვის ფართოდ გავრცელებული კამიკაძეების გამოყენებით;
5. საჰაერო, სახმელეთო და საზღვაო სატრანსპორტო საშუალებათა ხელში ჩაგდება და მათი ტერორისტული მიზნით გამოყენება;
6. შენობა-ნაგებობებისა თუ სატრანსპორტო საშუალებებში მძევალთა მასობრივი აყვანა შანტაჟის მოწყობის მიზნით;
7. ბიოლოგიური და ბაქტერიოლოგიური ტერორიზმის თავდასხმის ობიექტის განადგურების ან/და პარალიზების მიზნით“ (წითარაშვილი, 2009, გვ. 25).

იმისათვის, რომ გავაანალიზოთ საქართველოს წინაშე მდგარი ტერორისტული გამოწვევები, მნიშვნელოვანია საქართველოს კონცეპტუალური დოკუმენებისა თუ ანგარიშების სათანადო მიმოხილვა.

საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია - ძირითადი ჩარჩო დოკუმენტია ქვეყნის უსაფრთხოების გრძელვადიანი განვითარებისა და არსებული გამოწვევების შესწავლისათვის. ეს დოკუმენტი ეფუძნება დემოკრატიული სამყაროს უმნიშვნელოვანეს ღირებულებებს: თავისუფლება, დემოკრატია, კანონის უზენაესობა, უსაფრთხოება, კეთილდღეობა, მშვიდობა. სახელმწიფოს ეროვნულ ინტერესებად სხვა მრავალ საკითთან ერთად მიჩნეულია ,,სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთიანობის უზრუნველყოფა, სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარება და დემოკრატიის ხელშეწყობა, ეროვნული უსაფრთხოების ეფექტიანი სისტემის განვითარება, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, ენერგეტიკული უსაფრთოება, რეგიონალური სტაბილურობის, სატრანზიტო ფუნქციის გაძლიერება, კიბერუსაფრთხოების გაძლიერება“ (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2012, გვ. 4-6).

საქართველოს მიერ გაცხადებული ევროატლანტიკური კურსის საწინააღმდეგოდ, რუსეთის წინაშე დღის წესრიგში დადგა საქართველოს, როგორც ყოფილი პოსტ-საბჭოთა ქვეყნის საკუთარ პოლიტიკურ ორბიტაზე დარჩენის საკითხი. ამ მიზნით რუსეთის მიერ

განხორციელდა კომპლექსური ღონისძიებანი, რაც გამოიხატა სხვადასხვა პერიოდში საქართველოში განხორციელებული ტერორისტული აქტებით, 2008 წლის სამხედრო აგრესიით, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ოკუპაციით. **რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია, ოკუპირებული ტერიტორიები და შესაძლო ტერორისტული აქტების მაღალი ალბათობა** - ,,საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში" **მაღალი რისკის მქონე საფრთხედ არის მიჩნეული** (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2012, გვ. 7). ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს იურიდიქციის არარსებობა ზრდის საერთაშორისო ტერორიზმის, ტრანნაციონალური დანაშაულის ზრდისა და განვითარების ალბათობას. მეტიც ,,საქართველოს ეროვნული უსაფრთოხოების კონცეფციაში" აღნიშნულია, რომ 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ ოკუპირებული ტერიტორიები გამოიყენებოდა ,,ტერორისტების მოსამზადებლად შემდგომში საქართველოში ტერორისტული აქციების განხორციელების მიზნით" (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2012, გვ. 7). დოკუმენტში ასევე დასახელებულია საქართველოს სპეციალური სამსახურების მიერ მსგავსი ფაქტების აღკვეთის მაგალითები, მაგრამ საკითხის სენსიტიურობის გამო იგი ფართო საზოგადოებისათვის დღემდე უცნობია. ოკუპირებული ტერიტორიებიდან არსებულ ტერორისტულ საფრთხეებზე საუბრობს ქართველი მეცნიერი **ანა ჭაღიტაშვილი** სადოქტორო ნაშრომში ,,ტერორიზმის კრიმინოგენული დახასიათება და მასთან ბრძოლის სამართლებრივი მეთოდები". ავტორი ხაზს უსვამს უკონტროლო ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეებს საერთაშორისო ტერორიზმისა და გეოპოლიტიკური პროცესების კონტექტში. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია რეგიონში ზოგიერთი ქვეყნების სპეცსამსახურების ოპერატიულ-აგენტურული საქმიანობის საკითხებზე, ასევე ფუნდამენტალური ისლამის - ,,ვაჰაბიზმის" მოძლიერებასა და ცალკეული ქვეყნების სტრატეგიული ინტერესების თანხვედრაზე. ყოველივე ამან არაერთი ტერორისტული აქტის განხორცილებას შეუწყო ხელი. (ჭაღიტაშვილი, 2009, გვ. 102). ნიშანდობლივია, რომ კავკასიის რეგიონში ვაჰაბიზმის მოძლიერება 1992 წლიდან დაიწყო, რაც ჩვენი აზრით განპირობებული იყო საბჭოთა სისტემის რღვევით. კომუნისტური იდეოლოგიის მარცხმა განაპირობა იდეოლოგიური

ვაკუუმის შექმნა, რაც გახდა პოლიტიკური და ფუნდამენტალური ისლამის მოძლიერების სტიმულატორი.

საქართველოში ეს პრობლემა მეტწილად დაძლეული იქნა ქვეყნის სტრატეგიული კულტურის გათვალისწინებით, რაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა საზოგადოებაში არსებულმა ტრადიციებმა, ღირებულებებმა, ფასეულობებმა. ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს იურისდიქციის არარსებობამ ხელსაყრელი ნიადაგი შექმნა ფუნდამენტალური ისლამის პოზიციების გაძლიერებისათვის, რასაც ადასტურებს ისლამისტური ჯგუფების ჩამოყალიბება აფხაზეთის კონფლიქტის მიმდინარეობის დროს (ჭაღიტაშვილი, 2009, გვ. 100-103). იგი უგრო მყარად იკიდებს ფეხს ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთ-ჩეჩნური ომების შემდეგ (ბრეგაძე, 2010; ასევე, კვახაძე, 2018; ასევე, პაპასკირი, 2017).

ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე ტერორისტული საფრთხის კვლევის თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია აგრეთვე ჩრდილოეთ კავკასიელი დაქირავებული ბოევიკები, რომლებიც მონაწილეობდნენ აფხაზეთის კონფლიქტში. მათ შემდგომში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს ჩრდილოეთ კავკასიაში ვაჰაბიზმის გავრცელებასა და რუსეთ-ჩეჩნეთის საომარ კონფლიქტში. მათგან, რუსეთის მიერ ნომერ პირველ ტერორისტად შერაცხული შამილ ბასაევი აფხაზეთში აღმოჩნდა და საქართველოს წინააღმდეგ იბრძოდა (ონლაინ სტატია, სივილ.გე, 2020, ასევე, კაკაბაძე, 2016, პაპასკირი, 2007, გვ. 374, იზორია, 2015, გვ.136, ჯოჯუა, 2007, გვ. 167, მაისაია, 2002, გვ. 49-57).

თავის დროზე ფუნდამენტალური ისლამის გავრცელების ერთ-ერთი პირველი არეალი აფხაზეთის საომარი კონფლიქტი იყო, ხოლო დღეს მისი მასშტაბი გასცდა კონკრეტულ რეგიონს და გლობალურ პრობლემად იქცა (Bennigsen, Wimbush, 1985, p. 122-222).

ამრიგად, პირველი ტერორისტული აქტები საქართველოში აფხაზეთის კონფლიქტიდან (1992 წელი) იწყება (ჭაღიტაშვილი, 2009, გვ. 101-103). მასში აქტიურად იყო ჩართული რუსეთის ფედერაცია და ზოგიერთი მეზობელი სახელმწიფო. რუსეთ-ჩეჩნეთის ომების, 2008 წლის რუსეთის სამხედრო აგრესიის, ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე კონფლიქტის ფონზე კიდევ უფრო უარესდებოდა რეგიონში ისედაც მძიმე

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა. ამასთან კვლავაცაა შენარჩუნებული აფხაზეთის ცალკეული ადგილობრივი თუ საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მტრული დამოკიდებულება საქართველოს წინააღმდეგ, რაც შემდგომში არ გამორიცხავს მათი მხრიდან საქართველოში ტერორისტული აქტების განხორციელების შესაძლებლობას, მასობრივი განადგურების იარაღის ნიმუშების უკანონო ტრანზიტის მცდელობას, ტერორისტული აქტების განხორციელების მეშვეობით (რისი მაგალითებიც საქართველოში მრავლადაა) საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსის ცვლილებას (ჭაღიტაშვილი, 2009, გვ.101-103, ასევე, ბილანიშვილი, 2018).

,,საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაში" ქვეყნის სტრატეგიული განვითარების ხელშეწყობის ერთ-ერთ მიმართულებად ენერგო უსაფრთხოების ხელშეწყობა-განმტკიცებაა მიჩნეული (საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია, 2012, გვ. 5). აღნიშნულის გათვალისწინებით საქართველოში უკვე განხორციელდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ბაქო-სუფსისა და ბაქო-თბილისი- ერზერუმის გაზ/ნავთბსადენის სტრატეგიული ობიექტების მშენებლობა. მომავალში გათვალისწინებულია უფრო მასშტაბური პროექტების განხორციელება, რაც ზრდის რეგიონში სახელმწიფოთა თანამშრომლობის გააქტიურების ალბათობას, რუსეთზე კავკასიისა და ევროპის ქვეყნების ენერგო დამოკიდებულების შემცირებას. აშშ -ს პრეზიდენტის ყოფილი მრჩევლის ეროვნული უსაფრთოების საკითხებში ბზიგნევ ბზეჟინსკის აზრით შავი ზღვისა და კასპის აუზში ამერიკის პოზიციების დათმობა მნიშვნელოვნად შეარყევდა ამერიკის, როგორც ზესახელმწიფოს იმიჯსა და ინტერესებს, შესაბამისად, ,,საქართველო ხდება რუსეთთან ალიანსის კანდიდატი, რაც მას ამერიკასთან მეგობრობის ფასად დაუჯდება - ბაქო-ჯეიჰანის ნავთობსადენის მნიშვნელობის გათვალისწინებით" და ხელი შეეწყობა საბჭოთა კავშირის მსგავსი სახელმწიფოს წარმოქმნას (ელექტრონული პუბლიკაცია, For.ge, 2002).

სამხრეთ კავკასიის გეოსტრატეგიული მნიშვნელობის გათვალისწინებით, შესაძლოა მოხდეს სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტების ხელოვნური სტიმულირება, ასევე ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ბაქო-სუფსისა და ბაქო თბილისი ერზერუმის გაზ/ნავთბსადენზე ტერორისტული აქტების განხორციელება. ეს კი ზრდის სახელმწიფო

ტერორიზმის საქართველოში გადმოტანის ალბათობას და საომარ კონფლიქტებში ჩართვის შესაძლებლობას. ჩვენის აზრით, სამხედრო კონფლიქტის განახლების შემთხვევაში შესაძლებელია ტერორისტული აქტები განხორციელდეს სომხებითა და აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ საქართველოს ტერიტორიაზეც - კონფლიქტებში საქართველოს ჩართვისათვის, ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ კურსზე ზეგავლენის მოსახდენად და სტრატეგიული უპირატესობის მისაღწევად. ამის ნათელი მაგალითია 2016 წ. აგვისტოში რუსეთ-სომხეთის გაზსადენის ერთ-ერთი მონაკვეთის აფეთქების მცდელობა სოფელ საგურამოსთან, რომელიც აღკვეთილი იქნა შესაბამისი სამსახურების მიერ. ამ ფაქტის შესახებ ვრცლადაა საუბარი **საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანგარიშში** (**2016**) (საქართველოს სუს ანგარიში, 2016, გვ. 8).

საქართველოს კონტრტერორისტული პოლიტიკის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანას წარმოადგენს ზემოთაღნიშნული საფრთხეების პრევენცია, რომელიც სტრატეგიულ დოკუმენტებში ***ბუნდოვნად არის წარმოდგენილი. არ არსებობს არაქართული ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციის, ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გამოყენების სახელმწიფო სტრატეგია.***

სამხრეთ კავკასიის სატრანზიტო ფუქნციისა და იქ არსებული ბუნებრივი რესურსების საკითხებზე ამახვილებს ყურადღებას ნატოს სპეციალური მიმოხილვა - **„პარტნიორები სამხრეთ კავკასიაში“.** მასში აქცენტი გაკეთებულია რეგიონის, როგორც კულტურათა გზაჯვარედინის სპეციფიკურ თავისებურებებზე. სამხრეთ კავკასიასა და კასპიის რეგიონში არსებული ენერგო რესურსები და მათი შესაძლო ალტერნატიული ენერგოდერეფნის უზრუნველყოფა ნატოს, ევროკავშირსა და რეგიონის ცალკეულ ქვეყნებისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობას იძენს. მიმოხილვა კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირების აუცილებლობაზე ამახვილებს ყურადღებას. საერთაშორისო ტერორიზმის, კერძოდ კი მასობრივი განადგურების იარაღის ნიმუშების უკონტროლო გავრცელებისა და საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების საქმიანობის გააქტიურების ალბათობა დოკუმენტში უკონტროლო ტეროტორიების არსებობასთანაა დაკავშირებული (ნატო, მიმოხილვა, პარტნიორობა სამხრეთ კავკასიაში, 2007, გვ. 2).

ტერორისტული მიზნებით ოკუპირებულ ტერიტორიების შესაძლო გამოყენების საკითხებზე ყურადღებას ამახვილებს **„საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგიაც“.** მასში ხაზგასმულია ისეთი უკანონო, სახელმწიფო უსაფრთოებისათვის რისკის შემცველი მოქმედებების შესაძლო განხორციელებაზე, როგორებიცაა: საერთაშორისო ტერორიზმისა და ტრანსნაციონალური დანაშაულებრივი საქმიანობის ხელშეწყობა, ნარკოტიკებით, იარაღითა და მასობრივი განადგურების იარაღით ვაჭრობა, კონტრაბანდის და ტრეფიკინგისათვის სასურველი გარემოს შექმნა (საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია, 2014, გვ. 3). დოკუმენტი ეხება აგრეთვე კავკასიაში არსებულ კონფლიქტებს და მათში ჩართულ საგარეო აქტორებს. კავკასიის გეოპოლიტიკურ მნიშვნელობას ზრდის მისი სატრანზიტო ფუნქცია. შესაბამისად მაღალია გეოპოლიტიკური აქტორების (რუსეთი, აშშ, ევროკავშირი) და რეგიონალური მოთამაშეების (თურქეთი, ირანი, საუდის არაბეთი, ისრაელი) კავკასიით დაინტერესების შესაძლებლობა და სამხრეთ კავკასიის კონფლიტებში მათი ჩარევის ალბათობაც.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნების, უპირველესად საქართველოს კონტრტერორისტული პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა **ფუნდამენტალური ისლამის იდეოლოგიის ზრდის პრევენცია და ტერორისტული მიზნებისათვის საქართველოს ტერიტორიის გამოყენების შესაძლებლობის აღკვეთა**. ამ კონტესტში მნიშვნელოვანია სამხრეთ კავკასიის, ნატოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის საერთაშორისო თანამშრომლობის გააქტიურება. საქართველო აქტიურად თანამშრომლობს აზერბაიჯანთან, სომხეთთან, ნატოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან, აშშ-თან და თურქეთთან. სტრატეგიულ პარტნიორებთან და საერთაშორისო თანამეგობრობასთან თანამშრომლობის ფარგლებში გაძლიერდა საქართველოს სასაზღვრო, სანაპირო დაცვის სისტემა, მომზადდა კადრები, დაინერგა ახალი ტექნოლოგიები. ამასთან ხელი მოეწერა ამერიკასთან „ბირთვული მასალების კონტრაბანდის წინააღმდეგ ერთობლივი სამოქმედო გეგმის ერთობლივ შესრულებას“-თან დაკავშირებულ დოკუმენტს (საქართველოს სუს ანგარიში, 2015, გვ. 19), რომლის შესახებ საგანგებოდაა საუბარი **საქართველოს სახელმწიფო უსაფრთოების 2015 წლის ანგარიშში.** იგი ითვალისწინებს „ბირთვული მასალების უკანონო ვაჭრობის, გავრცელების, ტერორისტული

მიზნებისათვის გამოყენების პრევენციას. 2015 წელს თბილისში დააკავეს რამოდენიმე პირი, რომელთა საცხოვრებელი ადგილებისა და სამალავების დათვალიერების შემდეგ ამოღებული იქნა ქარხნული წესით დამზადებული ,,რადიაქტიური ნივთირებება ცეზიუმ-135“-ის და „ცეზიუმ137“-ის ნარევის შემცველი ორი კონტეინერი (თითოეული წონით 600 გრამი)“ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების 2015 ანგარიში). მსგავს შემთხვევებს სხვა დროსაც ჰქონდა ადგილი. 2016 წლის 14 და 25 აპრილს თბილისსა და ქობულეთში დაკავებული იქნა პირთა ჯგუფი, რომელთა ჩხრეკისას ამოღებული იქნა ,,ურან 238 (გაღარიბებული ურანი) ასევე 1665,5 გრ. რადიაქტიური ნივთიერება, რომელიც შეიცავდა ურან 235“-ს და „ურან 238“-ს“ (საქართველოს სუს ანგარიში, 2016, გვ. 12). ეს **ფაქტი აისახა საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2016 წლის** ანგარიშშიც (ფუტკარაძე, 2020, გვ.345).

მასობრივი განადგურების იარაღის კომპონენტების წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობასა და წარმატებაზე საუბარია **აგრეთვე სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 01.01.2017-31.12.2017 წლის ანგარიშშიც**. კონტრტერორისტულ სფეროში განხორციელებული ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამებით, ტერორიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის გაცვლის უწყვეტობით საქართველო კონტრტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით აღმოსავლეთ ევროპაში ერთ-ერთი წამყვან ქვეყანაად იქცა (საქართველოს სუს ანგარიში, 2017, გვ. 14). გაღრმავდა ტერორიზმთან დაკავშირებული საიდუმლო ინფორმაციის გაცვლის სიხშირეც, ბირთვული და რადიაქტიული ნივთიერებების აღმომჩენი სპეციალური დეტექტორებით აღიჭურვა საბაჟო-გამშვები პუნქტები, კონტრტერორისტული შესაძლებლობების გაზრდის, გამოცდილების გაზიარებისა და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით გააქტიურდა თანამშრომლობა აშშ-თან, ისრაელთან, დიდ ბრიტანეთთან და გერმანიასთან (საქართველოს სუს ანგარიში, 2015, გვ. 14) ამ სფეროში საქართველო მჭიდროდ თანამშრომლობს ასევე აზერბაიჯანთან. საქართველოს კონტერ-ტერორისტული სამსახურის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, აზერბაიჯანის ერთ-ერთ ქალაქში განხორციელდა პიროვნების დაკავება, რომელიც

თურქეთის ტერიტორიის გამოყენებით აპირებდა სირიაში გამგზავრებას ტერორისტული მიზნით (საქართველოს სუს ანგარიში, 2015, გვ. 14).

სტრატეგიულ-კონცეპტუალურ დოკუმენტებს შორის მნიშვნელოვანია საქართველოს კანონი **„ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“.** იგი განსაზღვრავს ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ძირითად პრინციპებს. ამ დოკუმენტით ეროვნული უსაფრთხოების სფეროს განეკუთვნება სახელმწიფო თავდაცვა, საგარეო და შიდა, ასევე სოციალურ-ეკონომიკურ, ეკოლოგიურ-ენერგეტიკული, ინფორმაციული უსაფრთხოება, მართლწესრიგი და ეროვნულ უსაფრთოებასთან დაკავშირებული სხვა საკითხები (საქართველოს კანონი „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ, 2-5). კანონის მიხედვით, **შიდა უსაფრთოება** გულისხმობს 1. ,,შიდა საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების გამოვლენას, იდენტიფიცირებას, შეფასებას და პროგნოზირებას 2. ექსტრემისტულ-ტერორისტული იდეოლოგიისა და საქმიანობის წინააღმდეგ ბრძოლას 3. სახელმწიფო საზღვრის დაცვის უზრუნველყოფას 4. მიგრაციული და რეპატრიაციული პროცესების მართვას საერთაშორისოდ აღიარებული ნორმების შესაბამისად“. საგარეო უსაფრთხოებაში იგულისხმება საგარეო საფრთხეების, რისკებისა და გამოწვევების გამოვლენა, იდენტიფიცირება, შეფასება და პროგნოზირება“ (საქართველოს კანონი „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ, გვ. 2-3).

აღნიშნული ჩანაწერი ხაზს უსვამს საქართველოსა და ზოგადად კავკასიაში მზარდი ექსტრემისტული-ტერორისტული იდეოლოგიის გავრცელებისა და პრეცენციის უზრუნმველყოფელი ეფექტური კონტრტერორისტული პოლიტიკის შემუშავების აუცილებლობას. იგი თავის თავში გულისხმობს ტერორიზმთან დაკავშირებული სადაზვერვო ინფორმაციის მოძიებას როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე მის ფარგლებს გარეთ. კანონი ყურადღებას ამახვილებს აგრეთვე სირიასა და ერაყში მიმდინარე საომარი კონპლიქტის ფონზე მიგრაციული ნაკადების ზრდას და ამ პროცესებიდამი ოპერატიული კონტროლის, საზღვრის დაცვის სისტემის გაძლიერებას. ქვეყნის ფარგლებს გარეთ ტერორიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის მოძიება მნიშვნელოვან

ფინანსურ და ადამიანურ რესურს საჭიროებს. ერთიანი, სრულყოფილი და დროული კონტრტერორისტული პოლიტიკის გატარება მოითხოვს სხვადასხვა ქვეყნების სპეცსამსახურებს შორის თანამშრომლობის გააქტიურებას და გამოცდილების გაზიარების აუცილებლობას.

ტერორიზმის მოსალოდნელ საფრთხეებს ეხება **„საქართველოს საფრთხეების შეფასების 2007–2009 და 2010–2013 წლების დოკუმენტები“.** 2007-2009 წლების საანგარიშო პერიოდში **გამოკვეთილია სამხედრო - პოლიტიკური და გლობალური საფრთხეები.** დოკუმენტი ხაზს უსვამს სამხედრო აგრესიის შესაძლებლობას საქართველოში. საყურადღებოა ის გარემოება, რომ დოკუმენტი მიღებულია 2008 წლის აგვისტოს ომამდე. საქართველოს ოფიციალურ დონეზე გაცხადებული აქვს თავისი ევროატლანტიკური კურსი. შესაბამისად, რუსეთს საქართველოს სტრატეგიული დანიშნულების ობიექტებზე განხორციელებული აქვს არაერთი დამაზიანებელი ქმედება (ჭაღიტაშვილი, 2009, გვ. 47-51-120, ასევე, საქართველოს მთავრობის 2008 წლის 8 აგვისტოს სხდომა).

აღნიშნულის გათვალისწინებით, დოკუმენტში ხაზი გაესვა ზოგიერთი მეზობელი ქვეყნის მიერ ტერორიზმთან ბრძოლის საბაბით შეზღუდული, ე.წ. „კონტრტერორისტული“ ოპერაციების ჩატარების ალბათობაზე“ (რუსეთმა ხომ ქისტებით დასახლებული პანკისის ხეობა ტერორისტების ბუდედ გამოაცხადა) (ბულისკერია, 2016, გვ. 133).

1992 წელს, საქართველოში არსებულ სამხედრო დაპირისპირების გათვალისწინებით, მაშინ, როცა ცალკეულ სახელმწიფოთა მხარდაჭერით საქართველოს წინააღმდეგ აქტიურად იბრძოდნენ ჩრდილო კავკასიელი ბოევიკები, თურქეთიდან, საუდის არაბეთიდან, იორდანიიდან, და სხვა მუსლიმური სახელმწიფოებიდან ჩამოსული პირები (საქართველოში მომხდარ კონფლიქტთან დაკავშირებული ფაქტების დამდგენი დამოუკიდებელი საერთაშორისო მისიის ანგარიში, 2009, გვ. 15, ასევე კეკელიძე, 2007, გვ. 51), გარკვეულ რისკებთან იყო დაკავშირებული რუსეთ-ჩეჩნეთის ომს გამოქცეული ლტოლვილების საქართველოში მიღება (ლიკლიკაძე, რადიოთავისუფლება, 2002, ასევე, კეკელიძე, 2007, გვ. 14-17-18).

საქართველოს ხელისუფლების ეფექტური პოლიტიკის შედეგად გილაევის რაზმმა და სხვა მებრძოლმა ჩეჩნებმა დატოვეს საქართველო (ლიკლიკაძე, რადიოთავისუფლება, 2002, ასევე, უტიაშვილი, 2019, გვ. 4). შესაბამისად, რუსეთის პროვოკაციული განცხადებები ტერორიზმში საქართველოს დადანაშაულების მიზნით, იყო მცდარი და არაეთიკური. კავკასიის რეგიონში არსებულ არასტაბილურ ვითარებას საგანგებო ყურადღებას უთმობს ოქსფორდის უნივერსიტეტის პროფესორი **ს. ნილ მაკფარლეინი,** რომელმაც რუსეთისა და ევრაზიის პროგრამის ფარგლებში ჩაატარა კვლევა - **,,საქართველო: ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია და ეროვნული უსაფრთხოება“**. ავტორი ხაზს უსვამს საქართველოს გეოპოლიტიკურ მდებარეობას, ჩრდილოეთ კავკასიაში ფუნდამენტალური ისლამური იდეოლოგიის გაძლიერებას და სხვა საკითხებს. ჩრდილოეთ კავკასიაში, საქართველოს საზღვრის სიახლოვეს განხორციელდა არაერთი ტერაქტი, რამაც ავტორის აზრით ქვეყნის ჩრდილოეთ სასაზღვრო მონაკვეთზე სერიოზული პრობლემები შექმნა. იგი იქცა ქვეყნის კონტრ-ტერორისტული სტრატეგიის სერიოზულ გამოწვევად (მაკფარლეინი, 2012, გვ. 6-20). ავტორი ტერორიზმთან რუსეთის შესაძლო კავშირის შესახებ გამოთქვამს ვარაუდს. მისი აზრით არაა გამორიცხული რუსეთი იყოს ,,ტერორისტული აქტების დამფინანსებელი, მწვრთნელი, ხელმძღვანელი და ხელშემწყობი“ (მაკფარლეინი, 2012, გვ. 6-26), მაგრამ ასეთ შემთხვევაში მისთვის აუხსნელი რჩება რუსეთის მოქალაქეებისათვის უვიზო რეჟიმის შენარჩუნება. მისი აზრით, ,,საქართველო ახალი დემოკრატიის ქვეყანა იყო. ქვეყნის სახელისუფლებო სტრუქტურებს არ გააჩნდათ დემოკრატიულობისა და გამჭვირვალეობის დიდი ხნის ისტორია. ისმის კითხვა, რამდენადაა დაკავშირებული საქართველოში განხორციელებული ტერაქტები რუსეთის ფედერაციასთან?“ თუ კი რუსეთის მხრიდან ადგილი ჰქონდა საქართველოში ტერორისტული აქტების განხორციელებას, რატომ არ დააწესა საქართველომ რუსეთის მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმი და რატომ მიეცა რუსეთს საქართველოს უსაფრთხოებისათვის მნიშვნელოვან ინფრასტრუქტურულ პროექტებზე ნაწილობრივი კონტროლის შესაძლებლობა? (მაკფარლეინი, 2012, გვ. 6-27).

ავტორის ეს მოსაზრება სერიოზული დაფიქრების საფუძველს იძლევა. იგი აუცილებლად უნდა გახდეს შესწავლის საგანი. თუმცა ვერ დავეთანხმებით ავტორის

შეხედულებას, რომლის მიხედვით იგი კითხვითი ნიშნის ქვეშ აყენებს ტერორიზმის ბრალდებით დაკავებული პირების შესაძლო კავშირს რუსეთის ფედერაციასთან. საკითხის სენსიტიურობიდან გამომდინარე, ცალკეული ღონისძიებანი ეფუძნება ფარული ოპერატიული საგამოძიებო მოქმედებების განხორციელებას. ბევრი მნიშვნელოვანი დეტალი, ინფორმაცია თუ ინფორმაციის წყაროს გასაჯაროება კითხვითი ნიშნის ქვეშ აყენებს სახელმწიფოს ეროვნულ უსაფრთხოებას და თვით ინფორმაციის მომწოდებელ წყაროსაც. რა თქმა უნდა, ეს არ გამორიცხავს პრობლემის მეცნიერული ან სამართლებრივი შესწავლის საჭიროებას.

რუსეთის მოქალაქეებისათვის უვიზო რეჟიმის შენარჩუნება კი ქვეყნის ეკონომიკურ სარგებელს და მოქალაქეებს შორის მეგობრული ურთიერთერთობის ხელშეწყობას უნდა უკავშირდებოდეს (საქართველოს პრეზიდენტის N 149 განკარგულება, 2012).

რაც შეეხება ინფრასტრუქტურულ პროექტებთან რუსეთის შესაძლო წვდომის საკითხს, იგი ჩვენთვისაც აუხსნელია, რადგან აღნიშნულის შესახებ ქართულ ღია სივრცეში ინფორმაცია პრაქტიკულად არ არსებობს. სახელმწიფოს გადაწყვეტილებები თანხვედრაში უნდა იყოს ქვეყნის ეროვნულ ინტერესებთან და ღირებულებებთან.

„საქართველოს საფრთხეების შეფასების 2007–2009 წლების დოკუმენტი“ გლობალური საფრთხეების კონტექსტში ქვეყნის წინაშე არსებული ტერორისტულ გამოწვევებად სამ ძირითად კომპონენტს მიიჩნევს: ა) საქართველოში არსებული გაყინული კონფლიქტები, მათი განახლების შემთვევაში შესაძლო ტერორისტული აქტების განხორციელება, ბ) ისლამური ფუნდამენტალიზმის სავარაუდო სამიზნე - საქართველოს მიერ არჩეული ევროატლანტიკური კურსის გამო გ) ქვეყანასა და რეგიონში არსებული პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური გარემო, რაც ხელს უწყობს მასობრივი განადგურების იარაღის კომპონენტებისა და იარაღით უკანონო ვაჭრობის განხორციელების შესაძლებლობას“ (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N542, საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების შეფასების 2007-2009 წწ. დოკუმენტი).

„საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების შეფასების 2010-2013 წწ. დოკუმენტში“ არსებულ ტერორისტულ გამოწვევებს დაემატა **კიბერტერორიზმის** საფრთხე (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებუება N707, საქათველოს წინაშე არსებული

საფრთხეების შეფასების 2010-2013 წწ. დოკუმენტი). დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია აგრეთვე 2008 წლის აგვისტოს ომის შემდგომ ოკუპირებულ რეგიონებში გაუარესებულ სიტუაციაზე. ეს კი თავის მხრივ ზრდის საერთაშორისო ტერორიზმისა და საბრძოლო იარაღით უკანონო ვაჭრობის განხორციელების შესაძლებლობას (საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულება N707, ასევე, საქართველოს წინაშე არსებული საფრთხეების შეფასების 2010-2013 წწ. დოკუმენტი).

2019 წელს მიღებული იქნა **„ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია“**. ეს დოკუმენტი უდაოდ არის მნიშვნელოვანი მონაპოვარი ეფექტური კონტერტერორისტული პოლიტიკის გასატარებლად. სტრატეგიაში მიმოხილულია არსებული რეგიონალური გარემო, დასახელებულია საქართველოსათვის საფრთხის შემცველი ტერორისტული ორგანიზაციები, ყურადღება გამახვილებულია კონტრტერორისტული სტრატეგიის თავსებადობის აუცლებლობაზე საერთაშორისოდ აღიარებულ ღირებულებებთან და უფლებებთან. დოკუმენტი ყურადღების მიღმა არ ტოვებს ახლო აღმოსავლეთში, ავღანეთში, ჩრდილოეთ აფრიკასა და სხვა რეგიონებში მიმდინარე პროცესებს, რომლებიც მოსახლეობის რადიკალიზაცისა და რეკრუტირებისთვის ქმნის ხელსაყრელ ფონს. აღნიშნული სტრატეგია მნიშვნელოვან საფრთხედ მიიჩნევს საომრად წასულ, უკვე რადიკალიზირებულ ადამიანებს. მათი უკან, სამშობლოში დაბრუნება ქვეყნის კონტრტერორისტული სტრატეგიის ერთ-ერთმნიშვნელოვთაგან გამოწვევადაა აღიარებული. სერიოზულ კონტრტერორისტულ გამოწვევად კვლავაც რჩება ისლამური სახელმწიფო, რომლის დამარცხების მიუხედავად, კვლავაც მაღალია მის რიგებში მყოფი მებრძოლების თავიანთ სახელმწიფოებში დაბრუნების ალბათობა და შემდგომში ტერორიზმისათვის სასურველი პლაცდარმის შექმნა ან ტერორისტული აქტების განხორციელება. საქართელოს კონტრტერორისტულ სტრატეგიაში იგი - **„კონფლიქტის ზონის მიღმა ტერორისტული აქტების განხორციელების“** სახით მოიხსენიება (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 იანვრის N53 განკარგულება, ტერორიზმის წინააღდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია, 2019, გვ. 6). დოკუმენტში ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის შვიდი მიმართულებაა გამოკვეთილი: ექსტრემიზმთან და რადიკალიზაციასთან

დაკავშირებული ინფორმაციის მოპოვება და ანალიზი, პრევენცია, დაცვა, მზადყოფნა, დევნა, სამართლებრივი რეგულირების ჩარჩოს განვითარება და საერთაშორისო თანამშრომლობა (საქართველოს მთავრობის 2019 წლის 23 იანვრის N53 განკარგულება, ასევე, ტერორიზმის წინააღდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს ეროვნული სტრატეგია, 2019, გვ. 16)".

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოს მხრიდან საჭიროებს კომპლექსურ მიდგომას. სახელმწიფო უწყებების კოორდინირებულ მუშაობა ეფექტური კონტრტერორისტული პოლიტიკის გატარების წინაპირობაა. ასეთი მიდგომა ქვეყანას ააცილებს ტერორისტულ საფრთხეებს და მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს გლობალური ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

ამრიგად, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საკითხები ასახულია საქართველოს კონცეპტუალურ დოკუმენტებში. მათში ნათლადაა გამოკვეთილი ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევები: გაყინული კონფლიქტები, ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე ტერორისტული საფრთხეები, მასობრივი განადგურების იარაღის კომპონენტებისა და იარაღით უკანონო ვაჭრობის განხორციელებისათვის ქვეყანასა და რეგიონში არსებული ხელშემწყობი პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური გარემო, სახელმწიფო ტერორიზმთან დაკავშირებული საფრთხეები და ა. შ.

აღნიშნულ დოკუმენტებს უდაოდ აქვს დიდი მნიშვნელობა სახელმწიფო უსაფრთხოებისა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით, თუმცა ვფიქრობთ, რომ მათში *ბუნდოვნად არის წარმოდგენილი ზოგიერთი საკითხი, კერძოდ, დოკუმენტებში ა) არ არის წარმოდგენილი არაქართული ეთნიკური ჯგუფების ინტეგრაციის, ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გამოყენების სახელმწიფო სტრატეგია; ბ) არ არის ასახული სომხებითა და აზერბაიჯანელებით დასახლებულ საქართველოს სასაზღვრო რეგიონებში მზარდი ნაციონალისტური იდეოლოგიის პრევენციის ერთიანი სტრატეგია; გ) არ არის ნათლად გამოკვეთილი ისლამური ორგანიზაციებისა და ქვეყნების მხრიდან ფინანსური რესურსების შემოდინების კონტროლის და აღკვეთის მექანიზმები.*

2.6 ტერორიზმის რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლები

საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ სხვა მრავალ ფაქტორთან ერთად ტერორიზმი იქცა უსაფრთხოების მნიშვნელოვან გამოწვევად საქართველოსათთვის. ცალკეული ქვეყნები, ორგანიზაციები თუ პოლიტიკური ჯგუფების ნაწილი ტერორისტული აქტების განხორციელებით ცდილობდნენ თავიანთი ინტერესების გატარებას. აღნიშნულ დამაზიანებელ ქმედებებში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ჩრდილო კავკასიელი ბოევიკებიც. აღნიშნულის დასტურად გამოდგება 1998 წელს პრეზიდენდ ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული ტერორისტული აქტიც. თავად ტერაქტის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები კი წარმოდგენილი იყო ქართველებითა და ჩრდილოეთკავკასიელი მებრძოლებით, რომელთაც ტერორისტული მომზადება ჩეჩნეთის ტეროტორიაზე არსებულ ერთ ერთ საწვრთვნელ ცენტრში გაიარეს (მერიდიანი, 1999, ასევე, საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებელი, სატელევიზიო გადაცემა, 2017, ბერულავა, 2017).

ბოლო პერიოდში მსოფლიოში მიმდინარე პროცესების გათვალისწინებით, საქართველოსათვის სერიოზულ გამოწვევად იქნა **ისლამური ფუნდამენტალისტური ორგანიზაციები და მათგან მომდინარე საფრთხეები**. ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე საომარმა კონფლიქტმა დღის წესრიგში დააყენა საქართველოდან და ევროპის ქვეყნებიდან მათი მოქალაქეების საომარ კონფლიქტში გადინების საკითხი. საქართველოში მუსლიმი მოსახლეობის არც თუ უმნიშვნელო ნაწილში რელიგიურ და სოციალურ საკითხებზე მანიპულირებამ შესაძლებელი გახადა ზოგიერთი **მოქალაქის გადაბირება და მათი სირიაში გამგზავრების უზრუნველყოფა** (გობრონიძე, ვალიევი, 2018, გვ. 22, ასევე, სსუს-ს 2017 წლის ანგარიში).

ამან კი საქართველო მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დააყენა. ქვეყნის მუსლიმი მოსახლეობის გარკვეულ ნაწილში **შესაძლებელი გახდა რელიგიური და ფინანსური საკითხებით მანიპულირება,** რაც არაერთხელ დაადასტურა 2014-2016 წლებში მიმდინარე მოვლენებმა (მაგ. სირიის მოვლენებში საქართველოს მოქალაქეების მონაწილეობა, უცხოელი ემისრების საქმიანობა და ა. შ.). ამ*ასთან, ხელი შეუწყო **ისლამური ფუნდამენტალისტული ორგანიზაციების პოზიციების გაძლიერებას, მოსახლეობაში***

პოლიტიკური ისლამის გავრცელებას (გობრონიძე, ვალიევი, 2018, გვ. 23-28) ***და პოპულარობის გაზრდას.***

1995 წლიდან საქართველოში განხორციელდა არაერთი ტერორისტული აქტი. კერძოდ:

1. *„საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებული ტერორისტული აქტები (1195 და 1998 წწ.);*
2. *გენერალ გია გულუას მკვლელობა;*
3. *ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის თავჯდომარის გიორგი ჭანტურიას მკვლელობა;*
4. *დემოკრატიისა და აღორძინების ფონდის თავჯდომარის სულიკო ხაბეიშვილის მკვლელობა (1995 წწ.);*
5. *თბილისის პროკურორის მიხეილ ქურდაძის მკვლელობა;*
6. *საქართველოს ყოფილი სახელმწიფო საბჭოს ერთ-ერთი ლიდერის ჯაბაიოსელიანის მკვლელობის მცდელობა;*
7. *2005 წელს გორში განხორციელებული ტერაქტი;*
8. *საქართველოს ჩრდილოეთ საზღვართან განხორციელებული ტერაქტები ელექტროგადამცემი სადგურების მწყობრიდან გამოყვანის მიზნით და სხვა“* (ჭაღიტაშვილი, 2009, გვ. 120).

კონტრტერორისტული სამსახურების მიერ გატარებული პროფილაქტიკური ღონისძიებების შედეგად აღკვეთილი იქნა არაერთი ტერორისტული აქტის მომზადება ან/და გახორციელება. კერძოდ:

1. 2002-2003 წლებში პანკისში ჩატარდა ანტიკრიმინალური ოპერაცია, რის შედეგადაც ხეობა დატოვეს რუსეთ-ჩეჩნეთის ომს გამოქცეულმა ჩეჩნურმა შეიარაღებულმა ფორფირებებმა;
2. აღკვეთილი იქნა საქართველოში ვიზიტად მყოფ აშშ-ის პრეზიდენტ ჯორჯ ბუშზე თავდასხმის მცდელობა (2005 წ.). შსს სპეციალური დანიშნულების რაზმებმა დააკავეს საქართველოს მოქალაქე ვოვა არუთინიანი;

3. შესწავლილი იქნა და დაზუსტდა ალ-კაიდასა და ჩეჩნური ოპოზიციის მიერ ფინანსებისა და საბრძოლო მასალის სატრანზიტო მარშრუტი (2004 წელი) (ჭაღიტაშვილი, 2009, გვ. 120);
4. საქართველოს კონტრტერორისტული ცენტრისა და რუსეთის ფედერალური უსაფრთხოების სამსახურის (ФСБ) ერთობლივი ოპერაციის შედეგად ლიკვიდირებული იქნა ქიმიური ტერაქტის მომზადებაზე პასუხისმგებელი ,,ჯამაათ ამანათის“ წევრები - ისა ისხაბოვი და ალაშ დაბ დაუდოვი (ჭაღიტაშვილი, 2009, გვ. 120);
5. უკანონო მიგრაციასთან ბრძოლის ფარგლებში 2005-2007 წწ. საქართველოს კონტრტერორისტული ცენტრის მიერ დაკავებულ იქნა საზღვრის დამრღვევი 50 პირი, მათ შორის, ირანული ჯგუფების უკანონოდ შემოყვანაში შემჩნეული საქართველოს მოქალაქე ვაგიფ ნეიმათ ოღლი გადიმოვი და ფინეთის მოქალაქე საზჰეიკილა აბუ ბაქრი. დაკავებისას მას აღმოაჩნდა საბრძოლო ამუნიციის სრული კომპლექტი, რომლითაც იგი უნდა შეერთებოდა ჩეჩენ ბოევიკებს ჩრდილოეთ კავკასიაში (ჭაღიტაშვილი, 2009, გვ. 114);
6. პანკისის ხეობიდან ამოღებული იქნა სხვადასხვა სახეობისა და რაოდენობის ცეცხლსასროლი იარაღი, დათვალიერებული იქნა მთის მასვები, ოპერატიულ კონტროლზე აიყვანეს ჩრდილოეთ კავკასიაში გადასასვლელი შესაძლო მარშუტები;
7. განეიტრალებული იქნა საქართველოში შემოსული დივერსიული ჯგუფი. ლიკვიდირებული იქნა ჯგუფის 2 წევრი, შვიდი კი დააპატიმრეს (ჭაღიტაშვილი, 2009, გვ. 120);
8. განეიტრალებული იქნა ქართული უკანონო შეიარაღებული ჯგუფი ლოპოტას ხეობაში (2012 წლის აგვისტო);
9. თბილისში ლიკვიდირებული იქნა ისლამური სახელმწიფოს იდეოლოგიური ფრთის ხელმძღვანელი აჰმედ ჩატაევი დაცვის სამ წევრთან ერთად. დაცვის ერთ-ერთი კი წევრი ოპერაციის დაწყებამდე დააკავეს (2017 წლის 21-22 ნოემბერი);
10. ტერორიზმთან შემხებლობასა და უკანონო ბირთვული მასალების გადატანა-გასაღების ბრალდებით დაკავებული იქნა რამოდენიმე პირი (United States Department

of State Publication Office of the Coordinator for Counterterrorism, Country Reports on Terrorism 2010, 2011, p. 57).

დასახელებულ და სხვა კონტრტერორისტულ ღონისძიებებთან ერთად გამოიკვეთა სასაზღვრო კონტროლის გაუმჯობესების ტენდენცია. ეს ფაქტი აღინიშნა კიდეც ამერიკის შეერთებული შტატების შესაბამისი სამსახურების მიერ - ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების 2007 წლის კვლევაში. დოკუმენტში აღნიშნულია საქართველოს წვლილი საერთაშორისო ტერორიზმთან ბრძოლაში. ამ ამოცანებს ემსახურება 2000 გაწრთვნილი ჯარისკაცის მონაწილეობა ერაყის სამშვიდობო მისიაში. დოკუმენტში ყურადღება გამახვილებულია აშშ-ის მიერ მხარდაჭერილ წრთვნისა და აღჭურვისა (2002 2004 წწ.) და სხვა პროგრამებზე. აშშ-ს მხარდაჭერით განხორციელდა 750 ქართველი ჯარისკაცის გადამზადება, რომლებიც შემდგომში ავღანეთის სამშვიდობო მისიაში იქნა გაგზავნილი (United States Department of State Publication Office of the Coordinator for Counterterrorism, 2010, p. 79). მათივე მხარდაჭერით განხორციელდა ეფექტური კონტროლის დამყარება პანკისის ხეობაზე.

ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა კვლევის შედეგები, რომლიდანაც ნათლად ჩანს ტერორიზმის მხარდაჭერაში რუსული მხარის მიერ საქართველოს დადანაშაულების უსაფუძვლობა. 2007 წელს რუსეთში საქართველოს ჩრდილოეთი საზღვარიდან უკანონო შეღწევის არცერთი შემთხვევა არ დაფიქსირებულა (United States Department of State Publication Office of the Coordinator for Counterterrorism, 2008, p. 68).

ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში საქართველოს მიერ გატარებული ეფექტური ღონისძიებების შესახებ საუბარია კვლევის 2008 წლის ანგარიშშიც. მასში ხაზგასმითაა აღნიშნული გატარებული ღონისძიებები: სასაზღვრო სექტორის გაძლიერება, სასაზღვრო პუნქტებზე ბირთვული, ქიმიური და ბიოლოგიური მასალების აღმომჩენი შესაბამისი მოწყობილებების დამონტაჟება, ოკუპირებული ტერიტორიებიდან ცალკეული პირების უკანონო შემოსვლის და საქონლის უკანონო შემოტანის საფრთხეების საკითხი (United States Department of State Publication Office of the Coordinator for Counterterrorism, Country 2009, p. 72).

საქართველოსათვის კვალავ პრიორიტეტად რჩება სასაზღვრო მონაკვეთებზე კონტროლის გაძლიერება. ამის შესახებ აღნიშნულია აშშ-ის კვლევის 2009 და 2010 წწ. ანგარიშებში. გატარებული ღონისძიებების მიუხედავად, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორიებისა და იქედან რუსეთთან დაკავშირებული სასაზღვრო მონაკვეთების უკონტროლობა, სასაზღვო სექტორებზე კონტროლის გაძლიერების აუცილებლობა კვლავაც რჩება საქართველოს უსაფრთხოების სერიოზულ გამოწვევად (United States Department of State Publication Office of the Coordinator for Counterterrorism, 2009, 2010, 2011). საქართველოს კონტრტერორისტულმა სამსახურებმა შეძლეს რამოდენიმე ტერორისტული აქტის პრევენცია, რომელიც მიზნად ისახავდა დროის განსაზღვრულ მონაკვეთებში ბომბების აფეთქებას საქართველოს ტერიტორიაზე (United States Department of State Publication Office of the Coordinator for Counterterrorism, 2010, 2011).

საქართველოსა და აშშ-ის შესაბამისი სამსახურების სტრატეგიული თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება ოპერატიული ხასიათის ერთობლივი ღონისძიებების შემუშავება და გამოცდილების გაზიარება. 2011 წ. კვლევაში საქართველოს კონტერტერორისტულ გამოწვევად დასახელებულია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები, საიდანაც არსებობს უკანონო ჯგუფებისა და სხვადასხვა რადიაქტიული, საბრძოლო მასალის საქართელოს ტერიტორიაზე ტრანზიტის ან/და ქვეყანაში ტერორისტული აქტის განხორციელების საფრთხე (United States Department of State Publication Office of the Coordinator for Counterterrorism, 2012, p. 62).

აღნიშნული გამოწვევების მიუხედავად საქართველოში ხორციელდება შედარებით ეფექტური კონტრტერორისტულ პოლიტიკა. ამაზე მეტყველებს **ტერორიზმის კვლევის გლობალური ინდექსი.** 2007-2011 წლების მონაცემებით მსოფლიოში განხორციელებული ტერორისტული აქტივობების სიხშირის მიხედვით საქართველო 42-ე ადგილს იკავებს. საფრთხის ნიშნული მხოლოდ 3.43 ქულით არის განსაზღვრული. ამავე კვლევის მონაცემებით 2011 წელს ერაყში განხორციელდა 1228, პაკისტანში - 910, ავღანეთში -364, ინდოეთში-529, იემენში-113, სომალიში-175, რუსეთში-182, ირანში-14, თურქეთში-50, ისრაელში-48, ნორვეგიში22, საბერძნეთში-10, დიდ ბრიტანეთში-1, აშშ-ში ერთი ტერორისტული აქტივობა. საქართველოში კი 2011 წელს მხოლოდ 3 ტერორისტულ

ინციდენტს ჰქონია ადგილი, სადაც მხოლოდ ერთი ადამიანი დაშავდა. ეს მაშინ, როცა აშშ დაშავდა ორი, დიდ ბრიტანეთში სამი, საბერძნეთში ხუთი, ნორვეგიაში 75, ისრაელში 77, თურქეთში 110, რუსეთში 431 მოქალაქე (THE INSTITUTE FOR ECONOMICS & PEACE, 2012, p. 48). ე.ი. ამ თვალსაზრისით საქართველო წინ უსწრებს საბერძნეთს, ისრაელს, თურქეთს, რუსეთსა და სხვა ქვეყნებს. დასახელებულ კვლევაში შესწავლილია მსოფლიოს 115 ქვეყანაში განხორციელებული ტერორისტული აქტივობების სიხშირე. 2012 წელს განხორციელებული ტერორისტული აქტივობების სიხშირეების შესახებ საინტერესო მონაცემებია **2013 წლის გლობალური მშვიდობის ინდექსის კვლევაში** (THE INSTITUTE FOR ECONOMICS & PEACE, 2013, p. 2). ქვეყანაში არსებული მშვიდობიანი და უსაფრთხო გარემოს მიხედვით 162 ქვეყნიდან საქართველო 139-ე ადგილს იკავებს და მინიჭებული აქვს 2.511 ქულა. ამავე კვლევის მიხედვით იგი ჩარმორჩება მეზობელ სომხეთს (98-ე ადგილი), აზერბაიჯანს (126-ე ადგილი), თურქეთს (134-ე ადგილი), თუმცა წინ უსწრებს რუსეთს რომელიც (155-ე ადგილი) (THE INSTITUTE FOR ECONOMICS & PEACE, 2013, p. 6).

უსაფრთხო, მშვიდობიანი გარემოს შექმნის თვალსაზრისით გატარებული რეფორმების მიხედვით 2013 წელს საქართველომ მსოფლიოში მეორე ადგილი დაიკავა (THE INSTITUTE FOR ECONOMICS & PEACE , 2013, p. 49). უსაფრთხოების თვალსაზრისით სახელმწიფო პოლიტიკის ცალკეული ნაკლოვანებების მიუხედავად, პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს ამ მიმართულებით ხელისუფლების მიერ გადადგმული ნაბიჯები, რაც ჩანს ზემოთმოყვანილი მონაცემებიდან.

საქართველოში უსაფრთხო გარემოს შექმნისათვის ღონისძიებების გატარება არც შემდგომ წლებში შეჩერებულა. 2014 წლისათვის მნიშვნელოვნად იყო გაუმჯობესებულო უსაფრთხო გარემო, შემცირდა სამხედრო და კონტრტერორისტული საფრთხეები. მხოლოდ ერთ წელიწადში საქართველომ ამ თვალსაზრისით 139-ე ადგილიდან 111-ე ადგილას გადმოინაცვლა (THE INSTITUTE FOR ECONOMICS & PEACE, 2014, p. 5). ეს იმ ფონზე, როცა 2014 წელს მსოფლიოში, წინა წელთან შედარებით ტერორისტული აქტივობების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზრდა, ხოლო ტერორისტული აქტების შედეგად გარდაცვლილთა რაოდენობამ 2014 წელს, 2013 წელთან შედარებით 18111-ით

მეტი - 32 685 ადამიანი შეადგინა (THE INSTITUTE FOR ECONOMICS & PEACE, Global Terrorism Index 2015, p. 9). ამავე კვლევის მიხედვით საქართველოში ტერორისტული აქტივობების სიხშირე შემცირებულია და იგი რეიტინგში 71-ე ადგილს იკავებს (THE INSTITUTE FOR ECONOMICS & PEACE, 2015, p. 11) ტერორისტული აქტივობების ნაკლები სიხშირით ხასიათდება სომხეთი და იგი 116-ე ადგილს იკავებს, ასევე აზერბაიჯანი რომელი 93-ე ადგილზეა. აღსანიშნავია, რომ ეს პერიოდი ემთხვევა სირიაში არსებული სამოქალაქო დაპირისპირების გააქტიურებას, რომელმაც ისლამური რადიკალური დაჯგუფებების რიგებში. ათასობით უცხოელი მებრძოლი მიიზიდა (THE INSTITUTE FOR ECONOMICS & PEACE, 2015, p. 93). 2016 წლისათვის 2015 წელთან შედარებით ტერორიზმის მსხვერპლთა (გარდაცვლილთა) რაოიდენობა მსოფლიოს მასშტაბით შემცირებულია 10 პროცენტით (THE INSTITUTE FOR ECONOMICS & PEACE, 2016, p. 4), მაგრამ გაზრდილია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული ტერორისტული ინციდენტების რაოდენობა. კონტრტერორისტული გარემო მნიშვნელოვნად გააუარესა ისლამური სახელმწიფოს შექმნამ. 2015 წელს მსოფლიოში განხორციელებული ტერორისტული აქტივობების სიხშირის მიხედვით საქართველომ 71-ე ადგილიდან 87-ე ადგილზე გადაინაცვლა (THE INSTITUTE FOR ECONOMICS & PEACE, 2016, p. 10). თუმცა ამავე პერიოდიდან იწყება საქართველოს მოქალაქეების სირიის კონფლიქტში ჩართვა. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების ანგარიშის მიხედვით სირიის კონფლიქტში მონაწილე საქართველოს მოქალაქეების რაოდენობამ 100 ადამიანს მიაღწია (ელექტრონული პუბლიკაცია, სივილ.გე, 2019).

საქართველოს კონტრტერორისტული სამსახურების ეფექტური საქმიანობის შედეგად გატარდა პრევენციული ღონისძიებები, დააკავეს ტერორისტულ საქმოანობასთან დაკავშირებული პირები, ოპერატიულ კონტროლზე აიყვანეს ისლამურ რადიკალურ იდეოლოგიასთან დაკავშირებული ორგანიზაციები, გადაიკეტა უცხოეთიდან შესაძლო ფინანსური აქტოვობების წყარო. იმ დროისათვის მნიშვნელოვნად გაიზარდა ტერორისტული აქტების რაოდენობა თურქეთსა და რუსეთში (ელექტრონული პუბლიკაცია, სივილ.გე, 2019, ასევე, სსუს-ს 2018 წლის ანგარიში).

ტერორისტული ინციდენტების შედეგად გარდაცვლილ პირთა შემცირების ტენდენცია გამოიკვეთა მომდევნო წლებშიც. 2016 წლისათვის იგი 13 პროცენტითაა (25673 გარდაცვლილი) შემცირებული (THE INSTITUTE FOR ECONOMICS & PEACE, 2017, p. 4), თუმცა მნიშვნელოვნად გაზრდილია ისლამური სახელმწიფოს აქტივობები და მისი დამაზიანებელი შედეგები. 2016 წელს არსებული კონტრტერორისტული გარემო შედარებით გაუარესდა. საქართელომ რეიტინგში 87-ე ადგილიდან 77-ე ადგილზე გადმოინაცვლა. მდგომარეობა გაუარესებულია აზერბაიჯანში (95-ე ადგილი), სომხეთსა (108-დან 75-ე ადგილი) და თურქრთში, რუსეთი ამ მხრივ შედარებით დაწინაურდა და რეიტინგში 33-ე ადგილი დაიკავა (THE INSTITUTE FOR ECONOMICS & PEACE, 2017, p. 104). ვფიქრობთ, რომ არსებული ვითარება განპირობებული უნდა იყოს **ახლო აღმოსავლეთში მიმდინარე სამარი კონფლიქტებით და თურქეთში ქურთული საკითხის აქტუალიზებით.** საყურადღებოა ის გარემოება, რომ 2016 წ. კვლევაში საქართველო პოსსაბჭოთა სივრცეში ერთ-ერთი მაღალი ტერორისტული სიხშირის ქვეყანად არის დასახელებული, თუმცა მასში არაფერია ნათქვამი ოკუპირებული ტერიტორიებსა და იქედან მომდინარე ტერორისტული საფრთეების შესახებ (HE INSTITUTE FOR ECONOMICS & PEACE, 2017, p. 104) საქართველოში განხორციელებული ტერორისტული აქტების სიხშირე სწორედ რომ ოკუპირებული და ჩრდილოეთი საზღვრის იქეთ მდებარე ტერიტორიებიდან მომდინარეობს (მასურაშვილი, 2008. გვ. 40).

ტერორისტული აქტების შედეგაც გარდაცვილ ადამიანთა რაოდენობის შემცირების ტენდენციით ხასიათდება მომდევნო 2017 წელიც (27 პროცენტი - წინა წელთან შედარებით) (THE INSTITUTE FOR ECONOMICS & PEACE, 2018, p. 2). შემცირებულია აგრეთვე ტერორისტული ინციდენტების რაოდენობაც (77-ე ადგილიდან 89-ე ადგილი) (THE INSTITUTE FOR ECONOMICS & PEACE, 2018, p. 8-9).

საქართველოს სპეცსამსახურების მიერ გატარებული კონტრტერორისტული ღონისძიებების შედეგად, 2007 – 2016 წლებში ბირთვული მასალების უკანონო გადაზიდვა - გაყიდვის წინააღმდეგ ბრძოლის ფარგლებში ამოღებული იქნა შემდეგი სახეობის რადიაქტიული ნივთიერებები:

,,2006-2007 წლები - მაღალგამდიდრებული ურანი - 110 გრამი და 17 გრამი - თბილისსა და ბათუმში (14 გრამი);

2006-2008 წელი - ,,ცეზიუმ-137“-ის შემცველი რადიაქტიური ნივთიერებები ბათუმსა და თბილისში;

2011 წელი - ,,ევროპიუმ-152"-ისა და "ირიდიუმ-192"-ის შემცველი რადიაქტიური ნივთიერებები, ქობულეთში;

2012 წელი - ცეზიუმ-135-ს შემცველი რადიაქტიური ნივთიერებები და გაუმდიდრებელი ურანი (საერთო წონით 1 კგ) თბილისსა და სამტრედიაში;

2013 წელი - სტრონციუმ-90"-ის შემცველი რადიაქტიური ნივთიერებები;

2014 წელი - ცეზიუმ-137-ს შემცველი რადიაქტიური ნივთიერებები - სადახლოში

2015 წელი ცეზიუმ 135"-ისა და "ცეზიუმ 137"-ის შემცველი რადიაქტიური ნივთიერებები-თბილისში;

2016 წელი - ცეზიუმ 137"-ის შემცველი რადიაქტიური ნივთიერებები და გაღარიბებული ურანისაგან დამზადებული კონტეინერი“, თბილისში (ფიცხელაური, ჟურნალისტური გამოძიება, 2019).

ე.ი. 2007-2016 წლებში საქართველოს სპეცსამსახურებმა საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში ეფექტურად იმუშავეს, რაც ნათლად ჩანს ზემოთ დასახელებული სტატისტიდან.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან ბირთვულის მასალებისა და იარაღის უკანონო ვაჭრობა-ტრანზიტი, ბირთვული და რადიაქტიური მასალების უკანონო გადაზიდვა - გაყიდვის მიზნით საქართველოს ტერიტორიის გამოყენების მცდელობები, საქართველოს მოქალაქეების სირიისა და ერაყის საბრძოლო კონფლიქტში მონაწილეობის ფაქტები, ისლამური სახელმწიფოს, ალქაიდასა და თალიბანის საქართველოთი დაინტერესება ქვეყნის წინაშე აჩენს ახალ ასიმეტრიულ საფრთხეს. საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების სავარაუდო ინტერესი - საქართველო გამოყენებული იქნეს ბირთვული და რადიაქტიური მასალების შეძენისა და ტრანზიტისათვის, მნიშვნელოვნად ზრდის ქვეყნის წინაშე ბირთვული ტერორიზმის ალბათობას. დასახელებული ფაქტორი დღის წესრიგში აყენებს საქართველოს კიდევ უფრო აქტიურ მონაწილობას საერთაშორისო

უსაფრთხოების კონტექსტში და ხაზს უსვემს სპეცსამსახურების შესაძლებლობების გაძლიერებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობას.

ამრიგად, საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში აქტიურად ხორციელდებოდა სახელმწიფო პოლიტიკური თანამდებობის პირებსა და სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტებზე ტერორისტული თავდასხმები. რუსეთ-ჩეჩნეთის ომმა, სირიისა და ერაყის მოვლენებმა კიდევ უფრო გააუარესეს რეგიონში არსებული კონტრტერორისტული გარემო, თუმცა საქართველოს ხელისუფლების შესაბამისმა სტრუქტურებმა თავიანთ საქმიანობაში არსებული სხვადასხვა ხასიათის ნაკლოვანებების მიუხედავად გარკვეულწილად შესძლეს ეფექტური ღონისძიებების გატარება. გაუმჯობესდა და დაიხვეწა კონტრტერორისტული ღონისძიებები. ქვეყნის ხელისუფლებამ ეფექტური მოქმედებების შედეგად შეძლო პრევენციული ხასიათის ღონისძიებების გატარება. ამას ადასტურებს ტერორიზმის რაოდენობრივი და თვისებრივი მახასიათებლების ზემოთწარმოდგენილი სტატისტიკა, რაც ასახულია კიდეც აშშ-სა და სხვა წამყვანი სახელმწიფოების ყოველწლიურ ანგარიშებში.

3.3 კონტრტერორისტულ პოლიტიკასთან დაკავშირებული მოსახლეობის განწყობის ძირითადი ფაქტორები აჭარაში

მოსახლეობაში არსებული განწყობების შესწავლა ტერორიზმთან ბრძოლის პოლიტიკის ფარგლებში თანამედროევეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანაა. მოსახლეობის განწყობის ცოდნა საშუალებას იძლევა გავაანალიზოთ ქვეყანაში განხორციელებული კონტრტერორისტული საქმიანობის ეფექტურობა. გამოვავლინოთ ტერორიზმთან ბრძოლაში ძირითადი მოწყვლადი ფაქტრობი, გამოვკვეთოთ სახელმწიფოს მხრიდან დამატებით გასატარებელი ღონისძიებების ძირითადი მიმართულებები. მოსახლეობის განწყობის ცოდნა მნიშვნელოვანი ფაქტორია აღნიშნული პრობლემის პროგნოზირებისა და რეკომენდაციების შემუშავებისათვის. ნაშრომის მიზანდასახულობიდან გამომდინარე ელექტრონული კითხვარის ფორმატით (ღია პასუხის ველით) ჩემს მიერ ჩატარდა შესაბამისი კვლევები. კვლევის ფარგლებში გამოიკითხა სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებში დასაქმებული საქართველოს 19 -

65 წწ. ასაკობრივი ჯგუფის 500 მოქალაქე. კვლევა ითვალისწინებდა პასუხის გაცემას შემდეგ კითხვებზე:

1. არის თუ არა საქართველო საშიში ქვეყნა:
2. არის თუ არა საქართველოში რადიკალიზაციის, ექსტრემიზმის ხელშემწყობი პირობები:
3. რა არის საქართველოს მოქალაქეების სირიასა და ერაყში არსებულ კონფლიქტში გამგზავრებისა და მონაწილეობის ძირითადი მიზეზები:
4. რა სახის ტერორისტული გამოწვევები არსებობს საქართველოს წინაშე
5. გაგაჩნიათ თუ არა რაიმე სახის ინფორმაცია (ტელევიზია, პრესა, ინტერნეტი) ტერორიზმის წინააღმდეგ საქართველოს ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებების ესახებ;
6. რამდენად ეფექტურია საქართველოს ხელისუფლების კონტრ-ტერორისტული პოლიტიკა;
7. რა მაგალითებს დაგვისახელებთ მსოფლიოში ტერორისტული აქტების განხორციელების შესახებ;
8. რას უკავშირებთ მსოფლიოში ტერორისტული აქტების ზრდის ტენდენციას.

გამოკითხულ რესპონდენტთა 90 პროცენტის აზრით საქართველო უსაფრთხო ქვეყანაა. საქართველო დაცულია ტეროსიტული საფრთხეებისგან, ხოლო საზოგადოებრივი უსაფრთხოების არსებული ხარისხი შეესაბამება იმ მაჩვენებელს რაც ევროპის ქვეყნებშია. მხოლოდ 10 პროცენტი მიიჩნევს ქვეყანას საფრთხის შემცველად. ბოლო 15 წლის განმავლობაში საქართველოში განხორციელებული ეკონომიკური, სამართლებრივი, ინსტიტუციონალური რეფორმების შედეგად ქვეყანაში შესაძლებელი გახდა კრიმინალთან და კორუფციასთან ბრძოლის სფეროში მნიშვნელოვანი წარმატებების მიღწევა. საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შედეგად დასჯად ქმედებად ჩაითვალა ე.წ. კანონიერი ქურდობა, ქურდულ გარჩევებში მონაწილეობა, მათი საქმიანობის ხელშეწყობა. პარალელურად სამართალდაცვით თუ უსაფრთხოების სექტორში განხორციელდა სისტემური რეფორმების მთელი ტალღა, რის ფარგლებშიც ძალოვანი უწყებები დატოვეს 1991-2003 წლებში დასაქმებულთა დიდმა

რაოდენობამ. ისინი ჩაანაცვლა შედარებით გამოუცდელმა, მაგრამ მოტივირებულმა ახალგაზრდების მნიშვნელოვანმა ნაწილმა. გაიზარდა ძალოვანი უწყებების დაფინანსება, მატერიალური და ტექნიკური ბაზა. სახელმწიფოს მიერ მეთოდურად განხორციელებული რეფორმების შედეგად შესაძლებელი გახდა ქვეყანაში კრიმინალისა და კორუფციის დაძლევა, ხელი შეეწყო დემოკრატიული რეფორმების გატარებას. ყოველივე ამან მნიშვნელოვანწილად განაპირობა მოსახლეობაში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განცდის გაძლიერება (რობერტსონი, პომერანცევი, რატკოვიჩი, აპელბაუმი, 2014, გვ. 7-11, ასევე, მსოფლიო ბანკი, 2020, გვ. 13-15), გამოკითხულ რესპონდენთა 10 პროცენტი ამას ქვეყნის წინაშე არსებული სოციალური-ეკონომიკური და სამხედრო საფრთხეებით ხსნის.

საქართველოსათვის მნიშვნელოვან პრიორიტეტად რჩება სიღარიბესთან ბრძოლა და ქვეყნის ტერიტორიების დეოკუპაცია. შესაბამისად, ქვეყანაში არსებული სოციალური და ეკონომიკური პრობლემები შესაძლებელია საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯადი ცალკეული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებების სიხშირის ალბათობის განმსაზღვრელი ფაქტორი იყოს.

სამხედრო საფთხეებიდან მნიშვნელოვანია ოკუპირებული ტერიტორიები, იქ განთავსებული რუსული სამხედრო შენაერთები, კავკასიის რეგიონში არსებული გაყინული კონფლიქტები, კონფლიქტების განახლების შემთვევაში საქართველოს წინაშე მდგარი ეკონომიკური, სამხედრო თუ ტერორისტული გამოწვევები. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომმა ცხადყო, რომ შესაძლოა რუსეთის მხრიდან კვლავ განმეორდეს სამხედრო აგრესია ან გარკვეული პროცესების ინსპირირება, რაც მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის საქართველოს, როგორც უსაფრთხო ქვეყნის პერსპექტივას. დასახელებული გარემოება, ჩემი აზრით, ერთ-ერთია იმ ფაქტორებს შორის, ის გამოც გამოკითხულთა 10 პროცენტი საქართველოს არ მიიჩნევს უსაფრთხო ქვეყნად. დასახელებული ფაქტორები მოსახლეობის მსგავსი გამწყობის განმაპირობებლად მიჩნეულია ცალკეულ სამეცნიერო პუბლიკაციებშიც (Warsaw Institute Foundation , 2020, European Initiative, 2016, p. 66-79).

ზემოთ დასახელებული კითხვების შესაბამისად, ჩვენი ინტერესების სფერო მოიცავდა **საქართველოში რადიკალიზაციის, ექსტრემიზმის ხელშემწყობი პირობების შესახებ საქართველოს მოქალაქეების განწყობის დამოკიდებულების შესწავლასაც.** აღმოჩნდა, რომ 56,2 პროცენტის აზრით ქვეყანაში არსებობს რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის ხელშემწყოფი პირობები, ხოლო 43,8 პროცენტი ამას უკავშირებს საბჭოთა კავშირის რღვევისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყნის წინაშე წარმოშობილ სხვადასხვა პრობლემასთან, ჩვენი ვარაუდით ეს პრობლემები შეიძლება ყოფილიყო: 1991-1992 წლების სამოქალაქო ომი, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის მოვლენები, პანკისის ხეობაში განვითარებული პროცესები, 2008 წლის აგვისტოს ომი და რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიების 20 პროცენტის ოკუპაცია, რუსეთ-ჩენნეთის ომის მსვლელობისას და შემდგომ პერიოდში ჩრდილოეთ კავკასიასა და საქართველოში, საკუთრივ პანკისის ხეობაში სალაფიტური ისლამის იდეოლოგიის გავლენის ზრდა და ა. შ. სოციალურ-ეკონომიკურმა პრობლემებმა თავდაპირველად ხელი შეუწყო ქვეყანაში კორუფციისა და კრიმინალის ზრდას, ხოლო შემდგომში საქართველოს მოქალაქეების სირიაში გამგზავრების ერთ-ერთი ძირითადი სტიმულატორი გახდა. რთულმა ეკონომიკურმა პროცესებმა განაპირობა აგრეთვე უკანონო ფინანსური რესურსების შემოდინება, უცხო ქვეყნის/ორგანიზაციების ემისრების მომრავლება, რომლებიც ფინანსური რესურსების დახმარებით ახორციელებდნენ პანკისის ხეობასა და საქართელოს სხვა რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების გადაბირებას, სალაფიზმის გავრცელების ხელშეწყობას (ბურჭულაძე, გაზეთი ,,კვირის პალიტრა“, 2015, ასევე, ქველიაშვილი, ნეტგაზეთი, 2021).

ამდენად, რადიკალიზაციის ხელშემწყობ პირობად ერთის მხრივ გვევლინება სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები, მეორეს მხრივ კი უცხო სახელმწიფოთა თუ ორგანიზაციათა, ასევე ქვეყნის შიგნით არსებულ ცალკეულ ჯგუფთა მცდელობები, რათა ხელოვნულად შექმნან ილუზია საქართველოში რელიგიისა და გამოხატვის თავისუფლების შეზღუდული გარემოს შესახებ (ონლაინ ჟურნალი civil.ge, 2004; ონლაინ გაზეთი On.ge, 2021). ამავე დროს შესაძლოა გარკვეულმა ჯგუფებმა ხელოვნურად მოიშველიონ საქართველოს ისტორიის კონკრეტული მაგალითები ქართველის მხოლოდ

ქრისტიანობის იდენტიფიცირებასთან დაკავშირებით. მსგავსი ქმედებების ალბათობა შესაძლოა გახდეს რელიგიურ ნიადგაზე მოსახლეობაში უთანხმოების გაჩენის საფუძველი.

გამოკითხულ რესპონდენტთა ნაწილი (43,8%) ვერ ხედავს საქართველოში რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის ხელშემწყობ პირობებს. ვფიქრობთ, ასეთი დამოკიდებულება განპირობებული უნდა იყოს სახელმწიფოს მხრიდან დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების მცდელობებით, ეკონომიკის სტაბილური განვითარებისა და სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური რეფორმების მხარდაჭერით. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ ქვეყანაში მაინც არსებობს რადიკალიზაციის ხელშემწყობი ცალკეული მიზეზები (სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკური პოლარიზაცია, რეგიონში არსებული კონფლიქტები), რომელიც შესაძლოა გახდეს ცალკეულ პირთა კანონსაწინააღდეგო ქმედებებში ჩართვის საფუძველი. საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ 2019 წლის 27 მარტს პარლამენტისადმი გაგზავნილ ანგარიშში აღნიშნულია, რომ საქართველოში არსებობენ ცალკეულ რადიკალ პირთა ჯგუფი, ასევე კონკრეტული პირები, რომლებიც მხარს უჭერენ ისლამურ სახელმწიფოს და ,,ისლამური სახელმწიფოს“ მხრიდან დავალების შემთხვევაში, არაა გამორიცხული მათ მიერ მიღებული დავალების აღსრულება. ანგარიშიდან ჩანს ასევე, რომ ამ ეტაპისათვის დასახელებული ჯგუფებისა და პირების ინტერესში არ შედის სახელმწიფოსთან დაპირისპირება (საქართველოს სუს ანგარიში 2018, გვ. 11).

რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის ხელშემწყოფ გარემოებად საქართველოში ასევე უცხო ქვეყნების სპეცსამსახურების საქმიანობა წარმოადგენს. საქართველოს სპეცსამახურების მიერ დადგინდა უცხო ქვეყნის სპეცსამსახურების ერთ-ერთი უმთვარესი ამოცანა - რელიგიური და ეთნიკური შუღლის ინსპირირება (იხილეთ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის 2018 წლის ანგარიში, გვ.14). ზემოაღნიშული პროცესები, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური ვითარებისა და მიზნების თანმდევია. იგი რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის მნიშნველოვანი ხელშემწყობი ფაქტორია.

საიდუმლო არაა, რომ საქართველოს მოქალაქეთა გარკვეული ნაწილი მონაწილეობდა სირიასა და ერაყში არსებულ კონფლიქტებში. ლოგიკურად გვაინტერესებდა მოსახლეობის აზრი კონფლიქტურ რეგიონებში აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეების გამგზავრების მიზეზების შესახებ. ნიშანდობლივია, რომ გამოკითხულთა 71,5 პროცენტი საქართველოს მოქალაქეების სირიასა და ერაყში გამგზავრებას უკავშირებს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, 19,2 პროცენტი კი რელიგიურ ფაქტორს. მხოლოდ 9,2% ასახელებს პოლიტიკურ მიზეზებს. ქვეყნის წინაშე არსებული სოციალური და ეკონომიკური გამოწვევები, უმუშევრობისა და ინფლაციის მაღალი დონე, ერთის მხრივ განაპირობებს საქართველოს მოქალაქეთა უცხო სახელმწიფოებში მიგრაციას, მეორეს მხრივ კი მნიშვნელოვანი ხელშემწყობი ფაქტორია ცალკეულ პირთა კანონსაწინააღდეგო ქმედებებში ჩართვის თვალსაზრისითაც. რესპოდენტთა შეფასება რელიგიური ფაქტორების შესახებ გვაფიქრებინებს, რომ ასეთი დამოკიდებულება დავუკავშიროთ კავკასიის რეგიონსა და ზოგადად მსოფლიოში რადიკალური და პოლიტიკური ისლამის იდეოლოგიის მომძლავრებას. გასათვალისწინებელია ცალკეულ ქვეყანათა, ორგანიზაციათა და ადამიანთა ჯგუფების ინტერესები - ხელოვნურად შექმნან საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა კონფესიური ჯგუფის წარმომადგენლებს შორის დაპირისპირების გარემო და იგი შეფუთონ რელიგიურ სამოსელში, რათა მოახდინონ ზეგავლენა ხელისუფლებაზე და გაატარონ თავიანთი პოლიტიკური თუ გეოპოლიტიკური ინტერესები (Jödicke, 2018, p. 8-22).

გამოკითხულთა 9,2 პროცენტი აღნიშნულ პრობლემას უკავშირებს პოლიტიკურ პროცესებს. ასეთი განწყობა ჩემის აზრით დაკავშირებული უნდა იყოს საქართველოში არსებულ პოლიტიკურ სიტუაციასა და ქვეყნის წინაშე არსებულ გამოწვევებთან, აგრეთვე რეგიონში არსებულ პოლიტიკურ გარემოსთან, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს ქვეყანაში რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის ხელშემწყობი ფაქტორების შექმნას.

საქართველო ამჟამად უამრავი გამოწვევის წინაშეა. შესაბამისად საინტერესოა მოსახლეობის მოსაზრებები იმის შესახებ, თუ **რა სახის ტერორისტული გამოწვევები შეიძლება არსებობდეს საქართველოს წინაშე?** გამოკითხულთა 40,8 პროცენტის აზრით ამ გამოწვევებს შორის ერთ-ერთი პირველი ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე

ტერორისტული საფრთხეებია. გამოკითხულთა ნაწილი (42,3%) რუსეთის ფედერაციის მხრიდან მომდინარე ტერორისტულ საფრთხეებზე ამახვილებს ყურადღებას, ნაწილი - (29,2%) ისლამურ ტერორიზმს ასახელებს, ნაწილი კი (30%) საერთაშორისო ტერორიზმს. კავკასიის რეგიონში გაყინული კონფლიქტებიდან სავარაუდო ტერორისტულ საფრთხეებს გამოკითხულთა 30% ასახელებს (აღნიშნული კითხვის ფარგლებში რესპოდენტს შეეძლო შეერჩია ერთი, რამდენიმე ან ყველა სავარაუდო პასუხი).

რესპონდენტთა მიერ ქვეყნის წინაშე ტერორისტულ გამოწვევად ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე საფრთხეების (40,8 პროცენტი) მიჩნევა ჩემი აზრით განპირობებულია შემდეგი ფაქტორებით:

ა) ისტორიული პროცესებისა და საერთაშორისო კონფლიქტების გამოცდილება გვაჩვენებს, რომ სახელმწიფოთა მხრიდან ტერიტორიის ოკუპაცია ემსახურება ობიექტ სახელმწიფოში ბუფერული ტერიტორიის შექმნის ამოცანებს. იგი ბუფერული ტერიტორიის შემქმნელ სახელმწიფოს (რუსეთს) კონფლიქტის განახლების შემთხვევაში სათანადო მომზადებისთვის მნშვნელოვან დროს აძლევს, მეორეს მხრივ, ობიექტ ქვეყანაში იგი აქტიურად გამოიყენება ჯაშუშური, საბოტაჟის, დივერსიული, ტერორისტული საქმიანობის დასაგეგმად და განსახორციელებლად;

ბ. რუსეთის ფედერაციას ეძლევა ოკუპირებული ტერიტორიების ტერორისტული საქმიანობისათვის გამოყენების შესაძლებლობა, რათა მოახდინოს ზემოქმედება საქართველოს ხელისუფლებაზე;

გ. ცხინვალის დე-ფაქტო რეჟიმისა და რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიებზე საქართველოს მოქალაქეების სისტემატიური, გატაცება, წამება და მკვლელობა (არჩილ ტატუნაშვილი, გიგა ოთხოზორია, დავით ბაშარული და სხვ.) (საქართველოს სუს ანგარიში, 2017, გვ. 4-7).

რუსეთიდან მომდინარე ტერორისტული საფრთხეები საქართველოს უმნიშვნელოვანეს გამოწვევად მიგვაჩნია. ამას ადასტურებს ჩვენი გამოკითხვის შედეგებიც. გამოკითხულთა 42,3 პროცენტს სწორედ აღნიშნული ფაქტორი მიაჩნია უპირველეს გამოწვევად. ჩემი აზრით, ეს განწყობა განპირობებულია შემდეგ ფაქტორების ერთობლიობით, კერძოდ: ა) აფხაზეთისა და ცხინვალის მოვლენებში რუსეთის

მონაწილეობით; ბ. საქართველოს წინააღმდეგ დაგეგმილი და განხორციელებული ტერაქტებით. მათ შორის: 1. საქართველოს პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძეზე განხორციელებულ ტერაქტში რუსეთის სავარაუდო კავშირით; 2. გორში განხორციელებულ ტერაქტში რუსეთის მონაწილეობით; 3. საქართველოს ჩრდილოეთი საზღვრის გასწვრივ არსებულ სტრატეგიულ ობიექტებზე 2006 წ. განხორციელებული დივერსიული აქტების მოწყობით; 4. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომით; 5. საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიებიდან ოკუპირებულ რეგიონებში საქართველოს მოქალაქეების სისტემატიური გატაცებით, წამებითა და მკვლელობებით და სხვა ფაქტორებით.

გამოკითხულთა ნაწილი (29,2%) მთავარ ტერორისტულ საფრთხედ ისლამურ ტერორიზმს მიიჩნევს. ვვარაუდობთ, რომ ასეთი განწყობა საქართველოსა და მსოფლიოში რადიკალური ისლამური იდეოლოგიის გავლენის ზრდას, ისლამური სახელმწიფოს საბრძოლო ოპერაციებში პანკისის ხეობისა და აჭარის რეგიონის მუსლიმი მოსახლეობის მცირე ჯგუფების მონაწილეობას და ზოგადად რადიკალური ისლამის მზარდ გავრცელებას უკავშირდება. ასეთი განწყობა უნდა აიხსნას აგრეთვე საქართველოს ქრისტიანული აღმსარებლობის მოსახლეობის გარკვეულ ნაწილის კრიტიკული დამოკიდებულებით საქართველოში არსებულ მუსლიმურ თემთან მიმართებაში. იგი შესაძლოა დაკავშირებული იყოს მუსლიმი თემის მიერ გაჟღერებული მოთხოვნების მიუღებლობაში, საქართველოს მუსლიმი აღმსარებლობის მოქალაქეების მცირე ნაწილის ისლამური სახელმწიფოსა და სხვა ტერორისტული ორგანიზაციის რიგებში გაწევრიანებით, ცალკეულ პირთა თუ ორგანიზაციათა მცდელობებით ხელი შუეწყონ რელიგიურ და ეთნიკურ ნიადაგზე კონფლიქტის ინსპირირებას, ასევე სხვა მიზეზებით.

ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფაქტორად განიხილება საერთაშორისო ტერორიზმის გააქტიურება. გამოკითხულ რესპონდენტთა 30% მთავარ ტერორისტულ გამოწვევად სწორედ საერთაშორისო ტერორიზმს მიიჩნევს, რაც ჩემი აზრით განპირობებულია შემდეგ ფაქტორთა ერთობლიობით: ჩეჩნური ნაციონალიზმის გლობალურ ჯიჰადიზმში გადასვლის ტენდენციით (რაც გამოიხატა ჩეჩნეთში ვაჰაბიზმის გავრცელებით), უცხოელი ემისრების საქმიანობით, რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე

განხორციელებული ტერორისტული აქტებით, თავისუფლებისათვის მებრძოლი ორგანიზაციების გარკვეული ნაწილის საერთაშორისო ტერორისტულ ქსელში გაწევრიანებით, ასევე ცალკეული ისლამური აღმსარებლობის ქვეყანებისა და ორგანიზაციების შორსმიმავალი გეგმებით - კავკასიასა და მსოფლიოში პოლიტიკური და რადიკალური ისლამის გავრცელების შორსგამიზნული ამოცანებით, ისლამურ სახელმწიფოში საქართველოს მოქალაქეების მონაწილეობით, ალ-კაიდაის კავკასიით დაინტერესებით, ავღანეთის ISAF-სა და ,,Resolute Support Mission – RSM" სამშვიდობო მისიებში საქართველოს თავდაცვის ძალების მონაწილეობით. დასახელებული ფაქტორები გვავარაუდებინებს, რომ გარკვეული ძალები ისლამს და ზოგადად რელიგიას იყენებენ მათი სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარე შესაბამისი ამოცანების გადასაჭრელად და მას არაფერი აქვს სართო ისლამის ჭეშმარიტ რწმენასთან და აღმსარებლობასთან.

საქართველოს წინაშე არსებული ტერორისტული გამოწვევები შეიძლება უკავშირდებოდეს **კავკასიის რეგიონში არსებულ გაყინულ თუ მოქმედ კონფლიქტებს**. ამ ვერსიას ემხრობა გამოკითხულთა 30 პროცენტი. მოსახლეობის ასეთი დამოკიდებულება ჩრდილოეთ კავკასიაში არსებული მყიფე ვითარებას, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს, ასევე ყარაბაღის პრობლემებს უნდა უკავშირდებოდეს.

ამრიგად, საქართველოს წინაშე მეტნაკლებად არსებობს ზემოდდასახელებული ტერორისტული საფრთხეების ყველა სახეობა. ოკუპირებული ტერიტორიებიდან მომდინარე ტერორისტულ საფრთხეს წარმოადგენს ცხინვალის დეფაქტო ხელისუფლებისა და რუსეთის ფედერაციის სამხედრო ქვედანაყოფების არსებობა, მათი მხრიდან ადგილობრივი მოსახლეობის სადაზვერვო საქმიანობისათვის გამოყენების მცდელობა და შესაძლო ტერორისტული, დივერსიული აქტების მოწყობა - საქართველოს ხელისუფლებაზე ზეგავლენის მოსახდენად. იგი გულისხმობს ასევე რუსეთის მხიდან საქართველოს წინააღმდეგ სახელმწიფო ტერორიზმის განხორციელების შესაძლებლობას. საქართველოს წინაშე რელიგიური და საერთაშორისო ტერორიზმიდან მომდინარე საფრთხეები მნიშვნელოვნად არის დაკავშირებული ერთმანეთთან. იგი დაკავშირებულია აგრეთვე საერთაშორისო ტერორისტული ორგანიზაციების მიზნებთან

და მოქმედებებთან, რომელთა ინტერესების ობიექტს წარმოადგენს საქართველო და მთლიანად კავკასია. ეს განპირობებულია ერთის მხრივ რეგიონში პოლიტიკური ისლამის იდეოლოგიის გავრცელების ხელშეწყობით, ასევე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მზარდი მხარდაჭერით საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სტრუქტურებში გასაწევრიანებლად. საქართველო, როგორც ევროპისა და აშშ-ის მტკიცე მხარდამჭერი და პარტნიორი ქვეყანა (რომელიც ასევე აქტიურად მონაწილეობს სხვადასხვა სამშვიდობო მისიებში) წარმოადგენს ისლამური სახელმწიფოს, ალ-კაიდასა და თალიბანის ახლო სამიზნესა და დაკვირვების ობიექტს.

მნიშვნელოვან საფრთხეს შეიცავს კავკასიის რეგიონში არსებული გაყინული კონფლიქტებიც საქართველოს, აზერბაიჯანსა და თურქეთს, ასევე საქართველოსა და სომხეთს ერთმანეთთან აკავშირებთ საერთო სტრატეგიული გაზსადენები, ნავდობსადენები და სარკინიგზო მაგისტრალები. ყარაბაღის კონფლიქტის განახლებამ ჯერ სასაზღვრო თავუზის, ხოლო შემდგომ ყარაბაღის მეორე ომის სახით ნათლად აჩვენა, რომ შესაძლოა დაპირისპირებული მხარეების რადიკალურად განწყობილი ჯგუფების ცალკეულმა ნაწილმა სცადონ საქართველოში არსებულ სტრატეგიულ ობიექტებზე დივერსიული თუ ტერორისტული ხასიათის თავდასხმები (ბატიაშვილი, 2020), რისთვისაც შესაძლოა გამოყენებული იქნას როგორც დაპირისპირებული მხარეების სათანადოდ მომზადებული დივერსიული ჯგუფები, ასევე საქართველოში მცხოვრები სომეხი და აზერბაიჯანელი მოქალაქეები.

საქართველოს მოსახლეობას ყოველთვის არ გააჩნია სრულყოფილი ინფორმაცია ქვეყნის ხელისუფლების მიერ განხორციელებულ ანტიტერორისტული ღონისძიებების შესახებ. შესაბამისად, გვაინტერესებდა ამ თვალსაზრისით მოსახლეობის ინფორმირებულობის ხარისხი (ტელევიზია, ჟურნალ გაზეთები, ინტერნეტი, ხელისუფლების მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაცია და ა. შ. რესპოდენტთა 44,6 პროცენტს ,,სხვადასხვა წყაროების საშუალებით სმენიათ“ ხელისუფლების მიერ გატარებული კონტრტერორისტული ღონისძიებების შესახებ, ხოლო 55,4%-ს კი არავითარი ინფორმაცია არ აქვს. ჩვენს მიერ ჩატარებული გამოკითხვით გამოიკვეთა საქართველოში არსებული პრობლემები, კერძოდ, ხელისუფლებისა და სამოქალაქო

საზოგადოების არასათანადო მზაობა, მოსახლეობასთან სათანადო მუშაობისა და ტერორიზმთან დაკავშირებული პრაქტიული ინფორმაციის გეგმაზომიერად გავრცელების თაობაზე საერთო გეგმის არარსებობა, სამოქალაქო საზოგადოების, ტელევიზიების, არასათავრობო ორგანიზაციების ნაკლებად ჩართულობა, მოსახლეობაში ტერორიზმისა და კონტრტერორიზმის საქმიანობის ცნობადადობასთან - აღქმის თვალსაზრისით.

საქართველო ახალი დემოკრატიის ქვეყანაა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანა უამრავი პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. არ არსებობდა კონკრეტული მიმართულებების შესაბამისი გამოცდილება, რაც აისახა კიდეც მოსახლეობის განწყობაზე (ცნობისათვის, ფინეთის კონტრტერორისტული სტრატეგია ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში ითვალისწინებს სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორის ერთობლივ ჩართულობას ქვეყანაში რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის ფაქტორების შემცირების მიზნით, ასევე კონტრტერორიზმის სფეროში სამოქალაქო და კულტურული თვითშეგნების ამაღლებას, სკოლებში, უნივერსიტეტებსა და თვით თავისუფლების აღკვეთ დაწესებულებებშიც კი (იხილეთ ფინეთის კონტრტერორისტულის ტრატეგია, Ministry of interior Finland, Internal security | Ministry of the Interior publications, 26/28-27/29).

აქვე დავსძენთ, რომ ქართული მედიასივრცე მნიშვნელოვნად განიცდის ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების ანალიტიკური გადაცემების მომზადებისა და სათანადო გაშუქების სიმცირეს. ამიტომაცაა აუცილებელი სახელმწიფო ხელისუფლების მიერ კომპლექსური ღონისძიებების გეგმის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს სამოქალაქო საზოგადოების საზოგადოებრივ საქმიანობაში აქტიურ ჩართულობას, საქართველოს მოქალაქეებში ტერორიზმთან დაკავშირებული საკითხების გააზრებასა და აღქმას. არსებული კანონმდებლობის ფარგლებში მუნიციპალური და სახელმწიფო მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მოქალაქეთა ჩართულობა, საგანმანათლებლო, ეკონომიკური და სოციალური პროგრამების მხარდაჭერა ხელს შეუწყობს საქართველოში რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის პრევენციის შესაძლებლობას.

კვლევის ამოცანები მოითხოვდა გაგვერკვია მოსახლეობის დამოკიდებულება მნიშვნელოვანი საკითხისადმი - **რამდენად ეფექტურია საქართველოს ხელისუფლების მიერ ქვეყანაში გატარებული კონტრტერორისტული პოლიტიკა.** რესპოდენტთა 57,7% პროცენტმა საქართველოს ხელისუფლების მიერ გატარებული კონტრტერორისტული პოლიტიკა ნაკლებად ეფექტურად მიიჩნია, 17,7 პროცენტმა - არაეფექტურად. მხოლოდ 24,6 პროცენტმა შეაფასა დადებითად. კვლევის შედეგი დამაფიქრებელია ხელისუფლებისათვის. ლოგიკურია მოსახლეობის ასეთი განწყობაც. ქვეყანაში დაბალია სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის ხარისხი, მოსახლეობაში ტერორიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის ცნობადობა და გააზრება. საქართველოს მოქალაქეების სირიაში გამგზავრებამ გავლენა მოახდინა მოსახლეობის განწყობაზე, რაც აისახა კიდეც კვლევის მასალებში.

ქვეყნის ხელისუფლების ანტიტერორისტული საქმიანობა დადებითად რესპოდენტთა 24,6 პროცენტმა შეაფასა. ამ კატეგორიის რესპონდენტთა განწყობა ხელისუფლების მიერ საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, კონკრეტულად კონტრტერორიზმის სფეროში ცალკეული მიმართულებებით მიღწეულ წარმატებებს უნდა დაუკავშირდეს. მეთოდურად განხორციელებული ღონისძიებების შედეგად საქართველოში გამოვლინდა და შემცირდა რადიკალურ ისლამურ ჯგუფებთან კავშირში მყოფი პირები, ცალკეული ფინანსური ორგანიზაციები და საქართველოს წინააღმდეგ ტერორიზმის ხელშემწყობი სახელწმიფო/სახელმწიფოები.

კითხვაზე **„რა ფაქტები გსმენიათ მსოფლიოში ტერორისტული აქტების განხორციელების შესახებ და რით ხსნით მისი ზრდის ტენდენციას“, რესპოდენტთა პასუხები გადანაწილდა შემდეგნაირად:** გამოკითხულთა 66,2 პროცენტმა ნაწილობრივ იცის მსოფლიოში ტერორიზმის განხორციელების ფაქტების შესახებ; 30,7 პროცენტი ყურადღებით ადევნებენ თვალს მსოფლიოში ტერორისტული აქტების მიმდინარეობას, ხოლო 3,1 პროცენტს საერთოდ არ აქვს ინფორმაცია ტერორისტული აქტების შესახებ. ტერორისტული აქტების ზრდის მიზეზად კი გამოკითულთა 54,6 პროცენტმა დაასახელა მსოფლიოში მიმდინარე პოლიტიკური ფაქტორები, 10,8 პროცენტმა სოციალურ-

ეკონომიკური გარემოებანი, 21,5 პროცენტმა რელიგიური ფაქტორები, ხოლო 13,1 პროცენტმა ეთნო-სეპარატისტული მოძრაოებების გააქტიურება.

ამრიგად, ტერორიზმის საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მოსახლეობაში არსებული დამოკიდებულების შესწავლამ დაგვანახა პოლიტიკური, გეოპოლიტიკური და სოციალურ ეკონომიკური ფაქტორების როლი და მნიშვნელობა, გამოიკვეთა მოწყვალადი მიმართულებანი, ზემოთდასახელებულ პროცესებში სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ნაკლები ჩართულობა, საერთო გეგმის არ არსებობა, ტერორიზმთან დაკავშირებული საქმიანობის აღქმადობის დაბალი ხარისხი.

აღნიშნული ხარვეზების აღმოსაფხვრელად მიზანშეწონილად მიგვაჩნია შესაბამისი სტრუქტურების მიერ უმოკლეს დროში მოხდეს ქვეყნის შიგა და გარე პოლიტიკური და გეოპოლიტიკური პროცესების სათანადო შესწავლა, გამოვლინდეს საქართველოსა და კავკასიის რეგიონში რადიკალიზაციისა და ექსტრემიზმის ხელშემწყობი ფაქტორები, განხორციელდეს პრევენციული ღონისძიებები, გაუმჯობესდეს ეკონომიკური და სოციალური გარემო. ამასთან აუცილებელია სახელმწიფო და არასახელმწიფო სექტორის კოორდინირებული საქმიანობა ტერორიზმთან დაკავშირებული ინფორმაციის მოსახლეობაში გავრცელების მიზნით. უნდა დაიგეგმოს და განხორციელდეს ერთობლივი კონტრტერორისტული და რადიკალიზაციის პრევენციის ღონისძიებები საერთაშორისო თანამშრომლობის ფორმატში.

დასკვნა:

საკვალიფიკაციო ნაშრომში გაანალიზებულია საქართველოში არსებული რელიგიური და პოლიტიკური გარემო, არსებული გამოწვევები. კვლევის ფარგლებში შევეცადეთ გვეჩვენებინა საქართველოში მომხდარი ცალკეული რელიგიური და პოლიტიკური პროცესების ქრონოლოგია, მისი განხორციელების მიზეზები, წარმოგვეჩინა პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური გარემო, როგორც მოსახლეობის რადიკალიზაციის ხელშემწყობი გარემოება. კვლევის მიზანდასახულობიდან გამომდინარე გაანალიზებული იქნა საქართველოს მოქალაქეების გარკვეული ნაწილის, საექსპერტო ჯგუფის მოსაზრებები და შეხედულებები რეგიონში არსებულ პროცესებთან მიმართებით.

კვლევის შედეგად დადგინდა შემდეგი:

- ***რელიგია, როგორც პოლიტიკური ინტერესების გატარების ინსტრუმენტი გამოიყენებოდა წარსულში, აქტიურად გამოიყენება თანამედროვე პირობებშიც.*** ჯერ კიდევ ოსმალთა მმართველობის პერიოდში ხდებოდა ადგილობრივი დიდგვაროვნებისათვის სოციალური და ეკონომიკური სიკეთეების შეთავაზება ისლამის მიღების სანაცვლოდ. რელიგიის პოლიტიკური მიზნებით გამოყენების აქტიურ მცდელობას ჰქონდა ადგილი ცარიზმისა და საბჭოთა ხელისუფლების პირობებშიც. იგი რეგიონში მათი სტრატეგიული ინტერესების გატარების ერთ-ერთ ხელშეწმყობ ფაქტორად იყო მიჩნეული.
- ***საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში აჭარით დაინტერესებული ჰეგემონი და მეზობელი სახელმწიფოები აქტიურად გეგმავდნენ და ახერხებდნენ რელიგიური, პოლიტიკური და ეთნიკური კონფლიქტების ინსპირირებასა და მართვას. ამ მიზანს ემსახურებოდა აჭარლების ცალკე ეთნოსად მოხსენიება, რაც იმდროინდელი საქართველოს ხელისუფლებაზე ზეგავლენის განხორციელების ერთ-ერთი მეთოდი იყო.*** გამოიკვეთა დაინტერესებულ სახელმწიფოთა ინტერესების გადაკვეთის წერტილი, რომლის ერთ მხარეს წარმოადგენდა საბჭოთა რუსეთი - თავისი სატელიტი ქვეყნით სომხეთით და მეორე მხარეს თურქეთი - თავისი სატელიტი სახელმწიფოთი აზერბაიჯანით. რეგიონის მიმართ თავისი ინტერსები გააჩნდა ჯერ გერმანიას როგორც საქართველოს სტრატეგიულ მოკავშირეს, ხოლო

პირველ მსოფლიო ომში გერმანიის დამარცხების შედეგად რეგიონში მოხდა მისი ჩანაცვლება დიდი ბრიტანეთით. სწორედ გეოპოლიტიკური ინტერესების გადაკვეთა იყო ერთ-ერთი ძირითადი გარემოება, რაც ზრდიდა რეგიონში მადესტაბილიზირებელი ქმედებების განხორციელების შესაძლებლობას.

- აჭარაში მცხოვრებ ახალგაზრდათა მცირე ნაწილში შესაძლებელი გახდა ისლამური თემის რელიგიური ნიშნით დისკრიმინაციის, დომინანტურ რელიგიასთან მიმართებაში მუსლიმური თემის არათანაბარი მდგომარეობის შესახებ განწყობის ჩამოყალიბება, რადიკალური შეხედულებების გაღვივება, რისთვისაც მტრულად დაინტერესებული ძალები ეფექტურად იყენებდნენ ქვეყნის მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობას. ცხადია, ეს არ გამორიცხავს დისკრიმინაციის ცალკეული შემთხვევების არსებობასაც, თუმცა ეს არ უნდა იქნას გაგებული, როგორც გეგმაზომიერი, მიზანმიმართული პროცესი;
- პოლიტიკურ ცხოვრებაში მუსლიმური თემის მონაწილეობას მოსახლეობის გარკვეული ნაწილი მუსლიმთა უფლებების დაცვას უკავშირებს, ექსპერტთა შეფასებები კი ასეთ ნაბიჯს საფრთხის შემცველად მიიჩნევენ;
- ბათუმში ახალი მეჩეთის მშენებლობა და ხელისუფლების მიერ ამ თვალსაზრისით გადადგმული ნაბიჯები უარყოფითადაა აღქმული მუსლიმური და მართლმადიდებელი მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილში. გამოკითხულ მუსლიმ მოქალაქეთა ცალკეული ნაწილის შეფასებით აჭარაში ისლამის არსებობა უარყოფით დამოკიდებულებას იწვევს ქრისტიანულ მოსახლეობაში;
- მუსლიმური რელიგიური დაწესებულებების (სამლოცველოები, სასწავლებლები) სიმრავლეს და უცხო სახელმწიფოთა შესაძლო ინტერესებს ადგილობრივი მოსახლეობა უკავშირებს ა) ისტორიული გამოცდილებას ბ) მუსლიმების რაოდენობას გ) უცხო სახელმწიფოთა ფინანსურ ხელშეწყობას;
- ანტიტერორისტული ბრძოლის ეფექტურობისათვის აუცილებელია უცხო ქვეყნებისა და საქართველოს სპეცსამსახურებს შორის თანამშრომლობის გაძლიერება და ნდობის გაღრმავება. სპეცსამსახურებს შორის ურთიერთთანამშრომლობის შედარებით უფრო

დაბალი ხარისხი განპირობებულია ფარული ინფორმაციის გაზიარების სურვილის არქონით, ნდობის არასათანადო ხარისხით, ქვეყნების სტრატეგიულ ინტერესებით;

- გამოკვეთა კონტრტერორისტულ საქმიანობაში სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი მუშაობის საჭიროება და მოსახლეობის მიერ კონტრტერორიზმის პრობლემასტიკასთან დაკავშირებული საკითხების აღქმადობის დაბალი ხარისხი. ეფექტური კონტრტერორისტული საქმიანობისას მნიშვნელოვანია შესაბამისი სამსახურების მოსახლეობასთან სათანადო კომუნიკაცია, მოსახლეობის აღქმადობის ხელშეწყობი პროგრამების განვითარება, პროაქტიკული ინფორმაციის გავრცელება, სამოქალაქო, საზოგადოებრივი და არასამთავრობო სექტორის ჩართულობის აუცილებლობა;
- ტერორიზმთან ბრძოლის პოლიტიკაში არაა გათვალისწინებული სამოქალაქო განათლების, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ პროცესებში ახალგაზრდების ჩართულობისა და არასმთავარობო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის წამახალისებელი ღონისძიებანი. სამოქალაქო და სახელმწიფო ღონისძიებებს ცალკეულ შემთხვევებში არ აქვს ერთიანი გეგმის სახე და არ არის გათვლილი გრძელვადიან პერსპექტივაზე. იგი ერთიანი კონტრტერორისტული სტრატეგიის არ არსებობაზე მიუთითებს;
- გამოიკვეთა საქართველოს ტერიტორიაზე ტერორიზმის გადმოტანის საფრთხე, რაზეც მიუთითებს საქართველოს მოქალაქე ახალგაზრდების გარკვეული ნაწილის გადინება სირიისა და ერაყის საბრძოლო ოპერაციებში;
- გამოიკვეთა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების წინაშე არსებული მოწყვლადი ფაქტორები: ახალგაზრდებში არსებული რელიგიური მსოფლმხედველობისა და სწავლების დაბალი ხარისხი, სწავლის პროცესში ჩართული ფიზიკური თუ იურიდიული პირები და შესაბამისი სოციალური და პოლიტიკური გარემო;
- არალეგალურ რელიგიურ სასწავლებლებში არასისტემატიზირებულმა, უკონტროლო სწავლებამ, სწავლების პროცესში ჩართული არალიცენზირებული მასწავლებლების (ქართველი, უცხოელი) ჩართულობამ, ნათლად წარმოაჩნდა საქართველოს განათლებისა და უსაფრთხოების სიტემაში არსებული ხარვეზები, ქვეყნის ეროვნული

ინტერესების წინააღმდეგ მისი გამოყენების ალბათობა (ლიცენზირების შესახებ კანონში შეტანილი ცვლილებების მიუხედავად);

- სირიიდან განხორციელებულმა ვიდეო მიმართვებმა დაადასტურა ტერორისტების მიზანი - საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობიდან გამომდინარე ქვეყანაზე გავლენის მოპოვების მცდელობა, მათ შორის აჭარაში ვაჰაბიზმის გავრცელების ხელშეწყობა, ტერორისტული და ძალადობრივი მოქმედებების განხორციელებისათვის მზაობა;
- სირიის კონფლიქტის გამწვავებამ და რეგიონიდან ცალკეულ ადამიანთა ჯგუფების კონფლიქტის რეგიონში გადინებამ გააუარესა საქართველოსა და კავკასიაში არსებული კონტრტერორისტული გარემო, გამოიკვეთა ბირთვული მასალებით უკანონო ვაჭრობისა და საქართველოს ტრანზიტულ ქვეყნად გამოყენების შესაძლებლობა. აღნიშნული რისკების თავიდან ასაცილებლად საჭიროა საერთაშორისო კონტრტერორისტული თანამშრომლობის გაღრმავება, მატერიალური და ტექნიკური ბაზის შემდგომი გაძლიერება, ასევე ოკუპირებულ ტერიტორიებზე სპეცსამსახურების მუშაობის გააქტიურება. ქვეყნის ტერიტორიაზე რადიაქტიული, ბირთვული მასალის უკანანო გადატანის, ვაჭრობის არაერთი მცდელობის მაგალითებმა აჩვენა ამ მიმართულებით საქართველოს სპეცსამახურებისათვის შემდგომი ოპერატიული და ანალიტიკური საქმიანობის გაფართოვების აუცილებლობა;
- გამოიკვეთა საქართველოს წინააღმდეგ სახელმწიფო ტერორიზმის გამოყენების გეგმაზომიერი ხასიათი, რაც გამოიხატა 1992 წლის შემდეგ განხორციელებული ტერორისტული აქტებით (პოლიტიკური მმართველობაზე ზეგავლენის მოსახდენად). 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომმა და ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულმა ვითარებამ კვლავ დააყენა სახელმწიფო საქართველოს წინააღმდეგ ტერორიზმის გამოყენების მაღალი რისკები;
- გაძლიერდა საქართველოს ტერორიზმთან მებრძოლი სამსახურების შესაძლებლობები. ამერიკის შეერთებული შტატების ხელშეწყობით განხორციელდა *წრთვნისა და აღჭურვის პროგრამა, სახმელეთო და საზღვაო სასაზღვრო*

მიმართულებებზე სათანადო ინფრასტრუქტურის მოწყობა, სპეციალური ტექნიკის გადაცემა, სასაზღვრო კონტროლის გაძლიერება, ბირთვული, ქიმიური, რადიაციული და ბიოლოგიური მასალების აღმომჩენი შესაბამისი მოწყობილობების დამონტაჟება და სხვა ღონისძიებანი;

- კვლევის შედეგებმა შესაძლებელი გახადა პასუხი გაცემულიყო ძირითად საკვლევ კითხვებზე: *რა ფაქტორებმა განაპირობა საქართველოს სამხრეთ დასავლეთ რეგიონში - აჭარაში რადიკალური და პოლიტიკური ისლამის იდეოლოგიის შესაძლო ექსპორტი? რა შესაძლო ნაბიჯები უნდა იქნას გადადგმული რადიკალური რელიგიური იდეოლოგიის ექსპორტის შესაჩერებლად? ხელოვნურად ხომ არ ხორციელდება რელიგიური საკითხების გააქტიურება და ხომ არ შედის იგი გარე თუ შიდა ძალების სტრატეგიულ, პოლიტიკურ ინტერესებში?! რამდენად ადეკვატურად პასუხობს არსებულ გამოწვევებს საქართველოს კონტრტერორისტული პოლიტიკა; რა სავარაუდო გამოწვევების წინაშე შეიძლება დადგეს საქართველო?*

კვლევის შედეგებმა შესაძლებლობა მოგვცა დაგვედგინა საქართველოში, კერძოდ აჭარაში არსებული რელიგიური და პოლიტიკური განწყობები, რადიკალური და პოლიტიკური ისლამის იდეოლოგიის გავრცელების ხელშემწყობი გარემოებები, კონფლიქტის სავარაუდო ინსპირირების განმსაზღვრელი **შესაძლო გეოპოლიტიკური, რეგიონალური, რელიგიური, ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები, კერძოდ:**

1. **გეოპოლიტიკური ფაქტორები:**

1.1. სამხრეთ კავკასიისადმი გეოპოლიტიკური მოთამაშეების გაზრდილი ინტერესი;

1.2. რუსეთის ფედერაციის მცდელობა - საქართველოში არასტაბილური ვითარების შექმნის, საერთაშორისო არენაზე ქვეყნის იმიჯის დაზიანებისა და რეგიონზე კონტროლის მოპოვება- შენარჩუნების მიზნით;

1.3. სამხრეთ კავკასიაში არსებული კონფლიქტები;

1.4. ცალკეული ორგანიზაციების მცდელობა - რელიგიური იდეოლოგიის ექსპორტით გააფართოონ პოლიტიკური და ეკონომიკური გავლენები;

2. **რეგიონალური ფაქტორები:**

2.1 საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ განვითარებული პროცესები (იდეოლოგიური ვაკუუმი, ეთნიკური კონფლიქტები, ეკონომიკური კრიზისი და სხვა);

2.1. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების რუსეთის პოლიტიკურ ორბიტაზე დარჩენის საკითხი და ამ მიზნით კავკასიასა და საქართველოში ეთნიკური, რელიგიური კონფლიქტების ინსპირირება და მისი შემდგომი მართვა.

3. **რელიგიური ფაქტორები:**

3.1. კავკასიის რეგიონით ცალკეული მუსლიმური ქვეყნებისა და ორგანიზაციების დაინტერესება;

3.2. რუსეთ-ჩეჩნეთის ომების შედეგად ჩრდილოეთ კავკასიასა და რეგიონში ვაჰაბიზმის მზარდი გავრცელება;

3.3. საქართველოს ცალკეულ რეგიონებში მუსლიმი ემისრების სისტემატური გამოგზავნა მათი სტრატეგიული ამოცანების განსახორციელებლად;

3.4. საქართველოში რადიკალური რელიგიური იდეოლოგიის ექსპორტის მცდელობა;

3.5. რეგიონში ვაჰაბიზმის გავრცელების ახალი ტალღის გაჩენა, რაც დაკავშირებულია სირიასა და ერაყში არსებულ კონფლიქტებთან;

3.6. სირიისა და ერაყის კონფლიქტში საქართველოს მუსლიმი მოქალაქეების მცირე ჯგუფის გადინება და ზოგიერთი მათგანის ისლამური სახელმწიფოს მაღალ იერარქიულ თანამდებობებზე დანიშვნა.

4. **ეკონომიკური და სოციალური ფაქტორები:**

4.1. საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი და კრიმინოგენული სიტუაციის გაუარესება;

4.2. აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების შედეგად გაუარესებული ეკონომიკური და სოციალური ვითარება;

4.3. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომი, საქართველოს ტერიტორიების 20% ანექსია, რუსეთის მიერ დაწესებული ემბარგო, გაუარესებული საინვესტიციო და ბიზნეს გარემო.

კვლევის შედეგად აგრეთვე დადგინდა შემდეგი:

- ცალკეული სახელმწიფოების/ორგანიზაციების/პირების დაინტერესების მიუხედავად რეგიონში არ არსებობს რელიგიური ფუნდამენტალიზმისა და ექსტრემიზმის რეალური საფრთხე;
- გამოკითხულ მუსლიმთა ნაწილი სახელმწიფოსთან შედარებით უპირატესობას რელიგიას ანიჭებს (მსგავსი განწყობები შესაძლოა ქრისტიანულ და სხვა რელიგიური აღმსარებლობის თემებშიც გხვდებოდეს);
- გამოიკვეთა ახალგაზრდების გარკვეული ნაწილის უკმაყოფილება ცალკეული პირებისა თუ ჯგუფების მხრიდან ისლამის პოლიტიზირების გამო;
- სახეზეა ერთის მხრივ ქრისტიანებისადმი მუსლიმური თემის მცირე ნაწილის უარყოფითი დამოკიდებულება, მეორეს მხრივ, ქრისტიანთა გარკვეული ნაწილისათვის განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის მიუღებლობა;
- რელიგიური განსხვავებულობის მიკერძოებულ ჭრილში წარმოჩენა, ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები, ცალკეულ არასამთავრობო, უფლებადამცველი ორგანიზაციების საქმიანობა ქმნის ეთნიკურ ქართველებს შორის რელიგიურ ნიადაგზე ერთმანეთთან გაუცხოების შესაძლებლობას. იგი რეგიონში ახალისებს პოლიტიკური და რელიგიური პროცესების ხელოვნურად ისნპირირებისა და მართვის ალბათობას;
- ვერ მოხერხდა საბჭოთა სისტემის დემონტაჟის შემდეგ გაჩენილი ეკონომიკური, იდეოლოგიური, კულტურული ვაკუუმის შევსება, რასაც დაემატა რუსეთის ფედერაციის დესტრუქციული ქმედებები და საქართველოს ხელისუფლების მიერ დაშვებული შეცდომები. სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო ქვეყანაში უცხოელი ემისრებისა და ორგანიზაციების საქმიანობაზე კონტროლის დაწესება და მათი საქმიანობის შეჩერება, ვერ აღკვეთა უკანონო ფინანსური რესურსების შემოდინება და რელიგიური იდეოლოგიის ექსპორტი. შესაბამისად, მომრავლდა არარეგისტრირებული ისლამური საკულტო და სასწავლო დაწესებულებები (რომლებიც სულ ახლახან დაექვემდებარა ლიცენზირებას) მუსლიმური თემმის მიერ კატეგორიულად დადგა ბათუმში ახალი მეჩეთის საკითხი;

- მიუხედავად იმისა, რომ მეჩეთის მშენებლობის მიზნით შექმნილმა საინიციატივო ჯგუფმა ღიად დააფიქსირა მეჩეთის სავარაუდო დამფინანსებლების ვინაობა, კვლავაც ბუნდოვნად რჩება მეჩეთის მშენებლობის შესაძლო რეალური დამფინანსებელი, რომლებიც ბოლომდე აიღებენ სრულ პასუხისმგებლობას მეჩეთის მშენებლობის შესახებ. მეჩეთის მშენებლობაში უცხო სახელმწიფოთა და ორგანიზაციათა ფინანსური რესურსის გამოყენებაზე უარის შემთხვევაში, ყურადღება უნდა გამახვილდეს საქართველოს იმ მოქალაქეების ფინანსურ რესურსებზე, რომლებმაც შეიძლება დააფინანსონ ბათუმში მეჩეთის მშენებლობა.
- გამოიკვეთა რელიგიური კონფლიქტის ინსპირირების შესაძლებლობა, რაც დაადასტურა გამოკითხვის შედეგებმა და ექსპერტთა შეფასებებმა;
- უცხოეთის ქვეყნებში ახალგაზრდების გადინება, გარკვეულ ჯგუფებში რადიკალური შეხედულებების გაღვივება, სირიისა და ერაყის საომარ კონფლიქტში მათი გამგზავრება სხვა ფაქტორებთან ერთად მძიმე სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობითაცაა განპირობებული. ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სახელმწიფოები სისტემატიურად ახორციელებენ მათ ქვეყანაში სასწავლებლად თუ სხვა მიზნებით ჩასული უცხო ქვეყნის მოქალაქეების შესწავლასა და კონტროლს. რა თქმა უნდა, ამ თვალსაზრისით უცხო ქვეყნების შესაბამისი სამსახურების დაკვირვებას ასევე დაექვემდებარებიან მათ ქვეყანაში სხვადასხვა მიზნით საქართველოდან ჩასული მოქალაქეების მნიშვნელოვანი ნაწილიც;

კვლევის შედეგად პასუხი გაეცა კითხვას - **რამდენად ადეკვატურად პასუხობს არსებულ გამოწვევებს საქართველოს კონტრტერორისტული პოლიტიკა.**

საქართველოს კონცეპტუალურ დოკუმენტებში მეტწილად ხაზგასმულია ქვეყნის წინაშე მდგარი უსაფრთხოების, მათ შორის ტერორისტული გამოწვები. ყურადღება გამახმვილებულია საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებაზე. საერთაშორისო თანამშრომლობა სხვადასხვა ქვეყნის სპეცსამსახურებს გაუადვილებს საქმიანობას ტერორიზმისა და რადიკალიზაციის პრევენციის თვალსაზრისით. ამ მიმართულებით აღსანიშნავია საქართველოს სპეცსამსახურების აქტიური თანამშორმლობა აშშ-სა და ევროკავშირის წევრი, ასევე მეზობელი ქვეყნების შესაბამის სამსახურებთან. ორმხრივი

თანამშრომლობის ფარგლებში ხდება ინფორმაციის გაზიარება მასობრივი განადგურების იარაღის, მისი კომპონენტების უკანონო ვაჭრობა-ტრანზიტის, ტერორიზმთან კავშირში მყოფი პირების (მაგ. ქართული სპეცსამსახურების ინფორმაციის საფუძველზე აზერბაიჯანში მოქალაქის დაკავება) და სხვა საკითხების შესახებ. აღნიშნული თანამშრომლობის შედეგია აგრეთვე სასაზღვრო სექტორის გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამა და ა.შ.

მნიშვნელოვანი მონაპოვარია საქართველოს კონტრტერორისტული სტრატეგია. იგი წარმოადგენს სახელმწიფოს ძირითად ხედვას ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში. საერთაშორისო კონტრტერორისტული ანგარიშებში ნათლად ჩანს საქართველოს წარმატებები ტერორიზმთან ბრძოლის საქმეში, თუმცა სტრატეგიული გეგმა, როგორც კონტრტერორისტული ხედვის შემადგენელი ნაწილი არ იძლევა გრძელვადიან პერსპექტივაში მიღწევადი პროგრამის რეალიზაციის, ტერორიზმის, რადიკალიზაციის, ექსტრემიზმის შემცირების და პრევენციის შესაძლებლობას.

კვლევის შედეგებით გამოვლინდა საქართველოს ხელისუფლების კონტრტერორისტული პოლიტიკის შემდეგი ნაკლოვანებები:

1. არ არსებობს რელიგიური ფუნდამენტალიზმის გავრცელების შემზღუდავი და პრევენციული ხასიათის სახელმწიფო სტრატეგია, რომელშიც ასევე განსაზღვრული იქნება რელიგიური კონფესიების როლი ტერორიზმთან, რადიკალიზაციასთან, ექსტრემიზმთან ბრძოლის საქმეში;
2. საქართველოს კონტრტერორისტული პოლიტიკისათვის მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საქართველოს ეთნიკურად არაქართველი მოქალაქეების საზოგადოებათან ინტეგრაციის დაბალი ხარისხი. ქვეყანაში ჯერ კიდევ არაა უზრუნველყოფილი ქართულის, როგორც სახელმწიფო ენის მთელ ტერიტორიაზე ფუნქციონირების საკითხი, ***არ არსებობს სასაზღვრო რეგიონებში მზარდი ნაციონალისტური იდეოლოგიის პრევენციის ერთიანი სტრატეგია.***
3. არ არის ნათლად გამოკვეთილი უცხოეთიდან ფინანსური რესურსების შემოდინების კონტროლის და აღკვეთის მექანიზმები;

4. არ არსებობს სახელმწიფოს ერთიანი სტრატეგია, რომელიც უზრუნველყოფს საზოგადოებრივი და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაძლიერებას ტერორიზმის, რადიკალიზაციის, ექსტრემიზმის პრევენციის საქმეში;
5. დაბალია სახელმწიფოს ძალოვანი უწყებებისადმი (შსს, სსუს) მოსახლეობის გარკვეული ნაწილის ნდობა, რაც გამოწვეულია სახელმწიფო უწყებებსა და მოსახლეობას შორის კომუნიკაციის არასათანადო ხარისხით;
6. გამოვლინდა როგორც საკანონმდებლო სივრცეში არსებული ხარვეზები, ასევე კანონის აღსრულებადობის პრობლემებთან დაკავშირებული საკითხები. სახელმწიფოს განსაკუთრებული რეგულირების სფეროს უნდა წარმოადგენდეს ქვეყანაში რელიგიური თუ საერო სასწავლებლების, ფონდების გახსნისა და საქმიანობის ნაწილი. დაუშვებელია სახელმწიფოს გვერდის ავლით ნებისმიერი საგანმანათლებლო თუ ფინანსური საქმიანობა.

პრობლემაზე მუშაობამ შესაძლებლობა მოგვცა პასუხი გაგვეცა კითხვაზე: რა სავარაუდო ტერორისტული გამოწვევების წინაშე შეიძლება დადგეს საქართველო? კვლევით დადგინდა შემდეგი სახის ტერორისტული გამოწვევები:

1. **ჯიჰადისტური ტერორიზმი** - კავკასიის რეგიონსა და საქართველოში ვაჰაბიზმის იდეოლოგიის გავრცელება ხელს უწყობს მოსახლეობის ცალკეული ნაწილის რადიკალიზებას და ექსტრემიზმის ელემენტების გაჩენას. ამ კუთხით საყურადღებოა ქვეყანაში მოქმედი ცალკეული მუსლიმური საგანმანათებლო და ფინანსური ორგანიზაციების როლი. მათი ნაწილი უშუალოდაა ჩართული საქართველოს წინააღმდეგ დამაზიანებელ მოქმედებებში. ამისი ნათელი მაგალითია მუსლიმური სასწავლებლების კურსდამთავრებულთა გარკვეული ნაწილის ისლამური სახელმწიფოს დროშის ქვეშ გაერთიანების კონკრეტული შემთხვევები;
2. **საერთაშორისო ტერორიზმი** - ისლამური სახელმწიფოს გააქტიურების შემდეგ სირიაში საქართველოს ათეულობით მოქალაქე გაემგზავრა. ამავდროულად გაცხადდა ისლამური სახელმწიფოს სურვილი - აჭარის ტეროტორიაზე შექმნილიყო ისლამური სახელმწიფო. აჰმედ ჩატაევისა და მისი ჯგუფის საქართველოში შემოსვლამ დაადასტურა ისლამური სახელმწიფოს მიზანი - საქართველო გამოყენებულიყო

სატრანზიტო, გამოზამთრებისა და ტერორისტული აქტების დაგეგმვა-განხორციელების პლაცდარმად. გასათვალისწინებელია **„ალ-კაიდას“** დაინტერესება აშშ-ს მოკავშირე საქართველოთი და მისი ინტერესები ჩრდილოეთ კავკასიისადმი;

3. **ჩრდილოეთ-კავკასიაში არსებული მყიფე სიტუაცია** - სიტუაციის ეკსალაციის შემთვევაში სავარაუდოა დაძაბულობის კერების ან/და ტერორისტული აქტების გადმოტანა საქართველოს ტერიტორიაზე, განსაკუთრებით რუსეთის სასაზღვრო მონაკვეთებზე;
4. **საქართველოს ტერიტორიის გამოყენების შესაძლებლობა** ბირთვული და რადიაქტიური ნივთიერებების საერთაშორისო გადაზიდვისა და ვაჭრობისათვის ტერორისტული მიზნებით.

ზემოთდასახელებული საკითხზე მუშაობამ შესაძლებლობა მოგვცა პასუხი გაგვეცა კითხვაზე - *ხელოვნურად ხომ არ ხორციელდება რელიგიური საკითხების გააქტიურება და ხომ არ შედის იგი გარე თუ შიდა ძალების სტრატეგიულ, პოლიტიკურ ინტერესებში?!*

ჩემს მიერ ზემოთ დასახელებული ტერორისტული საფრთხეების მიუხედავად მიზანშეუწონელია აჭარაში ფუნდამენტალიზმის საფრთხის შესახებ საუბარი. ამ საკითხზე აქცენტირება გარე ძალების საქმიანობის შედეგია. დაინტერესებული ქვეყნების სპეცსამსახურების ხელში რელიგიის გამოყენება საქართველოს წინააღმდეგ წარმართული ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. რელიგიური საკითხების ხელოვნული სტიმულირებით ცდილობენ ფუნდამენტალური რადიკალურ-ნაციონალური შეხედულებების გაღვივებას მართლმადიდებლურ მოსახლეობაში. გამორიცხული არაა აჭარაში პროვოკაციის მოწყობის შესაძლებლობაც. ამის მაგალითია 2017 წლის 10-11 მარტის ქ. ბათუმში განვითარებული მოვლენები. ამ მეთოდებით ცდილობენ აჭარაში რელიგიურ თემებს შორის დაძაბულობის გაზრდას, მტრის ხატის ჩამოყალიბებას, ფუნდამენტალური შეხედულებების გაღვივებას და დანარჩენი ქართველებისადმი გაუცხოვების ტენდენციის წახალისებას.

აჭარაში რადიკალური და პოლიტიკური ისლამის ექსპორტის მცდელობა განაპირობა შემდეგმა გარემოებებმა:

- საბჭოთა კავშირის რღვევასა და ქვეყნის დამოუკიდებლობის მოპოვებას შემდეგ შექმნილმა სოციალურმა-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა სიტუაციამ ხელი შეუწყო ქვეყნიდან ახალაგაზრდების მუსლიმურ ქვეყნებში გადინებას და რეგიონში ისლამური სასწავლებლების მომრავლებას, რაც პოლიტიკური ისლამის ექსპორტის მცდელობის ერთ-ერთ განმაპირობებელ ფაქტორად გვევლინება;
- უცხოელი ემისრების პროპაგანდისტულმა საქმიანობამ, უკანონო ფინანსური რესურსების შემოდინებამ და ისლამური ქვეყნებიდან დაბრუნებული ახალგაზრდების გარკვეული ნაწილის კოორდინირებული მოქმედებამ, რეგიონში გამოკვეთა ისლამის პოლიტიზირების მცდელობა;
- რადიკალიზაციის ხელშემწყობ ფაქტორებად გვევლინება აგრეთვე ზოგიერთი არასამამთავრობო ორგანიზაციისა და არალეგალური მუსლიმური სასწავლებლების საქმიანობა (ასლანიძე, 2018, გვ. 86-88);
- ისლამის პოლიტიზირების მცდელობა - ცალკეული ისლამური აღმსარებლობის ქვეყნებისა და ორგანიზაციების გავლენების გაფართოვების სახიფათო ტენდენციაა. ამის ნათელი დადასტურებაა ისლამური პარტიის ჩამოყალიბებისა და პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის სურვილი. გამოიკვეთა რელიგიური საკითხების მანიპულირებით კონფლიქტის ინსპირირების შესაძლებლობა. აღნიშნული გარემოება იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ ცალკეული ქვეყნების სპეცსამსახურების მცდელობა - გადაფარონ მათი სადაზვერვო საქმიანობის რეალური მიზანი.

მოვლენათა ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია ვივარაუდოთ არალეგალური ისლამური სასწავლებლების, უცხოელი ემისრების საქმიანობის შესაძლო გავლენა ვაჰაბიზმის გავრცელებაზე, რასაც ხელს უწყობს ქვეყნის მძიმე სოციალური მდგომარეობა. უსაფრთხოების ინტერესები დღის წესრიგში აყენებს რეგიონში რადიკალური ისლამური იდეოლოგიის გაჩენისა და გავრცელების მიზეზების შესწავლისა და ცალკეულ მუსლიმურ სახელმწიფოებთან და ორგანიზაციებთან არსებული კავშირების შესუსტებისათვის კონკრეტული ღონისძიებების გატარების აუცილებლობას.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ საქართველოში რადიკალიზაციის პროცესი სრულ თანხვედრაშია საზოგადოებაში რადიკალიზაციის არსებობის შესახებ საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში აღიარებულ შეხედულებებთან. ზემოაღნიშნულის შეხედულებების თანახმად მოსახლეობში რადიკალიზაციის არსებობა უნდა პასუხობდეს ოთხ ძირითად კომპონენტს:

1. საზოგადოებაში ან მის ცალკეულ ჯგუფში გარკვეულ პოლიტიკურ, რელიგიურ, ეთნიკურ ჯგუფებზე, ასევე პოლიტიკური, რელიგიური, ეკონომიკური და სოციალური პროცესებზე უარყოფითი დამოკიდებულების არსებობა;

2. იდეოლოგიური ზეგავლენა ან ზეგავლენის აშკარა მცდელობა;

3. საზოგადოებაში ხელოვნურად ან თვითნებურად შექმნილი ჯგუფი, რომელიც სისტემატიურად ახორციელებს ფორმალურ და არაფორმალურ შეხვედრებს, სწავლებისა და დარიგების პროცესს, იდეოლოგიური ზეგავლენის მოხდენას, კონკრეტული პროცესის ან/და ჯგუფის სათანადო ფინანსურ უზრუნველყოფას;

4: ქვეყანაში არსებული გარემო-ვითარება და საინფორმაციო ველი (Mohammed, 2015, p. 961-970).

ზედაპირული დაკვირვებითაც კი ნათლად ჩანს აღნიშნული უნივერსალური ფაქტორების შესაბამისობა ქვეყანაში არსებულ პროცესებთან მიმართებაში.

ბათუმში განვითარებული პროცესების შესწავლის შედეგად დადგინდა:

1. **მოსახლეობაში სათანადო განწყობის მიღწევის მცდელობა.** ბათუმის მოვლენებამდე რამოდენიმე დღით ადრე კორუფციასთან ბრძოლის ცენტრის ორგანიზებით გამართულ აქციაზე სენსიტიური თემით - ,,აჭარელი არ არის თათარი“ - მანიპულირება, რაც სადაზვერვო საქმიანობის ერთ-ერთ მიმანიშნებელ ინდიკატორად უნდა იქნეს განხილული;
2. **აქციის ორგანიზებულობა,** აგრესიის (აგურები, მოლოტოვის კოქტეილები, ალკოჰოლი) მიზანმიმართულობა. ჩვენი ვარაუდით, კონკრეტულ სამიზნე ჯგუფთან ჩატარებული იყო სერიოზული ლოჯისტიკური სამუშაოები;

3. **აჭარის მკვიდრთა შეურაცხმყოფელი ეთნონიმით მოხსენიების შესახებ ჭორების მიზანმიმართული გავრცელება** დაძაბულობის ესკალაციისა და სათანადო განწყობის ჩამოყალიბებისათვის;
4. **აჭარის პოლიციის დეპარტამენტის ტერიტორიზე ორგანიზებული შეღწევის მცდელობა,** რაც არ უნდა ყოფილიყო აქციის ორგანიზატორთა რეალური მიზანი. წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელი იყო აქციის მონაწილეთა მხრიდან განსხვავებული ხასიათის მოქმედებები;
5. **აქციის მიმდინარეობის დროის შერჩეული ხასიათი.** აქციის ორგანიზატორთათვის ცნობილი იყო, რომ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარე იმ დროს არ იმყოფებოდა საქართველოში. შესაბამისად არ არსებობდა აქციის ორგანიზატორებთან მოლაპარაკების ერთიანი გეგმა. სავარაუდოდ, აქციის ორგანიზატორები სრულყოფილად ფლობდნენ მთავრობის თავჯდომარის გადაადგილებისა და შეხვედრების გრაფიკს, რაც სადაზვერვო საქმიანობის ორგანიზებულობას უსვამს ხაზს;
6. **რელიგიური და კუთხურ პრობლემატიკაზე მსჯელობის გადატანა სოციალურ ქსელებსა და მასმედიაში.** ზოგიერთი ჟურნალისტის მიერ ბათუმის მოვლენების ტენდენციურად გაშუქება, პროვოკაციული ხასიათის სტატიების გამოქვეყნება, რაც სპეციალური სამსახურების საქმიანობის ნაცადი მეთოდი და ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი ფორმაა. აღნიშნული მეთოდოლოგია გამოიყენება საზოგადოებაში სათანადო განწყობის მისაღწევად.
7. **ძალოვანი უწყებებისა და მათი ხელმძღვანელების დისკრედიტირების მცდელობა.** მსგავსი აქციებით, საზოგადოების ცნობიერებაზე მანუპალაციის მეთოდების გამოყენებით ხორციელდება სახელისუფლებო, განსაკუთრებით კი ძალოვანი უწყებების დისკრდეტიდირება, აღნიშნული სტრუქტურებისადმი უნდობლობის განწყობის გაღვივება, რაც არის ხელისუფლების ძალადობრივი გზით შეცვლის ერთიანი სტრატეგიის ნაწილი.
8. **ქართულ საზოგადოებაში რელიგიური და კუთხური შუღლის გაღვივების მცდელობა,** რაც მაღალი ალბათობით, სადაზვერვო საქმიანობის ფართოდ გაშლის

შესაძლებლობას იძლევა. ამას ადასტურებს სამიზნე ჯგუფში სათანადო განწყობების ჩამოყალიბება. ნათელია, რომ აჭარაში არსებობს რელიგიური და კუთხური საკითხებით მანიპულირების ნოყიერი ნიადაგი, რაც ქვეყნის პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენის მნიშვნელოვანი ბერკეტია.

პანკისის საკითხი, ისევე როგორც ზოგიერთი სხვა პრობლემა თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ეროვნული უსაფრთხოებისათვის ერთ-ერთი მოწყვლადი მიმართულებაა. ფუნდამენტალური (სალაფიზმი/ვაჰაბიზმი) ისლამის გავრცელებამ რეგიონში სერიოზული პრობლემები შექმნა, რასაც ხელი შეუწყო ჩრდილოეთ კავკასიაში არსებულმა საბრძოლო მოქმედებებმა და საქართველში ლტოლვილთა დიდი ნაკადის შემოსვლამ. ეკონომიკურ კრიზისში მყოფმა საქართველომ ვერ შეძლო სოციალური პირობებით ლტოლვილების სრულად დაკმაყოფილება. ამ სირთულეებს დაემატა ხეობაში ტერორისტების არსებობის შესახებ მეზობელი სახელმწიფოს მიერ გაკეთებული განცხადებები.

აღნიშნული ვითარებით განპირობებული დამაზიანენებელი ეფექტები საქართველოსათვის, როგორც გასულ წლებში ასევე თანამედროვე ეტაპზეც შეიძლება შემდეგი პუნქტების სახით წარმოვადგინოთ:

